


114  
1977/2



# გეოგრაფია

4

1977



ՀԱՅԿԵՐԱՆ





# მწერთა კავშირი

საქართველოს  
მწერთა კავშირი

საქართველოს მწერთა კავშირის მდივნის ადგილის  
და საზოგადოებრივი-კულტურული მუშაკებისთვის

წელიწადი 54-ე

№ 4

აპრილი, 1977 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლებს კავშირის ორგანო

## შინაარსი

იხალდე აბაშიძე — ლექსები . . . . .	3
ხატა ბერუაშვილი — მწერლობის სახელობის ლექსები . . . . .	6
გაბრიელ შინაუაშვილი — უკანასკნელი უბნის. რომანი. თარგმ. თამარ ჩიქაძე . . . . .	10
ლევან მესხი — გამომთხოვნი. მოთხრობა . . . . .	44
შალვა ამისულაშვილი — კრებული არაბული. ლექსები . . . . .	55
ვახტანგ ხარბილაძე — ლექსები . . . . .	59
ვიცი ალბაჩიშვილი — გადარჩენა. პოემა . . . . .	62
პრიგოლ ნიქოშანი — მიწა. რომანი. ვაგრაძე . . . . .	71
პრიგოლ ჯალაღანი — ლექსები . . . . .	79
თენგიზ მანანია — ლექსები . . . . .	101
შალვა უგულაძე — ლექსები . . . . .	103
ოთარ კუპატაძე — სირიაჩქონის ტყის სიზმარი. რომანი. ვაგრაძე . . . . .	104

### 90 კვირის შენიშვნა 90

შოთა შიშინაძე — მართალი იმისა და კულტურის დამცემი მამული . . . . .	126
ვიტორი ნატოშვილი — მარტოობა . . . . .	135
ლევან კვარაცხელი — მხრის ბაი . . . . .	145

### კრიტიკა და კომენტარები

შოთა შიშინაძე — ღიმილი მტკიცების ნათელი და გაბნეული მწერლობა . . . . .	153
ოთარ ნათაძე — აღმოსავლური მითების . . . . .	162
გაბრიელ არაბული — იმის სახე . . . . .	168
პრიგოლ ნიქოშანი — შინა მუცლის-გადასრულებული მწერლობის შოთა . . . . .	171

საქართველოს მწერთა კავშირი

- ალ. ლომიძე — მცხრდი მთის ზღმოსახედიდან
- მლია ანთილაჰა — ნაშრომი საფცხე ჯაგახიმოჰი
- რ. ზაჰეღაჰი — ღრმის მძაფრი ზანცა



მთავარი რედაქტორი გომრბი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

- მ. აბაშიძე, რ. აბაშუკელი (პ/მე მღვიანი), ხ. ბერულავა, თ. გიგინეიშვილი, მ. ლეხანიძე, ლ. მარტოშვილი, ა. სულაბაძე, ა. ჟუთათალი, ხ. ზანთაიშვილი, დ. ზანთაია, ნ. წულციანი, მ. წულციანი, თ. ზილანი, ვ. ხარაძე, რ. ჯაგაძე, ხ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაძვანაძე

რედაქციის მხარეთ:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 13.

ტელეფონები: რედაქციის — 92-55-11.

პ/მე, მღვიანის — 92-55-12, განყოფილებების — 92-55-15, 92-55-17, 92-55-20.

გაღიეცა ასაწეობად 3/III-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდოდ 14/IV-77 წ., ინაწეობის ზომა 7 1/4 X 12, ქალაღის ფორმატი 70 X 108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, საღარ.-საგამომცემლო თაბაბი 16,58.

№ 08355, ტირაჟი 13.900. შეეცე 745.

საქ. კ. ცე-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

## ლექსები

• • •

გადაუქროლით რიკოს ვრთხელაც,  
ცა რომ დასკდება

პირველ მერცხლებით;

აპრილს რომ კვირტი მიეხეთქება  
და შეაკლდება მარტს ნასესხებიც.

როცა მკაცრად და  
როცა წინასწარ

გზას გადაგვიჭრის  
ხელი მეწყურების —

იქ ჩავიმუხლოთ ჩვენც, ყვირილასთან,  
და წაეიხმსოთ წვრილი ლექსებით.

იქ, იქ ვუმდეროთ  
კაცის გაჩენას,  
ვიგრძნოთ ლიხის მთის

ტინის სვეტები  
და გავიხართ გულით ამჯერაც,  
რომ ცოცხლები ვართ  
და პოეტები.

• • •

ხელთ მხოლოდ შენ გაქვს  
ნება გამჩენის —

შხამით გამაქრო,  
ნექტრით დამათრო;

შენ, მხოლოდ შენ ხარ  
ჩემი განმსჯელი —

შე ქვეყნად არ მაქვს  
სხვა სასამართლო.

არც რამ დიდება,  
არც რამ წამება,  
არც რამ ქვეყნელი,  
არც რამ სამშველი —

ქვეყნად მე არ მსურს  
სხვა შეწყალება,  
ქვეყნად მე არ მწამს  
სხვა რამ სასჯელი.

• • •

ქველმოქმედებას —  
მაშ, სიქველის,  
მაშ, ქველმოქმედის,

მაშ, კეიილმყოფელს  
კვლავ მიეზღოს  
კეთილმყოფელის;

მაშ შურს — მეშურნის  
 მაშ, მოკეთეს —  
 მხოლოდ მოკეთის;  
 მაშ, პურის მცხობელს  
 მოეთხოვოს  
 პურის მცხობელის.  
 მფრინავს — მფრინავის,  
 მაშ, მეისრეს  
 ისევ მეისრის;

ბურთს და მოედანს —  
 ისევ ბურთის,  
 ისევ მოედნის;  
 მაშ, ღმერთს — ღვთაების,  
 მაშ, კეისარს —  
 ისევ კეისრის;  
 მაშ, მოეთხოვოს,  
 მოეთხოვოს  
 პოეტს — პოეტის.

### შენ ისევ შენებარ...

შენც ზომე შენთვის,  
 შენც თვალე შენთვის  
 ორიც და ერთიც,  
 შავიც და თეთრიც;  
 შენცა ხარ შენი მონაც და ღმერთიც,  
 შენცა ხარ შენთვის  
 ლუწიც და კვნტიც.

მაგრამ შენ ისევ  
 იფრინე ლალად —  
 ზიწა გაქვს ტახტად,  
 ზეცა გაქვს ჭურად;  
 თუ შეცდი ასაჯრ,  
 მაშ შეცდი ახლაც —  
 გაუღე გული  
 ვინც შენს გულს სჯერა.

მაშ, შეცდი ახლაც,  
 მაშ ახლაც შეცდი,  
 უსმინე მშვიდად  
 კილვას და ღიმილს;  
 შენ ისევ შენებარ,  
 შენ ისევ შენთვის  
 ჩაიკარ მკერდში ღომიც და მღილიც.

კვლავ ქვეყნის გულში.  
 კვლავ მზისკენ, მზისკენ!  
 დაჯექ თვით ღმერთთან,  
 დაჯექ მშვიერებთან...  
 და ლექსთან, ლექსთან  
 ყრმა იყავ ისევ,  
 როგორც ბავშვი ხარ შეილიშვილებთან.

### ავეჩიქ ისააკიანი უსხოეთში

გადახვეწილი, გადამალული  
 ყველა ჭირიდან,  
 ყველა ჭორიდან...  
 ტკბილი მამული, მწარე მამული  
 მხოლოდ შორიდან,  
 მხოლოდ შორიდან!  
 ყველა ქობიდან,  
 ყველა სახლიდან,  
 ყველა საყდრიდან,  
 ყველა დახლიდან —  
 მწარე მამული,  
 ტკბილი მამული  
 მხოლოდ მაღლიდან, მხოლოდ მაღლიდან!

ხუთა ბერულავა:

## მშობლიური სახელები

სომხე დადიანის ხატვა ხოვის ტაძარში

აი ეს კოლხი, ესოდენ მშვიდად  
რომ იმზირება ამ კედლიდანაც,  
თავს მხოლოდ ერთგულ მეომრად თვლიდა,  
მაგრამ აქცია ურმა წმინდანად.

ვერ მიაღგება ჩრდილი მტრობისა  
და ვერც მიაწერს უღირსთა ცოდვებს  
იმ ხალხს, რომელმაც ძნელბედობისას  
ქვეყანას მისცა უკვდავი ცოტნე!

## მირზა-ფათალი ახუნდოვის ქადაგი

შექი თუ ნუხა... სახლი უბრალო...  
მირზა-ფათალი... მირზა-ფათალი...  
აზურბაიჯანს ბედმა უმრავლოს,  
დღესაც და ხვალაც, მისი ბადალი!

რა მცირე ჭურჭვემ იბადებიან  
რაინდები და ბუმბურაზები!  
ამ ძველ აკვანსაც წილად რგები  
ერის მედროშის იყოს გამწრდელი...

## სამერ ვერდუნი

უკვდავებაში გადასული, როგორც ნიჰამი,  
კვლავ თვალწინ მიდგას, ვით რაინდი და გულთმისანი.

მეამაყება, რომ ვიცნობდი და ხელს ვართმევდი,  
როგორც ჭაბუკი მეოცნებე, როგორც ქართველი.

გარშემო მუდამ პოეტების დასი ესვია.  
მეც მასთან ერთად პური ტკბილად გამიტეხია...

რა დრო გასულა! ღიმილს მისას დროც როდი აქრობს,  
მზადნაფიცობას უდასტურებს თბილისს და ბაქოს.

... უკვდავებაში გადასული, როგორც ნიჰამი,  
ქასპიის ზღვასთან დგას რაინდი და გულთმისანი.



## ალიო შიჩხუღავა

ცოცხლობს მგოსანი სიკვდილის მერვც,  
 ვითარცა სული მშობელი ერის,  
 რამეთუ ამ ცის ჯადოსნურ ფერებს  
 მისმა პანგებმაც შესძინეს ფერი.

ცოცხლობს მგოსანი და ვისმე თუკი  
 დაავიწყდება მემკვიდრის ვალი,  
 ხამს შთაგონების ჩაუჭრეს შუკი,  
 ხამს გადაუტყდეს ვადაში ხმალი.

## როგორც ნაჩნაბ...

პიორბი ზერულამას სსოცნას

სააფხაზოში ხე არა ხარობს,  
 არ მოჩუხჩუხებს ბექობზე წყარო,  
 არ არის ბუჩქი და მწვანე ველი, —  
 არ ეგრძნოს შენი მზრუნველი ხელი!

სააფხაზოში არ არის გლეხი,  
 რომ არ ახსოვდე, ვით მეზობელი.  
 ნარინჯის ბაღებს, ყანებს და ხეხილს  
 შესწირე შენი წუთისოფელი.

შენ პოეტების ძმობილიც იყავ,  
 ვარაზისხვევის ტკბილი სტუმარი...  
 დედა-ბუნების გეკუთვნის სიტყვა,  
 ამიტომ ვდგავარ ასე მდუმარი.

ვდგავარ მდუმარი აბჯაყვის ტყეში  
 და იბადება ქამთასვლის ლექსი,  
 შენზე ფიქრებით რომ არის საესე,  
 როგორც წარწერა საფლავის ქვაზე.

## ბაიათი სანდრო შანშიაშვილს

ჩვენო ბერძნულზე, საყვარელო ბატონო სანდრო,  
 თქვენმა ალერსმა დამაბნია და გამახარა.  
 თქვენმა ალერსმა დამაბნია და ბარათს ვანდობ,  
 რომ დაგილოცოთ დიდი გული, წმინდა ჭაღარა.

ნე ბავშვობაში თქვენი ხილვა მჭონდა ოცნებად,  
 ვეღარ მოცელა ის ოცნება მწარე ობლობამ,  
 და დღეს მგონია ძველ ნატვრათა ასხივოსნება  
 ეს თქვენი ლექსი, ეს მოლოცვა და მეგობრობა.

ადამიანებს ფიქრთა თქვენთა სიმდიდრეს ამცნობს  
 სიმღერა ისევ ჭაბუკური და საოცარი.  
 თქვენი მშობელი კახეთივით მზიანო კაცო,  
 მრავალგამიერ მიგვიძლოდე, როგორც მოძღვარი!



## ილია ვეკუა... სოფელი შეშაღათი...

შათემატიკა, როგორც ღმერთი მეცნიერების, სამურზაყანოს ველ-მინდვრებზე კრძალვით დაექმბს ყმაწვილს, ურთულეს ფორმულებთან მოასპარეზეს და... ღელისპირას შრიალებენ ლერწმის ღერები.

ამ ღელისპირას, ხედავს, კოლხურ ჩოხაში დადის იმედი მისი სვალინდელი და ერთი ბურჯი, რომ არ შორდება მომავალზე ოცნება ურჩი და დიდი პაპის — მართალია თოდუას ლანდი.

არავინ უწყის, შეილიშვილი (კოლხურად: მოთა!) რარიგად ეტრფის უტუს ლაშქრის მეორე ბელადს, ვისაც ამგვარად სიმართლისთვის უხმობდა ყველა, ვისაც გლეხკაცის გულს უკლავდა ჭირი და შფოთვა...

შათემატიკა, როგორც ღმერთი მეცნიერების, აქ, ამ პატარა შეშელეთში, იხუტებს გულში ყმაწვილს, რომელიც გვიმრიანში დარბოდა გუშინ და... შრიალებენ, შრიალებენ ლერწმის ღერები.

## ს ა ღ ლ ე ბ რ ქ ე ლ

იხვე აკადემიკოს ილია ვეკუას

შე შენი დიდი შეგობრობით ნალერსალი, ამ ლექსს სრულიად — საქართველოს გულისთქმას ვატან: სიცოცხლემ შენმა იკაშკაშოს მარად მზესავით, ძალას გმატებდეს ერის ლოცვა, სითბო და ნატვრა.

სამოცდაათი რაინდულად გამოგივლია, კიდევ მრავალი ბედნიერი გელის დღეობა, და, დიდი ნიკოს ღირსეულო ძმაო, ილია, კლდეკარს აიღებს აუღებელს შენი მხნეობა!

ჭირში გატეხა, დაღონება არა გჩვევია, ნურც შეუკრთები ტკივილებს და დაღლას წამიერს. გამარჯვების გზა სიყრმიდანვე აგირჩევია და გთხოვს მამული იდღეგრძელო მრავალჯამიერ!

## კ ა რ ღ ი ო ბ რ ა მ ა

ექიმ თამარ კობახიას

არ ვეურჩები ქალბატონ თამარს, როცა შემკრთალი გახედავს გრაგნილს — ჩემს უდიდამო კარდიოგრაფას და... ჩვეულებრივ უკულმა თარგმნის.

ო, რარიგ ლამობს კეთილი სული, ვერ წავიკითხო, რაცა სწერია! მაშხნევებს მე თუ საკუთარ სურვილს — საშიში მაინც არაფერია...

და შეღიმება, და გული მწყდება,  
რომ ჩემზე ნაღვლობს, როგორც დობილი,  
რომ კვლავ „კოლხეთის“ ღრუბლებში  
ვწევარ  
ამ ქარიშხლიან ბედს მინდობილი,

რომ არაფერშიც ყველაფერი  
რამეთუ ვკიბს დარდი მოჰგვარა,  
და... სახიფათო დღესაც ბევრია,  
რასაც ვერ იტყვის კარდიოგრაფია!

## სიმღერის დაბადება

აზრილ ნიშაბაძის

შუალამისას, ჩაძინებულ ვარაზისხვევში,  
მეზობლის ჭერქვეშ იბადება დიდი სიმღერა.  
ახმაურდება კლავიშებზე წვიმების თქეში  
და მღუმარების კიბებზე გრგვინვით იღვრება.

ახმაურდება, აენტება, აბუბუნდება...  
ნიაღვარია თუ მეწყერი მწველი ქანგების,  
აწყდება მიწას, ხან მშობლიურ ცას უბრუნდება  
და იმ ჯადოსნურ, გამირულ ხმებში მეც ვიკარგები.

ფურცელი თეთრი, როგორც თოვლი გაუკვალავი,  
ღვეს მაგიდაზე და თვალბში ნამი გროვდება.  
ღვეს იმ ფურცელზე უმოძრაოდ მგოსნის კალამი  
და კვლავ სიმღერის დაბადების ჭამს ელოდება.

## სიწყეა და უნჯი

მიხილ სვიტიას

მეცა ვნატრობ, ძმაო, განა არა ვნატრობ,  
ეს ქვეყანა შენებრ ვხატო, გადავხატო;

აგიელვო თვალწინ შენი ყრმობის კერა  
და კოლხეთის ზეცა, რომ გაოცებს ჯერაც;

თავვანი ვცე ქვეყნად შთაგონების მომგონს, —  
გაგახსენო წამით იწყებოდი როგორ;

როგორ კითხულობდი ამ ბუნების ანბანს  
და იკრავდი გულში საჭართველოს მთაბარს;

როგორ იზრდებოდი ოცნებებთან ერთად,  
გამხდარიყავ რათა ჯადოქარი ფერთა!

მეც არ მინდა განა, უცნობსა და ნაცნობს  
კალმის ერთი მოსმით ჩვენი ძმოზა ვამცნო.

მაგრამ მეფიქრება, ისღა მეფიქრება,  
სიტყვას რომ არ ძალუქს ფუნჯთან შეკიბრება!

## უკანასკნელი უბიხი

რომანი

### წინასიტყვაობა

ამ ზამთრის დამდეგს, ერთ შაბათ საღამოს, ქარბეი ბარჩანი მეწვია. ოღეს-ღაც ერთად ქსწავლობდით პედაგოგიურ ინსტიტუტში, ახლა კი სოხუმიდან დიდხნის წასული იყო და სოფლის სკოლის დირექტორად მუშაობდა. რამდენიმე წელი არ გვენახა ერთმანეთი. მე ლაპარაკის ხასიათზე მოვედი, მინდოდა გამომეკითხა ცისა და ბარისა, მაგრამ ქარბეი აჩქარდა, ნახევარ საათში რაიკომის მანქანა გამოვივლის, რომელმაც აქ მომიყვანაო, და დრო აღარ დაუკარგავს, — გაქექილი ჩანთიდან საკმაოდ სქელი საქალაღდე ამოიღო.

— ამაში ხელნაწერი დევს, ძალიან ვახოვ, უნდა წაიკითხოთ რაც ადრე მოახერხებ, უკეთესია. ისედაც ოცდათერთმეტი წელი იღო ჩემი უფროსი მამიდის თათლის ზანდუკში. წინა კვირას დავკრძალეთ მამიდაჩემი და ის ზანდუკიც გავხსენით, თითონ რომ არასოდეს ვაუხსენია. და იმ ვიპოვეთ. ეს მისი შვილის შარახ კვაზბას ხელნაწერია. სწორედ ომის დაწყების წინ არის დაწერილი, მაგრამ დღემდე არ მოძველებულა. წაიკითხე და მითხარი, შეიძლება თუ არა მისი დაბეჭდვა. იმიტომ კი არ გეუბნები, ჩემი ნათესავი რომ არის; მოკლედ, — წაიკითხე და თვითონ მიხვდები.

ქარბეი წავიდა და ჩემს სინდისს მიანდო ხელნაწერის ბედი, დედის ზანდუკში ოცდათერთმეტ წელს გამოცემული შარახ კვაზბას ხელნაწერის ბედი. საქალაღდის გახსნამდე დამამძიმა პასუხისმგებლობის ჯრძობამ, უკვე ერთის კი არა, ორი განსვენებულის წინაშე.

პირველად სწრაფად ჩავეიკითხე ხელნაწერი თავიდან ბოლომდე, შემდეგ კი რამდენჯერმე მივუბრუნდი, რომ კარგად გამერკვია ზოგი დაუმთავრებელი და ზოგი ძნელად დასაჭერებელი ადგილები.

თვითონ შარახ კვაზბას არ ვიცნობდი, ისე კი ომამდეც ბევრი რამ მსმენოდა მასზე. ხუთი წლით უფროსი იყო ჩვენზე. სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმი დაამთავრა და შემდეგ ლენინგრადში წავიდა, იქ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კავკასიური ენების ფაკულტეტზე ჩაირიცხა, აკადემიკოს ნიკო შარის ლექციებს ისმენდა, ასპირანტურაში დატოვეს და კავკასიური ენების ჩრდილო-დასავლეთის ჯგუფის შესწავლას მიჰყო ხელი, მათ შორის უბიხურისაც, რომლის ცოდნაც მეტად მნიშვნელოვანია კავკასიური ენების ისტორიული სიახლოვისა და ნათესაობის დასადგენად.

ისიც გამეგონა, რომ კვაზბას განსაკუთრებული ლინგვისტური ნიჭი ჰქონდა და საზღვარგარეთაც დადიოდა სამეცნიერო მივლინებით, რაც მაშინ იშვიათი იყო. დადიოდა თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში. მისი მივლინების მიზანი იყო მოეძებნა ადამიანები, ვისაც შენარჩუნებული ექნებოდა უბიხური სალაპარაკო ენა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ამ ჯნას დამწერლობა არ გააჩნდა. ომის დროს ვილაციისგან გავიგე, იქნებ ქარბეიშაც მოიხრა, რომ კვაზბა ლენინგრადიდან ჯარში გაიწვიესო. მალე მძიმედ დაიჭრა. პოსპიტლიდან კვლავ ფრონტზე დაბრუნდა და 1942 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მხოლოდ თექვსმეტი წლის შემდეგ — 1958 წელს მოგვივიდა სოხუმში ცნობა, რომ შორეული იტალიის განაპირა ადგილას, ჩერმინატაში, კომოს ტბის მახლობლად იტალიელი პარტიზანების სამარის ქვაზე, რომლებიც ომის მიწურულს—1945 წლის აპრილში დაეცნენ, ლათინური შრიფტით დაწერილი შარახ კვაზბას სახელიც იკითხება. საოცარია, როგორ მოხვდა იტალიაში?! ალბათ სხვების მსგავსად გაიქცა იტალიის საზღვრებთან მდებარე რომელიმე ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკიდან. დალუპვის თარიღი, — 1945 წლის აპრილი იმის დასტურია, რომ იგი თითქმის ომის დასასრულამდე იბრძოდა, გამარჯვებამდე სულ რაღაც ორი კვირით ადრე დაეცა. ასეთია შარახ კვაზბას თავგადასავალი, უფრო სწორად, ის, რაც მის შესახებ ვიცო.

ხელნაწერის ისტორიის ზოგიერთი წერილმანი კი ქარბეიმ გამიზიარა. ექვსი თვე მოვანდომე ხელნაწერის დასაბეჭდად ვაშაღებას და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმეჯერ ჩამოვიდა ჩემთან ქარბეი. როგორც გამოირკვა, ეს ხუთასამდე გვერდი შარახს ერთი ჩაჭდომით დაუწერია. 1940 წლის ზაფხულში უტოეთიდან დაბრუნებულა თუ არა, მაშინვე შევხულება აუღია და თვენახევარი აფხაზეთში გაუტარებია

დედასთან. თურმე დილიდან დაღამემამდე იჭდა და წერდა. წასვლიას ნაწერი საქალაქულში გამოუტარავს, საქალაქულე ჩანთაში ჩაუდევს, დედისთვის ზანდუქის გასაღები გამოურთმევია, თვითონ შეუნახავს ჩანთა ზანდუქში, თვითონვე დაუეკრავს, გასაღები დედისთვის დაუბრუნებია და უთქვამს:

— ეს ქალაქები ზანდუქში იყო. ჩემს ჩამოსვლამდე ხელი არ ახლო.

რა იცოდა, რომ ეს მისი უკანასკნელი მგზავრობა იყო, რომ ველარასოდეს ნახავდა ვერც დედას და ვერც თავის აფხაზეთს. სიკვდილამდე არ უხლია ხელი დედას შვილის ნაწერებისთვის, არც არაფრისთვის გაუმხელია ეს ამბავი, არც მაშინ უთქვამს რამე, როცა უგზო-უკვლოდ დაეკარგა შვილი, და არც მაშინ, როცა უთბრეს — საღრაც ძალიან შორს, წარმოუდგენლად შორს, სამშო სასაფლაოზე შარახის სახელიც ამოიკითხესო.

ეს რომ ვაივო, ჭერ თქვა — ნათესავებმა და შარახის მეგობრებმა მთელი ჩემი ქონება გაყიდეთ და მის საფლავზე წამიყვანეთო. შემდეგ კი, რომ არ დაეთანხმნენ, ვაჩუქდა და აღარაფერი უთქვამს. დუმდა, იქნებ შვილის საფლავი უნახავს არც მისა სიკვდილი სჭეროდა. ასე იყო თუ ისე, გალია მთელი სიცოცხლე, და ერთხელაც არ ამოუღია ზანდუქიდან შვილის ხელნაწერი. ვინ იცის ისევ ელოდებოდა მის დაბრუნებას.

როგორც ვითხარით, შარახ კვაზბას ხელნაწერი ხუთასი, უფრო ზუსტად, ოთხას ოთხმოცდაორი გვერდისაგან შედგებოდა. წერილი ასოებით იყო ნაწერი; ხელნაწერის შუაში მანქანაზე ნაბეჭდი ორი ფურცელი იღო, 1940 წლის აგვისტოთი დათარიღებული. ეს შარახ კვაზბას ომამდელი ავტობიოგრაფია იყო. აქვე იყო ხელით ნაწერი მოკლე თეზისები (ალბათ საზღვარგარეთის მივლინებიდან დაბრუნებულმა გააკეთა ინსტიტუტში წარსადგენად) და აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის

მიერ შარახ კვაზბასთვის მიცემული ხელწერილი, რომელიც იუწყებოდა, რომ მიიღო მისგან უცხოეთიდან ჩამოტანილი სპილენძის ბუკი და კავკასიური ხანჯალი. ხანჯლის შემდგომი ბედი არ ვიცი, ეს იშვიათი უბიბურო ბუკი, ჩვენი მუზეუმის ფრიად მნიშვნელოვანი ნივთი კი ხშირად მინახავს, თუმცა არ ვიცი, რომ ეს შარახ კვაზბას საჩუქარი იყო.

თავის თეზისებში კვაზბა წერდა, მივლინებაში შეგროვილი მასალები შექა მოჰყენს უბიბუ ხალხის ტრაგიკული ისტორიის შესწავლაში არსებულ ხარვეზებსო. შარახის მიერ შეგროვილი და ჩაწერილი მასალები ბაზა იქნებოდა მისი შემდგომი შრომისა.

როგორც ჩანს, ზანდუკში შენახული ხელნაწერი მუშაობის ბოლო დღეს იყო შეწყვეტილი, შინაარსის მიხედვით სულ მალე უნდა დასრულებულიყო. სანამ მკითხველს ჩემს მიერ ოდნავ რედაქტირებულ შარახ კვაზბას ხელნაწერს მივაწვდიდე, მინდა რამდენიმე სიტყვით შევებო მის მოთხრობილ ამბავს.

კვაზბას ხელნაწერში ჩვენს წინაშე ცოცხლდება უბიბუბის ისტორიის ფურცლები, იმ ხალხისა, ოდითგან რომ ცხოვრობდნენ დასავლეთ კავკასიაში, დაახლოებით იმ ზოლში ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მდინარეებით — შახეთი და ხოსტით რომ არის შემოსაზღვრული.

კავკასიის ომის დასასრულს, როდესაც უბიბუბის შეურიგებელ პოზიციას წააწყდა, მეფის მთავრობამ მათს ბელადებს ორი მკაცრი არჩევანი შესთავაზა: დაეტოვებინათ მთები და დასახლებულიყვნენ ჩრდილო კავკასიის დაბლობებზე, ან თურქეთში გადასახლებულიყვნენ. უბიბუბის ბელადების არჩევანი შორსმჭვრეტელური არ აღმოჩნდა. 1864 წელს უბიბუბი, თავიანთი ბელადების კვალდაკვალ, თურქეთში გადასახლდნენ.

როგორც ქარიშხალს გადარჩენილი, ქანცვაწყვეტილი ფრინველები ვერ ახერხებენ ერთად ყოფნას, ისე დარღმანტენ უბიბუბი ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში.

მხოლოდ ერთი საუკუნე გავიდა და მდიდარი და გმირული წარსულის მქონე ხალხი ერთიანად აღიგავა პირისაგან მიწისა.

ცოცხალი უბიბუბი ენა მხოლოდ თითო-ოროლა კაცის მეხსიერებასლა შემორჩა, და თუმცა ამ ენის ცოდნა და უბიბუ ხალხის ისტორია ძალზე მნიშვნელოვანია მთელი კავკასიური მეცნიერებისათვის, სწორედ აქ არის „თუთრი ლაქები“.

თხუთმეტი წლის წინათ თვალი მოეკარი ერთი ევროპელი კავკასიოლოგის ცნობას. იგი წერდა, ახლო აღმოსავლეთში გადასახლებული უბიბუბის შთამომავალთაგან, ერთმანეთის ახლო მდებარე ორ პატარა სოფელში თექვსმეტი კაციღაა უბიბუბ ენაზე მოლაპარაკეო. ეს თხუთმეტწლისწინანდელი ცნობა უკანასკნელი იყო უბიბუბის ისტორიიდან. ამიტომაც უფრო მინდა მკითხველებს შევთავაზო შარახ კვაზბას ხელნაწერი, რომელშიც წერილად და აღწერილი 1940 წელს ასი წლის უბიბუბის ზაურყან ზოლაქის ნაამბობი — მას კარგად ახსოვდა თავისი ხალხის თურქეთში გადასახლება. ზაურყანის სახლში ვაატარა შარახმა თითქმის თვეზე მეტი.

მაშ ასე, გადავშალეთ ხელნაწერი. მინდა გავაფრთხილოთ, რომ ჩემს წინ ოთხას ოთხმოცდა ორი მჭიდროდ ნაწერი გვერდია, არც სათაურები, არც ნაწილებად და თავებად დაყოფა, ის კი არა და, უაბზაცოდ არის ნაწერი. ეტყობა, ავტორი მის გამოქვეყნებაზე არ ფიქრობდა, უნდოდა, როგორმე ემყოფინებინა დრო და ბოლომდე გაესრულებინა ჩანაფიქრი. ხელნაწერს სათაურიც მე გავუკეთე, თავებად და ნაწილებადაც მე დავყავი კითხვის გასაადვილებლად.



მკვლარების სფერა



აქეთ მომავალ საზიადარს გამოვეყვი გზად. ჩამოვხტი და ვდგევარ, აქეთ-იქით ვიხედები, არ ვიცი საით წავიდე. ფერდობშელეწილმა ცხენმა ძლივს ამოგვიყვანა, ახლა კი ხრიგინ-ხრიგინით მიაგორებს საზიადარს მთის ძირში. მხოლოდ ბორბლების ხმაური თუ არღვევს ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს. სიცხემ საღამოსკენ ოდნავ იკლო. თბილი ქარი ისე ხვეტავს მტვერს შარავნაზე, თითქოს უხილავი ცოცხიაო. მარჯვნივ, მოშორებით სოფელი იღანდება, ძაღლების ყუფაც მოისმის. მარცხნივ მზისგან გამოფიტული შიშველი ბორცვია, წვიმის ამომშრალი ნიაღვრები შეუხორცებელ ჭრილობებივით რომ ატყვია ზედ. წინ კი, ჰორიზონტამდე, უსიცოცხლო დაბლობია, მეჩხერი ხეებით დაფარული. ვდგევარ და გაოცებული ვუყურებ ამ უცხო მიწას. ნუთუ ამაზე გაცვალეს უბიძებმა თავიანთი მთები? ნუთუ ამ მიწაში განისვენებს მათი ძვლები?

გრდემლზე ჩაქუჩის დარტყმის ხმამ შეფიქრებინა, რომ მეგზურმა სწორი მითხრა, სამკედლო აქვე უნდა იყოს. აი, ისიც, სულ ასიოდე ნაბიჯითაა ჩემს უკან. თურმე, როცა ჩამოვხტი, სწორად არ ამიღია გეზი. აი ეს კი მკედელია, ალბათ. სანამ მივიდოდი, რამდენიმეჯერ კიდევ დააკაუნა ჩაქუჩი და თითქოს წინასწარ იცის რომ სწორედ ეს მჭირდება, შესახვედრად გამოვიდა. ნაჩქარევად მოწმენდილ გამურულ სახეზე მეჩხერი უღვაში მოუჩანს, ტანდაბალია, ხელში რაღაც ფუთა უჭირავს. იმის ვაფიქრებაც მოვასწარი, იქნებ ეს სხვა ვინმეა და სულაც არ არის მკედელი-მეთქი. მაგრამ ის სწორედ მკედელი ბირამი გამოდგა. ამაზე მითხრეს, ის თუ შეგხვდა, შენი საქმე ჯარად იქნებაო. ფუთა რომ უჭირავს, ესეც ხეირია ჩემთვის, იმიტომ, რომ ეს ფუთა სწორედ იმ მოხუც უბიძხაა, ზურყან ზოლეთან მიიქვს, ვისთვის-

საც რის ვაი-ვაგლახით მოვალწიე აქამდე.

მე და ბირამი მოტიტვლებული ბორცვის ძირს მიუყუყვებით. ეტყობა, ღვთისგან დაწყველილია ეს ბორცვი. ცალ მხარეს ღვარებისგან არის დახერგილი, მეორე მხარე კი მხოლოდ დახეთქილი ქვებია, ბალახი კი ამოუწვავს მზეს ძირფესვიანად.

— მოვედით, ამბობს ბირამი, — აქა მისი სახლი.

თითითაც მაჩვენებს, მაგრამ მე მაინც ვერავითარ სახლს ვერ ვხედავ.

— იქ კი არა, აი იქ, — ისევ თითით მიჩვენებს.

როგორც იქნა, დავინახე სახლი. ამ შიშველი ბორცვის ძირას მღვიმეა. შესასვლელთან ალიზის სამი დაბალი კედელია ამოყვანილი, ყვარის ფარდული ერთთავად კვამლისაგანაა გამჭვარტლული.

— აქ მომიცადე, გავიგებ შინ არის თუ არა ზურყანი, ვკითხავ, ასურვებს თუ არა შენთან საუბარს, ხანდახან ისე განრისხებულია, რომ არავის ნახვა არ უნდა, ჩემიც კი. რას იზამ, ასი წლისაა ბირამი მხრებს იჩეჩავს, თითქოს მეუბნება, ასი წლის კაცს არ ეკითხებიან, რატომ ხარ გულმოსულიო.

— მგონი შინ არ უნდა იყოს, თორემ ძალღი მიინც შეგვიყუფდა.

ამის თქმასაც ვერ ძწურებს ბირამი და მღვიმედან უზარმაზარი ძალღი გავმორბის ყეფით. ამაზრზენი ხმა აქვს, თითქოს ძალღი კი არა, ვიღაცის ძველთაძველი უბედურება ჰყეფს.

ბირამი მიწის რამდენიმე საფეხურს აღის და მღვიმეში უჩინარდება, შავ ხერელში შედის, კარის მაგივრობას რომ ეწევა. ძალღს კი ყეფა მობეზრებია, დგას და მღუმარედ მათვალიერებს.

მე კი ვისხენებ, როგორ გამიჭირდა ეს მგზავრობა და შიშით ვფიქრობ: „მაინც როგორი იქნება ეს ასი წლის ბერიკაცი, ვისთვისაც აქ ჩამოვედი, რას მისცემს ეს შეხვედრა ენათმეცნიერე-



ბას, ან რას ეტყევას ჩემზე ბარამი, ამდენ ხანს რომ არ ჩანს. იქნებ ჯობდა, ბირამთან ერთად მივსულიყავი მოხუცთან?”

— აი ბირამიც გამოჩნდა. მხოლოდ კიბეებზე ჩამოსვლისას შევნიშნე, რომ მაგრად კოჭლოვს.

— ზაურყანი შინ არის, წამოწოლილი იყო და ისვენებდა. ახლაც ადგება და შეგხვდება — ამბობს ბირამი და ვგრძნობ, რომ ჩემს მაგივრად უხარია. ახლა უკვე ორნი ავდივართ საფეხურებზე და მღვიმის წინ ვჩერდებით.

უბოაო, ვერ იტყვის კაცი, მაგრამ მღვიმის წინ მაინც არის მიწის მომცრო ტერასა, სადაც ოთხი დაბალი, ბებერი, მაგრამ ღონიერი ხე დგას. ერთ-ერთის ქვეშ გრძელი სკამია. მე და ბირამი ვსხდებით და ვაბოლებთ.

— ზოგჯერ ძალიან გაბრაზებულია — მეუბნება ბირამი, — მაგრამ გავიტყუნება? ერთი თანატოლიც კი არა ჰყავს გარშემო. ვუთხარი, მოგიტანე, რაც მთხოვე-მეთქი, მან კი ხმა არ გამცა. სწორად იცის ასე. მერე შენზე ვუთხარი, პატრისაკემი სტუმარია-მეთქი. არც ამაზე მიპასუხა, გამოსვლისას მომაცხა, ახლაც ავდგებით. რისთვის მოხვედრი არ მოთქვამს, არ გაბრაზდეს-მეთქი. შენ თვითონ უთხარი, რომ შეხვედები, ასე აჯობებს. რაკი შეგხვდება, აღარც ვაგაბრუნებს. მე კარგად ვიცი მაგიის ხატიანი. პატარა რომ ვიყავი, მამობა ვამიწია, ეგ მარჩენდა, სანამ გავიზრდებოდი. მართალია, ცალკე ისურვა ცხოვრება, მაგრამ ჩვენ მაინც მამა-შვილად ვრჩებით. ჩემს მეტი არავინ ჰყავს. მე წავალ ახლა, შენ კი დარჩი. მაპატიე, რომ გტოვებ, მაგრამ ისეთი დროა, სწორედ ახლა შეიძლება მოიყვანონ დასაქვად ცხენები-შეღამებისას ისევ მოვალ. ახლა ზაურყანი დარჩენასაც შემოგთავაზებს. ლამე შეგიძლია აქ გაათიო, საქმელს კი მე მოგიტანო.

მადლობას ვუხდით ბირამს და ვეუბნები, რომ ვეცდები სიკეთე გადავუხადო.

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ, — მაჩერებს იგი, — ოღონდ ზაურყანს ფული ან სხვა რამე არ შესთავაზოს. სტუმარი წმინდანად მიაჩნია, ჩვენ კი შევთანხმდებით.

მე მარტო ვრჩები. უფრო სწორად ორნი ვართ — მე და ძაღლი. ორიგენი ჩუმად ვართ და ვიცდით. ის წევს, მე ვზივარ და ვუყურებ ღია კარს. ეს ხერხილი კი არა, მაინც კარია, შიგნით შეღებული. ველოდები, როდის გამოჩნდება უცნობი მასპინძელი, ადგომასა და შეხვედრას რომ დათანხმდა. ნეტავ რამდენი წელი ცხოვრობს აქ? მუდამ მარტოა? ან როგორ შეახვედრა ბელმა ბირამთან? რატომ ცხოვრობს ცალკე? ან ეს სამართს მსგავსი მღვიმე რატომ აირჩია ბინად?

მღვიმიდან ყრუ ხველა მოისმის, კედევ რამდენიმე წუთი და კარებში ზაურყანი გამოჩნდა. ის ძლიერ მაღალი და ბეჭებგანიერი, ისედაც გრძელ სახეს კიდევ უფრო უგრძელებს მკერდზე დაფენილი თეთრი წვერი. ტანზე რალაც ხალათის მსგავსი აცვია, გრძელი, მუხლებს ჩაცილებული, თეთრი ვანიერსახელებიანი და ხალვათი ჩასაცემელი. მარჯვენა ხელში მძიმე კვერთხი უჭირავს, ტყინის ასევე მძიმე ბუნიკით. დიდხანს უძრავად დგას კარებში და მომჩერება. ძაღლი აღერსიანად ეფათურება, ის კი უხმოდ იშორებს ფეხით და რამდენიმე ნაბიჯს დგამს ჩემსკენ. ნაბიჯი მსუბუქი აქვს. როცა დგას, მარტო მაშინ კი არ არის წელში გამართული, — სიარულის დროსაც.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — მეუბნება თურქულად; ჩერდება და მარჯვენა ხელს მკერდზე იდებს.

— დღე მშვიდობისა, — ვუპასუხებ მეც თურქულად. ახლოს რომ დგას, ახლა ვხვდები, რა საოცრად წარმოსადევია. ზემოდან დამცქერიან ცხავით ლურჯი, ოდნავადაც გაუხუნარი თვალები. შემდეგ ბეზრდება ზემოდან ქვევით ცქერა და ნელა ეშვება ასწლოვანი ხის გადანაჭერზე (ალბათ მოხრა უფრო ეძნელება, ვიდრე დგომა) და ხელათ მა-

ნიშნებს სკამზე, სადაც მე და ბირამი ვისხედით. ვემორჩილები და ვჯდები. ღონიურად არკობს კვერთხს მიწაში და ჯიბიდან ქარვის კრიალოსანს იღებს.

— არახულია სიცხე იყო ღღეს, აი ტოტიც კი გამხმარა, — რომელიღაც ტოტზე მითითებს, მე კი ვერ ვხედავ.

— დიახ, ძალიან ცხელოდა, — ვუბასუხე მე.

ის დიდხანს დუმს, მხოლოდ კრიალოსანის წყაპაწყუბი ძმის.

„რით დავიწყო“ — ვფიქრობ მე — ყველაზე უფრო მთავარიდან, იმითი, რისთვისაც ჩამოვედი თუ სხვა რაიმეთი? — და უცბათ მოულოდნელად ვეკითხები:

— რამდენი წლისა ხარ?

ზურყანი იღიმება.

— ალბათ ჩემმა ასაკმა მოგიყვანათ ჩემთან, არა? ამის მეტი არაფერი საინტერესო აღარა მაქვს. თუ არ ვცდები, ზუსტად ასისა უნდა ვიყო.

— აქ დაიბადეთ? — ვეკითხები და ვიცი, რომ თუ „პო“ მიბასუხა, ყველაფერი წყალში ჩამეყრება.

— არა, — მიბასუხობს იგი — მე აქედან ძალიან შორსა ვარ დაბადებული.

ველოდები, რომ კიდევ იტყვის რაიმეს თავისთავზე, მაგრამ არაფერს ამბობს, მღუმარედ მარცვლავს კრიალოსანს, მერე უცბათ ჩერდება და მეკითხება:

— შენ თვითონ ვინა ხარ, სადაური ხარ?

მე თვალეში ვუცქერი და ვფიქრობ, რომ ამ მოხუცს ყველაფერი თავიდანვე გულწრფელად უნდა ვუთხრა. რაც იქნება, იქნება!

— შორიდანა ვარ ჩამოსული, სხვა სახელმწიფოდან, საბჭოთა კავშირიდან.

— სიიდან? — ხელი ყურთან მიაქვს ზურყანი.

— საბჭოთა კავშირიდან. რუსეთი, კავკასია, აფხაზეთი, — ერთმანეთის მიყოლებით ვამბობ ამ სიტყვებს, თანაც ისე წარმოთქვამ, როგორც ლურ-

ქეთში წარმოთქვამენ, იმ იმედით, რომ იქნებ რომელიმე მაინც გაიგოს. ზურყანს ესმის და იმეორებს:

— კავკასია... აფხაზეთი.

— დიახ, მე კავკასიიდან ვარ, აფხაზეთიდან. ხმამალა ვლპარაეობ, მინდა კარგად გაიგონოს.

— რა ეროვნებისა ხარ? — ისე აჩქარებით მეკითხება, თითქოს შემომლია არ ვუბასუხო.

— აფხაზი ვარ, აფხაზეთიდან ჩამოვედი.

— აფხაზი ხარ?! ყოვლის შემძლე მღეროთ, ეს რა მესმის? — სუფთა აფხაზურით წარმოთქვა მოხუცმა და გაოგნებულმა ცისკენ აღაპყრო ხელები.

— დიახ, აფხაზი ვარ, აფხაზეთიდან ჩამოვედი, — ისევ ვუმეორებ მე, მაგრამ ახლა თურქულად კი არა, აფხაზურად.

— ო, რა სიხარული მომიტანე, რამდენი წელია არცერთი აფხაზი არ მიინახავს. შეკვდრების აღდგომის ვიფიქრებდი და აფხაზურს თუ ვაევიგონებდი, აღარ მეგონა.

ამას რომ ამბობდა, მოხუცი მორიდან წამოდგა, მიმიზიდა და რიგრიგობით ამომიკოცნა თვალები.

— იცოდე, მეც შენი სისხლისა ვარ, ჩემი საცოდავი ღედა აფხაზი იყო შათიფას გვარიდან, წებულდიდან. სახელად რა გქვია?

მე ვეუბნები სახელს, მას კი ხელები ისევ ჩემს მხრებზე უწყვია. ცალ ხელში კრიალოსანი შენიშნა და თითქოს აღარ დასკორდებიათ, ჯიბეში ჩაურთავს და აღარც ამოაქვს, სანამ სტუმრადა ვარ.

— დაჯექი, დაჯექი. — მეუბნება ზურყანი — შენ არ შეგეფერება ფეხზე დგომა. მე მოხუცი ვარ, მაგრამ შენ ჩემი ბიძა! ხარ და წესის მიხედვით უფ-

1 მველი აფხაზური აღათის მიხედვით, ვველა ნათესავი და მოგვარე (ღელის მხრიდან) ბიძად ითვლებოდა. რა ასაკისანიც უნდ ყოფილიყვნენ, ისინი აღათის მიხედვით უფროსებად იყვნენ მიჩნეული. ეს აღათი უმეტესად კაცებზე ვრდებოდა, ღელის თანამემამულეებზე.

როსობა შენ გეკუთვნის. — ერთმანეთს ვსვამთ სკამზე. — დღეს რომ მოვეკვდებოდე, სამოთხეში მოვხვდებოდი, სადაც მთელი ჩემი ხალხი მელოდებოდა, — შეუბნება იგი და ისევ ადგომას ლამობს, მე მხარებზე ვკიდებ ხელს და ვაჩერებ, — მე ვუამბობ იმათ, რომ აქ, დღემიწახე კიდევ ცხოვრობენ აფხაზები.

ვერ იქნა და ვერ დაწყნარდა მოხუცი. მისი ღელვა მეც გადამედო. ხან ადგება, ხან დიჯდება, ხან მღვიმეში შევა, ისევ გამოვა გარეთ. დაბნეულად მიდი-მოდის ერთი ხიდან მეორესთან. ხელს უსვამს, თითქოს ამოწმებს, ისევ იმ ადგილას დგანან თუ არა. მერე ისევ ჩემთან მოდის და ამ ასაკისთვის დაუჭერებლად ღონიერი ხელებით სკამზე მსვამს.

— დაჯექი და! შარას, დაჯექი, შენ ზიდა ხარ, ფეხზე არ უნდა იდგე. ჰო, ჰო, უბიძებმა იცოდნენ სტუმრის დახედრა, მაგრამ ახლა ვინღა ამის გამოკეთებელი ჩემს გარდა? მარტო მე კი რა შემიძლია? როგორ უნდა დავხვდე ღირსეულად შენაირ სტუმარს?

მოხუცი შეუმჩნევლად მიდი-მოდის აქეთ-იქით, ხან მე მელაპარაკება და ხან თავის თავს. ზოგჯერ შეშლილს ჰგავს.

ღამდება, მოხუცი შინ შედის და კარიზე ცეცხლს აწოდებს. ალის შუქი გარეთ იჭრება. მოხუცი გამოდის, შინ მეპატიჟება, ცეცხლთან მსვამს და ისევ მიდის. იჭურობას ვთავალიერებ. კერასთან რამდენიმე დაბალი სკამია. კედელთან ტახტებზე ბამბის საბნებია გამოლილი. იატაკზე ძველი საშინაო წულეები აწყვია. მეორე ოთახში გასასვლელი კარიც ჩანს ყველგან წესრიგი და სისუფთავე სუფევს. ეტყობა ვიღაც ზრუნავს მოხუცისათვის, მაგრამ ვინ?

ზაურყანს ერთი იღლია ფიჩხი შენოაქვს და ნახევარს ცეცხლს აყრის.

— აი ასე, ჩემო ძვირფასო შარაზ, აი

ასე, — ამბობს იგი და მხარზე მადებს ხელს, რომ არ ადგე. *ეგრეცხული*

— უყურე ამ ცეცხლს, უბიძებნის უყანასკნელ კერას. კიდევ კარგი, აფხაზური რომ არ დამავიწყდა, რომელიმე სიტყვას თუ ვერ გავიხსენებ, უნდა მაპატიო. დიდება ალაჰს, ჩემმა საწყალმა დედამ შემასწავლა თავისი ენა, დღესაც მიდგას ყურებში მისი ხმა.

უკვე კერიასთან ვზივარ, მაგრამ მოხუცი მაინც ვერ მშვიდდება, ხან გარეთ გადის, ხან შინ შემოდის, ბოლოს მეორე ოთახში გადის და ერთი ათი წუთს ყოვნიდება. მიწდა ჩემოდნიდან უბის წიგნაკი და ფანქარი ამოვიღო. მაგრამ მერიდება, ვერ არ მითქვამს, რისთვისა ვარ მოსული. მითხრა, უკანასკნელი უბიძი ვარო და ეს სიმართლე უნდა იყოს. ორი თვე ვიხტიალეთურქეთსა და სირიაში და ამ ასი წლის მოხუცის გარდა კაცი არ შემხვედრია, უბიძი ვარო რომ ეთქვას. ზაურყან ზოლაკის სახელი კი სხვებისგანაც მსმენია.

აი მეორე ოთახიდან გამოდის ზაურყანი. ვედარც იცნობ კაცი, თითქოს უფრო გამაღლებულა. ახლა შავი ჩოხა აცვია და მალალი ბახთხი ჰხურავს. მოვერცხლილ, ჩაშაგებულ წვრილ კავკასიურ ქამარზე ბრძოლისთვის მოხერხებული დიდი შავტარიანი, ასევე ჩაშაგებული ვერცხლისქარქაშინანი ხანჯალი ჰკიდია. მოხუცს ხელში დიდი სპილენძის ბუკი უჭირავს, მეტრი იქნება სიგრძით. არც კი დამჯდარა, ისე მიყვება ამ ბუკის ამბავს.

— აქ დარჩენილი უბიძებიდან ყველაზე უფროსია საულაჰმა ეს ბუკი და ქამარ-ხანჯალი ვადმომცა სიკვდილის წინ. ქამარ-ხანჯალი თავისი იყო, ბუკი კი ხალხის საკუთრებაა. ახლა ეს ბუკი მე მაქვს, ჩემი სიკვდილის შემდეგ კი ვინ იცის ვისი იქნება. კავკასიაში რომ ვცხოვრობდით, სწორედ ასეთი ბუკი ჰქონდა მამაჩემს და როცა წებულდიდან დედაჩემის ძმები გვეწვეოდნენ, ამ ბუკით მოუხმობდა მეზობლებსა და ნათესაებს. მის ხმას რომ გაიგონებდ-

1 აღურსიანი მიმართავა, ყველაზე მეტად „ქიტიფასო“ უახლოვდება.

ნენ, ყველამ იცოდა, რომ ჰამირზას შორიდან მოსული სტუმრები ჰყავდა. მოდი ამაღამაც გაიხმინოს ამ ბუქმა შორიდან მოსული, ძვირფასი სტუმრის პარტისაცემად, დედაჩემის მხრიდან ბიძად რომ მეკუთვნის, იმ სტუმრის პარტისაცემად. დაე, ყველამ გაიგონოს და გვეწვიონ.!

მოხუცს გარეთ გააქვს ბუკი. მე გაოგნებული მივყავები უკან. სახლის წინ ამართულ ოთხივე ხეს ჩაუარა, ხრამთან შეჩერდა და ბუქს ჩააბერა.

ჩემს სიცოცხლეში პირველად მესმის ასეთი ბუქის ხმა, ერთდროიანად დროს საშიშიცა და საწყალობელიც, დაჭრილი მხეცის ხმის მსგავსი. ხმები ხან მაღლა მიიწევს და კვამლივით ეღვება სახურავებს. ხან ქარისგან გატაცებული ხდლაც შორეთში ლევს სულს საცოდავად. ვუსმენ ამ ხმას და ვფიქრობ, რატომ უფრო ძლიერად არ გააყვირის ეს ბუკი, უფრო საწყალობლად, ყველა რომ აატიროს. რატომ ყველამ არ უნდა მოიხადოს ქუდი და გაიხსენოს ისტორიის ჩაბარებული ხალხი.

გააყვირის უბიხების უკანასკნელი ბუკი...

მე ნაღვლიანად ვფიქრობ, ბუკი კი გააყვირის, გააყვირის და ბოლოს—ღუმიღება.

მე და ზაურყანი შინ შევდივართ და აქეთ-იქიდან ვუსხდებით ცეცხლს. უბიხების უკანასკნელი ბუკი დადუმდა, უკანასკნელი კერა კი ისევ ლევის. ვუცქერი ჩემს წინ მჯდომ უკანასკნელ უბიხს, ღრმა ნაოკებით დასერილ სახეს, ძლიერ მუხლებზე დაწყობილ დიდ ხელებს. მის ფართო მხრებს, დანაოკებულ, მაგრამ ღონიერ კისერს და ვფიქრობ რა გოლიათი იქნებოდა ახალგაზრდობის წლებში.

— მიგიხვდი, შენ შორიდან ხარ მოსული—სვენება-სვენებით მეუბნება ზაურყანი, თითქოს გადავიწყებულ სიტყვებს იხსენებსო, — ვხვდები, რომ საქმისთვის ხარ მოსული. ვიცი შეკითხვებს მომცემ და მე უნდა გიპასუხო.

მაგრამ ვთხოვ, დღეს მოისვენე და პური გატეხე ჩემთან.

ამის დამთავრებას ძლიერასწრაფებს მოხუცი და ზღურბლთან ბირამი ისევ ტება უხმაუროდ და, ჩვენი, ბავშვობიდანვე ძვალსა და რბილშა გამოდარი აფხაზური ჩვევა ფეხზე მაყენებს მის შესახვედრად.

— დაჯექი დად, დაჯექი, მაგას ასეთები არ ესმის, — მეუბნება ზაურყანი და ბირამზე მანიშნებს.

ის კი ხმას არ იღებს, ისე ხსნის მოტანილ ფუთას და მაგიდაზე აწყობს საჭმელს. ხანდახან ზაურყანისკენ იხედება და რაღაცას ეუბნება თურქულად, ისე ეჩურჩულება, არც მესმის. ალბათ ვახშმის თაობაზე ეთათბირება მოხუცს.

სანამ ბირამი ფუსფუსებს, მოხუცი უძრავად ზის, შუამკერდზე დაფენილ თეთრ წვერს იფარცხავს და თვალებში მიყურებს. მის თვალებში ერთდროულად ირეკლება სიკეთეცა და სიმძიმეც. მეტრე თვალს მაშორებს და სიბნელეში შეღებულ კარს აჩერდება. ხმაშალა და მხიარულად ლაპარაკობს. თითქოს იქ, კარს მიღმა მართლა ხდებოდეს რაღაც.

— დიახ, ტყუილად როდი გააყვიროდა ბუკი, დად შარახ, აი უკვე ყველა ნათესავი და მეზობელი შეგროვდა მის ხმაზე. თვითიული თავის საქმეს აკეთებს: ზოგმა თიკნები დაკლა და შამფურზე წვავს, ზოგმა ხარი წამოაქცია და დიდ ქვაბში ხარშავენ ხორცს, ზოგი კი ღომს აკეთებს. ახლა ჩვენი უბიხი უხუცესებიც გვეწვივიან, რათა დედაჩემის ქვეყნიდან მოსულ ჩემს ძვირფას სტუმარს მოვსალმონ, აქ ნახავ ქილებიან ჩოხებში გამოწყობილებს, მოღუნული ხმლები და ხანჯლები რომ ამშვენებთ. დიდი ხანია შევთანხმდით, რომ ვის ეზოშიც გამოჩნდება კავკასიელი სტუმარი, იქ უნდა მოვიყაროთ თავი ყველამ.

მე ვუსმენ და ხანდახან მდუმარედ გადავხედავ ხოლმე ბირამს, ისევე მშვიდად რომ ალაგებს მაგიდაზე საჭმელს.

ან აფხაზური არ ესმის და ან უკვე შეჩვეულია ამას.

ზაურყანი ფეხზე დგება, მუგუზალოთ სანთელს უკიდებს და ბირამის გაწყობილ მაგიდას კუთხეში დგამს. მერე შუა ოთახში დგება და მხიარულად ამბობს:

— აბა, ქაბუკებო, ქალიშვილებს უთხარით დოქები და თასები მოატანონ. ნადიმი იწყება და დროა ხელი დააბანინონ სტუმრებს, — თითქოს ვილაცას გვერდი აუქციავო, ისე გავიდა ზაურყანი კარებში.

გარეთ ბნელა და სიწყნარია, უღრუბლო ცაზე უძრავი ვარსკვლავები კაშკაშებენ.

— ღრმად პატივცემულო სით დაუთ, საულაპ, თათლასთან, ზოსპან, აჰმეთ, ხელები დაიბანეთ და ჩვენი სტუმარი სუფრასთან მოიწვიეთ. ყველაფერი მზად არის, — ამბობს ზაურყანი და ისე იხედება აქეთ-იქით, თითქოს ყველანი მის გარშემო იდგნენ. მერე რამდენიმე ნაბიჯს დგამს, ბებერ ხესთან მიდის, ხელებს ხვევს და ვილაციკენ იხრება, ხის ქვეშ რომ დგას უჩინრად.

— ჩემო ძვირფასო დედა, რატომ ხარ დღეს ასე მოწყენილი? ახლოს მოიწი და დასავით გადაეხვიე ჩვენს სტუმარს. ის ხომ შენი მშობლიური აფხაზეთიდან არის ჩამოსული. ხომ მახსოვს რა მწარედ ტიროდი და მოთქვამდი ჩვენს ნამალეველ აფხაზურად, ტიროდი იქ დარჩენილ ძმებზე. მართალია, ეს შენი ღვიძლი ძმა არ არის, მაგრამ აფხაზია. ხმა გაეცი, იქნებ რაიმე იცის შენი ძმებისა.

ზაურყანი წელში სწორდება, ვისაც ახლა ელაპარაკება, მისი სიმალისა უნდა იყოს:

— მინდოდა გამეხარებინე მამაჩემო! მახსოვს აფხაზი რომ გვესტუმრებოდა, სულერთი იყო, ახალგაზრდა იქნებოდა თუ მოხუცი, უმასპინძლებოდი, მეზობლებს მოუწვევდი და მერე მდინარე მზიმთამდე აცილებდი. დღეს შარახ ქვაზბაა ჩვენი სტუმარი, ახალგაზრდაა, მაგრამ ჩვენი სიტყვი-

ლი, საკადრისად თუ ვერ გუმასპინძლეთ! ალბათ შორიდან მოვიდა, რომ გავგო რა დაგვემართა, რატომ იღუგავეთ უბიძგები პირისაგან მიწისა.

ზაურყანი სახლისკენ მოდის, ზედ ზღურბლთან ჩერდება და ხმას უწევს:

— ვინც ხელი დაიბანა, სუფრასთან ვიწვევ ჩვენს ძვირფას სტუმართან ერთად.

მოხუცი აღარაფერს ამბობს, ხელით მეპატიება შინ.

ზღურბლთან ბირამი გვხვდება, უკირავს დოქი და ხელს გვაბანინებს.

— ბი ეს არის, რაც ღმერთმა მოგვცა დღეს, — ამბობს ზაურყანი და სუფრას ვუსხდებით.

ყველაფერი, რაც სუფრაზე დევს თუ აწყვია, მჭადის ვარდა, არაფრითა ჰგავს კავკასიურს. მოგზაურობის დროს ბევრჯერ მიგეგია თურქული კერძები, ისეთი, ახლა რომ მოგვეართვა ბირამმა: პაკლა ჩარბასი — ლობიოს სუპი, და ბულღი-ბულღამაც — ორთქლით მომზადებული კატლეტი.

ზაურყანი მიმასპინძლებდა, ბირამს კი თვალები მიუღულავს და ისე წყნარად მიმჯდარა კუთხეში, თითქოს სძინავსო.

კერაზე ცეცხლი იფერღლება, სუფრაზე წვრილი სანთელი ბეუტავს. მე კი ამ სიბნელეში უცნაურად ვგრძნობ თავს. თითქოს მჯერა კიდევ და არც მჯერა, რაც ჩემს გარშემო ხდება.

ზაურყანი ჩემს პირდაპირ ზის, ნელა ჭამს და დროდადრო უკმაყოფილოდ იხედება ჩემს გვერდით ერთსა და იმავე ადგილას. შემდეგ მუხლებზე ხელისგულებს აჭერს, ნელა დგება და ვილაცას ეძახის:

— ნარჩოუ, ეი, ნარჩოუ, ყველა ზის, ვინც უნდა დამჯდარიყო? დასხდნენ? ყველას დაუსხით ღვინო? სუფრაზე ყველგან არის მოხარული ხორცი? ყურადღებით იყავით, ნარჩოუ, და როცა დრო მოვა, მე მგონი იცი, ვისაც უნდა მიართვა ბეჭი.

ზაურყანი წამოიძარა.

— ახლა კი, ჩემო ძვირფასო სტუმ-



რებო და ძვირფასო მეზობლებო, მართალია, არავითარი ღირსება არ გამაჩნია ასაკის ვარდა, მაგრამ მაინც მე მზვდა წილად სუფრის ხელმძღვანელობა. ღმერთმა ყველა ბედნიერი და ჭანმრთელი გამყოფოთ. დღეს ისეთი პატივსაცემი სტუმარი გვყავს, რომ მგონი ამაზე უფრო ძვირფასი ვინმე აღარასოდეს გვეწვევა. ეს ჩემი ბიძაა, დედამისის ძმაა. იგი გაცილებით მეტის ღირსია, ვიდრე იმისა, რაც ამ ღარიბულ სუფრაზე მივართვით, მაგრამ რაცა გვაქვს, კეთილი გულით არის მიძღვნილი.

ზაურყანს თავი აუწვევია და ისე დგას სუფრასთან. მარჯვენა ხელი ისე მოუბრია, თითქოს ღვინით სავსე ჭიქა ეჭიროს.

მივჩერებივარ მოხუცს და აითქოს მჯერა, რომ არგვლივ ხალხი ახვევია, ისე დარწმუნებული ესაუბრება სიცარიელეს. ერთი წუთით ყველაფერი მაგიწყდება: ეს ქვეყანაც, სადაც ჩამოვიდო, ის უღაბნოც, აქ ჩამოსვლამდე რომ გამოვიარე, ის შიშველი ბორცვიც, აქ რომ ამოვფორთბდი და მღვიმეც, სადაც ახლა ვზვიავრ. ყველაფერი მაგიწყდება და მგონია, რომ აქ კი არა, კავკასიაში ვარ და ახლა კი არა, ასიწლის წინათ უბიხების ხალხმრავალ სუფრას ვეზვიავრ.

ზაურყანი მოცელილივით ეშვება სკამზე. იგი ჩემს პირდაპირ ზის, უკან გადაწოლილა და დაღლილი მიყრდნობია კედელს. ვჭამთ. ზაურყანი დუმს. ხუთი, ათი წუთი არ იღებს ხმას. ბირამი ყავას აღუღებს ნაკვერცხლებზე და ფინჯნებში ასხამს. ყავას ვსვამთ, მოხუცი კი ისევ დუმს. როცა ვამთავრებთ, ჩელა დგება და მეუბნება:

— დად შარახ, ამალამ აღარ შეგაწუხებ, ნამგზავრი ხარ და დაღლილი იქნები. დაწყე და დაისვენე, — ხელით მანიშნებს ბამბისსაბანგადაფარებულ ტახტზე, ოთახში შემოსვლისთანავე რომ შევნიშნე.

— ღამე მშვიდობისა — მეუბნება იგი, კარებთან მიდის და თავს ხრის

გამომშვიდობების ნიშნად. კედელზე მიყუდებულ კვერთხს იღებს და ჩემსკენ აღარც იხედება, ამაყად ვადრის მღვიმედან. ბირამი კი მოხუცის მოზრუნებამდე მიჩვენებს, სად უნდა დავწვე — აქ კი არა, მეორე ოთახში, სადაც მოხუცმა მითხრა.

იმ ღამეს ძილი არ მომკარებია. ჯერ იყო და მესმოდა, როგორ დადიოდა მოხუცი და თავის თავს ელაპარაკებოდა. როცა ინათა და მოხუცმა დაწოლა ინება — მე აღარ დამეძინა. ჩემოდნიდან უბის წიგნაკი ამოვიღე და რამდენიმე საათი ვწერდი ყველაფერს, რაც დამაბახსოვრდა განსაკუთრებით რაც მოხუცმა მიაძმო. ვწერდი და შეშფოთებული ვფიქრობდი: „როგორი იქნებოდა იგი ხვალ, გრძნობების ასეთი აფეთქების შემდეგ, რისი მოწმეც თვითონ გახლდით? მოეგება კი გონს? დამშვიდდება? გამოგვივა საუბარი?“ მაგრამ შიში ამაო გამოდგა.

ღილით ამ ოთხი ხიდან ყველაზე უფრო ბებერი ხის ქვეშ დაჯდა თავისავე გაკეთებულ სკამზე და მკითხა, რის გაგება გაინტერესებსო.

მე ავუსხენი, ჯერ შენი ცხოვრების ამბავი მაინტერესებს, შემდეგ კი მინდა უბიხური ენის შესწავლაში დამხმარო, რადგან სხვა აღარავინ ლაპარაკობს უბიხურ ენაზე და დახმარებაც არვის შეუძლია-მეთქი. ორივეჯერ უსიტყვოდ დამიქნია თავი თანხმობის ნიშნად.

იმ დღეს ძალზე დაღლილი ჩანდა და არ ამიჩქარებია. მეორე დღეს კი დილიდანვე შევეუდექით სკამებს. ყოველდღე დილით, შუაღლით თუ საღამოთი რამდენიმე საათს ველაპარაკებოდი. ასე გაგრძელდა მთელ თვეს. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ოცდაათობმეტი დღე ვიცხოვრე მასთან, ზუსტად იმდენი, რის უფლებასაც ჩემი ვიზა მაძლევდა. ვიზის გაგრძელება რომ მესინჯა, მთელი მოგზაურობა უნდა მომეწყყო, გარდა ამისა, შედეგიც საეჭვო მენგვენობა და ველარ გაგებდე.

ბირამს მოხუცის ფარულად მოვე-



ლაპარაკე, მცირე თანხაზე შევეუთან-  
მდი და დღეში ერთხელ, ხშირად ორ-  
ჯერაც მოდიოდა და მოჭმონდა ჩვენთ-  
ვის მოკრძალებული საჭმელი, რასაც  
თავისუფლად ვერცოდით.

დილიდან შუადღემდე ეზოში ვის-  
ხედით: მოხუცი ხის ქვეშ, თავის ნაკე-  
თებ სკამზე იჯდა, მე კი — ხელში წიგ-  
ნაკი მეჭირა და ჩინარის მსხვილ გადა-  
ნაქერზე ვიჯექი.

ყოველ დილით, შუადღემდე, ზაურ-  
ყანი ჩემი თხოვნით უბიხურად მელა-  
პარაკებოდა, მე დამაბული ვუსმენდი,  
უიწერდი და ხელახლა ვეკითხებოდი.  
მხოლოდ ბოლო კვირას გაგვიადვილდა  
საჭმე, პირველად ძალზე მიჭირდა.

ბედმა გამიღიმა. ასი წლის მოხუცა,  
ოცდაათი წლისას რომ დაეტოვებინ-  
ა კავასია, უბიხური კი არა, აფხაზუ-  
რი ენაც ახსოვდა, მშობელი დედის  
ენა. საუკუნის სამ მეოთხედში კი თა-  
ვისუფლად შეესწავლა თურქულიცა  
და არაბულიც. ასე რომ, სადაც გამი-  
ჭირდებოდა, ერთი ენიდან მეორეზე  
გადავდიოდი და უბიხური სიტყვის  
ზუსტ მნიშვნელობას ვადგენდი.

ამ ენის შესწავლა სულ თავიდან  
მიხდებოდა, თუმცა მას ლექსიკაში  
აფხაზური სიტყვების ფესვებიც უხვად  
იყო. ცეცხლს აფხაზურად „ა-მცა“  
ეწოდება, უბიხურად — „ა-მეძი“, წვი-  
მას აფხაზურად „ა-ყუა“ ეწოდება,  
უბიხურად — „ა-ყუ“, წყალს აფხა-  
ზურად „ა-ძი“ ჰქვია, უბიხურად —  
„ბში“, თვალი აფხაზურად — „ა-ბლა“,  
უბიხურად — „ა-ბლია“, მარლი აფ-  
ხაზურად — „ა-ჯიკა“, უბიხურად „ჯი“.  
ფონეტიკაშიც ბევრი მსგავსება იყო,  
მაგრამ არც სხვაობა იყო ნაკლები.  
ასეა თუ ისე, მე ორი თანხმოვანი და-  
ვადგინე, რომელთა წარმოთქმაც მკვე-  
თარად განსხვავდება აფხაზური წარ-  
მოთქმისაგან.

ზოგჯერ, ჩვენი დილის საუბრის  
დროს, ზაურყანი აფხაზეთზე მელაპა-  
რაკებოდა, თავისი დედის სამშობლო-  
ზე. და ამ დროს, უკეთესად რომ გა-  
მეგო, უბიხურიდან აფხაზურზე გადა-

დიოდა. ყველაზე მეტად ნათესავეები და  
დედის მოგვარეები განეტყობებოდა.  
უკვე ბევრჯერ მქონდა წინააღმდეგობა  
წებულდაში, საიდანაც დედამისი იყო,  
არასოდეს შევხვედროდი შათ-იფას  
გვარის კაცს. მას კი არაფრით არ უნ-  
დოდა ამის დაჯერება და ისევ და ისევ  
მეკითხებოდა.

— ნუთუ ვინმე ბრმა, კოჭლი ან ხე-  
იზარი მაინც არ შეგხვედრია შათ-იფას  
გვარისა? იქნებ ერთი კაცი მაინც იყოს  
წებულდაში!

— არა, წებულდაში ახლა ამ გვარი-  
სა აღარაღიან არის. — მოთმინებით ვუ-  
მეორებდი მე. — სამაგიეროდ, აფხა-  
ზეთის სხვა კუთხეებში ცხოვრობს  
შათ-იფას გვარის ხალხი. მოხუცებიც  
არიან და ახალგაზრდებიც, უსწავლე-  
ლებიც და ნასწავლებიც. ჩემი ნაცნო-  
ბებიც არიან.

შემდეგ გამომკითხა, რომელ სოფ-  
ლებში ცხოვრობენო, ზღვასთან ახლოს  
არაიან თუ შორს, და როგორ ცხოვრო-  
ბენო.

ვცდილობდი მეამბნა, როგორ შე-  
იკვალა აფხაზეთი, ვესაუბრებოდი  
ჩვენს ქალაქებზე, რეინიგზებსა და გზა-  
ტკცილებზე, ჭაობუზის ამოშრობაზე,  
ციების წინააღმდეგ ბრძოლაზე, სა-  
ავადმყოფოებზე, სკოლებზე, სადაც  
ბავშვები აფხაზურ ენაზე სწავლობენ,  
და საერთოდ აფხაზეთის ავტონომი-  
ური საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრ-  
ბაზე.

ცდილობდა გულისყურით ესმინა  
ჩემთვის, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ყო-  
ველივე ეს ძალზე უცხო იყო მისთ-  
ვის. ჩემს მონათბრობსა და მის მესხი-  
ერებაში შემორჩენილ ახალგაზრდო-  
ბას შორის ძალზე დიდი, თითქმის გა-  
დაუღალავი მანძილი იყო — საუკუნის  
სამი მეოთხედი.

სალამობით ამინდის შესაფერისად  
ხან ისევ გარეთ ვისხედით ხეების ქვეშ,  
ხან კიდევ შინ და ზაურყანი აფხაზუ-  
რად მიუყვებოდა თავისი ცხოვრების ამ-  
ბებს. უმეტესად თურქულ სიტყვებს  
ურევდა ლაპარაკში, ზოგჯერ — არა-

ბულსაც, როგორც გითხარით, აფხაზურად თავისუფლად ლაპარაკობდა, მაგრამ საუკუნის მეოთხედში ათასობით თუ არა, ასობით ახალი სიტყვა მოიტანა, რომელიც მაშინ აფხაზურ მეტყველებებაში არ იხმარებოდა და ეს სიტყვები ზაურყანმა მხოლოდ თურქულად ან არაბულად იცოდა.

ამის გამო ზოგჯერ ჩემიც არ ესმოდა კარგად. ეს სწორედ მაშინ ხდებოდა, როდესაც მე თვითონ ვხმარობდი აფხაზურ ლექსიკაში შემოსულ ახალ სიტყვებს, ან ძველ სიტყვებს, რომლებსაც უკვე სასუბით სხვანაირი მნიშვნელობა ჰქონდა. რასაც ზაურყანი თავის ცხოვრებაზე მიყვებოდა, იმის ჩაწერას ვასწრებდი, მითუმეტეს, რომ დაუზარებლად მიმეორებდა ხოლმე ერთხელ ნათქვამს. ღამე, მოხუცის დაწოლის შემდეგ იმას ეწერდი, რის ჩაწერას საუბრის დროს ვერ ვასწრებდი... ზოგ ადგილას კი, სადაც ვგრძნობდი, რომ საჭირო იყო კომენტარები, აღნიშვნებს ვაკეთებდი, შემდეგში რომ არ დამვიწყებოდა. მთავარი მაინც, რატომღონდა, ზაურყან ზოლაკის ნაამბობის ჩაწერა იყო, ზაურყანისა, რომელსაც ჭეშმარიტად შეურყეველი სიცოცხლის ძალა ჰქონდა და ასეთივე შეურყეველი მესხიერება.

**როცა შინ ვიყავით..**

— ტუთილად ამბობენ, ჩემო ძვირფასო შრახ, რომ აღამაინს ენის დავიწყება შეუძლია, იმ ენისა, ბუძუსთან ერთად რომ შეუწოვია. არა, არ შეუძლია, ისევე, როგორც მე არ შემიძლია დედაჩემის დავიწყება. სამი ენა ვიცოდი ახალგაზრდობაში. ისე თუ დადგები, რომ ზღვას უყურებდე, ჩვენგან — უბიხებისგან მარცხნივ ადილები ცხოვრობენ, მარჯვნივ კი — აფხაზები. კოდა, აფხაზურის გარდა ადილურიც ვიცი, მართალია, ცოტა ნაკლებად, მაგრამ მაინც ვიცი. ჩვენ ისეთი ახლო მეზობლები ვიყავით, რომ არ შეიძლებოდა ერთმანეთის ენები არ გვეცოდ-

ნოდა. უბიხური ჩემი დედაჩემია, ყველგან და ყოველთვის მესმოდა დაბადებულიდანვე, შინ და გარეთ, და... გორ შემქმლო მისი დავიწყება? აფხაზური დედაჩემისგან ვიცოდი, ადილური კი ბებია იცოდა კარგად. ის მიყვებოდა ადილურ ზღაპრებს, ენის გასატეხებს, გამოცანებს. მახსოვს: წისქვილში შიდის ბებია და თავზე ხორბლით გატენილი გუდა ადევს. შიდის და თან ძაფს ძახავს. ენასაც არ აცდენს ბებია უსაქმოდ: ადილურ ზღაპრებსა და მოსწრებულ სიტყვა-პასუხებს მიყვება. ერთი ზღაპარი დამახსოვდა. ჩვენი მესხიერება საწურვიით არის — ნაწილი გადის, ნაწილი შიგ რჩება. ეს ადილური ზღაპარიც ჩარჩა ხსოვნაში და გვიამბობთ.

ოდესღაც ერთი კაცი ცხოვრობდა. ყველა ენა იცოდა: მგლისა, კურდღლისა თუ ჭიანჭველისა. ერთხელ ტყეში მიდიოდა და უნებლიედ ჭიანჭველას დააბიჯა ფეხი. ვაბრაზებულმა ჭიანჭველამ შესძახა:

— ვინ არის ეს უკეთური, რომ შიდის და ძირს არ იხედება?

ეს რომ გაიგონა კაცმა, ჭიანჭველას ხელსგულზე დაისვა და გაოცებული ათვალაიერებდა.

— ეს რა დიდი თავი გაქვს?

— ეს იმიტომ რომ ტვინი შევიანხო შიგ.

— ასეთი წვრილი წელი რატომღა გაქვს?

— იმიტომ კი არ ვცხოვრობ, რომ ექვამო, იმიტომ ექვამ, რომ ვიცხოვრო.

— რამდენის ქამა შეგიძლია ერთ წელიწადში?

— ერთ წელიწადს ხორბლის ერთი მარცვალი შეყოფა. — უბასუხა ჭიანჭველამ.

— მამ კარგი, ვნახოთ გეყოფა თუ არა ერთ წელიწადს ხორბლის ერთი მარცვალი. — უთხრა კაცმა. ჩასვა ჭიანჭველა ყუთში და ხორბლის ერთი მარცვალი ჩაუგდო შიგ.

გავიდა ერთი წელი. გაახსენდა კაცს ჭიანჭველა, გახსნა ყუთი და გაოცდა —

ჭიანჭველას მხოლოდ მარცვლის ნახევარი შეეჭამა.

— ნახევარ მარცვალზე მეტი რატომ არ შეგიჭამია?

— იქნებ იმ სულელ კაცს, ვინც ტუფილებრალოდ გამოიმამწყვდია დილევში, ერთი კი არა, ორი წლის შემდეგ გაეხსენებოდი. პოდა, მეც ყოველ შემთხვევისთვის შემოვიწინაზე ეს ნახევარი მარცვალი — უთხრა ჭიანჭველამ.

აღბათ იმიტომ მახსოვს ეს ზღაპარი ასე კარგად, რომ ჩემი ცხოვრების დიდ გზაზე ხშირად ვიხსენებდი იმ პატარა ჭიანჭველას. მართალია, მე ჰქუას კი არა, ღონესა და ამტანობას გამოვყავი ვაჭარებიდან. ისეთი ჰქუა რომ მქონოდა, როგორც ღონე, სულ სხვანაირად აეწყობოდა ჩემი ცხოვრება. დედაჩემი, როგორც გითხარი, აფხაზი იყო, შათ-იფას გვარისა. არ მახსოვს, მასწავლიდა თუ არა აფხაზურს, რაც თავი მახსოვს, აფხაზურად ვლაპარაკობდი, ბავშვობაშიც და, რომ წამოვიზარდე, შემდეგაც. დიდი ხნობით ვცხოვრობდი წებულდაში ჩემს ბიძებთან. დიდი და სტუმართმოყვარე ოჯახი ჰქონდათ. ზამთარში თუ ვიყავი სტუმრად, ხშირად ვისმენდი ხოლმე ზღაპრებსა და სიმღერებს ამ საქმის ოსტატებისაგან, სიამოვნებით რომ მოდიოდნენ ჩემ ნათესაებთან.

აქ მოვისმინე თქმულება აბსკრილზე, თვით ღმერთს რომ ერკინებოდა, თქმულება ბებერ ვოლიათებზე — ნართებზე. მახსოვს, ვინმეს შექება თუ უნდოდათ, კარგი თნრობისთვის იმ ნართს აღარებდნენ, თავისი ოქრობითობით წყალი რომ ააღულა ქვაბში.

დედაჩემის ძიების სახლში ჯერ სტუმართმოყვარეობა და შემდეგ მჭერმეტყველება ფასობდა ყველაზე მეტად.

დღეს რაღაც ხშირად მიხამხამებს თვალი, აღბათ იმიტომ, რომ გარდასულებს ვიხსენებ. ყველაფერი, რაც ბავშვობაში ვიცოდი, ისეა ჩემს გულზე ამოტყუებული, როგორც წარწერა სამარის ქვაზე. წლები გადის და

არც წვიმას, არც თოვლს, არც ქვიშას არ ძალუძს მისი წაშლა.

ნუ გაგიკვირდება, შარახ, ჩემი ბავშვობის დროინდელი ენები რომ მახსოვს. მე ის გამოვიკვირებოდა, რომ დამვიწყებოდა.

მერმე ცხოვრებამ თურქული და არაბული მასწავლა, ამიტომ მადლობელი ვარ ცხოვრებისა. მართალია, მძიმე ცხოვრება გამოვიარე... ენების ცოდნას ბედნიერება არ მოუნიჭებია ჩემთვის, მაგრამ სიცოცხლე კი შემინარჩუნა.

გულში მითხარი, ვერც თურქეთში და ვერც სირიაში კაცი ვერ ენაზე შენს გარდა, უბიხურ უნაზე რომ ლაპარაკობდესო, არც კავკასიაშია ვინმე ამ ენაზე მოლაპარაკეო. იქნებ კარგად ვერ გავიგე, მაგრამ აღბათ იმის თქმა გინდა, რომ უბიხური ენა აღარ არსებობს, მოისპო. შეიძლება მართლაც ამბობ, მაგრამ მე არ მჯერა ეს სიმართლე.

თურმე ბევრჯერ ყოფილხარ უბიხების ქვეყანაში. ის იქვეა, თქვენს გვერდით, საქმარისია, მდინარე ხოსტაზე გადახვიდე და მდინარე სოქს მიუახლოვდე. ახლა არ ვიცი როგორია, მაგრამ მაშინ წყალუხვი მდინარე იყო. მითხარი, იქ რომ იდექი, ნუთუ სოქი არ გელაპარაკებოდა? ან იქნებ გელაპარაკებოდა, მაგრამ შენ არ გესმოდა მისი ენა? რავი მიეძინება, ესე იგი ლაპარაკობს კიდევ და მხოლოდ მაშინ დადუმდება, მის კალაპოტში წვეთიც რომ აღარ დარჩება.

უბიხების ქვეყანაში თუ დადიოდი, არ შეიძლება ჩვენს წმიდა ადგილი არ გენახა, სადაც ყოვლისშემძლე ბიოხა ინახებოდა. მაღალი ბორცვის ქვეშ მწვანე მდელო იყო გამოვლილი, ბორცვზე კი შეიდი უხარმახარი მუხა იდგა და თავისი ჩრდილით იფარავდა ჩვენს წმიდათაწმიდას. მათი ტოტები ერთმანეთს წვდებოდა და ფოთლებიც შრიალით ესიტყვებოდნენ ერთმანეთს. იქ იდექი და არ გაგიფონია, როგორ საუბრობდნენ ჩვენს ენაზე? არც მუხების

ტანზე შევიმჩნევია უამრავი ნაჭრილობები — ანთებული სანთლების კვალი, ყოველ გაზაფხულზე რომ ამაგრებდა ზედ სალოცავად მოსული ხალხი?

იმ შვიდი მუხის ქვეშ მარად უშრობი, ნაკურთხი წყარო არ გინახავს? თუ ნახე და ახლოს იდექი, როგორ ვერ გააგონებდი მის ხმას?

ერთიჯ მინდა გკითხო: მაკესტაში არ ყოფილხარ, სადაც ცეცხლოვანი წყალი მოჩაფუნობს, სადაც მდულარე ცრემლებს ღვრის მიწა, არც მიწიდან ამოხეთქილმა ამ ქაღჭაფა წყალმა გითხრა რამე?

არაფერი რომ არ შეგენიშნოს და არაფერი გაგეგონოს, ზღვაა მანაც ნახადი, ჩვენი ქვეყნის ნაპირებს რომ ლოკავს. არც იმას უთქვამს რამე?

ახლა ჩვენი წინაპრების საფლავები და სამარის ქვები? ტყუილია, ქვები არ ლაპარაკობენო. ლაპარაკობენ, თუ მუხსიერება არ გაგყინვია, თუ შეგწევს უნარი სიჩუმეს უსმინო.

იმ ფრინველების გალობაზე რაღას იტყვი, მხოლოდ იქ რომ ცხოვრობენ და სხვაგან არა? ვერც იმათი ენა გვიგე? არა, ჩემო ძვირფასო შარაბ, ენა ასე ადვილად ვერ მოკვდება, როგორც შენ გვგონია. ენა მარტო ადამიანის ენის წვერზე კი არ ცოცხლობს, თვითონ ადამიანშია, წყლის, მიწისა და ქვის ვულში. მე მჭერა, რომ იქ უბიხების მიწა-წყალზე ტოტი ტოტა. ქვა ქვას, წყარო წყაროს ახლაც იმ ენაზე ელაპარაკება, მე რომ გესაუბრები.

მამაჩემიცა და პაპაჩემიც გლეხები იყვნენ. პაპაჩემს დაბადებამდე მომკვდარა. მიანობდნენ, მწყემსი იყო, ბატონის ნახირს მწყემსავდა და ამით არჩენდა ოჯახსო. მამაჩემი ჰამირზა კი მიწის მუშა იყო, ფეტვი და სიმინდი მოჰყავდა და შუალამზე გაღვიძებულს თუ მინახავს მწოლიარე, დამკდარი მამა არ მახსოვს.

პირველად ჩემს დედ-მამას ჩემი უფროსი და აიშა შეეძინათ, შემდეგ — მე, ჩემს მერე უმცროსი ძმა — მატა,

შემდეგ კიდევ ორი და — ჭუნა და კუნა — ტყულები.

თურქეთში ვადმოსახლებამდე ყველანი ერთად ეცხოვრობდით, მხოლოდ აიშა ცხოვრობდა მეზობელ სოფელში, იქ იყო გათხოვილი. გარუნი ერქვა მის ქმარს.

რამდენიმე სკა ფუტკარი გყავდა და შემოდგომით მთელ თავლსა და ცოტაოდენ სიმინდსაც ვყიდდით. სანაცვლოდ მარილს, საპონს და, რაც მთავარია, თოფის წამალს ვყიდულობდით.

როცა ან ვალვა იყო, ან ხშირი წვიმები და მოსავალი არ გვივარგოდა, მე და მამაჩემი შინ უმცროსს ძმას ვტოვებდით და მდინარე სოფს ავუყვებოდით. იქ ბზას ვჭრიდით, გზა არ იყო და მოკრულ ბზას ხარებით მივათრევდით ნაპირამდე და თურქ ვაჭრებზე ვყიდდით ზოლმე. იმათ ხომ იფაფდ მიჰქონდათ და მიჰქონდათ, ახლა შარდინისთვის, ალოუს ძისთვის უნდა მიგვეცა წილი, რაკი ის იყო ბზის ხეობის პატრონი. კაცმა რომ თქვას, შარდინს უფრო ცოტას ვაძლევდით, ვიდრე სხვასთან დაგვეჭირდებოდა: ამას თავისი მიზნით ვჭონდა. ჩვენში — უბიხების ქვეყანაში, როგორც თქვენში — აფხაზეთში ძველთაგანვე არსებობდა ერთი კარგი ჩვეულება — ძიძიშვილობა. გლეხებს თავადების ოჯახებიდან აღსაზრდელად მიგვეყავდა ზოლმე ბავშვები. ზოგჯერ გლეხები ბავშვის დაბადებამდეც უთანხმდებოდნენ მომავალი აღსაზრდელის მამას, სოფლის ღირსეულ კაცებს უგზავნიდნენ და თხოვდნენ, ნება დაერთოთ, მისი ფერხთა მტვერის ღირსნი გამხდარიყვნენ, — ეს მათთან დანათესალებას ნიშნავდა.

თუ თავადი გლეხს შვილს გაუგზავნიდა აღსაზრდელად, თანაც ეს თავადი მდიდარი თუ იყო, ოჯახს მფარველად მიაჩნდათ.

მაგრამ თავადებიც ჰამიპარად როდი გასცემდნენ ზოლმე შვილებს, ათასნაირად სწონიდნენ, რომელიც გლეხის ოჯახთან დანათესაება უფრო სახეირო

იყო, ვინ უფრო გამოადგებოდათ, ვისი იმედი უნდა ჰქონოდათ გაქირვების დროს.

აი ასე გვენათესავებოდა თავადი შარდინი, ალოუს ძე — ბებიჩემის გაზრდილი. მის ხეობაში ეჭირდით ბზას და შეღავათიანად ვუხდიდათ საფოსურს, ხანდახან მარტო საჩუქრების გაგზავნას ეკერდებოდით. შარდინი კი, მარტო ჩვენი ოჯახისთვის კი არა, მთელი ზოლაკების გვარისათვის ძუძუმტედ ითვლებოდა. საქირვების დროს ჩვენი გვარის ყველა წევრი მის დასაცავად უნდა აღმდგარიყო.

შარდინი, ალოუს ძე, როგორც ყველა უბიბი თავადი, წაბლის ხის მაგარ სახლში ცხოვრობდა, თავიდან ბოლომდე საგანგებოდ შერჩეული ფიცრებით რომ ჰქონდა აშენებული. მიწაც ჰქონდა, ტყეც, საძოვრებიც და დახნული მიწებიც. ჩვენი სოფლები მის საძოვრებზე მწყემსავდნენ თავისსაც და შარდინის, ალოუს ძის ნახირსაც, ერთად ხნავდნენ, თესავდნენ და მოსავალსაც ერთად იღებდნენ. ყურძენსაც გლეხები უკრეფდნენ და უწურავდნენ.

მახსოვს, დღესასწაულებზე მთელ ჩვენს საგვარეულოს ძღვენი მიჰქონდა: თიკანი, კრავი ან მოზვერი. კაკალიც მიჰქონდათ, თაფლიც და ღვინოც — ვისაც რა შეეძლო.

ჩემს მეზობერებაში შარდინი, ალოუს ძემ მეომრად დარჩა. ეზოში ღღედა ღამე შეკაზმული ცხენი ება და არც მახსოვს სხვა რამე გაეკეთებინოს ბრძოლის, თარეშისა და მტერზე თავდასხმის გარდა.

ზოგჯერ, გამარჯვებული თუ ბრუნდებოდა თარეშიდან, ზღვაზე მიდიოდა და თურქეთიდან გემებითა და ფელუკებით მოსულ ვაჭრებზე ჰყიდა ტყვეებს.

რამდენიმე მონას ყოველთვის იტოვებდა მსახურად. რაკი ტყვედ ჩაიგდებდა, თავისი საქუთრება იყო. ვინდა გაყიდდა, ვინდა მოკლავდა და ვინდა გამოსასყიდზე დააბრუნებდა.

როცა მეზობლებთან ან თავადებთან საგვარეულოსთან დავა გვექონდა, უნდა კი ხშირი იყო. — შარდინ ალოუს ძე თავყრილობაზე მიდიოდა, სადაც სადავო საკითხები წყდებოდა. ასეთ დროს ჩვენი გვარის კაცები მუდამ თან ახლდნენ, რათა დაეცათ ან შური ეძიათ. თუ ვინმე ვაბედავდა მასზე ხელის აღმართვას.

თანმხლებნი იცულებოდნენ — ხან ერთი მიჰყვებოდა, ხან მეორე, მამაჩემი ჰამირზა კი — შარდინის ძიძიშვილი განუშორებლად ახლდა თან. გამოგონია, რომ ძველად, როცა აფხაზეთს შეფეები განაგებდნენ, უბიბების ქვეყანაც თურმე აფხაზეთის ნაწილად ითვლებოდა. ჩემ დროს კი ასე არ იყო, არც აფხაზეთზე ვიყავით დამოკიდებული და არც ჩვენი ერთი რომელიმე თავადი გვყოლია ბატონად. რამდენიმე ძლიერი თავადი გვყავდა და, თუმცა ხშირად ედავებოდნენ ერთმანეთს ძალაუფლებისათვის, მაინც ერთად განაგებდნენ უბიბების ქვეყანას. ამას შემდეგ ვიამბობ, ჩემს უბედურებას რომ მოგიყვები.

მამაჩემი ჰამირზა კეთილი და სამართლიანი კაცი იყო. თუ სოფელში ერთმანეთს წაერჩხებებოდა ვინმე, მამაჩემს მოაკითხავდნენ, სამართლიანად და დინჯად რომ გაერჩია საქმე.

ბრძოლასა და თარეშში კი მამაჩემი უშიშარი და მრისხანე იყო და სტყვებისასაც მამაციობას აფასებდა ყველაფერზე მეტად.

მე და ჩემ მამს ბავშვობიდანვე გვასწავლა ხმლის ქნევა და მიწანში სროლა, უშიშარი ცხენოსნობა.

ზამთრობით მთებში დავდიოდით: ვნადირობდით და ხაფანგებს ვაგებდით. დიდთოვლობისას თბილამურებს ვხმარობდით, ესეც გვეხერხებოდა.

ზღვა ახლოს იყო ჩვენთან და მამას ხშირად დაეყავდით ხოლმე, ცურვაც ვიცოდით, ნიჩბოსნობაც და იალქნების დაქიმვაც.

უბიბები ხანდახან თევზის საჭერად გადიოდნენ ხოლმე ნავებით. ზოგჯერ



კი აფხაზეთისა და ჩერქეზეთის სანაპიროებთან თურქების ფელუქებს ძარცვავდნენ.

დედაჩემი ნასი, ტყულების შეძენის შემდეგ, ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც არაფრისა ეშინოდა და, როგორც ახალგაზრდობაში, ხშირად მიდიოდა ხოლმე წებელდაში ძმების მოსანახულებლად. შეიარაღებული ამხედრდებოდა და მარტო მე წამიყოლებდა — პატარა ბიჭს. ახლაც, თვალებს რომ დავხუჭავ, ახალგაზრდა დედა მელანდება. მალალი იყო და წარმოსადგეი, წაბლისფერი ნაწნაგები კი თითქმის ქუსლამდე სცემდა.

ღარიბები ვიყავით, გვიჭირდა, მაგრამ ის დრო მაინც ისე მახსენდება, როგორც ჩემი ოჯახის უბედნიერესი დღეები. იქნებ იმიტომ, რომ შემდეგში, ასეთი უბედურება გვეწვია!

ახლა მგონია, რომ ბავშვობა ყველაზე ხანმოკლე დროა ქვეყანაზე. გუშინ ბავშვები ვიყავით მე და ჩემი ძმა, და აი, უკვე მეომრები ვართ. მართალია, ყველაზე უმარწმენსი, მაგრამ უკვე გვევალება თან ვახლდეთ უფროსებს ლაშქრობაში.

სამჯერ ვიყავი სათარეშოდ ჩემს ძმასა, მამაჩემსა და სხვა კაცებთან ერთად. პირველად ახლოს, აფხაზეთში ვიყავით, მეორედ და მესამედ კი შორს გაეთარეშეთ ჩრდილოეთისკენ, მთებს გადაღმა. ეს გათარეშება უკვე იმ შავბნელ დროში იყო, როცა რუსი მეფე საბრძოლველად გამოემართა უბიხებისკენ.

ომი ერთი და ორი წელი როდი გრძელდებოდა, ხანგრძლივი იყო. აღარც მახსოვს, რამდენ ხანს ვიბრძოდით. ისე კი, რამდენჯერმე შეცვალა ზამთარმა ზაფხული, ომი კი ისევ გრძელდებოდა. ბოლოს ქულზე კაცი გამოდიოდა საომრად, მოხუცებისა და ავადმყოფების გარდა.

განსაკუთრებით ზაფხულში გვიჭირდა; ყანაში მუშაობდი და გვერდით იარაღი და რამდენიმე დღის საგზალი უნდა გქონოდა, განგაშისთანავე შეკ-

რების ადგილას რომ მისულყავი. ღამე ჩემო ძვირფასო შარახ, შეგბნელი დარდი იყო. ვერარა ცხენი ვერ გადასცურავდა იმ სისხლის მდინარეს, მაშინ რომ დავდვარეთ. სისხლი ბევრი დაიღვარა, მაგრამ ომმა არაფერი მოგვიტანა უბიხებს, უბედურების გარდა. ყველაზე მწარე სისხლი კი ტყუილუბრალოდ დაღვრილი სისხლია.

მაშინ ჩვენ არც რუსი მეფის ძალა ვიცოდით, არც მისი კარისკაცების სიმრავლე და არც თურქეთის სულთანის განზრახვა ომის დასაწყისიდანვე. ეპ, დაღ შარახ, მოტირლები სახესა და მკერდს რომ იხოკავენ, მხოლოდ ჭირისუფალს უმსუბუქებენ ნალევლს, თორემ მიცვალებულს აღარაფერი შევლის. ჩემი მონათხრობიც ასეა.

მამაჩემმაც, მეც და ჩემმა ძმამაც იარაღს მოგვიდეთ ხელი და მერე აღარც დაგვიენებებია თავი. სიმათლე გითხრა, ჩვენთან, უბიხების ქვეყანაში არც როდის ყოფილა სიმშვიდე. თარეში და ძარცვა, მონების გაყიდვა თურქეთში, მტრობა საგვარეულოებსა და მეზობელ ტომებს შორის, ქალების გატაცება და სისხლის აღება ყოველთვის იყო და სხვანაირად ცხოვრება ვერც წარმოგვედგინა. მაგრამ როცა საფრთხე დაემუქრა უბიხების ქვეყანას, ყველაფერი დაგვაიწყდა.

უბიხებმა ოდითგანვე იცოდნენ თავისუფლების დაცვა მომზდურთაგან, სულერთია, ვინც იქნებოდნენ — მეზობლები თუ უცხო ქვეყნებიდან მოსულნი: ბერძნები თუ რომაელები, არაბები თუ თურქები. ზოგიერთ შემთხვევაში თქმულელები იყო შემორჩენილი, ზოგი მოხუცებს ახსოვდათ. ვერც კი წარმოვიდგენდით უარი ეთქვა ვინმეს ბრძოლაზე, იარაღის დაქერა თუ შეეძლო ზელში. ასეთი მახინჯი თუ გამოგვერეოდა, სისხლს ვართმევდით და სამშობლოდან ვაძევედით.

ყოველთვის, ზაფხულშიც კი, ალოობის დროს, ყველა ოჯახი ვალდებული იყო, განგაშისთანავე ერთი მაინც გაეგზავნა სალაშქროდ. ათი კაცი ათის-



თავს ირჩევდა, ათეულები — ასის-  
თავს, ასეულები — ათასის თავს. რო-  
ცა სალაშქროდ რამდენიმე ათასი კაცი  
მიდიოდა, მაშინ წინამძღოლს ირჩევ-  
დნენ, გამოცდილს, მომთმენსა და მა-  
მაცს, ვისთვისაც უცხო არ იყო ხმლე-  
ბის წკრიალი. მისი ბრძანება კანონი  
იყო ყველა მებრძოლისთვის, სულერ-  
თია, გლეხი იქნებოდა თუ თავადი.  
ის ნიშნავდა შეკრების ადგილსა და  
დროს; ის ანაწილებდა, რამდენი უნ-  
და ყოფილიყო ქვეითი და რამდენი —  
ცნენოსანი. ყველას, წინამძღოლის ვარ-  
და, თან უნდა ჰქონოდა სალაშქრო მა-  
რავი: თაფლიანი ცომი, დაშაშული  
ნორკი და შებოლილი ყველი, ყველას  
უნდა ჰქონოდა თან მოქნილი ტყავის  
ორი წყვილი ქალამანი, შალის წინდე-  
ბი და ნაბადი. ზოგიერთს კი ზერცხების,  
ნაჯახების, ნიჩბებისა და თოკების წა-  
ლებაც ვვალეზობდა (წყალზე გადასაფ-  
დებად). სცივეში კარგებიც უნდა გა-  
ეშალათ ღამის გასათევად.

ლაშქრობის დაწყების წინ სპილენ-  
ძის ბუკს აახშიანებდნენ, სწორედ  
ისეთს, მე რომ მაქვს.

### ბაჯი ზარავა კერანტიხი

ჰაჯი ბერზეცი, აღაგვას ძე მთელი  
ოცი წელი წინამძღოლობდა უბიხებს.  
მრავალ სისხლიან შეტაკებაში გაი-  
მარჯვა და რუსის გენერლებმა ძა-  
ლით რომ ვერაფერი მოუხერხეს, გა-  
დაწყვიტეს ეშმაკობით მოელოთ ბო-  
ლო. ათას ვერცხლს დაჰპირდნენ,  
ცინე უბიხების ურჩი წინამძღოლის  
თავს მოუტანდათ. მაგრამ ჰაჯი ბერ-  
ზეკს ამის შემდეგაც სწყალობდა  
ბელი. მოლაღატე არავინ აღმოჩნდა.  
ბოლოს და ბოლოს, თავისი ნებით  
მოიხსნა წინამძღოლის მოვალეობა.

ახლაც არ ვიცი ამის ნამდვილი მი-  
ზეზი. შეიძლება ხანდაზმულობა, ან  
მოვლენათა მსვლელობა იყო, უფრო  
და უფრო რომ ითრევდა უბიხებს  
იმ გზაზე, ძალზე სახიფათოდ რომ  
ეჩვენებოდა ძველსა და გამოცდილ

მებრძოლს, თუმცა წინააღმდეგობის  
გაწევაც აღარ ძალუქდა. ასე იყო თუ  
ისე, მან უარი თქვა საბრძოლო ხელმ-  
ძღვანელობაზე, საქმეებს ჩამოშორდა  
და მალეც მოკვდა. ეს რუსეთ-თურ-  
ქეთის დიდი ომის დამთავრების მეო-  
რე წელს მოხდა. წინამძღოლის ად-  
გილი მისმა ბიძაშვილმა ჰაჯი ბერზეც  
კერანტიხმა აღიკავა. კერანტიხმა ძალ-  
უფლების აღებისთანავე გამოავლინა  
სიმტკიცეცა და მამაცობაც, თუმცა  
აღრე ამბობდნენ დამპალი კბილივით  
ირყვება აქეთ-იქითო. მიზეზიც ჰქონ-  
დათ ამის სათქმელად. ომის დაწყე-  
ბამდე ცოტა ხნით ადრე მეფის გე-  
ნერლებს შეურთვდა და სამხედრო  
ჩინიც მიიღო მათგან. (ვერცხლით  
უბდიდნენ) და შემდეგ ბიძამისი რომ  
მეფის გენერლებს ეომებოდა უბი-  
ხებთან ერთად, ის ხალიჩაზე იყო და-  
ბრძანებული და ნარდს თამაშობდა.

ვერ გეტყვი, ძვირფასო შარახ,  
როგორ აეწყობოდა უბიხების ბელი,  
ეს ყირიმის ომი რომ არ დაწყებულ-  
იყო. როცა რუსეთის არმიამ აფხა-  
ზეთისა და უბიხების სანაპიროები-  
დან დაიხია, დიდი ვეზირი ომარ ფა-  
შა მოაღვა მეომრებით სოხუმს. ჩვენს  
სოფლებში თურქებთან ერთად მო-  
სული დაღესტნელი მოღები გამოჩნ-  
დნენ. ყველა ერთხმად გაიძახოდა:  
რუსები დამარცხდნენ და პირს აღარ  
იზამენ ჩვენი მიწა-წყლისკენ, ჩვენ  
კი სამუდამოდ თქვენთან ვიქნებით,  
ალაჰი მოციქულის — დიდი სულთა-  
ნის წმინდა დროშა აღეშართათ თქვე-  
ნი მთების მწვერვალებზეო.

აი მაშინ გადაიხარა ჩვენი ჰაჯი  
კერანტიხი მეფიდან სულთანისაკენ;  
ჩოხას სამარეები მოავლიჯა და ვერცხ-  
ლის აღებაზეც უარი თქვა.

მეფისა და სულთანის ომში აფხა-  
ზეთის მთავარი თავადი ჰამუბები ჩაჩ-  
ბა ისევ მეფის მხარეს დარჩა, ჩვე-  
ნი ჰაჯი კერანტიხი კი სულთანის მხა-  
რეს გადავიდა. სწორედ მაშინ გახ-  
და ის ჩვენი წინამძღოლი. არც მა-

შინ შეუცვლია თავისი გადაწყვეტილება, როცა თურქები გემებში ჩასხდნენ და კვლავ თურქეთისაკენ აიღეს გზი.

მეფის გენერლები უკან დაბრუნდნენ და ერთმანეთის მიყოლებით დაიკავეს ნოტიოებულნი ციხე-სიმაგრეები. აი მაშინ გამოავლინა ჰაჯი კერანტიხმა სიმტკიცეცა და სიმაჰაიცეც, რასაც ბევრი არ მოელოდა მისგან. თურქები წავიდნენ და ჰაჯი კერანტიხი მარტო განაგრძობდა მეფის გენერლებთან ბრძოლას. მეფის სამხედრო ხომალდები ხან დაუბზესთან გადმოსხამდნენ ხოლმე ჭარისკაცებს, ხან ადღერის ახლოს და ხან სოჰის შესართავთან. გადმოსხამდნენ ხოლმე ჭარისკაცებს, მეფის გენერლები უბიძგებდნენ ჭეყნის შუაგულში შემოჭრას არ ჩაჩაობდნენ, სადაც გადმოსხდებოდნენ, იქვე აშენებდნენ ან ალაღერდნენ სიმაგრეებს, მაგრამ ყველამ იცოდა, ამას არ დასჯდებოდნენ. ეს ჩვენმა ჰაჯი კერანტიხმაც კარგად იცოდა და, როგორც შეეძლო, ხელს უშლიდა მეფის ჭარისკაცების გადმოსხდომას, ციხეებს გამაგრებამდე ესხმოდა თავს.

ჩვენ გვეამაყებოდა ჩვენი გამძლეობა, მაგრამ სიმაართლე რომ გითხრა, ძვირფასო შარაბ, ხალხი უკვე არაქათგამოცლილი იყო თმისგან.

სიცოცხლეს ხშირად ზოგას ადარებენ და ეს სწორი შედარებაა. ზოგჯერ ყველაფერს იავარყოფს და სიცოცხლეს უსპობს ხოლმე ყოველნაირ სულდგმულს შეუბრალებელი ტალღები, ზოგჯერ კი თითქმის მცირე ნადავლით კმაყოფილდება და სწრაფად იხევს უკან მაგრამ საცა ეს ტალღები მოხეტიაებულა და უკაშკაშოლა, სიცოცხლე გაურცლებულ შვიშაში ჩარჩენილი წყალივით გამქრალა. ასეა ცხოვრებამიც.

ყოველთვის მახსენდება ხოლმე ეს, როდესაც უბიძგების თავგადასავალს ვიხსენებ. ღმერთმა შემამტყინოს,

ყველაფერი ისე გაიბზო, როგორც მონდა, თანმიმდევრობით.

მოულოდნელად ჩვენს სოფლებს კარგი ამბავი მოედო: რუსებს ზავის დადება უნდათ და ერთ კვირაში მდინარე მზიმთან ბორანის ახლოს მეფის გამოგზავნილი გენერალი ჩვენს წინამძღოლს ჰაჯი კერანტიხს შეხვდებაო; მოლაპარაკების შუაგული უბიძგების გავრდილი აფხაზი თავადი ჰამუთბეი ჩაჩა იქნებაო.

სხვა ახალგაზრდა უბიძგებივით მეც მოხიბლული ვიყავი ჰაჯი კერანტიხის მამაცობითა და გამბედაობით... სამი წელი ვიყავი მისი მცველი და ვცდილობდი ყველაფერში მიმეზამა: მასავით ჩამემაგრებინა ბუშმეთის ბოლოები ქამარში, ოდნავ მარცხნივ გადახრილი ვმჯდარიყავი ცხენზე და მათრახიანი ხელი ძირს მქონოდა დამევებული. ახლა, როდესაც წლებმა ცხოვრების სიბრძნე შემიძინა, ვხედავ, რომ ჰაჯი კერანტიხი ძალზე თავდაპერილი, ძალზე პატივმოყვარე, ძალზე მოუთმენელი იყო და, რაც მთავარია, შორსმჭვრეტელობა არ გააჩნდა სრულიად. მაშინ კი ამას ვერ ვამჩნევდი.

ოჰ, ახალგაზრდობა, ახალგაზრდობა! ყველაზე ძვირფასი სწორედ ის არის ახალგაზრდობაში, რომ დაღლა არ იცის და არც უკან იხედება.

უკვე ბევრჯერ ვიყავი თარეშებსა და შეტაკებებში, შიშველი ხმლითაც ბევრჯერ ვამაყავს გზა ომის ქარცეცხლში და ერთხელაც არ მიმიხედავს აღენეხული სიკვდილისათვის. ახალგაზრდა და უდარდელი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, უფსკრულზე გადაკიდებული ტოტის ბოლოზე რომ ვიყავი გასული.

ის დღე კარგად დამამახსოვლა. ჩვეულებრივზე უფრო ციოდა, თუმცა გაზაფხული იწურებოდა. სალაშქროდ გამზადებულ ათას ხუთას მებრძოლს აღვირით ეჭირა ცხენები. საუკუნოვანი შვიდი მუხის ქვეშ ჰაჯი კერანტიხი ეთათბირებოდა ჩვენში ყველაზე უფ-

რო გველენიან პირებს. დიდხანს ისტდ-  
ნენ და კამათობდნენ, ყველამ არ იყო-  
და რაზე დავობდნენ, მაგრამ მე როგ-  
ორც პირადი მცველი, სხვებზე უფრო  
ახლოს ვიდექი და ყველაფერი მესმო-  
და. ჰაჯი კერანტიხი ცხარობდა — არ  
უნდოდა, ამდენი მეზრძოლი ხლებოდა  
მეფის გენერალთან მოლაპარაკებაზე.

— არ ეგონოს, რომ მეშინია მისი,  
— ამბობდა ჰაჯი კერანტიხი — მხო-  
ლოდ ათ კაცს ვიახლებ, დანარჩენები  
აქ დამელოდნენ.

სხვები არ ეთანხმებოდნენ, ამბობდ-  
ნენ, შეიძლება შეხვედრას ზაფი კი არა.  
ომი მოჰყვესო. თანაც მეფის გენერ-  
ლის ნდობა არ შეიძლება, რამდენჯერ  
წაუყვანიათ ტყვედ თითო-თითოდ მთი-  
ელთა ბელადები და შორეულ ციხე-  
რში გადაუსახლებიათ! ამ შეხვედრა-  
საც ასეთი ბოლო თუ ელის, უბიხების  
ბელადს გვერდით უნდა ჰყავდეს მეზრ-  
ძოლებიო!

როგორც იქნა, დაიყოლიეს ჰაჯი კე-  
რანტიხი. დაამთარეს თუ არა კამათი,  
ყველანი წამოდგნენ, ჰაჯი კერანტიხი  
ცხენს მოახტა და ათას ხუთას მეზრ-  
ძოლს მდინარე მზიმთასკენ გაუძღვა.

ჩვეულებრივად ასეთი მხედრონი  
უსიმღეროდ არასოდეს წასულა, იმ დი-  
ლას კი მთელი რაზმი მდუმარედ მი-  
დიოდა. ჩვენ მზად ვიყავით ბრძოლის-  
თვის, მაგრამ უკან გვრჩებოდა სახლე-  
ბი და ოჯახები და ომიანობის გამო სა-  
რველამოდებული ყანები. ამიტომ  
გვინდოდა, რომ ბოლოსდაბოლოს და-  
სრულებულიყო ეს სისხლისღვრა. იქ-  
ნებ გადაწყვეტილება მზის ჩასვლამდეც  
მიეღოთ.

მდინარე ხოსტას რომ გადავედით,  
ჰაჯი კერანტიხმა ბრძანა სამ ნაწილად  
გაყოფილიყო რაზმი. ერთი ნაწილი  
მზიმთის შესართავისკენ გაგზავნა,  
ზღვისთვის რომ ეთვალთვალებინათ,  
მეორე — სათავისაკენ, საჭიროების შე-  
მთხვევაში მთის ბილიკები რომ გადა-  
ეკეტათ, საიდანაც ჩვენს ზურგში შეი-  
ძლებოდა შეჭრა. დანარჩენი ხუთასი

მხედარი თან იახლა და მზიმთის ბორა-  
ნისაკენ გაემართა.

მდინარის აქეთა მხარეს დიდ ქა-  
დრების ქვეშ ჩვენი წინამძღოლისთვის  
დაედგათ კარავი. იქითა მხარეს კი ორი  
კარავი იყო: ერთი მეფის გენერლის-  
თვის, მეორე — აფხაზეთის მთავრის-  
თვის.

რუსი ოფიცერი თარჯიმანით გადმო-  
ვიდა ჩვენს ნაპირზე და ერთ-ერთ უბ-  
იხ თავადთან ერთად გაბრუნდა უკან.

ხანმოკლე საუბრის შემდეგ გადა-  
წყდა რომ შეხვედრა ჩვენს ნაპირზე  
შედგებოდა.

ბორანი მოგვიახლოვდა და ნაპირზე  
რუსი გენერალი, ოფიცრები, მცველე-  
ბი და აფხაზი თავადი ჰამუთბეი ჩაჩბა  
გადმოვიდნენ.

გენერალს ბრჭყვიალაებოლტებიანი  
მუნდირი ეცვა, მრგვალი სახე და  
მრგვალივე მოკლე წითური წვერი ჰქო-  
ნდა.

ასე ახლოს არასოდეს მენახა მეფის  
გენერლები. მართალია, გიაური იყო,  
მაგრამ განსაკუთრებულად საშიში არ-  
აფერი ჰქონია.

ყველანი მდელის შუაში კარვის ახ-  
ლოს შეგროვდნენ და აფხაზეთის მთა-  
ვარი ჰამუთბეი ჩაჩბა პირველი მიუ-  
ახლოვდა ჰაჯი კერანტიხს, დიხარა და  
მკერდზე ეამბორა. ისე მოიქცა, როგ-  
ორც უბიხურ ოჯახში გაზრდილს შემ-  
გნოდა.

მოლაპარაკების დროს, მე, როგორც  
პირადი მცველი, ჰაჯი კერანტიხის უკან  
ვიდექი და თვითიული სიტყვა მესმო-  
და.

ნუ გაგიკვირდება, დად შარახ, უამ-  
რავი დღე რომ მიმიცია დავიწყების-  
თვის, ამდღისა კი თვითიული წუთი  
მასხოვს თავიდან ბოლომდის. ამ დღეს  
წყდებოდა ჩემი ხალხის ბედი. შემდეგ-  
შიც იყო ასეთი დღეები, მაგრამ ეს  
დღე მაინც პირველი იყო. ყველაფერი  
მასხოვს იმდღევანდელი, ყველაფერი,  
ფეხქვეშ მოყოლილი სიმინდის ხმელი  
ღეროების მტკრევის ხმაც კი მასხოვს.  
ისიც კი მასხოვს, მზე ხან ღრუბელს

რომ ეფარებოდა და ხან გამოაჟიციტებდა; დროდადრო ზღეუური წამოიჭროლებდა და წვიმას მოგვაშხეფებდა. მახსოვს, რა დიდხანს გავრბულა დავა, ისიც მახსოვს, თანდათან რომ უწევდნენ ხმას. ჰაჭი კერანტიხი გაუხენდელ ცხენზე ამხედრებულს ჰგავდა: ვერც თავს ერეოდა, წარამარა ეცვლებოდა საბე, შუბლზე ძარღვი ამობერვოდა. ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ ძლიერ იკავებდა თავს, შიშველი ხანჯლით რომ არ დარეოდა ყველას.

კარგად ვიცნობდი ჰაჭი კერანტიხს, ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო და მხად ვიყავი, მყისვე მივშველებოდი.

უბიხების მხრიდან მოლაპარაკებაში აჰმეთიც იღებდა მონაწილეობას, ბარაკაის ძე. ის მთელ კავკასიაში სახელგანთქმული კაცი იყო. სიჭაბუკეში სტამბოლში სწავლობდა, რამდენიმე ენაზე ლაპარაკობდა და როდესაც წინამძღოლად ჰაჭი ბერზეკი გვყავდა, ყველა საქმეს აჰმეთი, ბარაკაის ძე აგვარებდა. სულთანთანაც იყო, ლონდონშიც და პეტერბურგშიც. ფიცხი კაცი იყო, მაგრამ ეშმაკიც უკიდურესობამდე მისვლა იცოდა, მაგრამ თავშეკავების უნარიც შესწევდა, როცა არაფერი გამოსდიოდა. ისე რომ, როგორც ხედავ, აჰმეთი, ბარაკაის ძე შემთხვევით არ მონაწილეობდა ამ მოლაპარაკებაში.

პირველად მეფის გენერალმა დაიწყო ლაპარაკი. მისი მკვეთრი სიტყვები იმდენად არ შეეფერებოდა მის მშვიდ სახეს, რომ პირველად მეგონა, გენერალი სხვას ამბობს და თარჯიმანი სხვას გვეუბნება მეტქი.

— შენ, ჰაჭი კერანტიხ, — ეუბნებოდა გენერალი, — ბერზეკების ბრწყინვალე გვარის შვილი ხარ და არ გეკადრება დღეს ერთის და ხვალ მეორის გაკეთება. მისმა უდიდებულესობა იმპერატორმა ჩინი და ხელფასი გიბოძა. შენ კი იმპერატორის წყალობის ღირსი არ აღმოჩნდი — ომი რომ დაიწყო, უარი თქვი იმპერატორის ბოძებულ ჩინსა და წოდებაზე; რუსეთის ერთგულების

ნაცვლად თურქეთს დაუახლოვდით. შენი სურვილით ჩაიდინე და ჩრახტი თი ძალდატანებით. მას შემდეგ გამუდმებით არღვევ ჩვენთან დადებულ პირობებს, დღენიადაც იარაღსამზადი გყავს მოსახლეობა, თავს ესხმი ჩვენს სიმაგრეებს, ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებ თურქებთან და იარაღს იღებ მათგან.

— ბატონო გენერალი, შენ ცოტა ფრთხილად უნდა მელაპარაკებოდე მე, — უთხრა ჰაჭი კერანტიხმა, — შენი მწვერებისაგან ჩიხში მომწყვედელი კურდღელი ხომ არ გგონივარ: მე ჩემს მიწაზე მიღვას ფეხი და ბორკილები კი არ მაღვეს, იარაღი მაქვს ასხმული.

ჰაჭი კერანტიხს სისხლი მოაწვა სახეზე. გენერალს ნირი არ შეცვლია ისე უსმენდა, სანამ ბოლომდე არ უთარგმნა ტოლმაჩმა.

— მაგრამ შენთვის ესეც ცოტაა, — მშვიდად განაგრძობდა გენერალი, თითქოს ჰაჭი კერანტიხის ნათქვამი არც გაუგონიო. — შენ ისევე თურქეთის სულთანზე ამყარებ იმედს. ვიცი, რომ საომარ დახმარებას სთხოვ მას და ამის იმედიც გაქვს. მართალია, შენ უძლეველი გგონია თურქეთის სულთანი, მაგრამ მარტო იმისი დახმარება გეცოტაგება. ისიც ვიცი, რომ აჰმეთი, ბარაკაის ძე, ახლა გვერდით რომ ვიდგას, სამი წლის წინათ ლონდონს გაემგზავრა შენი სახელით და ინგლისელებს ჩვენს წინააღმდეგ საომარი დახმარება სთხოვა. ამას თვითონ ინგლისური გაზეთები წერდნენ და არც საიდუმლოდ დარჩენილა. ცოტა ხნის წინათ კი წერილი გაუგზავნე ინგლისის კონსულს სოხუმში, არც ეს არის საიდუმლოება. წერილი ჩვენს ხელთ არის და შეგვიძლია გიჩვენოთ. არ მინდა შეურაცხყოფა მოგაყენო, მაგრამ შენი საქციელისთვის სხვა ვერაფერი გვიწოდებია, თუ არა ღალატი.

პირველად რომ შეაწყვეტინა ჰაჭი კერანტიხმა ლაპარაკი გენერალს. მეგონა, ახლა დააძრობს-მეთქი ხანჯალს. იმ პირველი აფეთქების შემდეგ კი მშვი-

დად იღვა და უსმენდა — ცალი ხელით დოინჯი ჰქონდა შემოყრილი, მკორე კი ხმლის თეთრი ძვლის ვადაზე ედო. გენერალს არ უყურებდა, მის თავს ზემოთ გასცქეროდა დრუბლებშემოჯარულ მთის მწვერვალებს. თითქოს არც ესმოდა რამე და არც ხედავდა რასმეტოლმაჩი მღელვარებისაგან იბნეოდა და ბლუქუნებდა. ჰაჭი კერანტიხს რუსული ესმოდა. მოსწყინდა ყოველივე ეს და ბოლომდე აღარ მოუხსენია თარჯიმნისთვის, მრისხანე ღიმილით გადახედა გენერალს:

— მე მართლა მოვალაბე ვიქნებოდი, კავკასიის ზოგიერთი მძლავრი თავადივით თქვენს ჩინებასა და გერცხლის მანეთრანებზე რომ გამეყიდა ჩემი ხალხი. მაგრამ დიდება ალაჰს, როგორც ხედავთ, ვერაფერმა მაცდუნა. შენ კი, ბატონო გენერალო, ამას დალატს უწოდებ. მაშ შენს საქციელს რაღა დავარქვათ, ურიცხვი მეომრებით რომ მოსულხარ და უბიხების გაძევება გინდა თავიანთი მიწა-წყლიდან. მითხარი, რა პასუხს ვასცემდა შენი მეფე, მთელი ქვეყნის ზელმწიფეები რომ შეკრებილიყვნენ და ეკითხათ: რა დაგიშავათ უბიხებმა, რა ბრალი მიუძღვით, რატომ ანადგურებთ.

შენ სწორი სთქვი: ჩვენ ოდესღაც მივიღეთ თქვენი ქვეშევრდომობა, გვჯეროდა, კარგად ვიცხოვრებდით, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. ჩვენ შეჩვეული ვიყავით საზღვაო ვაჭრობას, არავის ვეკითხებოდით, რისი გაყიდვა შეგვეძლო და რისი — არა. თქვენ აუკრძალეთ სხვა ქვეყნის გემებს ჩვენს სანაპიროებთან მოდგომა. ყაჩაღებს უწოდებდით ჩვენს თავადებს, აგვაკრძალეთ ტყვეების მონებად გაყიდვა. ჩვენ ჩვენი კანონები გვაქვს და თქვენ — თქვენი. არ გვინდა თქვენი კანონები უღლად რომ დაგვედგას კისერზე. თქვენ გინდათ ისლამის რწმენაც დაგვაკარგვიანოთ. ისიც კარგად ვიცით, რომ, თქვენს ხელში აღმოვჩნდებით თუ არა, ძალით მონათლავთ ჩვენს შვილებს. თურქეთთან ომის დროს ჩვენი დაცვა არ შეგიძლიათ,

მიდიხართ და ბედის ანაბარა გეროვებთ. მობრუნდებით და მოვალაბეებს გვიწოდებთ. ჰოდა, როგორღა შეიძლება ჩვენს შორის ზავი?

გენერალს არაფერი უპასუხნია. ჭიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლით დაცვარული თეთრი შუბლი მოიწმინდა, ხელები უკან შემოიწყო, ჰადართან მივიდა და ისე დაუწყო თვალღერება, თითქოს ფიქრობს, როგორ მოიჭრება უფრო ადვილადო. მერე უცებ მოტრიალდა და აჰმეთს, ბარაკაის ძეს მიმართა:

— პატივცემულო აჰმეთ, ბარაკაის ძე, შენ რაღას იტყვი, მინდა შენი ხმაც გავიგონო დღეს.

აჰმეთი, ბარაკაის ძე გაჭიშული იღვა, არც განძრეულა. ყველას ეგონა, არაფერს უპასუხებსო, მაგრამ მან წუთით დააყოვნა და თქვა:

— თქვენ ჩვენი არ გესმით, ბატონო გენერალო, და ჩვენ თქვენ!

ჰაჭი კერანტიხმა ბოროტად დაკვესა თვალები, ეტყობა არ მოეწონა აჰმეთის ზედმიწევნით მშვიდი პასუხი.

გენერალმა კი გაიღიმა:

— შენ ძალზე ბრძენი ხარ, აჰმეთ, ბარაკაის ძე, არც მწვედი გინდა დასაწვა და არც შამფური, მაგრამ ეს სიბრძნე ომისთვის არ გამოდგება. კიშში ასე არ ხდება!

გენერალმა უკან შემოიწყო ხელები, დინჯად გაიარ-გამოიარა წინ და უკან. ჰაჭი კერანტიხის წინ გაჩერდა და ხმა-მალლა და მშვიდად თქვა:

— თქვენ თვითონ აიძულეთ მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი, უკიდურესი ზომებისთვის რომ მიემართა. სხვა მთიელები უფრო წინდახედულები აღმოჩნდნენ: დაბლობებზე გადასახლდნენ, იარაღი დაყარეს და მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგნენ. თქვენ კი ისევ იბრძვით და ისევ სულთანის იმედი გაქვთ მისამ უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა ჰერ კიდევ შარშან, კავკასიაში ყოფნის დროს გონივრული გადაწყვეტილება მიიღო. მოვალე ვარ, კიდევ ერთხელ და ალბათ უკანასკნელად გავახ-



ხენოთ იგი: უბიხებმა უნდა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა ყუბანში გადასახლება, სადაც სამუდამო კუთვნილებად გადაეცემათ მიწები და შეინარჩუნებენ თავიანთ წყობილებასა და სასამართლოს. თუ არა და, მაშინ თურქეთს უნდა გადასახლდნენ.

გენერალი განუმადა, აღარაფერი დაუმატებია მეფის ამ საბედისწერო სიტყვებისათვის, რაც ახალი არ იყო მოლაპარაკებაზე დამსწრეთათვის.

— შორეული ყუბანის მიწები რომ კარგი იყოს საცხოვრებლად, უკვე დიდი ხნის დასახლებული იქნებოდა ხალხით, — უპასუხა ჰაჯი კერანტიხმა. — ჩვენ ზღვის პირას ვცხოვრობთ და ვაკრობხას ვართ შეჩვეული, მთებში ნადირობასა და ნახირის მაღალმთიან საძოვრებზე გარეკვამა ვართ შეჩვეული. აქა ვართ ცხოვრებას შეჩვეული და არა — იქ. არა, ბატონო გენერალო, თავს ვერ გავყოფთ თქვენს ხაფანგში. როგორც კი ამ მთებს მოვუბრუნდებით, შენგან რომ გვიცავენ, და ტრიაშელ ყუბანში გადავსახლდებით, რაც მოგვპირიანებათ, იმას გვიზამთ. ლმერთმა იცის, რა მიწებს მოგვცემთ ამ მიწების სანაცვლოდ. თქვენ გინდათ, რომ გადასახლების შემდეგ გლახებმა ჩვენ დაგვიწყონ ჩხუბი, თავიანთ მფარველებს, გინდათ, რომ აღარ დაგვემორჩილონ, პატივი არა გვცენ. თქვენ მოუწყონებთ ამ განხეთქილებას, უფრო ადვილად რომ მოგვერიოთ.

ახლა კი ველარ მოერია ჰაჯი კერანტიხი თავს. ცხარედ, სხაპასხუბითა და აბნეულად ლაპარაკობდა. გენერალი ჩუმად იდგა და ელოდებოდა, როდის დაამთავრებდა.

ჰაჯი კერანტიხმა რომ დაამთავრა სათქმელი, გენერალი კი არა, აფხაზეთის მთავარი ჰამუთბეი ჩაჩბა ალაპარაკდა:

— უღელტეხილზე მხოლოდ ერთი გზაა, გვინდა თუ არ გვინდა, ამ გზით დავდივართ. ნუ მიწყენ და ახლა უბიხებს მერყეობის დრო არა გაქვთ...

ჰამუთბეი ჩაჩბამ ჩუმად თქვა ეს.

ეტყობოდა, თვითელი სიტყვის თქმა უჭირდა.

— რაც უნდა გაგვიკირდეს, — მარტო დაგვტოვე რუსებთან, შენი შუაქაცობა აღარ გვკირდება, — ყვირილით შეაწყვეტინა ჰამუთბეის ჰაჯი კერანტიხმა, მაგრამ ჰამუთბეი ჩაჩბა არ შეეპლა:

— მე უბიხური რძითა ვარ გაზრდილი, და ვალდებული ვარ დავიცვა ისინი უბედურებისაგან. მე იმასვე ვუსურვებ უბიხებს, რასაც აფხაზებს ვუსურვებდი, არც მეტსა და არც ნაკლებს, არც უკეთესსა და არც უარესს. ამას დავამტკიცებ კიდევაც, თუ საჭირო გახდება, და არც ვინანებ.

მაგრამ ჰაჯი კერანტიხმა არ დაამთავრებინა, ისევ შეაწყვეტინა:

— მე მიპირს შენი სიტყვების დაჯერება, უბიხებს გვახსოვს, ჩვენთან ერთად რომ იბრძოდი მეფის გენერლების წინააღმდეგ. შენ რძე გაიხსენე, მაგრამ ახლა ის უკვე სისხლთან არის შერეული. ვერც აფხაზების წინაშე მოიწონებ თავს. შენ თვითონ არ მორწყე მიწა იმათი სისხლით, ვისაც მეფის მორჩილება არ სურდა? ვითომ გებრალეობათ, მაგრამ შენ ხომ შენი ხალხიც არ შეგებრალეობი. განა საყუთარი კბილებით არ ღრღინდი საყუთარსავე სხეულს?

ჰამუთბეი ჩაჩბა თავჩაქინდრული იდგა, ხმას არ იღებდა, ჰაჯი კერანტიხი კი გაცოფებული მიდი-მოდიოდა მის წინ და სეტყვასავით აყრიდა შეურაცხყოფელ სიტყვებს.

ბოლოს ჰამუთბეის თავი ანება და გენერლის წინ გაჩერდა:

— ეს მიწა ჩვენთვის არავის უჩუქებია და ვერც ვერავინ წაგვართმევს. სანამ ცოცხლები ვართ. ჩვენ დაზავებას გთხოვთ, უარს თუ გვეტყვით, ვიომებთ.

ჰაჯი კერანტიხი მარცხენა ხელს ხმლის ვადას უჭერდა, მარჯვენა კი ისევ გაიჭნია წინ, თითქოს იარაღი იშვივლაო.

თარჯიმნები ძლივს ასწრებდნენ თარგმნას, მე კი თვალს არ ვაშორებდი

გენერალს და მის უკან მდგარ ოფიცრებს, რათა საჭიროების დროს ხმალი მეშვიშლა.

გენერალმა მდუმარედ უცქირა ჰაჯი კერანტიხს, უცქირა, მერამ, ვაიციანა, ისევ გაჩუმდა და ბოლოს თქვა:

— კარგი! ომი თუ გინდა, ომი იყოს. მე მაინც მინდა გკითხო შენ, ვისაც ხალხის ბედის გადაწყვეტა გიჭირია: მთელი ქონების გაყიდვა რომ დატვირდეთ, ვიცო მაინც იარაღს იყიდით თურქი ვაჭრებისა და ინგლისელი კონტრაბანდისტებისაგან. ჭერაჭერობით იარაღი გაქვთ. ისიც ვიცით, ცოტა ხნის წინათ ემქისი ზარბაზანი რომ გამოგიზახენეს ინგლისიდან, ორი ინსტრუქტორიც გამოაყოლეს, სროლა რომ ასწავლონ თქვენს მეომრებს, მაგრამ ვაიგე. მთელი შენი ხალხი მაინც ერთი მუჰაა და ნუთუ ვერ ხედები, ამ ერთი მუჰა ხალხით რომ ვერ გვძლევ? თუ ხედები, მაშინ რატომ ღუბავ ხალხს, როცა გამარჯვების არავითარი იმკლი არა გაქვს?

ყველა ველოდებოდით, რას უპასუხებდა ჰაჯი კერანტიხი.

— ჩვენზე ნუ სწუხარ, ბატონო გენერალო, — რაც შეიძლება ხმამაღლა, თითქმის ყვირილით თქვა ჰაჯი კერანტიხმა, რათა ყველას გაეგონა, — ჭერ არავის გაუზომია ხალხის სიამაყე მათი სიმრავლით. ჩვენ საკმარისი იარაღიცა გვაქვს და ხალხიც გვყავს, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია. მეომრები თუ შემოგეაკლდება, ხანჯლებით დავუფატრავთ მუცელს ჩვენს ფეხმძიმე ქალებს და ახალ მეომრებს ამოვიყვანთ იქიდან.

ესა თქვა თუ არა, ჰაჯი კერანტიხი ჩემსკენ მოტრიალდა და დაიძახა:

— ცხენები! — ისე დიყვირა, თითქოს მე ვყოფილიყავი რაიმეში დამნაშავე.

გენერალს არაფერი უპასუხია. მხოლოდ მხრები აიჩეჩა და აფხაზეთის მთავარს ისე გადახედა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „აი, ახლა ხომ დარწმუნდი, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა“.

ჰამუთბეი ჩაჩბა ამ გამოხედვაზე არც შეტოკებულა, მაინც არ უნდოდა წასვლა. გულზელი დაეკრძა და იღვა.

— ჩემო ძიძიშვილო ჰაჯი კერანტიხ, ერთხელ კიდევ გთხოვ, მომისმინე.

არცერთ ჩვენგანს არ ეკადრება აჩქარება, როცა სიკვდილ-სიცოცხლის ბედი წყდება. სანამ ისევ ხმალს იშვივლი წყდება, ვაიხსენე, რომ დამთავრდა დაღესტნის ომი, დამთავრდა ჩეჩნეთის, მთელი ჩრდილო კავკასიის ომი. კავკასია რუსეთის იმპერატორის სამფლობელო გახდა. ვინც არ დაემორჩილა, ზღვის იქით მიდის დასასახლებლად. მათ იქ, მე მგონი, კარგი არაფერი მოელოთ. წინ მაინც მშვიდობაა, ცუდია თუ კარგი, მაინც მშვიდობაა, და ის მთელ კავკასიაში გაშფუდება. იქნებ მუხლამდე სისხლში მდგარ უბიძებს ჭერ არ ვაგიგათ, რომ ომს ბოლო მოეღო და ახლა ბრძოლის გაგრძელება თავის დაღუპვას ნიშნავს.

ჩემო ძიძიშვილო, ჩემი გამზრდელი ჰაჯი ბერზეკის, ადაგვასძის ხსოვნის პატივსაცემად გთხოვ, თქვენთან მოსვლის ნება დამართე. შეკრიბე შენი ხალხის ყველაზე უფრო ბრძენი კაცები, დანიშნულ დროს მარტო მოვალ, მინდა, სანამ დაეშორდებოდეთ, შენი პასუხი გავიგო.

— ეს ჰაჯი ბერზეკის, ადაგვის ძის ხსოვნის პატივსაცემად რომ მთხოვე, ამით ხელ-ფეხი შემიკარი. მოდი და მოისმინე იმ ხალხის აზრი, ვისი რძითაც ხარ გაზრდილი. ოღონდ იმ კვირას არ გადააცილო, დიდხანს ვერ დავიციდი. მშვიდობით.

ჰაჯი კერანტიხმა გულზე მიიღო ხელი, წამით დახარა თავი და ცხენისკენ გაემართა.

უკან მივიხედე და დაეინახე, როგორ შედგნენ ბორანზე გენერალი და აფხაზეთის მთავარი. ეს ალბათ მეორე ნაპირზეც შენიშნეს: დაფდაფების ხმა მოისმო. დასასვენებლად ხეებს შეფარებული ჭარისკაცები რიგებად ეწყობოდნენ.

ჩვენ კი, ჰაჯი კერანტიხის წინამძღო-

ლობით, უკვე ცხენებზე ვისხელი. მან მათრახი ასწია და იმ წამსვე დაიგუგუნა ბუქმა. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ საზავო მოლაპარაკება შეწყდა და ყველას, ვისაც ძალა შესწევდა, მზად უნდა ჰქონოდა იარაღი. ამას გასძახობდა ბუქი.

**როგორ შეხვდნენ უბიხები  
თავიანთ ძიძიშვილს**

— რაც ახლა უნდა ვიამბო, ჩემი თვალით არ მინახავს... ჰამუთბეი ჩაჩბას ამ სტუმრობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ მაშინაც და შემდეგშიც, უკვე გადასახლებაშიც ხშირად იხსენიებდნენ. ყველაფერს მოგახსენებ, რაც ჩემს ხსოვნას შემოუნახავს.

ის დღე, უბიხების მიწას მათი ძიძიშვილი ჰამუთბეი ჩაჩბა რომ ეწვია, ალბათ ის უქანასკნელი დღე იყო, როდესაც კიდევ შეიძლებოდა სხვა არჩევანი.

იმ საღამოს ზაურყანმა მართლაც ყველაფერი გაიხსენა, გაიხსენა არა მარტო ის, რაც თვითონ ჰქონდა ნანახი, არამედ ვაგონილიც; მან მოიგონა ამ ამბის გამო ვაგრცელებული ლეგენდებისა და სიმღერების ნაწყვეტები. ანტიკომ ჩუქს დაპირებას მეც ვადავებევ და მარტო ზაურყანის ნაამბობს კი არ ვადმოგვცემთ, ყველაფერს ვიამბობთ, რაც ზაურყანთან მისვლამდე შევისწავლე აფხაზებისა და უბიხების ისტორიის ამ მეტად საინტერესო საკითხის გარშემო არსებული წყაროებიდან, ცხადია, ყოველივე ამას ზაურყანის ნაამბობის ზოგიერთი წვრილმანიითაც შევავსებ, რაც მეტნაკლებად დამაჯერებლად მივიჩნიე. დასასრულს კი სიტყვასიტყვით მოვიყვან ზაურყანის ნაამბობის ბოლო ნაწილს, რაც ლეგენდას ჰვავს, მაგრამ ზუსტად ეყრდნობა ისტორიულ ფაქტებს.

იმ მარცხით დამთავრებული მოლაპარაკების შემდეგ ჰამუთბეი ჩაჩბა მალე გაემგზავრა უბიხებთან. ჩაჩბამ გადაწყვიტა თან წაეყვანა თავისი ერთგული კაცები, აფხაზეთის გავლენიანი

პირები, რომლებსაც შეეძლოთ უბიხებზე გავლენა მოეხდინათ. მან თან ახლავდა სამურზაყანოელი ემბაა ალგითა, აბუქელი გირგულ ჩაჩბა და ბზიფელი ოთხმოცდაათი წლის მაან კაცი — მოხუცი, მაგრამ კვლავ მთავრის მრჩეველი ყოველგვარ რთულ საქმეში.

მაან კაცის წაყვანა, ცოტა არ იყოს, სარისკო საქმე იყო, რადგან ის, როგორც თვითონ მთავარიც, მეფის გენერლებთან ერთად ხან წებულდღეების წინააღმდეგ იბრძოდა, ხან საზებნისა და ხან უბიხებისა. და ახლა მის გამოჩენას შეიძლებოდა უბიხებისათვის ეს სისხლიანი საქმეები გაეხსენებინა. მაგრამ ამ ძნელ გზაზე უიმისოდ წასვლა კიდევ უფრო საზიფათოდ ეჩვენებოდა მთავარს. საქმე ის იყო, რომ მისი მამინაცვლის შვილი, ორმოცდაათი წლით რომ იყო მასზე უმცროსი, პაჯი კერანტის ცოლი ვახლდათ და ფაქრობდნენ, რომ იგი საშიშროებასაც შეიწვევდა და იქნებ საქმის მოგვარებაშიც დახმარებოდათ.

ჰამუთბეი ჩაჩბას კიდევ ორი კაცის წაყვანა უნდოდა, მაგრამ არ მოხერხდა: წებულდელი მარშან ალმასიტი განზრახ წავიდა სანადიროდ, საზელი თავადი გეჩბა რაშიდი კი ავად გახდა.

მთავარმა კარგად იცოდა, რომ ამ ორი კაცის დახმარებით უფრო ადვილად დაიყოლიებდა უბიხებს საქმის მშვიდობიან მოგვარებაზე და ახლა მთელი გზა დარდობდა. მდინარე მზიმთა გადაიარეს და საუკეთესო ბედურებზე ამხედრებულებმა სწრაფად გასწიეს ჩრდილოეთისაკენ. გზის მარცხენა მხარეს ზღვა ხან გამოჩნდებოდა და ხან თვალს ეფარებოდა. უცბათ ნაპირიდან სწრაფად გაბრუნებული ფელუკა შენიშნეს.

მთავარმა ცხენი შეაჩერა და წამოწეულ მხედრებს ჰკითხა, ნეტავ ვისი იქნება ეს ფელუკა.

— ძალზე ჩქარობს, ეტყობა რუსებისა არ არის, — უპასუხა მაან კაცი და უზანგებზე წამოიწია, რომ უკეთესად დაენახა.

— ალბათ თურქი ვაჭრები არიან,  
— თქვა გირგულ ჩაჩბამ, — კაცმა  
რომ თქვას, ჰაჯი კერანტიხი მართალია,  
ვინმესთან ხომ უნდა ივაჭროს.

— ისევ ინგლისური იარაღი მოიტა-  
ნეს, — თქვა მთავარმა. იგი ახლა  
ზღვას კი არა, ბორცვზე მიმავალ ბი-  
ლიყს ვასცქეროდა, ტყისკენ რომ მიიკ-  
ლაყნებოდა. ბილიყზე იარაღით მძიმედ  
დატვირთული ოცდაათამდე ცხენი გა-  
მწვრივებულიყო. მთავარი დიდხანს  
იღვავ, ადგილიდან არ დაძრულა, სანამ  
უკანასკნელი ცხენიც არ გაუჩინარდა  
ტყეში.

— ცუდი ამბავია, ძალზე ცუდი.  
უბიხებს სისხლით აზღვევინებენ ამას.  
უბედურება დატრიალდება.

წინასწარმეტყველურად ნათქვამი  
ეს სიტყვები კარგად დაახსომდათ მთა-  
ვრის თანამგზავრებს. ამას ასე იგონებ-  
დნენ ძველად მოხუცები.

აფხაზეთის მთავარ ჰამუთბეი ჩაჩ-  
ბას იმ დროისათვის რუსეთის არმიის  
გენერალ-ადიუტანტის წოდება ჰქონდა  
და რამდენიმე რუსული სამხედრო  
ორდენით იყო დაჯილდოებული. ჯილ-  
დობებიც და წოდებაც იმით მოიპოვა,  
რომ მეფის გენერლებს ესმარებოდა  
მთელთა დამორჩილებაში, რომლებიც  
არც რუსეთს სცნობდნენ და არც მთა-  
ვრის ძალაუფლებას. მაგრამ ახლა. ჰამ-  
უთბეი უბიხებთან მიდიოდა, არა რო-  
გორც მეფის გენერალი, არამედ როგ-  
ორც მთიელი მთიელებთან. მას უბრა-  
ლო სამგზავრო ჩოხა ეცვა. ყველაფერი  
ეს ჩაწერილია ამ ამბის უშუალოდ მო-  
წმეთა ნაამბობის მიხედვით. ისინი  
ამბობენ, რომ ჰამუთბეი მთელი გზა  
ხმას არ იღებდა, ცუდ ხასიათზე იყო  
და რაღაც მძიმე საფიქრალს გაეტაცა.

ჯერ კიდევ ყირიმის ომამდე გადა-  
ვიდა ჰამუთბეი ჩაჩბა რუსი გენერლე-  
ბის მხარეს მთიელებთან ომში და თა-  
ვისი ძალაუფლებაც განამტკიცა. ყი-  
რიმის ომის დროს კი ძალზე ცუდ დღე-  
ში ჩავარდა. რუსეთის სამხედრო ნაწი-  
ლები გემებზე სხდებოდნენ და შავი  
ზღვის სანაპიროს ტოვებდნენ, ცხადია,

დროებით, სტრატეგიული მოსაზრებია  
გამო. აფხაზეთის მთავართან კი სტამ-  
ბოლიდან მოუხშირეს სტუმრობას. რა-  
თა თურქეთისაკენ გადაეძალათ იგი.

ჰამუთბეი ჩაჩბას თანამედროვე ია-  
რალსა და საუკუნის დიდებას ჰპირდებ-  
ოდნენ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ და-  
იყოლიეს. ის კი არა და, მაშინაც კი  
ვერ აცდუნეს, აფხაზეთის სანაპიროზე  
რომ დაიწყეს გადმოსხნომა თურქეთის  
სამხედრო ნაწილებმა.

ჰამუთბეის ამ სიმტკიცეს ორი მიზე-  
ზი ჰქონდა: მან სხვებზე უკეთ იცოდა  
რუსეთის ჰერმარტი ძალა და თუმცა  
ყირიმის ომში წარუმატებლობა კარ-  
გად მოეხსენებოდა, მაინც არა სჯერო-  
და, რომ რუსეთი საბოლოოდ დათ-  
მობდა აფხაზეთს. ამიტომ, შემდგომ-  
შიც რუსეთის ერთგულა, რუსეთის  
იმპერიას აფარებდა თავის სამთავროს,  
თვალუწვდენელ თავის მამულებს; თა-  
ნაც ყოველწლიურად ათი ათას მანეთს  
(გერცხლით) იღებდა იმპერატორის  
ხაზინიდან.

მეორე მიზეზი შემდეგი იყო: ჰამუ-  
თბეი ჩაჩბამ იცოდა, რომ აფხაზეთის  
ერთი ნაწილი არ იწონებდა მის რუს-  
ულ ორიენტაციას. მაგრამ ისიც კარ-  
გად მოეხსენებოდა, რომ აფხაზეთის  
უმრავლესობას არც თურქეთის მორ-  
ჩილება უნდოდა, რაკი საკუთარ ზურგ-  
ზე ჰქონდათ ნაწენვეი სულთანის სამა-  
სი წლის ბატონობა. ჰოდა, ამის გამო  
შეიძლება აჯანყებულიყვნენ კიდევაც.  
თურქები კი, ღმერთმა იცის, მხარს და-  
უჭერდნენ თუ არა. ვინ იცის იქნებ მის  
ნაცვლად თავიანთი უფრო გამოსადეგი  
ვინმე შეერჩიათ.

დაუფასდა მთავარს ის სიმტკიცე ყი-  
რიმის ომის დროს რომ გამოიჩინა:  
რუსები აფხაზეთში დაბრუნდნენ და,  
ამის შემდეგ, პირველ ხანებში ჰამუთ-  
ბეი ჩაჩბა მართლაც ნამდვილ მთავრად  
გრძნობდა თავს.

კავკასიის ბრძოლა დასასრულს უახ-  
ლოვდებოდა. შამილი დაეცა. დასავ-  
ლეთ კავკასიის გარდა ყველგან მიწე-  
ლდა საომარი მოქმედება და მეფის მთა-

ვრობა ისე დიდად აღარ აფასებდა იმ მთავრების თანადგომას, წარსულში მხარს რომ უჭერდნენ რუსებს ქედუხრელი მთიელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1862 წელს აფხაზეთი უკანასკნელი სამთავრო იყო მთელ კავკასიაში და ალბათ იმასაც მაშინვე გააუქმებდნენ. მეფისნაცვალს თავად ბარიატინსკის ასეთი წერილი რომ არ მიეწერა იმპერატორისათვის: „თავადის დევნა ვნების მეტს არაფერს მოგვიტანს. როგორც ჩემთვის ცნობილია, მისი გავლენა აფხაზეთსა და მეზობელ ტომებზე კვლავ მნიშვნელოვანია. ამიტომ მისი ჩვენდამი კეთილგანწყობა ძალზე სასარგებლოდ მიმაჩნია“.

მაგრამ ორი წლის შემდეგ დრო შეიცვალა, მდგომარეობა გაუარესდა. კავკასიის ახალი მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ფიქრობდა, რომ აფხაზეთის სამთავროს უკვე აღარ შეეძლო რაიმე ახალი სარგებლობის მოტანა, ამიტომ უნდოდა, რაც შეიძლება ჩქარა და შეუმჩნეველად გაეუქმებინა ეს უკანასკნელი სამთავრო, რომელიც თუნდაც მხოლოდ სახელწოდებით ასწენებდა თავის ოდინდელ დამოკიდებულებას.

ჰამუთბეი ჩაჩბამდეც მოაღწია შემაშფოთებელმა ხმებმა ამ გეგმებსა და გლეხთა იმ რეფორმებზეც, რუსეთში რომ ხდებოდა და, არავინ რომ არ უწყობდა როდის და რაგვარად, ადრე თუ გვიან, აფხაზეთშიც რომ დაიწყებოდა. აფხაზეთის მთავარს თავის თავზე ნაკლებად როდი აწუხებდა თავისი მემკვიდრის გიორგის ბედი, რომელსაც დიდხანა აფხაზეთის მომავალ მთავრად სახავდა ოცნებაში. ჰამუთბეი ჩაჩბას დროის მოგონება უნდოდა, სურდა რამდენიმე წლით მაინც გადაეწია უკან ახალი მეფისნაცვლის მიერ დაგეგმილი სამთავროს გაუქმება. შემაშფოთებელი ხმები კი უფრო და უფრო იზრდებოდა.

ჰამუთბეი ჩაჩბას რუსეთის ძალა გონივრულად ჰქონდა შეფასებული და

უბიძებს გულწრფელად ურჩევდა სისხლისღვრისა და უიმედო ბრძოლის შეწყვეტას.

ჰაჯი კერანტიხს სიმამაცე არ აკლდა, მაგრამ ჰკუთისა და შორსმჭვრეტელობისა რა მოგახსენოთ! ჰამუთბეი ჩაჩბა უბიძებთან მოსალაპარაკებლად მხოლოდ იმიტომ კი არ მიდიოდა, რომ იმათი ბედი აწუხებდა. არა, საკუთარი მდგომარეობით უფრო იყო შეშფოთებული.

მას უსაფუძვლოდ როდი მიაჩნდა, რომ ჰაჯი კერანტიხის შეურიგებლობა და სიჯიუტე აფხაზეთსაც ალაგზნებდა, განსაკუთრებით წებელდებებს, ახლო მეზობლობა რომ ჰქონდათ უბიძებთან. მას სწამდა, რომ, თუ უბიძები რუსებს დაუზავდებოდნენ, ეს მის ქვეშევრდომებზეც მოახდენდა გავლენას, რომლებსაც ქვეშევრდომები ერქვათ, თორემ პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე განუდგებოდნენ ხოლმე რუსეთს.

ჩაჩბას ეგონა, რომ უბიძებთან შედეგიანი მოლაპარაკება დაეხმარებოდა ურჩი აფხაზეთის დამორჩილებაში. ეს კი რუსეთის თვალში მის ავტორიტეტს განამტკიცებდა. და ამით ჰამუთბეი ჩაჩბა იმას მიაღწევდა უბიძებთან, რაც ორი თვის წინათ რუსეთის გენერალმა ვერ შეძლო, ეს წარმატება ისე ამაღლებდა მეფისნაცვლის თვალში, რომ სამთავროს გაუქმებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა. ყოველშემთხვევაში, გაუქმების ამბავი დიდხინთ მაინც გადაიღებოდა.

თუ რით დამთავრდა ჰამუთბეი ჩაჩბას გამგზავრება და მოლაპარაკება, და რაც მთავარია, როგორ შემორჩა იგი მის თანამედროვეთა მესხიერებას, ამაზე ზაურყანის ყველაზე უფრო დალაგებული ნაამბობის ბოლო ნაწილი მოგვცემს წარმოდგენას, სიტყვა-სიტყვით რომ ჩაიწერე.

— გინდა დამიჯერე და გინდა ნუ დამიჯერებ, ძვირფასო შარას, მაგრამ ერთმა ან ორმა როდი მიაბზო. ან ერთხელ და ორჯერ როდი მიაბზეს ეს. შინიდან წამოსული ჰამუთბეი უბიძებთან



მისვლამდე ორ დღესა და ღამეს მუხ-  
ცივით იყო დადუმებული; ერთი სიტყ-  
ვაც არ უთქვამს ვინმესთვის.

მღუმარედ მოუძლოდათ წინ თავის  
მხლებლებს, სანამ ის ტრიალი მინდო-  
რი არ გამოჩნდა, სადაც შვიდი უზარ-  
მაზარი მუხის ქვეშ ჩვენი წმინდათა-  
წმინდა ბითხა ინახებოდა. პირობის თა-  
ნახმად აქ უნდა შეხვედროდნენ უბი-  
ხები ძიძიშვილს. მაგრამ მინდორზე,  
ვევება მუხების ქვეშ კაციშვილი არ ქა-  
ჭანებდა.

— რა მოხდა, რატომ არავინ არა  
ჩანს? — მიიხედ-მოიხედა და იკითხა  
ჰამუთბემ და, პასუხისთვის არც და-  
უცლია, ცხენი დასძრა.

მინდორის შუაგულამდე არ იყო მი-  
სული, რომ მოპირდაპირე მხარეს თა-  
ვისსკენ მიმავალი რაღაც გაურკვეველი  
შავი რამ შენიშნა. ერთი-ორი წუ-  
თი იარა გაოგნებულმა და მერე მიხე-  
და: ასამდე თმაგაშლილი, თავიდან ფე-  
ხებამდე შავით შემოსილი ქალი მოდი-  
ოდა, სწორედ ისე, დაკრძალვაზე რომ  
იციან ხოლმე წასვლა.

ჰამუთბეი ჩაჩბამ და მისმა მხლებ-  
ლებმა ცხენები მცველებს დაუტოვეს  
და ქალების შავი გუნდისკენ გაემართ-  
ნენ. მიდიოდნენ და შემფოთებით ეკი-  
თხებოდნენ ერთმანეთს:

— სად მიდიან, ან ადენი რატომ  
შეგროვილან, ნეტა ვინ მოკვდა?

ქალები თანდათან უახლოვდებოდნენ  
და ბოლოს ჰამუთბემ დაინახა: წინ  
თმაგაშლილი და შავებით მოსილი ძი-  
ძა მიუძლოდათ, ჰაჯი ბერჯეიტის  
ქვრივი.

იცნო თუ არა ჰამუთბემ თავისი ძი-  
ძა, ფეხს აუჩქარა და მიეახლა, მაგრამ  
ქალმა ზედაც არ შეხედა. ძიძა მიდიო-  
და და მოსთქვამდა, დანარჩენები ბანს  
აძლევდნენ. ჰამუთბემ ყური მიუვლო  
მოთქმას და ისეთი რამ გაიგონა, რის  
გაგონებასაც სიყვდილი ერჩია:

მგზავრო გამეღო, შუბარება გსმენია  
ჩემი?

გსმენია ჩემი უბედურება?

შემი გაზრდილი, დედობილის ძუძუნაწოვი

ციცხლად შედარია, ჰამუთბეი ცოცხლად  
შეცდარია.

ვაი, ასეთ მკვდარს თითონ მიწაც არ  
მიიბარებს

მოკვეთილ ქმნას... ლაფლასხული და  
შერისხული.

ასე დაკარგეს უბიხებმა თავის ძუძუსმეტ,  
ასე დაკარგეს აფხაზებმა პირშეო შთავარი.

შემდეგ ქალებს კოჭებამდე ნაწინა-  
ვეებგაშლილი ჰამუთბეის ძიძიშვილი  
გამოეყო, თავში ხელები წაიშინა და ისე  
აკივლდა, რომ თავისი დედის ხმაც კი  
დაასმო:

ოჰ, ჰამუთბეი, ეს რა ჰქენი, რა ჩაიღინე,  
შენს ღობილს თავი რატომ მომჭერი,  
ო, ნუთუ, შეფის ოქრო-ვერცხლზე და  
ჩინ-მენდლებზე

შენი გამზრდელი უბიხების მიწა გაჰყიდე?  
ო, ძმაო, ძმაო, მენაწები და მებრალები,  
რა საშინელი სიყვდილით მოკვდი.

ქალები უფრო და უფრო ხმამალ-  
ლა ქვითინებდნენ. მათ შორის თავჩა-  
ქინდრული იღვა ქვასავით გაშეშებუ-  
ლი ჰამუთბეი. ბევრი რამ ჰქონდა გა-  
დატანილი, მაგრამ ასეთი უბედურება  
და შერცხვენა არასოდეს ენახა.

ჰაჯი კერანტიხი უბიხების მიწაზე  
შეხვედრას შეჰპირდა, მაგრამ ისე შე-  
ხვდა, როგორც მოსისხლეს და არა რო-  
გორც ძიძიშვილს.

ჰამუთბეი ძლივს მოეგო გონს, ქა-  
ლებს გამოარდა, ცხენს ეცა და უნაგირს  
მოეკვლო:

— იტირე, ჩემო ძიძავ, — დაუძახა  
აცრემლებულმა, — იტირეთ, ჩემო ძი-  
ძიშვილებო, თქვენი გაზრდილიც  
თქვენთან ერთად ვტირი. იტირეთ, იტი-  
რეთ, თორემ მერე გვიან იქნება. იტი-  
რეთ, რადგან დაიღუპა უბიხების ქვე-  
ყანა. შენ კი, ჰაჯი კერანტიხ, ახლა რომ  
აღბათ დასცინი ჩემს ცრემლებს, დაი-  
ხსომე: მე კი არა, შენ გიწვევს შენი ხა-  
ლხის წყევლა-კრულვა!

ცრემლებისა არ რცხვენოდა ჰამუთ-  
ბეის, არც მოუწმენდია. მითრახი გა-  
დაუჭირა ცხენს და შემოილივით გა-  
აქენა, თითქოს უნდოდა, რაც შეიძლე-  
ბა ჩქარა მოეტოვებინა უკან ქალების  
მოთქმა-გოდება მისი თანმხლებნიც გი-

ყებივით მიჰქროდნენ, ჰენებით მიჰყვებოდნენ უკან და ერთმანეთს უსწრებდნენ.

**შარდინ ალოუს ძე**

იმ საშინელ დღეს მთელი ჩვენი ოჯახი შინ იყო, უმცროსი ძმის გარდა. ის კვლავ რუსულებს ებრძოდა. არ ვიცოდით სად იყო და რა სჭირდა. მამაჩემი ჰამირზა სამი დღის წინათ მკლავში დაიჭრა, ჭრილობა უჩირქდებოდა და ტეხავდა, მაგრამ ლოგინს გავრბოდა. ჭრილობაზე ტკივილის გამაყუჩებელი ბალახები დაიფინა, შეიხვია და დილიდან საღამომდე აფორიაქებული ბოლთასა სცემდა შინ და ეზოში. დედაჩემი და ჩემი ორივე და, სოფლის სხვა ქალებთან ერთად, მაუდს ქსოვდნენ მებრძოლებსთვის და მხოლოდ შუადღისას მოიციალეს საოჯახო საქმეების მისახედავად.

მე ყველაზე ბოლოს მივედი; რამდენიმე დღე განუშორებლად ვაბლდი ჰაჯი კერანტიხს ხელჩართულ ბრძოლებში.

იმ დღეს ხალხის რჩეულთა კრება უნდა ყოფილიყო, უნდა გადაეწყვიტათ, რა გზას დასდგომოდნენ. მე ჰაჯი კერანტიხთან ერთად დავბრუნდი. მან შინ გამიშვა ღამის გასათევად.

ცივი დღე იყო. საღამოვდებოდა. დილიდანვე ხვავრიელად თოვდა, ის-ის იყო, გადაიღო, რომ ჩვენს ქიშკარს ღონიერ ჯორზე ამხედრებული ბებიჩემის ვაზრდილი, მამაჩემის ძუძუსმტე შარდინ ალოუს ძე მოადგა.

პირველად მე წამოვხტი აღვირის დასაქერად, მერე კი მთელი ოჯახი ვარს შემთხვავია.

— რას შერები, როგორ ხარ, რას შერება შენი ჭრილობა? — ჰკითხა შარდინმა მამაჩემს.

— რა მიშავს, ჭრილობა რა სათქმელია! — უპასუხა მამაჩემმა. რცხვენოდა, ვერ გაემხილა, ჭრილობა რომ აწამებდა და მტკივანი ხელი ზურგს უკან დამალა.

— ჩვენო ძვირფასო ძმაო, ჩვენო იმნა, ცხვარი დაკალიო, ასეთი საგანგებო

ელო, ღმერთმა გაშოროს უბედობა და ავადმყოფობა, შენს ნაცელად მე შემეყაროს შენი ჭირი, — უთხრა დედამ, სამჯერ შემოუთარა გარშემო, ყველა ავადმყოფობა რომ მოეშორებინა, და მკერდზე ეამბორა. ჩემმა დემაც მორცხვად გაიმეორეს იგივე.

შარდინი შინ შევიდა. ჩვენც შევეყვით. მე ნაბღისა და ბოხობის მოხდაში მივეშველე. ქულიც და ნაბადიც დაფეროთზე და კედელზე ჩამოვეიდე.

შარდინ ალოუს ძე დაბალი, ბეჭებანიერი და ძალზე ღონიერი იყო წელი გამსხვილებოდა, ღიბი დაედო. შავი წვერი ფართო მკერდზე დაჰფენოდა.

დედამ აღუღუნებული კერიის წინ, სკამზე ტყავის ბალიში დადო და შარდინიც ზედ დაბრძანდა. ამ ბალოს მხოლოდ საპატიო სტუმრებს დაუდებდნენ ხოლმე სკამზე.

უმცროსებს არც კი გვიფიქრია ჩამოსხდომა. ის კი არა და, დედა და მამა შარდინზე უფროსები იყვნენ, მაგრამ ფეხზე იდგნენ ესოდენ ცნობილი ნათესავის სტუმრობის გამო.

დედაჩემმა ჯაქვზე ქვაბი ჩამოჰკიდა ღომის ჩასადგმელად. ასე იცოდა ყოველთვის, როცა შარდინ ალოუს ძე გვეწვეოდა ხოლმე. მამამ თვალით მანიშნა, ცხვარი დაკალიო, ასეთი საგანგებო შემთხვევისთვის რომ გეყავდა ნაპატივები.

შარდინი მიუხვდა მამაჩემს და თქვა ძალიან მეჩქარება და ვახშმად ვერ დავრჩებიო. მერე დაუმატა:

— ვიცოდი დაჭრილი იყავი და გადავწყვიტე ვინახულე-მეთქი. ჩემი ნათესავები ხართ და თან მოსალაპარაკებულადც მოვედი. მოგესხენებათ, ჭირის დღე დაგვიდგა და ამ დროს თქვენზე ახლობელი ვინა მეგულებათ, პოდა, რჩევის მოსაცემად მოვედი. — ასე ლაპარაკობდა შარდინი, მე კი ვუსმენდი და ჩემთვის ვფიქრობდი: ნეტარის თქმა უნდა, იქნებ რაიმე სასიკეთო გვირჩიოს მეთქი.

— მართალია, — უთხრა მამაჩემმა, — უბიბებს არასოდეს დაგვტყლომიო

თავს ასეთი მძიმე განსაცდელი. მარტო ჩვენ კი არა, ყველანი იმედით შემოგვცქერიან. ბედნიერი ვართ, ჩვენი კერი რომ აირჩიე, რომ მოისურვე ჩვენთან ერთად ჩამოვდე და ისაუბრო ამ უკუღმართ ღროში.

შარდინ ალოუს ძემ ბეშმეთიდან შავი სიგარა ამოიღო. ასეთი სიგარები აღრეც ჰქონდა, თურქ ვაჭრებს ჩამოჰქონდათ ხოლმე მისთვის. კერიიდან ნაკერცხალი ავიღე და შარდინს მივეუტანე. მან სიგარას მოუკიდა და თქვა:

— ალბათ იცით რომ ჰაჯი კერანტიხმა დღესაც შეჰყარა საბჭო, რათა გადაწყვიტონ, რა გზას დაადგენ უბიხები. არ ვიცი, რამდენხანს გაგრძელდება ბჭობა. ჯერ კი არაფერს გადაუწყვეტიათ და სანამ ბჭობა გრძელდება, მინდა გაუწყო თვითონ მე რას ვფიქრობ სულერთია, მეფის გენერლება აქ, ჩვენს მიწაწყალზე ცხოვრების უფლებას აღარ მოგვეცემენ. ბრძოლის ხაზი კი მთებისკენ იწევეს, უფრო და უფრო გვიანლოვდება. სანამ ყველა ხისტებზე არ ავუგვივართ, სჯობს თავის გადარჩენაზე ვიფიქროთ.

თურქეთის სულთანი — ლაპის ნაცვალის დედაიწიანზე — გვიხსნის განსაცდელისაგან, თუ დაეთანხმდებით და მის ჭეშმერდომობას მივიღებთ. ამ რამდენიმე დღის წინათ თურქი ვაჭარი მესტუმრა სტამბოლიდან. დიდი ხანია ვიცნობ და მჯერა კიდევ მისი. მდიდარიც არის და სულთანის დაახლოებულ პირებსაც იცნობს. როგორც შევიტყვე, ის ახლა ჩვენთან მარტო სავაჭროდ არ ჩამოსულა. ჩვენი მეზობლების — ნათუხაელების ამბავს მიამბობდა, უკვე თურქეთში რომ არიან დასახლებული. სულთანმა შეასრულა ნათუხაელებისათვის მიცემული სიტყვა — იქ დასახლა, სადაც თვითონ ისურვეს. თურმე ნამდვილი საშოთხეა. არც ძალიან ცხელა და არც ძალიან ცივა. ყოველთვის ისეთი ამინდია, ჩვენთან რომ იცის გვიან გაზაფხულზე. ყველაფერი ხარობს, რაც აღამიანს სჭირდება ჩხიკვს რომ სიმიანდის მარცვალის გაუ-

ვარდეს ნისკარტიდან, ერთ დღეში ამოვა და დატაროვდება. იქნა თურქმა ვაჭარმა ჩებს მარტო სახნავში ამუშავებენ, წველით კი არ წველიან, რადგან რძე არ სჭირდებათ, თურმე მურყანივით არის მოღებული რძის ხეები. მიხვალ ხესთან, ცოტას გაჭრი დანით და დოქში ჭაფქაფით ჩავა სქელი რძე. მაწვნის შედედება თუ გინდა, ამ ხეს ერთ ფოთოლს შეაწყვეტ, რძეში ჩააგდებ და შინ მისვლამდე ისე შედედედება, რომ ვერ გაჭრი. გოგრებია და, — იხველა იზრდება, რომ ნაჯახით თუ არ დაჩეხე, დანით ვერაფერს დააკლებ.

ისეთ სასწაულებს ყვებოდა, რომ პირველად არც კი დაივიწყებ, მაგრამ ჯიბიდან წერილი ამოიღო, იქაური ნათუხაელის მუსათის წერილი იყო. ჩვენ კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, სტუმრად ვყოფილვართ ერთმანეთთან. ალბათ თქვენც იცნობთ მუსათს. ჰოდა, სწორედ ის მუსათი იწერებოდა ყოველივე ამას.

აი ის წერილიც, — თქვა შარდინმა და ჩოხის შიდა ჯიბიდან რამდენჯერმე დაეცილი ჭაღალდი ამოიღო, გაშალა, გაასწორა და ყველას გვაჩვენა.

აბა ვის შეგვეძლო წაკითხვა? ჩვენს ოჯახში კი არა, მთელ აულში არ მოიძებნებოდა კაცი, თუნდაც ერთი ასო რომ სცოდნოდა რომელიმე ენაზე. მე მგონი მამაჩემის ბუბუსტემაიც, შარდინმაც არ იცოდა წერა-კითხვა. ცოტა ხანს ეჭირა წერილი ხელში, მერე შეინახა და ისევ თავისი სიტყვებით დაიწყო თხრობა რაც მოსწერა მუსათმა აღრე არასოდეს გაგვეგონა მისი სახელი, ახლა კი ძალზე გვიჭებდა შარდინი.

— მუსათი აქაც დაფასებული კაცი იყო. თურქეთში კი იხველა თანამდებობა მიუღია, თვით დიდ ვეზირებთან ყოფილა დაახლოებული. თურქ ვაჭარს შეიძლება მოგეტყუებინე, მაგრამ მუსათი ხომ არ მომწერდა ტყუილს. რაც გინდა იყოს, ჩვენი მთების შეილია და მასპინძლობაც ბევრჯერ გამოიწევია მისთვის.

აქ კი რისი იმედი უნდა გვექონდეს, ველოდოთ რუსი გენერლები როდის გადაგვასახლებენ ყუბანში? მშობლიური ტყეებიც ვერ დაგვიფარავს ისეთი ცივი ზამთრისაგან, ახლა რომ არის, იქ შიშველ სტეპებში ბუხებივით დაეხოცებით სიცივისაგან. სარწმუნოებასაც დაეკარგავთ, ჩვენს შეილებსაც ჯარისკაცებად წასახამენ და მიწის ყიდვაც ჩვენ თვითონ მოგვიწევს, რადგან რუსეთში მემამულეები უკვე აღარ ზრუნავენ გლეხობისათვის, ეს უფლება უკვე ჩამორთმეული აქვთ. რით უნდა იყიდოთ მიწა? არ იყიდით და როგორ იცხოვრებთ? ჩემო ძიძიშვილო ჰამირზა, მე ყველაფერი გითხარი, რასაც ვფიქრობ, ახლა შენი აზრი მინდა გავიგო. — ასე უთხრა შარდინმა მამაჩემს. მამაჩემი გამხმარ ხესავით გაშეშებულიყო სალი ხელით მტკივანი ხელი ეჭირა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ხმელი შეშის ტყავა-ტყუცი ისმოდა, გააფთრებული რომ ნთქავდა მშვირი ალი. ამ შუა ზამთარში ჭექა-ქუხილიც კი არ გავგაოგნებდა ისე, როგორც შარდინის სიტყვებმა გავგაოგნა, თუმცა ის სასწაულებს გვიყვებოდა და სამოთხეს გვიპირდებოდა.

მამაჩემი იმდენხანს დუმდა, რომ მოლოდინით ყელი გამიშრა და მომჩევენა, რომ ენა ჩამივარდა. ძლივს გავიგონე მამაჩემის პირველი სიტყვები, ისე ჩუმად და წყნარად დაიწყო ლაპარაკი:

— ჩვენო გარბილო, შენ ხარ ჩვენი იმედი. შენ ჩვენზე ჰკვირიცა ხარ. ჩვენზე მეტიც გინახავს და უკეთესად იცი, როგორ უნდა მოვიქცეთ. სადაც უნდა წახვიდე, ჩვენც შენთან ერთად ვიქნებით და ისე გემსახურებით, როგორც გემსახურებოდით. სხვა რა უნდა გითხრა იმ კაცმა, რომელმაც ხენისა და თესვის მეთი არაფერი ვიცო. მაგრამ ნებას თუ დამრთავ, ერთი რამ მინდა გკითხო. რა გადაწყვიტა საბჭომ. ყველა უბანი იმ ზნას ადგას, რომელზეც ჩვენ უნდა გამოგყვეთ?

— ჯერ არ გადაწყვეტილია. არც ის ვიცი, სხვა უბნები რას იზამენ, მაგრამ მე თქვენზე ახლობელი არაფერი მყავს და თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ ჩემი განზრახვა გამეზიარებინა. — უბასუხა შარდინმა და მე მის თვლებში ჩამდგარი შიში დავინახე.

— მამინ, ჩვენო ძმავო და ჩვენო იმედო, უკეთესი ზომ არ იქნებოდა საერთო ბედი გავგეზიარებინა? — ჰკითხა მამაჩემმა ჰამირზამ. — როცა ერთნა იბრძვიან, მეორენი როგორ დაყრიან იარაღს და ზღვის იქით როგორ გაემგზავრებიან. პირველნი როგორ ჩავაქრობთ საკუთარი ხელით წინაპართა კერას? პირველნი როგორ მივატოვებთ მამაპაპათა საფლავებს? პირველნი როგორ გამოვეშვიდობებით ჩვენს სალოცავ ბითხას! ან ამ მიწას რა ეშველება? იქნება კი თურქეთში ისეთი მიწა, ამას რომ სჯობდეს ან ამისთანა რომ იყოს? მიწებს ჩვენ ხომ არ გვაყიდვიანებენ? — მამაჩემს კიდევ უნდოდა რალაცის თქმა, მაგრამ დედაჩემის ქვითინმა შეაწყვეტინა.

— მე საცოდავს რა მეშველება, რა გაიგო, როგორ იქნებიან ჩემი ძმები წებულაში? ისინი აქ როგორ დავტოვო და მე ზღვის იქით როგორ გავემგზავრო? რა ბედნიერია, ვინც მოკვდა და ამ დღეს არ მოესწრო! — დედაჩემი მწარედ მოსთქვამდა, ჩემი დები კი უკან იდგნენ, ზურგზე აკვროდნენ და ტიროდნენ.

დედაჩემს ტირილი არ უყვარდა. შარდინმა პირველად გაიგონა მისი ქვითინი და დამშვიდება დაუწყო.

— ჩემო დაო, შენ ყოველთვის აოცებდი კაცებს სიმამაცით და ცრემლის ღერა არ შეგშენის. შენი ძმები ვაჟკაცები არიან და ვერ შეეგუებიან მეფის გენერლების ჩექმებით გათელვას. ისინი ალბათ ან ჩვენ გველოდებიან, ან უკვე გამგზავრებული იქნებიან თურქეთს. მალე ნახავ ცოცხლებს და ჯანმრთელებს აღთქმულ მხარეში. შენ კი, ჰამირზა, — მიმართა მან მამაჩემს, — ნუ გეშინია, იქ არაფერ მოგთხოვს

მიწის სასყიდლს. ამას მე გეუბნები, შარდინი, ალოუს ძე! აქ ვი ჩქნება იმის თაემდები, რომ მეფის გენერლები ყუბანში კი არა, უფრო შორს არ გადაგვასახლებენ! მოგვატყუებენ, გვეფერებიან, სანამ იარაღი გვიჭირავს ხელში, შემდეგ კი ვინ დაუშლით, იქნაბ პირდაპირ ციმბირშიც გვიკრან თავი. სარწმუნობასაც წაგვართმევენ, ბავშვებს ძალით მოგვანათვლინებენ.

სწორედ ამ დროს შორეული სანაპიროდან ზარბაზნების ქუხილი ვაისმა და შარდინს სიტყვა გაუწყდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, თითქოს ეშმა ამომხტარიყოს ჩვენი კერის წინ.

— შენ კი ასე მშვიდად რა ვაჩერებს, გაქრული ხარ, მეტი ხომ არაფერი! არ გესმის ზარბაზნების ქუხილი? იქნებ სწორედ ამ ზარბაზნით განვმირული დაეცა ჩვენი შვილი! — წამოიძახა დედაჩემს.

ზარბაზნის ხმა რომ გაიგონა, დედამ ტირილი შეწყვიტა და განრისხებული მოგვჩერებოდა კაცებს.

— რა დაგეპართა, — უსაყვედურა მამამ, — დწყნარდი და მოთმინება იქონიე.

დედა გაჩუმდა, მაგრამ მაინც ისეთი თვალებით გვიყურებდა, რომ მიწის გასკდომას ვნატრობდით.

ზარბაზნების გრიალი კი ისევ ისმოდა სანაპიროდან.

— თავის დაღუბვა თუ არ გინდათ, გირჩევთ ამაღამიდანვე შევედგეთ გამგზავრებისათვის მზადებას. — თქვა შარდინს და მე მომიბრუნდა, — ნუ დაგავიწყდება, ზაურყან, რომ ბევრ ახალგაზრდას უნდოდა ჰაჭი კერანტიხის პირადი მცველობა, მაგრამ ეს პატივი ჩემი წყალობით შენა გხვდა წილად. მინდოდა დამეახლოვებინე მასთან, აზნაურობა რომ მიეღო თქვენს გვარს, მაგრამ უბედურება უბედურებაზე დაატყდათ თავს უბიხებს და ხელი შეგვეშალა. მე თვითონ დაგაბლოვე ჰაჭი კერანტიხს, ახლა კი გეუბნები: უნდა ჩამოშორდე! ჭერჭერობით არ აშხელს, მაგრამ ვიცი, თვითონაც

აპირებს თურქეთში გადასვლას მთელი თავისი ნათესავებითა და ქვეყნეულებით. და მე არ მინდა, ჩემმა ძიძიშვილმა ბრძოლის ველი მიატოვოს და სამშობლოდან გაქცეულს მონასავით ემსახურებოდეს გზაში. უნდა ჩამოშორდე კერანტიხს, ამიერიდან ნე ვიქნები შენი მფარველი.

ეს ისე თქვა, თითქოს ხანჯლის წვერი გამიყარა გულში.

— არა ხარ მართალი! — წამოვიძახე მე, ჰაჭი კერანტიხისი ცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლებს. ის მხალაო არ არის და მეც არასოდეს დაეარღვევ ჩემს ფიცს, განსაცდელის ეამს არ მივატოვებ.

— რა მოგივიდა, — შემაწყვეტინა შარდინმა, — როგორ მეღაპარაყები და მაინც ვანვაგრძე:

— მაპატიე, ხმის ამოღება რომ გავბედე შენს წინაშე — დიდებული ნათესავის წინაშე, მაგრამ ვაოცებული ვარ: ვანა შენ არ მოდიოდი ხოლმე ბრძოლაში პირველი? ვანა შენ არ გვეუბნებოდი, რომ ყველა, ვინც კი გიჟურის ტყვიით დაეცემა, პირდაპირ სამოთხეში მოხვდებაო? ახლა კი, იარაღს თუ დავყრი, მაშინ მოხვდებით სამოთხეში? ეს სამოთხე თურქეთია და შენ გვირჩევ იქ გადასახლებას? ან შენ და ან სხვა შენისთანა დიდებულები აღრე რას ფიქრობდით? ასე ადვილი თუა სამოთხეში გაქცევა, იქ, ცაში ვინდა დაფსებს ბრძოლებში დაღვრილ სისხლს, ვინ გაუხსნის სამოთხის კარს ომში ტყუილ-უბრალოდ დაღუბულთ? შენ კი, მამაჩემო, რატომ გავგზარდე ვაეკაცებად, რატომ გვსწავლიდი სიკვდილისა არ შეგვეშინდეთ, როცა საკუთარ კერას იცაეთო?

თვითონ არ ვიცოდი რა შემართებოდა, მაგრამ არაფერს აღარ შეეძლო ჩემი გაჩერება. მანამდე კი არამც თუ ჩვენი სტუმრის წინაშე, ღმერთად რომ მიგვანადა, არამედ მამაჩემთანაც ვერ ვბედავდით ხმის ამოღებას.

— გაჩუმდი! — გამაწყვეტინა მამაჩემმა, — შენს მაგივრად მე მრცხენია!



მეც კი ზედმეტად ხმაშალალი მეჩვენება შენი ლაპარაკი. სირცხვილი გვაქამე, ისე თავხედურად ელაპარაკე ჩვენს ძვირფას ნათესავს. განა ასე შორიდან, ზამთრის ასეთ სუსხიან დღეს მოვიდოდა ჩვენთან, რომ არ ვუყვარდეთ ეს უბრალო და უგუნური ხალხი? — გამამათრახა მამაჩემმა და შარდინს მიუბრუნდა.

— გვაბატიე, უცბათ რომ ვერ მოვისაზრეთ, რა ვიპასუხოთ. თუკი შენ, ჩვენს ყველაზე უფრო ახლობელ მფარველს გჯერა, რომ თუ შენთან ერთად თურქეთს გავემგზავრებით, იქ კარგად ვიცხოვრებთ, მთელი ჩემი ოჯახი წამოვა და მუდამ შენთან იქნება განუყოფელი.

ამას რომ ამბობდა, მამაჩემი დამნაშავესკვით იღვა შარდინის წინაშე თავჩაქინდრული. ეშინოდა, ვაითუ, გავვიბრალდო, მაგრამ ჩვენი სტუმარი პირიქი ი, უფრო გამხიარულდა. ტახტიდან წამოდგა, ჩექმებზე მათრახი გაიტაკუნა და ისე დაიწყო ლაპარაკი, თითქოს არც შეკამათებოდეს ვინმე.

— ხლა დრო არ უნდა დაკარგოთ. ბარგი შეაგროვეთ გასამგზავრებლად. საქმელზეც იზრუნეთ. აბა, მივდივარ, მეც მოსამზადებელი ვარ! თქვენი დამარება თუ დამქირდა, შეგატყობინებთ. ჭერჭერობით კი, ჰამირზა, შენი ჭრილობა, ალაპის წყალობით, საშინო თუ არ არის, ჩვენს ნათესავებსა და მეზობლებს ჩამოუარე. მართალია, ჭერ მოხუცი არა ხარ, მაგრამ დიდ პატივს გცემენ და ბარემ შენგან გაიგონ ჩემი სათქმელი. ტყუილ-უბრალოდ ნუღარ დაღერიან სისხლს, გასამგზავრებლად მოემზადონ და ნურაფრის დარდი ექნებათ. დაუმტკიცე, რომ შარდინ ალთუს ძე ყველგან და ყოველთვის თქვენთან იქნება. თუ ვინმე ყუბანში ვადასახლებას ურჩევთ, არ დაეთანხმონ.

ასე გადაწყვიტა ყველაფერი ჩვენს მაგივრად შარდინმა, დრო აღარ დაუკარგავს, ჯორზე შეჯდა და წავიდა.

მაშინ ასეთი წესი იყო: ჩვენი თავადები სალაშქროდ თუ არ იყვნენ წასუ-

ლი, ან სხვა თავადებთან თუ არ იმყოფებოდნენ სტუმრად, ჩვენთვის უფრო მთავარი იყო გლეხებთან მოდროდნენ. მსხტმე, ჯორებზე ამხედრებულები. მთის ბილიკებზე ჯორით სიარული უფრო მოსაზრებელია, თუკი არ გეთაკილება ჯორზე ჯდომა.

გავაცილეთ შარდინი. მღუმარედ ვიდექით და ისე მივჩერებოდით ცეცხლს, თითქოს იმ წუთას დავბრუნებულყავით დაკრძალვიდან. ვიდექით, ვიდექით და, როგორც იქნა, ჩამოვსხედით.

ღედაჩემმა ღომი აღარ ჩაადგა. ის კი არა და, ქათმებიც აღარ დაუმწყვდევია საქათმეში. ჩემად იჯდა და ცრემლებად იღვრებოდა. არც მამაჩემი გასულა ძროხების მოსწველად. იჯდა ჩაფერფლილ ცეცხლთან და მღუმარედ ფიქრობდა. რამდენჯერმე დაეცვარა შუბლი ოფლით და ყაბაღახის ბოლოთი მოიწმინდა. არც მაშინ ამდგარა, ძალი რომ აყმულდა ეზოში. ეტყობა, ქარის მოტანილმა ზარბაზნების ყრუ გუგუნმა შეაშინა. მამაჩემმა არც კი შეუყვირა ძალს, თუმცა იცოდა, რომ ყმული უბედურებას მოასწავებდა.

გარეთ მოუწველავი ძროხები ზმუოდნენ. უცბათ მამალმაც იყილა, თითქოს გათენებას ვეღარ დაუცადა და მთელ აულს უნდა მოჰფინოს, ოჯახის პატრონი კერის ჩაქრობას აპირებსო.

მე მამაჩემის პირდაპირ ვიჩქეი და ხან ჩვენი ფაცხის კედელს შევყურებდი, ხან გაჭვარტლულ ჭერს და ხან კიდევ ბაბუაჩემის გამოქედალ ოჯინჯალს. ყოველივე ამას ბავშვობიდანვე ვიყავი შეჩვეული, მაგრამ ახლა განსაკუთრებით ლამაზი და საყვარელი მეჩვენებოდა და მენანებოდა მიტოვება.

ჭერ კიდევ იმაზე ვოცნებობდი, რომ მოვიყვანიდი მომავალ შემოდგომაზე აქ, ამ სახლში ჩვენი მეზობლის ქალიშვილს ფელდიშს. ისინი ახლო მეზობლები არ იყვნენ, მეორე აულში ცხოვრობდნენ. პირველად შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, შემდეგ კი ხშირხშირად ვხვდებოდით ჩვენი აულიდან მისი აულისაკენ მიმავალ ტყის ბილი-

კებზე. ვიცოდი, ჩვენები ყველგანს ხედებოდნენ და ქორწილის თადარიგს იჭერდნენ. „ახლა კი რა უნდა ვქნა? როგორ მოვიყვანო ფელდში სახლში, როცა სახლი აღარ მექნება? — მწარედ ვფიქრობდი გუნებაში.

დაქორწინდებით კი კი საერთოდ? — ვეკითხებოდი ჩემს თავს. რაც უფრო დიდხანს ვიჯექი და ვფიქრობდი, მით უფრო მეჩქარებოდა გათენება: ცხენს მოვახტებოდი და ფელდშისაკენ გავქანდებოდი.

დედაჩემი დროდადრო ამოიხრებდა ხოლმე და ჩურჩულით წარმოთქვამდა ჩემი ძმის სახელს. დებიც ხან ოხრავდნენ და ხან ტიროდნენ.

არ ვიცი რამდენ ხანს ვიქნებოდი ამ ყოფაში, უცბათ ძალს რომ არ აეტეხა ყეფა. ვიღაც სახლს მოუახლოვდა. გადავაბიჯე თუ არა ზღურბლს ფეხი, ჩემი ძმა დავინახე. კი არ მოჰყავდათ, თითქმის მოათრევდნენ. მეც მივეშველე, შემოვიყვანეთ და სკამზე დავაწვინეთ. მთლად სისხლში იყო მოსვრილი. დედა და დები წივილ-კივილით მისცვივდნენ. ერთმა კაცმა მითხრა, შენი ძმა თუძოშია დაჭრილი, ჭრილობა საშიში არ არის და ნუ გეშინიათ, განიკურნებაო. მეტი არაფერი უთქვამს.

ცეცხლი დაანთეთ და წყალი აადუღეთ — გვითხრა მამამ. ტანზე გავხადეთ მატას. ბევრი სისხლი დაედვარა და დასუსტებული იყო. ჭრილობა დიდი იყო, მაგრამ საშიში კი არა ჩანდა. მამამ ჭრილობის კარგი მოვლა იცოდა და ამ საქმეში სახელიც ჰქონდა გავარდნილი. ახლაც სწრაფად მოუარა მატას. სისხლის დენა შეუჩერა და მაგრად შეუხვია ჭრილობა. ჯერ წყალგარეული მაწონი დააღვივნა, შემდეგ კი ძალით აჭამა თაფლის თხელი ფაფა. მერმე მამა გვერდით მიუჯდა და ამ ხნის განმავლობაში პირველად გახსნა არიქა.

— ალაპმა შეგეწიყლა ჩვენცა და შენც ცოცხალი რომ დაბრუნდი, შეილო.

— ნეტავ არ დაგბრუნებულობიათ, — თითქოს ჰტერი არ ჰყოფნისო, მოგუ-

დული ხმით უბასუხა მატამ. — ყველაფერი დაიღუბა, მამა, ყველაფერი გავანადგურეს. სადაც ჩვენ ვიბრძოდით, მთელი მიწა მკვდრებით არის მოფენილი. რამდენიმე მხედარიღა გადავრჩით ცოცხალი და ჩვენც ტყვი და თოფის წამალი გამოგველია. ყვირილით ვეკვეთეთ ჯარისკაცებს და რკალი გავარდვიეთ. ირგვლივ ისეთი ცეცხლი ბრიალებდა, რომ ცხენების ფაფარიც კი ხრჩოლავდა. როგორც იქნა, მოვახერხეთ ზღვის ნაპირისაკენ გაღწევა, მაგრამ მტრის ტყვია წამომეწია, თემოც გამიხვრიტა და ცხენიც მომივლა. ზემოდან დამეცა ცხენი. მიწაზე ვეგდე და ვუყურებდი, როგორ მიაჭენებდნენ ცხენებს უფსკრულისაკენ ცოცხლად გადარჩენილი მებრძოლები და პირდაპირ ზღვაში ხტებოდნენ. გაუმაძღარი ზღვა კი ცხენებიანად ნთქავდა მათ. სად არიან ჩემი ამხანაგები? რატომ ტყვიამ არ მომიღო ბოლო, რა მიწაა, აქ რომ ვწევარ კერძის პირას, რატომ შეგარცხენინ სიბერე?

— დამშვიდდი — უთხრა მამამ. — ბრძოლაში ყველა როდი იღუპება. ეინმე ხომ უნდა გადარჩეს ცოცხალი, ხელახლა რომ შეებას მტრის და მორიგ ბრძოლაში დაეცეს.

მამა თავზე ხელს უსვამდა და ისე ელაპარაკებოდა მატას. მერე გაჩუმდა და უხმოდ ეფერებოდა. მატას ძილი მოერია. ჩვენ გარშემო ვუსხედით და თვალი არ მოგვიხუჭავს, სანამ მზე არ ამოიწვერა თოვლიანი მწვერვალიდან. სახლში გლოვა გვექონდა, მზე კი ისე ჩახახებდა, თითქოს დღესასწაულიაო. მამამ დედასა და დებს საკმლის მოშადება დაავალა. ყველანი მაგრად გვასაუზმა, მატასაც კარგად აჭამა. მატამ ძლიერ გამოიღვიძა და ახლა გუშინდელზე გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს.

მამამ თავისი საუკეთესო ტანსაცმელი ჩაიცვა, სუფრის თავში დაჯდა და ყველანი სათითაოდ შეათვალიერა.

— ყველანი კაცებიც, ქალებიც მხნედ იყავით, არ დაძაბუნდეთ! ამას თუ მოვესწრებოდით, არ გვეგონა, მაგრამ

ჩვენი ძუძუსმტე შარდნი მართალია ამ მიწა-წყალზე დარჩენა არ შეიძლება, ყველა დაგვხოცავენ. ისეთი მიწა უნდა მოვძებნოთ, სადაც ომი არ იქნება. პოდა, დროა გასამგზავრებლად მოვემზადლოთ.

— სად უნდა გავემგზავროთ, რას ამბობ? — წამოიძახა ჩემმა ძმამ და წამოჯდა. ტყვილებმა მოკაცა საწყალი ჩვენ მთელი დამე გვაწამებდა გამგზავრების ფიქრი, მატას კი პირველად ესმოდა ეს ამბავი.

— დაწყნარდი, ჩვენ მუსულმანებისათვის აღტქმულ ქვეყანაში, თურქეთში უნდა გავემგზავროთ. სულთანს შეგვიფარებს და მიწასაც მოგვცემს. ჩვენი ძუძუსმტე შარდნი ალოუს ძე დაგვბირდა, თურქეთშიც არ მოგაკლებთ მზრუნველობასო. სხვა გზა არა გვაქვს, უნდა გავყვეთ. — ისე მორჩილად თქვა მამამ, თითქოს მართლა აღარ ყოფილიყოს სხვა საშველი.

— რას ლაპარაკობ! — იყვირა ამის გამგონე მატამ, — სულ ერთი კვირის წინათ ხომ რუსებთან საბრძოლველად გამგზავნე, შენც ხომ, სამი დღეა, რაც დაგჭრეს. გაიხსენე, რამდენ ბრძოლაში ყოფილხარ, ნაჭრილობევი მაინც დაითვალე!

— დაწვექი, სიცხე გაქვს, შვილო — უთხრა მამამ და აიძულა დაწოლილიყო. — შენი ყვირილი არ შეიძლება. მაგრამ კვლავაც თუ განვფარდეთ ბრძოლა, ერთი უბიხიც აღარ დარჩება ცოცხალი.

— არა მგონია ყველა ასე ფიქრობდეს, — ვუთხარი მამას, — არა მგონია, იარაღი დაყაროს ჩვენმა წინამძღოლ-

მა პაჭი კერანტიცმა. არა მგონია, კარგი ცხოვრება გველოდეს თურქეთში გაქცეულებს. არა მჭერა შარდნის ნამბობი. თავს ნუ მოიტყუებ, მამაჩემო!

ხან მე და ხან მატა რიგრიგობით ეცდილობდით გადაგვეთქმევივნინა მამაჩემისათვის შარდნითან ერთად განგზავრება. ის კი იჯდა და გვისმენდა. არც გვედაეებოდა და არც გვეთანხმებოდა. მერე კვერთხი აიღო და კარის ზღურბლიდან მოგვიბრუნდა:

— კარგი, ხალხის გადაწყვეტილებას დაველოდოთ. შენ კი, ზაურყან, პაჭი კერანტიხთან წადი. რაკი გუშინ შეყარა საბჭო, დღეს ან ხეალ რაიმეს გადაწყვეტენ. მე მეზობლებს ჩამოკვლევი და შარდნის სურვილს გადავცემ.

— არ წახვიდე, მამა! — იყვირა მატამ და კინაღამ წამოხტა სკამიდან. — არ წახვიდე! როცა სხვები ისევ იბრძვიან, როცა ისევ ისმის ზარბაზნების ქუხილი, როგორ შეგიძლია კარიკარ იარო და ხალხს ურჩიო, მიატოვეთ ის მიწა-წყალი, რისთვისაც ისევ იღვრება სისხლით.

— გაჩუმდი! — დაუყვირა მამამ.

— კი გაჩუმდება, მაგრამ მატა მართალს ამბობს! არსადაც არ უნდა წახვიდე, მამაჩემო! — ჩავერიე მე.

— მოკვდები და არ გავიშვებ! წამოიძახა ჩემმა ძმამ, მოიშორა ყველაფერი, რაც ეხურა, ფეხზე წამოადგა, შექანდა და, მიშველებაც ვერ მოვასწარი, უგონოდ დაეცა.

ღეღა და ღები ჩემთან ერთად მიცვივდნენ მატას, მამა შებრუნდა და გარეთ გავიდა.

თარგმანა თამაზა ჩიქავაძისა

ლელია მისხი

## გამოთხოვნა

მოთხრობა

სალამს, როცა დადლილი, ჩატეტ-კვილი დაწვებით კიბეს ამოჰყვება, მძიმე ხელჩანთას ჯერ სამზარეულოში გაიტანს, მერე ისევ შეათვალიერებს ოთახს, თითქოს ამოწმებდეს, მის არ ყოფნაში, რა აურ-დაურია ბიჭმა; ახლაც, შემოვიდა დედა, მიიხედ-მოიხედა, სუფრას, ხშირი რეცხვისაგან ბოლოები რომ შემოცრეცოდა, ხელი გადაუსვა, გაასწორა და... სრულიად უადგილოდ თქვა:

— ამელამ თბილისში უნდა წავიდეთ...

— ამელამ?! — გაიკვირვა ბიჭმა.

— ჰო...

მეტი არაფერი, მიჩუმდნენ.

ბოლო შვიდი-რვა წელი, ბიჭი შეეჩვია ამ მყუდრო დაბას, მის უხმაურო ქუჩებს, ბებიას სიკვდილს, გადიდებულ სურათს და რიკულეზიან აივანს, რომლის ერთი კუთხე დაშლილ ველოსიპედს, დაჩუტულ ბურთსა და „ბუცებს“ ეკირა, ხოლო მეორე — მაგნოლის ხშირი ფოთლებით დაჩრდილული მხარე — სახატავ მოლბერტს, საღებავების ყუთსა და გაუბედავი ხელით შესრულებულ ორიოდე სურათს — უჩარჩოოდ, პირდაპირ კედელზე რომ გაეკრათ.

იგი თხუთმეტი წლის იყო. თავის ასაკთან შეუფერებელი სიმაღლე და ოდნავ ხრინწიანი, დაუმატრებელი ხმა ჰქონდა. სუსტსა და აწოწილს, საულვაშეზე, უმწიღარ ატამივით, მოსდებოდა უფერული ქინქლი. ექვთიმე ერქვა. ამ ძველისძველი, გაუხუნარი სახელის ნაცვლად, დედა რატომღაც „ბიჭს“ ეძახდა, ხოლო ამხანაგები — ჯორბენაძეს.

სულ ახლახან, დავა ჰქონდა მეზობლის ბიჭებთან წაგებულ მატჩზე და ხვალინდელ დღეს უნდა გამოეშვარა ვებინა ბრუნდი და მართალი. თბილისში წასვლა კი ამ საქმეს ჩაუშლიდა.

— რა გვინდა იქ?! — იკითხა, აღრენით.

პასუხმა შეაკრთო. დედის თაფლისფერი, დარდით ჩანისლული თვალები ისე შესცქეროდა, თითქოს ეკითხებოდა: „მზად ხარ?!“ რისთვის უნდა ყოფილიყო მზად, ან რა ბრძოლა ჰქონდა გადასატანი, ზეირიანად ვერ გარკვეულიყო, მაგრამ შინაგანად, თავისდაუნებურად გრძნობდა მოახლოებული წუთების სიმძიმეს.

მუქარა ჩაუდგა თვალებში.

— რა დაემართა?

— გულა... — მეტის ამოთქმა გაუძნელდა ქალს.

თავდახრილი იჭდა მშობელი, მისი გახეშეშებული თითები თრთოლდნენ, ცახცახებდნენ, მერე თანდათან დაწყნარდნენ და, ნაცრისფერი კაბის ფონზე, მიწიდან ამოთხრილ ხის ფესვებს დაემსგავსნენ — უძალოსა და დაღვარკნილს.

მზერა მოიცილა ბიჭმა, მიხვდა, უარის თქმა არ შეიძლებოდა. მხოლოდ ეგ იყო, გულის მაგიერ ქვა უნდა ჩაედგა მკერდში, ტყვიასავით დაუნდობელი გამხდარიყო, ყინულივით მკაცრი და ცივი...

დღეა რაიონის ცენტრში მუშაობდა. მამანის ბიუროს და რაიარქიეს ერთი მემანქანე ჰყავდა. ზოგჯერ დამატებით სამუშაოსაც იღებდა და იყო გაუთავებელი კაცუნი.

საბჭული მანქანის უთავბოლო ხმაური ყოველთვის აღიზიანებდა ბიჭს.

თვის ბოლოს, დედაქალაქიდან განსაზღვრული თანხა — ორმოცი მანეთი მოდიოდა. ამ ფულით ისდიდნენ წვრილმან ვალებს, ბინისა და ელემტრონის გადასახადს.

ზოგჯერ ორასი-სამასი მანეთიც მოდიოდა, რომლის დახარკვაზე რატომღაც თავს იკავებდა დედა. სალაროში ინახავდა. ბიჭისთვის გაურკვეველი იყო, რატომ აკონწივებდა მშობელი ასე მონდომებით ფულს, ან მომავალში რა ბედი ელოდათ, რომ შენახვისას, ყოველთვის იტყოდა, ვაკირვებისათვის იყოს.

ყმაწვილმა კარგად იცოდა, ვინც გზავნიდა ფულს... მამის გახსენება იმ ღია კრილობას ჰგავდა, თონავი შენებაც რომ აუტანელ ტკივილს იწვევს. შეურაცხყოფილად გრძობდა თავს. ეჩვენებოდა, თითქოს ამ კაპიკებით იცილებდნენ მას, ხელს ჰკრავდნენ, მიახლოების უფლებას არ აძლევდნენ. ფული — ყრუ საძულველი კედელივით იდგა მამა-შვილს შორის.

ასე გადიოდა დრო.

ახლა კი, დედა წასასვლელად ემზა-

დებდა. შვილის ნივთებს ჩემოდანში აწყობს.

მათი გამგზავრება, ბალიშრდან მოცვენილი ბუმბულოვით მოედებოდა ყველას და ყველაფერს, გაფრთიანდებოდა, პატარა დაბნეული ახალი ქორი გაღვივდებოდა, ამიტომაც დედა, წუთებს ითვლიდა; როცა კარადის ქვედა უჯრიდან სალაროს წიგნაკი ამოიღო, მიხვდა ბიჭი, პატარა ოჯახს გასაუბრი დადგომოდა.

მატარებლის ზედა საწოლზე გაშობილ ბიჭს გუნებოვრად და უდარდელად ეძინა. ერთხელაც არ გახსენებია მშობელი, არც დიანტერესებულა ჩამოხეხედა და გაერკვია, ბოლოს და ბოლოს, სანამდე შეძლებდა ასე გაშეშებულივით ჯდომას. ყმაწვილკაცობის უდარდელ სიზმრებს აჰყოლოდა იგი.

დილით, მატარებლის რაბრახთან ერთად, გამყოლის უხეშმა მამამ გამოაღვიძა: „მცხეთაში ვართ... მოეშაღეთ!“ კუბე შეათვალა ბიჭმა, ჯერ ჰერს ახედა, მერე ქვემოთ — დედას ჩამოხედა, აღრე ანდგარაო — გაათქვა. შარვალში ფეხი გაუყარა და ჩამოხტა. დედასთან ჩამოჯდა, უძილობისაგან თვალები გამოლაქებოდა მშობელს.

ფანჯარაში წვრილი წვიმით დასერილი განთიადი იცქირებოდა.

— მალე მივალთ? — იკითხა ბიჭმა.

ბასუხად კარი შემოაღეს და, ჩარჩოში ჩასმულ სურათივით, გამცილებლის დაჟღერა სახე გამოჩნდა, ნაწვიმარზე წყლით გაბერილ სოკოს რომ მიუგავდა.

„ბილეთი გინდათ?“ — იკითხა დედამ ორი ცალი გამოართვა და ბიჭს ხელში შეაჩეჩა: რად ჰირდებოდათ ვერ მიხვდა ბიჭი, მივლინებით ხომ არ მიემგზავრებოდნენ, სადმე საბუთად რომ წარედგინათ? სქელი, ყვისსფერი მუყაოს დახახვისას ბუნდოვნად მიხვდა, დედას, ალბათ, ბავშვობისდროინდელი მისი ჩვეულება გაახსენდა: სამგზავრო ბილეთებს თავად რომ სტაცებდა ხელს. ახლა ჯიბეში ედო, ბილეთებთან ერთად, თანაკლასელის ნახუქარი ჯაყვა, თითის დაჭერაზე ტკაცუნით რომ იღებოდა. დედის უჩუმრად წამოიღო; რომ გვეკითხათ, რად უნდოდა, ან ვის შეშინებდას აპირებდა, ხეირიანად ვერც გეტყვით.

მატარებელი სადგურს მიუახლოვდა,



კუპის კართან მდგარი ბიჭი წამდაუწყებლად ინაცვლებდა ხელში ჩემოდანს.

მგზავრები გასასვლელში ჩამწკრივდნენ. ბიჭის წინ, სვანურქუდიანი, მხრებ-საგსე მამაკაცი იდგა. მზისაგან დამწვარი, ღონიერი კისერი მოუჩანდა. სპორტული მაისურა ეცვა და ვეებერთელა ზურგჩანთა ეკიდა. ასეთივე ზურგჩანთა მიქონდა გრძელფეხება, ქერა, სათვალეებიან ბიჭს. ნელა მიიწვედნენ წინ. საგსე ზურგჩანთა მძიმედ დასწოლოდა მამაკაცის მხრებს. არც სათვალეიანის ჩანთა ჩანდა მსუბუქი, წრიალებდა, მაღლივლ გახედავდა ფანჯარას.

ჩასასვლელ კიბეს მიუახლოვდნენ, ბორძიკით ჩაპყვა საფეხურს ქერა ბიჭი. სუსტი მხრები კიდევ უფრო მოეხარა. სუნთქვა უჭირდა. უმაღლ წაშველა სვანურქუდიანი. არაფერი უყითხავს. არც შეხმინებია, უბრალოდ, მზისაგან დაშაშრული, დაძარღვული მარჯვენა შეაშველა, ჩანთა აუშინა. ეს იყო და ეს. ბიჭმა შეება იგრძნო, ვაიპართა, მოხრილი მხრები გაშალა. შუბლზე ჩამოყრილი წითური თმა თავის ქნევით უკან გადაიყარა და ყოჩაღად გაპყვა ბაქანს. კაცი უკან მიპყვებოდა. მალე მოეფარნენ თვალს.

ექვთიმეც დაეშვა კიბეზე. ხელი შეაშველა დედას, ჩამოიყვანა, ვკერდით ამოუდგა და გაპყვა, მაგრამ, ვერ იქნა და, ვერ მოიცილა, ის ვაპალიზიანებული გულდაწყვეტა, წინ წასულმა მაშაშვილმა რომ ჩაუტოვა გულში. გააანენდა... რამდენჯერ ყოფილა, ცხვირბირდალეწილი, ტანსაცმელშემოფხრეწილი დაბრუნებულა შინ. საწოლში უხმოდ ვაზუნტრულს დედის საყვედურები ჩაესმოდა. ქალი წყევლიდა თავის გაჩენის დღეს. უბედობას, მარტოხელობას, შვილის თავგასულობას. ასეთ დროს ბიჭი ნაკლებად გრძნობდა თავის დამნაშავედ. ბრაზი იპყრობდა ქალაქში დარჩენილი კაცის მიმართ, რომელმაც ამ გამოყრუებულ დაბაში ვადმოყარა ისინი და... ახლა, ყოველ ვიგინდაზას შეუძლია მისი მიბეგვა, აბუჩად აგდება, ვინ ჰყავდა მშველელი... უმატრონო იყო.

ფეხი შეახო თუ არა ბაქანს, იგრძნო, როგორ მოაწვა გულზე წილების ვანმავლობაში დაგროვილი ბოდმა. ძლიერი იყო სამაგიეროს ვადახდის სურვილი. ცოცხალი დანხედებოდა თუ მკვდარი,

ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა. მთავარი იყო ერთი შეველო თვალი და ვერე მან იცოდა... არ დაერიდებოდა არც უცხო თვალს, არც ვარეშეთა ქვრეტას. მთავარი იყო მირისპირ შეყროდა.

ნისლიანი დილა იდგა თბილისში, თქორავდა, ტაქსის რიგში ჩადგა ბიჭი. რიგი გრძელი იყო, კედმოქნეული. ფეხზე დგომისაგან ჩამოწყდა, დაიღალა, მაგრამ წუთით არ ვაუვლია გულში მშობლის მიმართ საყვედური, სადღაც სადგურის ვესტიბიულში რომ დატოვა კედელზე აკრული თვითონ არ ვამოიყოლია, დასველდებო — უთხრა.

წვიმამ იმატა, ლურჯი ხალათი ტანზე შემოეკრა, შემოეწება. ბიჭი ამჩნევდა — ვაეცლებოდა დედა ვადახურულს, წამოვიდოდა ნაცრისფერყაბიანი საშუალო ტანის ქალი, შეათვლიერებდა შეილს, წვიმა დაუნამავდა წაბლისფერ თმას, მაღალ შუბლს, საგსე მკერდს. დაიფერთხავდა წვეთებს და ისევ მიმალავოდა. მოახლოებდა ვერ ბედავდა.

ტაქსის რიგში, სპორტულმისიურიანი ბიჭები იდგნენ, დავობდნენ ვატანილ გოლზე, ფეხბურთელთა ნაცნობ ვვარეზსაც ასახელებდნენ.

მოაღწია რიგმა. ნაცრისფერი „ვოლგა“ დედის ახლო შეაჩერა.

ფანჯარაში თავწარგული ბიჭი ხარბი თვალთნთქავდა ანამურებულ ქუჩებს, მოედნებს. კითხულობდა წარწერებს: „კაფე... „პური“... „რესტორანი“. აღარსად იყო ცის უსასრულო, უკიდვანო თაღი, იყო მარტო ქალაქი, დიდი და ხმაურა.

მანქანამ პროსპექტი ვადატრა. ბიჭი ამჩნევდა, უფრო და უფრო ეკვროდა დედა, ზეუსმეტი ალერსი არასდროს უყვარდა მშობელს, არც ვადაპირბებული ტკბილსიტყვაობა შეეძლო, ერთი უბრალო, უფრო ქალი იყო, მაგრამ ახლამ, მანქანაში ვატრუნული ბიჭი გრძნობდა, როგორ ვკვროდა დედის თბილი სხეული, სიახლოვე ამშვიდებდა ორთავებს.

წვიმამ ვადაიღო. აქა-იქ მზის სხივებიც ვაკრთა.

კიდევ ერთი ქუჩა და...

...ილაყადის კარს ჩამოკიდებია პატარა ბიჭი. ქრ! — ვაქანდება. ქრ — ვამოქანდება. „არ ჩამოვარდი!“ — აფრთხილებს მეორე სართულის აივანზე

გადმოყრდნობილი ქალი. ქალს ვარდისფერი კაბა აცვია და თვალები სიყვარულით უციმციმებს.

— გააჩერეთ! — ჩაიჩურჩულა იგივე ხმამ. მანქანა გაჩერდა.

ჩიხი. აიგნიანი სახლი. ძველისძველი ღერბი ქონგურებჩამონგრეულ კედლებზე. სულ ახლო, თითქმის ხელმისაწვდომზე, ცხრაპართულიანი სახლი.

...ისევ აქრიალდა ალაყაფის კარი. თავადღმართში ველოსიპედი მიგორავს. სამპორბლიანია. ზედ წითელი დროშა ფრიალებს. პატარა ბიჭი ცალი ხელით სახელურს ჩასჭიდებია, მეორეთი — მთასავით უზარმაზარ კაცს. ამ კაცის მომრევი არავინაა ამ ქვეყნად... გაჭრა კაცი... ველოსიპედი და დროშა.

კურები უხურდა. უბეჭოდა. მოფერმა, შავგვრემანმა, გამხდარმა კაცმა, მსხვილ ცხვირზე თხელი, მელნისფერი ძარღვები რომ გასდევდა, მადლობა ჩაილაპარაკა და წავიდა.

ბიჭს რაღაც ძალა ეწეოდა წინ, გრძობდა, მათი გამოჩენა ეზოში გამოიწვედა ხმაურს, მისვლა-მოსვლას, ფუსფუსს, ჰერეტასა და ქილიკს. იღუმალი კმაყოფილებით თითქოს გაიგონა კიდევ: „შვილი მოდის!“

მაგრამ ეზოში სახამებელმოძალებული სარეცხი გაეფინათ და გამშრალ თეთრეულს შრიალ-შრიალი გაჰქონდა. დედა-შვილით არავინ დაინტერესებულა.

დედამ მზერა დაემალა, კუთხეში მიდგა და, სოფლელი ქალივით, დარცხენილმა და საქციელწამხდარმა, წინდის სწორება დაიწყო. ვენაგაგანიერებულ მარჯვენა ფეხზე, ლურჯად ამობურცოდა კანი.

სხული ტკივილად ექცა ბიჭს. გზა გააგრძელეს. ეზო გადაჭრეს და კიბეს მიუახლოვდნენ.

მიძიდელ სუნთქავდა დედა. შუბლი ოფლით დახამოდა. შვილს თვალით ანიშნა: „შენ შედი!“ თითქოს მონუსხა დედის მზერამ. წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედა. აინაცვლა ხუთი-ექვსი ნაბიჯით და უკან მოხედა. პირველ საფეხურს შერჩენოდა ქალი, არ იძვროდა.

სწორედ ამ დროს, ახალგაზრდების ჩვეულებრივ მოადგა კიბის თავს. ნელ-ნელა ეშვებოდნენ ძირს, დაღვრემილი სახეები ჰქონდათ. როცა ბიჭს გაუსწორდა-

ნენ, შეათვალწარბა, გრძობითადადმშებულმა ბიჭმა იკითხა:

— აქადემიაში წავიდეთ?

— არ გეინდა... — იუარა შარვლიანმა ქალიშვილმა, შუბლსა და ლოყებზე ჰორფლის გვირისტი რომ გასდევდა ფენა-ფენად, — სადმე ჩამოვსხდეთ... საშინელ ხასიათზე ვარ... — ცრემლი გაერია ხმამო.

ახალგაზრდები დიდად არ დაინტერესებულან დედა-შვილით, უხმოდ ჩაუარეს.

ციხფრად შეღებულ კარს მიადგა ბიჭი. „გ. ე. ჯორბენაძე“ — ვერცხლისფერი ფირფიტა პატრონის ვინაობას იტყობინებოდა. „გიორგი ექვთიმეს ძე ჯორბენაძე — რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი“ — გაიფიქრა ბიჭმა. კიდევ ეწყინა და კიდევ გაუხარდა. იქვე მეორე გვარიც ეწერა: „თ. ჟღენტო“. თამარ ჟღენტი — გაუელვარათომდაც განაწყენდა. უხმოვ შეადო კარი.

დერეფანში ჰადრაკის დაფსავით მოხატული ლინოლეუმით ეგო, საღებავებისა და წამლების მიძფრი სუნით ყნოსვას აღიზიანებდა. ღია ფანჯარასთან გალიები ეკიდა. ერთი ცარიელი იყო, მეორეში ორი გულწითელა იჯდა, ისე გაშეშებულები, შორიდან ფიტულები გეგონებოდა.

არსად ჩამჩუმები არ ისმოდა. სინჯემ შეაქრთო, შეაწუხა და ააფორიაქა. მერე დერეფანი ნელი ნაბიჯით გაიარა და ღია კარს მიადგა.

ოთახში ჩუქურთმებიანი კარადა და დიდი სარკე მოჩანდა. კედელზე ჩარჩოში ჩასმული სურათები ჰარბობდა. ბინა მდიდრულად იყო მოართული. ფერადი ფარდები უცხოისა და იღუმალს ხდიდა მას.

ერთ ნახატზე ჩრდილში ამოსული ყვავილივით გაცრეცილი და ფერმკრთალი გოგონა დაინახა. შველივით დიდი ნამტირალევი თვალები ჰქონდა. ხელში იის კონა ეჭირა. მოეჩვენა, თითქოს მალულად უთვალთვალებდა ბავშვი. „თ. ჟღენტო“ — ეწერა სურათის კუთხეში.

თვალი მოაჩიდა. ახლა მეორე სურათს დააცქერდა: გაციდა, იმდენად ნაცნობი ხედი იყო. პატარა დაბა, ტანდაკოერილი მუხების

ჩრდილი, შორს, თვალდასატანზე მზის ჩამავალ სხივებში ვახვეული, ქონგურე-ზჩამონგრეული, ძველი ეკლესია. იცნო, მისი დედულეთი იყო. ეამა. სურათს გა-კრული ხელით ეწერა: „გ. ჯორბენაძე“.

ბიჭი ვერ მიხვდა, ეწყინა თუ გაუ-ხარდა...

მერე ერთმანეთში აერია გვარები — „გ. ჯორბენაძე“ და „თ. ჟღენტი“, „თ. ჟღენტი“ და „გ. ჯორბენაძე“. მერე ამ არეულ გვარებსა და სახელებში წამით, რატომღაც, ეურნალ-გაზეთების ფერად-ფერადი ნომრები გადაეშალა თვალწინ: თამარ ჟღენტისა და გიორგი ჯორბენა-ძის პერსონალურ გამოცენაზე ბევრი რამ სასიკეთო ეწერა შიგ. ისიც გაახ-სენდა, დედას რომ დაუმალა ისინი.

• • •

უცებ ნაბიჯების ხმა ჩიესმა.

ქალი გამოვლიდა, მაღალი და გამბდა-რი, ბიჭოვით თიამეგრეული. ცის-ფერი ძაფით მოსირბული ლურჯი აბ-რეშუმის ხალათი ეცვა. ხელში ანთე-ბული სიგარეტი ეჭირა. ხალათის კალ-თაზე აქა-იქ, საღებავის ლაქები აჩნდა. ფერმკრთალი, დაღლილი სახე ჰქონდა.

ბიჭმა თითქოს იცნო და ვერც იცნო ეს ქალი... ნერვიულობისაგან რატომ-ღაც მუხლები აუკანკალდა, მოიბუზა, თავი დახარა. მასპინძელი დიდად არ დაინტერესებულა მისი ვინაობით.

— მობრძანდით... — მიიბატივა და-ბალი ხმით, ჩანდა, მიჩვეული იყო ხშირ სტუმრიანობას.

ოჩანი ხარივით ერთ ადგილს დააკე-და ბიჭი. ფეხის გადადგმა გაუძნელდა. როგორ მოქცეულიყო, ვერ გაერკვია, დედა ხომ არ ჩანდა და არა! (ველარ ამოლია კბე!). ბოლო ეს სიგარეტიანი, თამარეგრეული ქალი, რომელმაც მამა წაართვა და ვისთვისაც ბრალდებები უნდა წაეყენებინა, ახლა აგერ წყნარად მიიბიჯებს და თავისკენ ებატივება, ვი-თომც არაფერი მომხდარიყოს. თავისდა-უნებურად გაპყვა.

უკან მოიტოვეს სურათებით სავსე ვრცელი ოთახი. საძინებელში შევიდნენ.

კედლიდან ოდნავ გამოწეულ საწოლ-ზე ავადმყოფი იწვა.

იგი არ იძვროდა, ყრუდ სტენოჭავდა ქალი მიუახლოვდა; საბანი შეეყეცა, სასთუმალი აუმაღლა; მის მშვიდ ნაბი-ჯებზე, თავის უბრალო დახრაზეც კი მიხვდა ბიჭი, ვერ იცნეს, ამხანაგებს მამორჩენილ სტუდენტად ჩათვალეს, მარტოდმარტო რომ შემოეხეტა ოთახ-ში.

სახეზე დაღლილობა და მოწყენა აღბეჭდოდა ბიჭს.

სკამზე ჩამოჯდა.

მიმოიხედა.

ოქროსვარაუკიანი ყავის კურჭელი აულაგებელი ეწყო მაგიდაზე. წიგნებით გატენილი თაროები მწკრივად გასდე-ვდა კედელს. მზის დამრეცი სხივები ძალად იჭრებოდა ფარდის ქრილებში, იატაკს ეცემოდა და ბრწყინვალეობას მა-ტებდა.

როგორც მგზნებარე მელოდია, რო-მელიც თითქოს გვესმის და არც გვეს-მის, ასე ეწეოდა თავისკენ სურვილს — დაენახა ავადმყოფის სახე. ვერ შეძ-ლო. მისკენ ვახედვის ეშინოდა თუ რცხვენოდა, ხეირიანად ვერ მიხვდა.

არ გაუგია, დამდენ ხანს იჯდა ასე გაუნძრევლად. დამუნჯებული და დაბნე-ული. უცებ წამებასავით მტკივნეულ-გრძელ სიჩუმეში, უეცრად, სად იყო და სად არა, დოლის ხმა შემოვარდა, დოლის ბრავა-ბრუვს სიმღერა მოპყვა. მეზობელ ბინაში, ტელევიზორი თუ რა-დღო ჩართეს. სიმღერა იყო მხიარული, უღარდელი... ცოტაც და... შეწყდა. კვლავ გაწეა სამარისებური სიჩუმე. ქა-ლი სასთუმალთან უჯდა ავადმყოფს, თავდახარბი, უენო და ფეჭაში წასუ-ლი. სკამზე უხერხულად ჩამომჯდარმა ბიჭმა, რატომღაც, თავისდაუნებურად, ხელახლა ინატრა, წუთის წინ გაეღვე-ბული მხიარული ხმები, დოლის ხათქა-ხეთქი და ქალის მსუბუქი, კისკისა ხმა.

იქვე, ახლოს, კედელზე, სურათი-დან ნახევრად მოკილი ყანა მოსჩანდა. ცა საილენძისფერი იყო და აქა-იქ თეთ-რი ღრუბლების ფთილები ბამბის ქუ-

ლასავით მოსდებოდა ტატობს. ბიჭი დიდხანს უყურებდა სურათს...

რაც უფრო დიდხანს შესცქეროდა ყმაწვილი სურათს, მით უფრო ღიზიანდებოდა და ბრაზობდა... სანამდე უნდა ყოფილიყო ასე გაუნძრევლად?! მისი დაუდგრომელი ბუნება ვერ ითმენდა უმოქმედობას.

ღია ფანჯრიდან შემოჭრილმა ნიავმა საწერ მაგიდაზე ფურცლები ააშრიალა. გახედა. ნაძვის გირჩის გვერდით, ვილაციის უწყინარ ხელს ქოჩორა ბიჭის სურათი გაეკრა. ცელქი, აბეზარი სხივი უთამაშებდა ყმაწვილს თვალებში. ხელახლა ააფრიალა ნიავმა ფარდა-იმატა შუქმა. იცნო, თვითონ იყო, შვიდობა წლის წინათ გადაღებული სურათი. მისი ერთი ცალი დედუღეთში ეგულეობდა.

არ ეამა. ლუმელში შესხმულ ნავთს, ასანთის ოღნავ ააღებზე, ერთბაშად რომ წაეკიდება ცეცხლი, ისე აფეთქდა, გაწიწმატდა. მისი სურათი გამოაქრეს... თითომდა... მერე სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, რატომღაც მშობელზე წაეკიდა ბრაზი... სადაა ამდენ ხანს?! გააბა ალბათ შოფერთან მასლაათი... (თუმცა კარგად ახსოვდა, როგორ მიეფარა მანქანა თვალს...).

არა, რაღაც არ ხდებოდა ისე, როგორც ელოდა. საჩხუბრად, სადავიდარაბოდ მოდიოდა, აქ კი!.. უხმოდ იწვა ავადმყოფი, არც კვნესოდა, არც ირხეოდა... აღარც ექიმებს გაუდიოდა ტრიალ-ტრიალი, ხოლო „ეს ქალი“, ვისთანაც ყველაზე მეტ შეხლა-შემოხლას აპირებდა, ფერჩათეთქვილი, გაცრეცილი, ავადმყოფს სასათუშალთან თავდახრილი უჯდა.

მეტი მოთმენა აღარ შეეძლო... ბიჭს ხმაური უნდოდა, შეხლა-შემოხლა... ამას ისიც დაემატა, ამდენ ნახატებში, უცნაურ ფერებსა და შუქ-ჩრდილებში, მკრთალი და უფერული მოეჩვენა საკუთარი ტილოები, დედუღეთში რომ დატოვა, აივანზე, მაგნოლიის ჩრდილქვეშ, კედელზე გაკრული, საცოდავი, უჩარჩო და უმეტყალყურო. ეგებერ-  
4. „მნათობი“, № 4.

თელა ქალაქმა, თუ ამ მოულოდნელმა შეხვედრამ, შეაშინეს იგი; შეაშინეს და შეაკრთეს, საკუთარ ნიქსა და შესაძლებლობებში შეაეჭვებს. გრძობდა, ყოველი წუთი, დროის უმნიშვნელო მონაკვეთი თოვლის ზედაპირზე აღბეჭდილი ნაფეხურივით სულში უტოვებდა სიძაბუნისა თუ სიღაჩის განცდას. ეს კი წყინდა და აფორიაქებდა.

ბოლოს, როგორც ექნა, გაბედა და... ავადმყოფისაკენ გააპარა მზერა. თვალდახუჭული იწვა. კბილები გამშრალდასიცხულ ტუჩზე დაეკირა, თითქოს მოძალებულ გულისცემას, თუ ტკივილს იკავებდა. ყურის ბიბილოზე ყავისფერი ხალი შეამჩნია, ორად-ორი თმის ღერით. ფართო ჩაჩვრეტილ ნიკაბზე ნაიარევი გასდევდა — ვარდისფერი ნაწიბურით. იწვა გაყურსული, თითქოს ტკივილებს აყურადებდა.

ხელახლა დააცქერდა შვილი. დაიმასხოვრა მისი ყოველი ნაკვთი, კეხიანი ცხვირი, სქელი უღვაში, ლურჯი არშია თვალის უბებში.

მერე, და მერე, ახალ დანახულსა და ძველ შორის თანდათან რომ გაიბა უხილავი ძაფი, გაახსენდა. კი არ გაახსენდა, უფრო სწორად, საკუთარ თავს ჰკითხა: როდის ნახა სულ ბოლოს?! იმ საშინელ დამეს?! თუ?!...

...შვიდი-რვა წლის წინათ, ერთიანად აკანკალებულმა, აფორიაქებულმა დედამ საწოლიდან წამოაგდო ბავშვი, და თოვლიან დამით სადგურისკენ გააქანა... არა! მაშინ მამა შინ არ იყო... არც წინა დამეს ყოფილა. მამ როდის? უფრო მოგვიანებით, სამი წლის წინ... მეხუთე კლასში ყოფნისას... შეიქნა სკოლაში ფუსფუსი, მისვლა-მოსვლა, პერეტა, ჩურჩული. სკოლის წინ შავი „ეოლგა“ იდგა. შესვენებისას კლასის დამრიგებელმა ფართოთეშობიანმა, დაქდაცა ქალმა ხალათი გაუსწორა, თმა გადაუფარცხნა, მერე ხელი ჩაჰკიდა და ისეთი მოწიწებით, ალერსითა და სიყვარულით ჩაიყვანა კიბეზე, თითქოს ნებიერი უფლისწული ყოფილიყოს. კარში გასვლისას ჩასტურჩულა კიდევ: „მა-

მა ჩამოგივიდა“ მეტი არაფერი, დიმილად დნებოდა ქალი, საპატიო სტუმართან შესახვედრად მიიჩქაროდა. შედგა ბიჭი. ერთი მიიხედ-მოიხედა, გარეული ცხოველივით ყურდაცქვეტილა და სუნთქვაშეკრული ერთბაშად დაუსხტა ხელიდან მასწავლებელს, მოაჯირს გადაეცლო და სადღაც, სკოლის ეზოში მიიმალა. შეიქნა ძახილი, ძებნა: გული ამოვარდნაზე ჰქონდა ბიჭს. რალაც იღბლად, სპორტული დარბაზის ღრიჭოდ დარჩენილ კარს შეავლო მზერა და იქით გასწია, შევიარდა. სხვა რომ ვერაფერი მოისახრა, ფანჯარასთან, ერთმანეთზე დაწყობილ საჭიდაო ლეიბებზე კატასავით აცოცდა, ზედ გაწვა და გაიტრუნა ირგვლივ ისმოდა ძახილი, დარბაზშიც შემოიჭრნენ, მაგრამ ვერ შეამჩნიეს. მოგვიანებით, როცა ნაბიჯების ხმა მიწელდა და მასწავლებელთა გულისგამაწვრილებელი ძახილიც შეწყდა, მტკრიან ლეიბებს შორის ჩაწოლილმა ბიჭმა ოდნავ წამოსწია თავი. ჯერ ფანჯარას გახედა, მერე ჩამავალი მზის სხივებზე აღაღლაპებულ შავ „ვოლგას“, და ბოლოს, საჭესთან თავი აღწულ კაცს...

მაგრამ ახლა ამ მოგონებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ყოველივე დიდი ხნის ჩავლილად და დავიწყებულად მოეჩვენა.

ავდამყოფი შეიჩხა: მის მოძრაობას ეცნო მოჰყვა. წამოვარდა ქალი, ტილოკადაფარებულ ლამბაქს დაწვდა, ლიმონის ნაჭერი აიღო და ავადმყოფს გაფიცებულ ტუჩებზე მიუსვ-მოუსვა, ფრთხილად ჩააწურა. ბიჭმა დაინახა, როგორ გაუქიბდა ავადმყოფს ნერწყვის გადაყლაპვა. მაღალი ხორბი აუღ-ჩაუღიოდა.

ავადმყოფმა თვალი გაახილა. მიმოიხედა. ბუნდოვანი მზერა ჰქონდა, ყმაწვილი შეეცადა მისი მხედველობის არეში მოხვედრილიყო. ვერ შეძლო. ავადმყოფს გაფართოებულა გუგები შემამინებლად უელვარებდნენ.

ბიჭმა წამით, აბრეშუმის საბანზე დასვენებულ მარჯვენას წაატანა მზერა. გრძელ-გრძელი, ოდნავ სიყვითლემე-

პარული თითები უღონოდ ეწყრა საბანზე. ხალათის სახელო ასწყოდა და შავზე რალაც წარწერა იკითხებოდა. ტატუირებული წარწერა. იკითხებოდა და არც იკითხებოდა. დროსა და ეამს გაეფერმკრთალებინა ლურჯი საღებავი. მერე ავადმყოფის საწოლთან თავდაბრილ ქალს გახედა, ბროლის პატარა ქიქაში წამალს რომ აწვეთებდა. ქალის თხელი ქბაგეები მონაცვლეობით ირხეოდნენ. ითვლიდა წვეთებს. ისევე დააქვერდა ბიჭი ავადმყოფის მარჯვენას და... მღვლავრებისაგან წამოახურა — „თაყო“ — დედის სახელმა ელვისავით გაკვესა, თუ გაიელვა ყმაწვილის გონებაში.

ხარბად ჩაისუნთქა ჰაერი. აწრიალდა. მოეჩვენა, ამ წარწერით აღიზიანებდნენ მას, რალაც ძველს, დიდი ხნის გარდასულს აგონებდნენ, და იმ ძველის გახსენებით, შეურაცხყოფდნენ კიდევ.

ეს მოხდა, წამით, დროის უმნიშვნელო მონაკვეთში, როცა ხელახლა შეათვალიერა ავადმყოფის ფერმკრთალი სახე. უძალო თითები (ქალი თავდაბრილი განავრძობდა თვლას... „თექვსმეტი... ჩვიდმეტი...“ — ისმოდა მისი ჩურჩული), გაოცდა ბიჭი. ცნობილი მხატვარი და ქუჩის ბიჭებში თავმოაწონი ტატუირება?! არ შეესაბამებოდნენ ერთმანეთს. შეეცადა აეწონ-დაეწონა, გაერკვია, ყოველივე უკეთ შეეცნო მამის პიროვნება. ვერ შეძლო. სამავიეროდ, სულ სხვა გაახსენდა. ეს იყო ჯაყვა. შარფლის უკანა ჯიბეში მიმაღლული. მძიმე და უხეში, როგორც რკინის ანჯამა. თითები ჩააპარა, მოსინჯა. ერთი ფიქრით ამოღება დააპირა, მაგრამ იმავე წამს დაეწია ფიქრს, შეაჩერა, უახრობა იყო ჯაყვის გამოჩენა ახლა, ამ წუთში... არადა... მისი სიმძიმე... სიბლაგვე... რატომღაც აწუხებდა თუ აღშფოთებდა...

უცებ ჩრდილი ჩადგა კარში.

ბიჭი ზურგიით იჯდა კარისაკენ. ხეირიანად არ მოუხედავს უკან, ისე, თავისთავად იგრძნო, ვინც შემოვიდა. მოხედა.



აღარც გაფითრებული სახე ჰქონდა დედას და აღარც ნამტირალევი თვალები. მხოლოდ ეგ იყო, მკერდზე წაეჭდოთითები, ეტყობა, განწირებული გულისცემის შეკაეებას ლამობდა.

— დედა! — იმედივით შეეხმინა ბიჭი.

— დედა?! იკითხეს ავადმყოფის სასთუმალთან, წამლის შუშას ხელი უშვა „იმ ქალმა“. ჰიქა მაგიდაზე გავორდა. დაიღვარა წამალი. მწვანე სითხე წვეთ-წვეთად დაეკიდა სუფრას. ჯერ ბიჭს შეხედა ქალმა, მერე ავადმყოფს და სულ ბოლოს ახლად შემოსულს...

არც მობრძანდით უთქვამს მისთვის, არც სკამი მიუწოდებია, ოღონდ ეს იყო, თავად წამოდგა და როგორც ზედმეტი, გარეშე და უცხო, უხმოდ გაეცალა მათ.

უბეში აფართქალბულ ჩიტუნასავით უცემდა ბიჭს გული. დროდადრო ყრუდ და ტბილად უკენესოდა კიდევ, რაღაცა უცნაურისა და დიდებულის მოლოდინში იყო.

— დედა! — ბალღევით შეეხმინა მშობელს.

— ჰო... ჰო... — მისთვის არ ეცალა ქალს. ნელ-ნელა, ბორძიკ-ბორძიკით უახლოვდებოდა საწოლს.

ამ გებერთელა ოთახში, ძვირფასი ნივთებით და ხალიჩებით მოფენილ ოთახში, უმწეო და საცოდავი ეჩვენა დედა-გახუნებული, ფერშეცვლილი ჩანდა მისი ნაცრისფერი კაბა, ხოლო მზისაგან ვარუჯული საბე და ყავეისფერი ლაქებით დაფარული ყელ-კისერი ასაკს მატებდა.

გვერდით ამოუდგა ბიჭი, უხმოდ, უთქმელად მიანიშნა — ნურაფრის გეშინია, აგერ ვარ, შენს გვერდითო...

ოთახში რომ შემოიჭრა დედა, მეტი გაბედულება ემჩნეოდა, რაღაც აუცილებელი გადაწყვეტილება მიეღო და მის აღსასრულებლად ეშურებოდა... მერე კი... ძალა გამოეცალა თუ ფეხი შეებორკა, ძლივსძლიობით, გაჭირვებით მიუახლოვდა საწოლს. შედგა.

რომ ელოდა ბიჭი, ახლა ალაბა-

რაკდება დედა, ახლა ამოთქვამს წლობით ნაგროვებ სათქმელსო... არა... არა! არ დაადგა საშველი... მისი ხმის ამოღებას. თავდახრილი დასცქეროდა ავადმყოფს.

წამით მოეჩვენა, თუ ნამდვილად დაინახა... მხრები აუთრთოლდა მშობელს, აუძიგძიგდა... დაიხარა და აკანკალებული თითები მამაკაცის უფერულ სახეს მიუახლოვა... როგორც პატარა ბიჭს, ცუდლუტსა და მატყუარას, თმაზე გადაუსვა ხელი. მიუალერსა (დედასავით დაღარული შებლი და ჭაღარა თმა ჰქონდა ავადმყოფს).

გული ეტყინა. უმალ მოერია თავს. საჭირო იყო დედას წაშველებოდა, რომ უფლება არ მიეცა გამოემქდაეგებინა თავისი ღბილი. დამყოლი ხასიათი. ის იყო, მკლავში უნდა წაეველო ხელი, ავადმყოფის საწოლს გაეცილებინა, რომ თვალდახუჭული კაცი შეიჩხა. თვალი გაახილა. დაძაბული და მკაცრი მზერით შესცქეროდა დედა - შვილს. უჭირდა გონზე მოსვლა. „წყალი“ — ჩაიჩურჩულა. ხმა იყო ძალზე სუსტი და საიდანღაც, სიღრმიდან ამოდიოდა. დედამ შვილს მოხედა, შვილმა — საესე სურას. ჩამოასხა. სურდა თავად მიეწოდებინა. მაგრამ ვერ მოახერხა. მთელი სხეული უძიგძიგებდა ბიჭს, და, ეშინოდა, არ დაღვროდა წყალი. დედა წაეშველა. თავი აუწია ავადმყოფს, მკლავზე მიისვეწა, ფრთხილი, ნელი მოძრაობით, ერთი ყლუბი შეასვა, სულ ერთი ბეწო. დამშვიდდა ავადმყოფი. მეტი აზრი ჩაუდგა თვალბში. ოღონდ ეს იყო, თანდათან ზოეძალა მღელვარება. მალალი ხორხი აუღ-ჩაუდიოდა, სახე წამოეგზნო, წამოახურა. მიხედა ბიჭი, რატომ შესცქეროდა ასე ხარბი მზერით ჯერ დედას, მერე მას... იცნო ისინი. და რომ ელოდა ემწევილი, ახლა იტყვის რამეს, ახლა ამოთქვამსო... კაცმა თვალები დახუწა. მაგრად. ძლიერად. მიცვალბულისას დაემსგავსა მისი ფართო, ყვრამალანის სახე, წაწვეტბული ცხვირი. შებლსა და ლაწვებზე ოფლის წვეთებმა გამოეფონა. „მგინი კვდება“

— გაუელვა ბიქს და თვითონაც გაუკვირდა ისე ადვილად, უდარდელად გამოუტანა განაჩენი. ვინ აცალა ხელახლა მიეხალა დედა. მამაკაცის ვენებგანაიერებულ, გამომშრალ ხელისგულს დაწვდა და მკერდთან ახლო მიიტანა, თითქოს სულს უბერავდა, ათობდა, ძალას მატებდა. ტირილი დედა საცოდავად, საწყლად ტიროდა.

თვალი გაახილა ავადმყოფმა. უხმოდ შესცქეროდა ქალს. მის უტყვე მზერაში რაღაც ისეთი იკითხებოდა, რომელიც ძალზე წმინდაა და მაშინვე ქრება, როგორც კი სიტყვით გამოთქვამენ...

თვალი მოარიდა ბიქმა, პირიქით, რაც დანახა, ისიც დანაშაულად ჩაუთვალა საკუთარ თავს.

ბიქმა სურათებიანი დარბაზი სწრაფი ნაბიჯით გაიარა და დერეფანში გავიდა. ფანჯარასთან „ის ქალი“ იდგა. მხრებიდან ბოლქვად ასდიოდა თამბაქოს ბოლი. ლურჯი ხალათი მის ფერმკრთალ სახეს გამჭვირვალე ელფერს აძლევდა. მოკლედ შეკრებილი თმა აქა-იქ შევერცხლოდა. მის გრძელ-გრძელ ოდნავ დამარღვულ, მამაკაცურ თითებს ფანჯრის შინაზე რაკა-რუკი ვაჭკონდა. მოხედა ყმაწვილს. ბიქის დანახვაზე რატომღაც შეეცა, შეწუხდა, თითქოს დანაშაულზე წასწრებული ბაღლი იყო, საქციელწამხდარი და დაბნეული... მერე უხერხულობის დასაფარავად ფანჯარა გამოადო, სივარეტის ნაშფვი ჩარჩოს მიასრისა.

კედელს აკრული ბიჭი, ამღვრული გუნებითა და ნამტირალევი, ჩაწითლებული თვალებით, გამოროტებული შესცქეროდა ქალის ზურგს... დაშვებულ მხრებს.

ქალიც, ჩანდა, გრძნობდა მისი თვლების ძალას, ერთხელაც არ მოუხედავს, უკან, არც შერხეულა. იდგა და იდგა ასე, ერთ წერტილზე თვალგამტეჩებულად.

თავი სტკიოდა ბიქს... გული მისდიოდა... საფეთქლებში მარწუხებივით ჩაფრენოდა რაღაც... ეწვოდა კისრის ძარღვები. შეეცადა აღარაფერზე ეფი-

ქრა... ნაბიჯი წადგა წინ... გაიხედა... ღია ფანჯარაში, თეთრეულზე განათებული ეზო მოჩანდა. ჭედრავის დაფსთან მამაკაცების ჯგუფს, დაზარა თავი (ჯერ კიდევ ჭიშკარში შემოსვლისას შეამჩნია ისინი ბიქმა), დაობდნენ... ყაყანებდნენ, ზოგი ფეხზე იდგა, ზოგსაც ჩემუხლა. თავმოტვლებილი კაცი მოთამაშეებს თავზე დადგომოდა. ზოლიანი ხალათი ეცვა და გიდელოვით დაკიდებულ მუცელზე წამდაუწუმ ისევამდა ხელისგულს.

ღროდადრო, მამაკაცების ყაყანს, ტელევიზორის ქაქანი ერეოდა. გაურკვეველი სიტყვების კორიანტელი იფრქვეოდა ირგვლივ. ყოველივე იყო ჩვეულებრივი და ოდნავ მოსაწყენი. „რა გულცივი ხალხია — გაუელვა ბიქს, — სხვისი უბედურება არ აწუხებთ...“ მერე დედულეთი გაახსენდა, პატარა, მყუდრო დაბა მოკირწყლული ქუჩებითა და ჩუხჩუხა არხებით. ახლობლების სახეებიც დაუდგა თვალწინ... შეიქნებოდა მისვლა-მოსვლა. ფუსფუსი. არც იმედთან სიტყვას დააკლებდნენ და არც... აქ კი?!... ვითომც არაფერი... იცინიან... ერთობიან. შეზარდა ეს სახელი... ეზო. მთელ ქალაქი, თავისი ხმაურითა და დაუდგრომლობით.

მლევარებისაგან თვლებში ცისფერი რგოლები აუციმციმდა, შეიკუმშებოდა უხილავი წრე, გაფართოვდებოდა. შეიკუმშებოდა — გაფართოვდებოდა, ასე განუწყვეტილად... ეს იყო მოგვიანებით, ხოლო მანამდე კედელს აკრული ბიჭი, დაძაბული და სუნთქვაშეკრული, ეზოში მოხორბოცი მამაკაცებს რომ გასცქეროდა, განუწყვეტილად გრძნობდა „იმ ქალის“ სიახლოვეს. ესმოდა მისი ხშირი სუნთქვა, წყვეტილ-წყვეტილი ჩახველება და, შინაგანად ხვდებოდა, ეს ქალი მასზე რომ ფიქრობდა... მის დედაზე.. მათ ჩამოსვლაზე.. შეხვედრაზე. რას ფიქრობდა, რა აზრი გამოჰქონდა, ძნელი გასარკვევი იყო, მიუღვარება და ზიზღი არ იკითხებოდა მის დაღლილ სახეში, ეს ნა-

თელი იყო. ეგებ სინდისი ქენჯინდა? ეგებ წუხდა კიდევ? მისი მიზეზით დაი-რღვა პატარა ოჯახი... მისმა სიყვარულ-მა... და ახლა, როცა განზე დარჩა ორი ნიჭიერი მხატვრის შემოქმედებითი გზა, საერთო გზა, მიზნები და ფიქრები... როცა ქალი მარტოდმარტო, პირისპირ აღმოჩნდა ბიჭის ჭიუტი თვალების წი-ნაშე, რომელიც რაღაც ისეთს ეკითხე-ბოდა, რაზედაც პასუხის ვაცემა უჭირ-და, მიხვდა, რომ ჩადენილი დანაშაუ-ლის არც გამოსწორება შეიძლებოდა და არც გამართლება, ყველაფერი დაგვი-ნებული იყო...

ბიჭი, რომელმაც არაფერი იცოდა მისი ფიქრებისა და განცდების შესახებ და არც უნდოდა სცოდნოდა, საკუთარ თავს აჯერებდა, თუ არწმუნებდა, რომ „ამ ქალთან“ არაფერი აქვს საერთო...

იგი უცხო და გარეშე იყო მისთვის... შეტრიალდა და საძინებელი ოთახის კარს მიაშურა.

დღეა სასთუმალთან უჭდა ავად-მყოფს, თავდახრილი და მობუზული (სწორედ ისე, როგორც „ის ქალი“ ამ რამდენიმე წუთის წინ...).

თავზე წაადგა ბიჭი. მშობლის უწყუ-რადღებობამ რატომღაც გააღიზიანა; ამიტომ იყო, აგრე გაყინული, გაშეშე-ბულივით ადგა თავზე. დედას მამა-კაცის ოლი კალთაში ჩადო და თავის ნაჯახ, ზეჭდვისაგან დაკუთხულ თითებს აუსვამდა და ჩამოუსვამდა; თითქოს ლოცულობსო... ჩურჩულებდა კიდევ.

აქაც ზედმეტად იგრძნო ბიჭმა თა-ვი... შეეცადა უხმოდ გასცლოდა, რომ უცებ მკლავზე შემოაჭდეს ხელი... და-იხარეო — ანიშნებდა დედა. მოიკუზა ბიჭი. სახე ახლო მიუტანა ავადმყოფს. დააცქერდა. საოცარი! თითქოს სხვა კა-ცი იწვა. ღიმილს ცოტა უკლდა. არ კენესოდა... აღარც ტუჩებს იკვნიტდა უღრტივინველობა ჩასაფრებოდა ზაგის კილოებში. სულის მხიარულა გადმო-ნაშუქი თავს ვერ მალავდა.

როცა თვალი თვალს მიაბჯინა, იგი-ვე უწყინარი სხივი ახლა მამაკაცის

მხერაში დაიჭირა... გული შეეძრა. თით-ქოს ყოველგვარი ბუნდოვნება შემოე-ცალა ამ კაცს.. თბილი და ახლომდელი გახდა. უნდოდა ეთქვა, ეყვირა: „ექვ-თიმე, ვარა!“... „ექვთიმე! (დედის სი-ჭიუტე თორემ, რამდენჯერ დააპირა სახელის შეცვლა).

ხეირიანად ვერც გაარკვია, ამ გავრ-უტებულ „ექვთიმე“, „ექვთიმეს“ რა უნდა ეთქვა ამ კაცისთვის ისეთი, რომ ის მხიარული, უწყინარი სხივი, რომე-ლიც ასე ახლობელს და ძვირფასს ხდი-და მას, არ ჩაქრობოდა. ახლოს მიი-წია, ავადმყოფს სახეში ჩააცქერდა, ერთი სურვილი ამოძრავებდა, მიახლო-ებოდა, ოდნავ მაინც ეგრძნო მისი სხე-ულის სითბო, სიმკვრივე, მამაკაცური ძლიერება. ჯერ დედას მოხედა, მის თვა-ლებში სურდა ამოეკითხა თავისი მოქ-მედების დასტური. უხილავი შუქი გა-დასდიოდა მშობელს სახეზე. შეუმჩნე-ველი, ძნელად თვალდასაბანი, რომე-ლიც მამა-შვილს შორის გაწოლილ სი-ცივესა და უთანხმოებას თანდათან ათ-ბობდა, ანელებდა.

დაიხარა. ოდნავ შეეხო ავადმყოფის ხელს. ცივი, უღონო და მოწვარული ეჩვენა მისი ნესტიანი თითები. დამდუ-ღრულივით აეწვა ხელი. მერე დაიძ-რა და დაიძრა ცრემლები. გარჩევის თა-ვი აღარ ჰქონდა — ეტირა თუ არა. დი-დი ბიჭი იყო და, ცრემლის დაბა-ღები არ შეშვენოდა, ღღარც მოთმენის თავი ჰქონდა. სანამ მხრები უთრთოდა და გულში მარილიანი წვეთები ედინებო-და, ისე გარკვევით ველარ არჩევდა სირცხვილ-ნამუსის გრძნობას, ხოლო როცა თვალებში შემოაწვა მკახე ტალ-და და მზერა გაუმრუდდა, მეტის მოც-დის თავი არ ჰქონდა. უხმოდ გაეცალა მათ. გაეცალა კი არა, გაასწრო. კარი გამოაღო და გავიდა...

გავიდა და... სწორედ მაშინ, ამ წუ-თში, როცა კარს გახცდა, იგრძნო, მთე-ლი ამ ხნის განმავლობაში, ამ უსასრუ-ლო შეიღი-რვა წლის განმავლობაში, როგორ ენატრებოდა მამა... თავისი მა-მა! თითქოს არავითარი მოგონებები არ

ახლდა ამ ნატერას... არც სურვილები... არც ფიქრები. იყო მარტო ტკივილი და გულდაწყვეტა.

მერე ერთმანეთში აერთია, რა უნდა ეფიქრა და რას ფიქრობდა... რა ინატრა და რა შეუსრულდა. ყოველივე იყო ბუნდოვანი და გაუსაძლისად მწარე.

კედელთან ატუზული მაღალი ბიჭი ყრულ და საცოდავად ასლუქუნდა. უმწეოდ ერხეოდა სუსტი მხრები... წვრილი კისერი... მუჭით იწმენდდა ცრემლებს.. ბოლოს, როცა ერთბაშად მოაწვა დაგროვილი ბოღმა, გულამოძვარი და სუნთქვაშეკრული, ჭირნაცუად კაცივით აღრიალდა... აღრიალდა და... სწორედ მაშინ იყო, ერთბაშად მოისროლა „იმ ქალმა“ სიგარეტის ნაწივი, სადღაც, შუა ეზოს სტყორცნა, გულისპირი სწრაფ-სწრაფად ჩაიფერთბა, ბიჭს მიუახლოვდა, უხმოდა... უსიტყვოდ... მამაკაცი, ძლიერი მარჯვენა მხრებზე მოხვია, ყავარივით მკერდზე მიიყრა და საოცრად თბილი, ქალური ხმით ჩასჩურჩულა: „სუუ...“

მეტი აღარ ახსოვს ბიჭს... აღარც ის გაუგია, როდის გამოვიდა დედა...

რა უთხრეს ქალებმა ერთმანეთს... რატომ არ იდგა მათ შორის მტრობა და ქიშპი. რატომ იყვნენ ასე შემკრთალნი და გაცრეცილნი, რად შეჰყურებდნენ მას, რაღაც იმედით და ამ იმედთან ერთად... ჩუმი, ფარული ეჭვით.

და უცებ ბიჭმა იგრძნო, დაჭიმული ნერვები დაუწყნარდა, მოეშვა, მისავათდა... ყოველგვარი საფიქრალი თუ მტანჯველი აზრი, გონებას რომ უშფოთებდა, უბურღავდა, გაქრა, დარჩა მხოლოდ სურვილი — მცირედი ჩამუხელის... მოსვენების... და ამ დროს, საოცარი რამ მოხდა — წამით, თითქოს, საკუთარი თავი დაინახა, საკუთარი გარეგნობა, ნაბიჯები. მიხვდა, ეს აწოწილი, ხმელ-ხმელი, მტრედის ბუნტყლივით შეფიქვული საულეაშეთი და უგემოვნო პარიკმახერის მიერ შეხოზრილი წვრილ-კისრიანი ბიჭი ძველებური ყიყინით ველარ ითამაშებდა ფეხბურთს, ვერ აახმაურებდა მიძინებულ შუკას, ვერ ააწყავწყავებდა მეზობლების ყურპანტურა ძაღლებს... ყოველივე ამას ჩაიდენდა სხვა... და არა ის.





შალვა აბისულაშვილი

# კოეტური არაბესკები

## სიჭარმავეს გვახარბო. ბაღუში

გაფრენილი სიჭაბუკე არ მიწადა,  
სიჭარმავეს გავაბამდი ბაღუში,  
რომ ჭერმაღალ იაგუნდის მარნიდან  
შეგვიგებო კარგ სიტყვაზე დაგეშილს.  
შეგვიგებო,

გიფხრა მართლაც საოქმელი,  
სიჭარმავე შეგახარბო ჭაბუკსა;  
ჩემი ქოშრის  
თითო ვერცხლის ფანტელი  
ჩაგეთვალს ჩემი ქვეყნის ნამუსად.

## ს ა ხ ს მ ა რ ი

არაბული ცხენი გამოვიდა,  
ცხელ უდაბნოს ჭიხვინით რომ ბზარავს;  
არაბული ლექსიც გამოვიდა,  
გვალეგასავით რომ აბრუნებს არაბს;  
არაბული მაგიდა კი არა!..  
თუმც რას ვამბობ,  
როცა უკვე, უკვე  
სამუდამო მფლობელი ვარ მისი;  
მიბრუნდება ძველი სიჭაბუკე,  
მიცოცხლდება ბედუინის სისხლი!..

ბედუინის ბედაურის მსგავსად  
ოთხ ტორზე დგას სახსოვარი შენი, —  
და შეც, და შეც —  
წუთისოფლის მგზავრსა  
ერთადერთი მხედრობადა მშველის...  
მშველის?... აკი მხედრულადაც დაეცქერ  
ჩემს მაგიდას მზის და ლამპრის შუქზე;  
არაბეთის ჩრდილი დაჰკრავს ნაწერს, —  
და სტროფებში ცხელ სამუშებს ვუსმენ!..

## მ ზ ე

მზე ფანჯარაში. მზე ნაზღლის პირზე.  
მზე განთიადის უმცირეს ცვარში.  
ის ყველგან არი, ის ყველგან გვიმწერს,  
გვისინჯავს სულის უჩინარ ტაშნიკს.

დიდთან დიდია, მცირესთან მცირე,  
მაგრამ მზეობას არ ჰკარგავს სულაც.  
გრძელდება ფიქრი შუქმოციმციმე, —  
და ვგავარ კლდეზე ამოჭრილ სურათს...



## უკანაგზით მოლოძგი



ვინც ყოველივეს უმკლავდება,  
მისთვის დამითმია უკვდავება.

ვინც

უკვდავებით იბნიდება,  
ღმერთი

ყოფილიყოს მის იმედად...

მე ჩემი

ხანმოკლე სიცოცხლეს მეყოფა,  
მოკვდავი

მოკვდავთა დაფრები მეგობრად.

დაფრები,

დაშთენილ მაშვრალთა ლაშქარი  
უდაბნოს

ქვიშაზე ნაკლები არც არი...

არც იმას ვინატრებ:

საფლავში მდებარე

სიმწვანედ

ამოვყვე ხესა თუ ვენახსა;

რა ვიცი,

ცხოვრებას — ესოდენ მღელვარეს —

მე ფოთლის

თვალებით შევხედო ვედარცა...

## ა რ ყ ი ს ხ ე

ხიდქვეშ მდინარე გაცოცხლებულა,

დაუმსხვრევია ყინვის ჯაფშანი, —

და ამწვანებულ გორაკებს შორის

სიმღერასავეით მიიტყორცნება...

ხევედმა

ხეებს მიმოფანტულებს

აჭყავებით რტონი ფართონი, —

და მხოლოდ ერთგან

ერთი არყის ხე

დგას ჯერაც კვირტებაუფეთქებლად...

ალბათ ჰგონია ფერმკრთალ დედოფალს,

რომ იგი ისევ ჩრდილოეთშია...

## გ ი ნ ღ ო რ შ ი

სალამურს უკრავდა მწყემსი,

ჭიკჭიკში ბაძაღდა მერცხალს;

მივედი,

ო, როგორ შეეცდი! —

ხმა სალამურისა შეწყდა...

წავედი,

ხმა სალამურისა

ხელახლა მოედო მინდორს.

მე აგრე

ვინც გამაგულისა,

მშეს უტოლდებოდა იმ დროს...

## ანაზაბის ბაჩუბი

მე რად მინდა ანდაზური თქმები,

დამაყარე გულზე შენი თმები;

თან ღიმილის გაიმეტე ვლავა, —

მინათებდეს შენი თმების დელგმას...

ვერაფერი

ვერ დამაკლოს მტერმა,

უჩინარზე უჩინარმა მტერმა,

ჩვენებურად დრო-ჟამი რო ჰქვია, —

და თვით ღმერთიც

ზოგჯერ მისი ტყვეა...

## მომლოა მისი გულითქმა

თმაგაწვეწილი ქალივით  
წვიმა მომდგედა შხაპუნა;  
გამილილისფრა ჭადარა  
ელვის შოლტების ჭახუნმა.  
ცას ვფიცავ,

დანაშაული

არ მიმიძლოდა მცირედიც;  
მცოდნოდა მისი გულითქმა,  
სულაც არ გავუცინებდი...

## გ უ ზ ა რ ა დ ი

ომგადახდილ, ომგადახდილ მიწას  
კვლავ აეშვა  
ცაში თეთრი ალვა;  
შტოებს შორის მუზარადი ვიცან,  
ხეს ხის ნეკით  
აჰყოლოდა მაღლა...

წამწამები მყისვე მოვიფენიტე,  
წინ წავდექი,  
ხის შერხევა მსურდა;  
მუზარადში დაებუღათ ჩიტებს,  
დაფეთდნენ და  
ცას შეაწყდნენ გუნდად...

## ჭ ი ხ ვ ე ა თ ქ ვ ა

ჯიხემა თქვა: ჩემი რქის ზევით  
ღმერთია ერთადერთი;  
არწივიცა და ძეკაციც  
უნდა მუხლებზე შემთხვიონ!..  
არწივი? მგონი იმ წამში  
ცაზე არც გამოჩენილა;  
ვინ იცის, სად შეიტყუა  
ლაგვარდის ლურჯმა ჯეჯილმა?!

მოყმემ კი პირშიშველამა  
ცერად გაჭედა დაბლიდან;  
სტყორცნა ისარი თუ არა,  
დააბზრიალა, დაბნიდა...  
დაბნიდა, რქებზე დაჰყუდა  
უამაყესი ბერხენა;  
ჩამოჰყვა ჩამონალარი  
კლდის იკლიბაკლო ხერხემალს..

## ყ უ რ ა ნ ე ბ ი და ო ბ ა ლ ი ს კ ე ბ ი

ო, რა ბევრია ჩემს სამშობლოში  
ყურღანები და ობელისკები:  
მდინარის პირას, უღელტეხილზე,  
ზღვასთან,  
ტრამალზე, გზაჯვარედინთან.  
ო, რა ბევრია... ო, რა ბევრია...



— ო, რა ბევრია! —  
 ვამზობ და გული  
 ლამის ბუდეში ჩაკედეს ქვეთინით;  
 მაგრამ უეცრად  
 ყველა წარწერა  
 ერთ დიდ კოცონად წამოენთება  
 და ერთ ენაზე ამუზუნდება:

— ჩვენ არა ვნანობთ,  
 ჩვენ არა ვნანობთ,  
 რომ სამშობლოსთვის დავიფერფლენით...  
 ჩვენ რაც შეეძელით,  
 თქვენ უნდა ზვალ-ზეგ  
 იმაზე მეტი შესძლოთ, თორემ  
 რა ბედენაა მართო ქვეთინი?!

ჩვენ, შავი მიწა,  
 მკერდს რომ გვაყრია,  
 არ გვემძიმება, არ გვემძიმება...  
 ყველაზე მძიმე  
 ტვირთი თქვენ გაწევთ, —  
 და ეს ტვირთია თვით დედამიწა,  
 რომელიც უნდა გადასცეთ მყობადს!..

## მ ე რ ხ ე ე ბ ი

ისტობარგაუტესლები  
 დგანან ბებერი ვერხვები;  
 მთვარეში  
 მთვარეულივით  
 ნივალ და  
 მკერდზე ვემთხვევი...  
 ისტობარგაუტესლები  
 დგანან ბებერი ვერხვები;  
 უიმათობით  
 ოდესმე  
 ნეტამც თუ დავიფერფლები...  
 ისტობარგაუტესლები  
 დგანან ბებერი ვერხვები;  
 მთვარეში  
 მთვარეულივით  
 ფიჭვის ფიჭვებში ვესვფვი...

## ე მ ე ბ ი

გათენების მსგავსი ბურუსია სივრცე  
და მივირწევი უმსუბუქესი  
ამ ლაქვარდებში.  
ნუ გამალვიძებ,  
ნუ დამიყრი ნათელ ბილიკზე,  
რომელზეც ასე ბედნიერი მივესეტები,  
შენი კერიდან ახვეტილ ნაცარს.  
ყულზე მობმული მთვარის სხივებით  
სადღაც მივყავართ  
და ნურასოდეს შეეცდები ჩემს მობრუნებას,  
რადგან სიშორე და მანძილი მჭირდება მუდამ,  
რომ დაგინახოთ ყველა ერთად და შემოიყვარდეთ...

. . .

ნუ მომაგონებთ ახლა სადა ხართ,  
ან სადაური წვიმა გასველებთ.  
მე დაგივიწყებთ ყველას ამაღამ,  
არ მინდა ვინმე რომ გამახსენდეს.

დამის ტაბლასთან მარტო მივჯდები,  
სარკმლებს აავსებს წვიმის სურნელი.  
თქვენ, დობილებო და ძმაბიჭებო,  
ამ დამეს მაინც ნუ მესტუმრებით.

მე ჩემს ცას უნდა ვუსმინო მარტო,  
იმ ხმებს, რომლებიც მე მესმის მხოლოდ.  
ორკესტრანტებო, სუყველას გმადლობთ,  
მაგრამ ამ კონცერტს ასრულებს სილო...



ის გზა, რომლითაც ქვეყანა დადის,  
 ამ საწყალ გულზე გადის ყოველთვის...  
 თავისი ცრემლით, ტკივილით, დარდით  
 მთელი ქვეყანა ამ გზაზე დადის.

ზოგს ლესი მოაქვს, ზოგსაც ყვავილი  
 ზოგს შაფი თასი, საესე სამსალით,  
 დაიგუგუნებს გული ზარივით,  
 თუ ცაში ვინმეს კვდება ვარსკვლავი.

გულში ჭირს, გულში, ჭრილობა ყველა,  
 ყველას აქ, გულში ფათური სურდა,  
 ერთხელ იმანაც აღმართა ხელი,  
 ერთგულებას რომ ეძახდა მუდამ.

ის თავის ტკივილს იტანდა მარტო,  
 არვინ ჰყოლია ღამის გამთვევი  
 და მაინც სხვებზე ფიქრობს და დარდობს  
 ასე ნაწყენი და გულნატკენი.

ნაპირები ვართ ჩვენ ყველანი  
 ერთმანეთისთვის,  
 მუდამ მოცურავს ჩვენსკენ ვიღაც  
 ზღვის წყვდიადიდან,  
 რომ მყარ მიწაზე მოითქვას სული.  
 მუქურები ვართ ჩვენ ყველანი  
 ერთმანეთისთვის,  
 მოეშურება გამუდმებით ჩვენი ნათლისკენ  
 ვიღაც ყარიბი გზაბნეული.  
 ჩვენ ველოდებით, პორტებივით ვზივართ  
 ზღვის პირას  
 და მოცურავენ ხომალდები დღედაღამ ჩვენსკენ.  
 ვარსკვლავები ვართ ჩვენ ყველანი  
 ერთმანეთისთვის,  
 გზებს ერთმანეთის განლაგების მიხედვით  
 ვიგნებთ...

დამაგვიანდა,  
 თუმცა ძლიერ დამაგვიანდა,  
 მაგრამ ხომ მაინც გამოვედი უდაბურ ტყიდან.  
 და დაეადექი მტვირნი შარაგზას,  
 რომელიც თქვენი სახლისკენ მიდის.  
 ცხოვრების დაწყება არასოდეს არ არის გვიან.  
 მთელი ცხოვრება შეიძლება იცხოვრო ერთ დღეს,  
 მთელი სიცოცხლე შეიძლება  
 ერთ სიმღერაში რომ დაიმღერო  
 და შეყვარება,  
 შეყვარებაც,  
 თვით შეყვარებაც  
 თუნდაც სიკვდილის წინადღესაც არ არის გვიან.





ჭარად და თოვლად, სულად და ხორცად,  
 გაყოფილია სიცოცხლე ჩემი.  
 სიზმრად და ცხადად, წყველად და ლოცვად,  
 გაყოფილია სიმღერა ჩემი.  
 ორი მდინარე და ორი ზარი,  
 ითხოვს მსხვერპლსა და შესაწირავენს.  
 თავბრუდასხმული მეჩივრე ვდგავარ  
 და ყელზე მიჭერს ორი მდინარე.



მიედივართ, ვტოვებთ მოწყენილ სენაკს  
 აკანკალებულ ხელებით და მტკივანი შუბლით  
 ჩვენ — ვახტანგ, დავით, თამარ, ერეკლე,  
 ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფი.

ისევ ვიხსენებთ  
 იმ დიდების საუკუნეებს,  
 სულს რად დააჩნდა,  
 მარადისად რაც შეეთვისა.  
 მოვალთ, მოგვტირის ზედაზნიდან წვიმის ღრუბელი —  
 ცრემლებით საესე უპე ღმერთისა.

## ქ მ რ ნ ი ლ ი

ცაში ვიყავით.  
 დღეს ჩვენს ოცნებას  
 მოელო ბოლო, ებრუნდებით უკვე...  
 ატირებული ანგელოსები  
 თავსაფრებივით გვიქნევენ ღრუბლებს.

მუდამ გვახსოვდა — მხოლოდ ცოტახნით  
 თუ შეიძლება ამაღლდეს ცამდის,  
 მერე საკანი — ვიწრო ოთახი,  
 ოთახში ორი ბუზღუნა ლანდი.

გათავდა, ქვევით უნდა დავეშვათ.  
 გათავდა, გვიცდის მაყარი ქვევით.

და საესე მთვარეს, ვით აზარფემას,  
 გვაწოდებს ღმერთის დაღლილი ხელი.

დღეს რით მოგხიბლავ ნეტავ ისევე-  
 ცის ხავერდებით ერთხელ შემოსილს,  
 შენ-შეჩვეული ცას და სივრცეებს,  
 აქ როგორ გაძღებ, ციკქნა ეზოში.

მორჩა ეს მიწა გვრჩება იმედად,  
 დასასრულამდე აქ უნდა ვენთოთ  
 და მხოლოდ ზოგჯერ თუ ავიხედავთ  
 ზეცისკენ, სადაც ვცხოვრობდით ერთდროს.



3030 ალსაზიშვილი

## ბ ე ლ რ ი ე ნ ა

პოემა

ღამეა, მსუბუქ ღრუბლებში მთვარე  
ისე მიცურავს, ვით ზღაპრული ბაბუაწვერა,  
თვალს ვაყოლებ, აგე საცაა ჩაიშლება,  
იმ დიდ ღრუბლებს წამოედება  
და წყვდიადში ჩაიკრეფს სხივებს.

„რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს სიხარულისთვის?!“

ძაღლების ყეფა შორეული და კანტიკუნტი,  
ღამეული ჭრიჭინების გაბმული მღერა,  
გლდანის გაშლილი მინდვრებიდან მოცურავენ ღია  
ფანჯრისკენ,  
ძველ რეპერტუარს იმეორებს — ბაყაყების გაპელა,  
მესმის ეს ხმები, მონატრებული, ახლობელი, ასე ძვირფასი,  
ახლა კი არა, თითქოს შორი ბავშვობიდან მესმის ეს ხმები  
და ისე ფრთხილად ვაყურადებ, მეშინია არ გამეფანტოს,  
ისიც ღამემ არ შეიხრტოს.  
უთავბოლო ქაოსის მერე — სიმარტოვე,  
მაგანთა უაზრო ყაყანის მერე — ბაყაყების ყიყინი,  
საკმარისია უეცარი სიხარულისთვის.

...თორემ ბუკით, ყვირილით,  
მანქანების გაბმულ საყვირით,  
რკინის ღრჭიალით, გულგრილი მზერით,  
ხელის კვრით, მტვერით, გამთანგავი სიციხით, ხმაურით,  
როტორც ტყეში გარინდებულ შველს მონადირენი,  
შენც ასევე გამოგაგდებენ სამალავიდან  
და არც კი იცი თოფს სად დაგკრავენ.  
გარეთ ღამეა, კი არ მიცურავს ღრუბლებში მთვარე,  
თითქოს ქარს მიაჭვს,



ვზივარ სარკმელთან და ვისხატავ ღამის პეიზაჟს,  
მთვარიან ღამის გრაფიურა სამუდამოდ მამახსოვრდება.  
თითქოს ეს ღამე, ერთი ღამე კი არაა  
სხვა ღამეების მომცველია, გამგრძელებელი —  
ცრემლით, ტკივილით, უცარი შიშით, ყვირილით,  
მემთვრალეობით, ვნებიანი სიცილით, ფიქრით.

ბაღის ყმული, როგორც წინათ ახლაც შიშს შადებს  
და შიშის ფართო, თეთრი თვალევი  
უნებლიედ მიგახედებს ავადმყოფისკენ, აწლობისკენ  
და ტანში გზარავს.

ან ვარსკვლავები, ცას დიდხანს, დიდხანს თუ უმზირე,  
მოსუჭავ თვალებს და არ ჩაქრებიან,  
ძილს გაგიფრთხობენ და სხეულში იტივტივებენ შუალამემდე.  
თვალი რაც უნდა მოარიდო ღამეულ ზეცას  
და წყვილადს შეუერთო დაღლილი მზერა,  
ის ვარსკვლავები სიბნელეშიც აყვავდებიან  
და ისევ მალა ავახედებენ.

შეშინებული ღამეული უნაპირობით ახლაც მიწას  
ეპოტინები,  
რადგანაც ცაში, არავინ იცის რა ხდება ცაში,  
მხოლოდ გრძნობ, რომ უჩინარი გიწეწავს ძარღვებს  
და მალიმალ გაფორიაქებს.

### გავშვის ტირილი

აი, ღუზა უძვირფასესი —  
მყუდრო ნაპირთან რომ გამაგრებს  
და არ გიშვებს შორეულ ზღვებში სახეტიალოდ,  
ის ახლა ტირის,  
ჩემმა ფიქრმა გამოაღვიძა,  
ალბათ იგრძნო აკრძალულ მხარეს რომ გავცურე,  
ის ახლა ტირის, ტირილით მიხზობს.

შენც გატყუებდნენ ასეთივე მატყუარათი  
ახლა პატარა ანგელოს რომ აწვდი სიფრთხილით,  
ალბათ ასე ეჩვევიან ტყუილს ბავშვები,  
ხოლო როცა გაიზრდებიან  
ფერად-ფერადი ილუზიებით თავს იტყუებენ.

### მეოცლის ფანჯარა. დაბადების დღე

ირწევა ჭადი, ჭრიალებს იატაკი...  
გაქედნთილია ჰაერი ღვინის,  
ფერუმარილის, ნელსაცხებლის და ოფლის სინთეზური  
სუნით.

თამბაქოს კვამლი გავრთება ზოგჯერ  
ბებიას და ბაბუას ახალგაზრდობის სურათი,  
იმათ საფლავებს ახლა მქვია სამშობლოს მიწა  
და სურათზე აღბეჭდილ ღიმილს — მეცხრამეტე საუკუნის ღიმილი.



მიდის მეოცე საუკუნეც მყვირალა ესტრადის თანხლებით  
და როგორც ქარი შემოდგომის გაძარცვულ ხეებს,  
გიჟური რიტმი ლამაზად ჩაცმულ ფიტულებს არწევს.

\* \* \*

უძღუნო, ძილღვიძილში გარინდებულნო,  
სად დაახეტებთ ლიბრიან მწერას,  
რა გესიზმრებათ ვარდისფერი ქაოსის მორჩილთ?!

იქნებ ერთხელ, ერთხელ ისე ამოიგმინოთ,  
რომ ზვავივით დაგიტანოთ თქვენმა გულებმა —  
საგულედან ჩამოქცეულმა.

ცას შეხედეთ — ან გაზაფხულის მოახლოებას მიაყურადეთ.  
იქნებ ზეცამ და ნაზამთრალი მიწის სურნელმა გაგახსენოთ,  
რომ საგულეში გულები გიცემთ, არა საათის მექანიზმები.

თქვენ ქრებით, ქრებით,  
როგორც მინავლულ ცეცხლს, სულს გიბერავთ,  
და თქვენ სხეულში — თბილ ნაცარში  
სულ ამოდ ვეძებ ნაკვერჩხალს...

შეგიძლიათ წამიყრუოთ, ისე, უაზროდ გამიშტეროთ ბეცი  
თვალები —

ერთის იმედით: იქნებ დროზე მორჩეს ლაყბობას!  
ვერ გაგამტყუნებთ, რადგან აბა ვის გაუხარდება  
იმ სიბეჩავის გახსენება ასე გულდასმით, რომ შენიღბა  
და აღარც სურს მისკენ გახედვა.

(თუმცა ხალხს უთქვამს — ცეცხლი თივაში არ იმალება),  
კმაყოფილების ილუზია გრძელდება წამით —  
ვიდრე ცეცხლი თივის ზვინს შთანთქავს,  
ვიდრე ფერფლად არ ვიქცევი, მარტოდენ ფერფლად,

\* \* \*

რადგან დამეა, რადგან თქვენ გძინავთ,  
გამოგადვიძებთ, გამოგინძობთ ღრმა სიზმრებიდან,  
თქვენ მოხვალთ ჩემთან, უსხეულოდ, წარმოსახვაში,  
(მეტროთი, ფეხით, ავტობუსით, ტაქსით კი არა,  
მოხვალთ ჩემი მესხიერებით).

თქვენ კარებიდან ვერ შემოხვალთ,  
ვერც ფანჯრებიდან ამოძვრებით, ამოხვალთ მესხიერებიდან  
და ბნელ ხსოვნაში მიგდებული ნეგატივები



ჩემი სურვილით გამელაღვანდეხიან.  
 უცნაურია ფიქრის ძალა,  
 როგორ იხსენებს გაჭირვებისას ძვირფას სახეებს,  
 ებლაუჭება სხვათა და სხვათა კეთილ სიტყვებს  
 თავისთავის გადასარჩენად

\* \* \*

ამ უღრანებში მზე ვერ აღწევს,  
 თანაც ხშირი წვიმების მერე,  
 ხავსი მიწასაც მოხდებია,  
 ხედავ, მიწა ხავსისფერია?!  
 იქ კი სხვა მხარეს, იქ, პირმზითში, ბებურ იფნებთან —  
 დედამზე მარად დასტრიალებს საუფლოს თვისას...

### ბავშვის ტირილი

აი, თოთო ტოტი,  
 ის გაფაჩუნდა, რადგან ფესვებს  
 შოაკლდა წყარო მაცოცხლებელი,  
 ის გაფაჩუნდა, როცა მე შევეკრთი,  
 როცა მივხვდი ხავსისფერ მიწას რა ამოდ ვებლაუჭები.

აი, ახლად გათლილი სალამური,  
 ის ახლა ტირის და ტირილის ხმას  
 ფრთხილად მიეყვარ გადარჩენისკენ...

მერამდენედ დამაბრუნე შუაგზიდან და მიმახვედრე,  
 რომ ტკივილი არასოდეს დამიამდება.

\* \* \*

დაეპატრონა ღამის ქალაქს ბებური მთვარე,  
 ადამიანთა ძარღვებში და კაპილარებში  
 მითქრიალებდა ყვითელი შუქი,  
 ამ ღამით ყველა გაიზარდა სიმაღლეში,  
 ყველას უკვირს სხეულის სიმსუბუქე და სილაღე,  
 არავენ უწყის, რომ მნათობი დირიჟორობს  
 ჩვენს ღამეულ განწყობილებას.

არ შემოძლია დაბრუნება, მიეყვარ მთვარეს,  
 ასე ღრუბელი გადაჰყავს ნიავს უცხო მხარეში  
 და თუმცა ვიცი — დასასრული ნაადრევია,  
 ვერ დავბრუნდები,  
 საკუთარ თავს ვემშვიდობები.

რად მაგონებენ ეს წუთები ბავშვობის სიზმრებს,  
 მაღალი კლდიდან გადმოგარდნას,  
 საშიშს, მაგრამ მსუბუქ ფრენას დედამიწისკენ  
 ან გაღვიძების უცნაურ იმედს,  
 რომ ყოველივე სიზმარია, მხოლოდ სიზმარი,



ახლა სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია,  
ვერ დამინახავ, ნისლს გადაყვები მარადიულ სასუფეველში,  
მზე ჩავა, ჩემი მზის საათის წყვილი ჩრდილი  
ჩამავალ მშუბს დაედევნება.  
აფრთხილდება გული — სხეულის გალიაში  
გამომწვევდელი,

იმ გალიაში —  
მთვრალმა ბავშვებს რომ გადაუკდო  
მეცხრე სართულის ღია ფანჯრიდან,  
მაგრამ ფრთოსანი ღმერთმა იხსნა,  
მტერიან ასფალტზე დანარცხებამდე  
გამოულო გალიის კარი და წაიყვანა.

მახსოვს როგორ იცრემლებოდა გოგო და ბიჭი,  
სლუკუნ-სლუკუნით ჩაირბინეს კიბეები  
(რადგან ლიფტში შესვლა ეკრძალებოდათ)  
და გაჭეჭვილ გალიაში ექებდნენ ფრინველს.

— ჩიტო გაფრინდა!  
ჩამოვძახე ბავშვებს ზევიდან,  
— ჩიტო გადარჩა!  
შეესმინა მტირალ ბავშვებს სხვა მეზობელიც  
და ხომალდივით დიდი სახლის ღია ფანჯრებმა,  
ცნობისმოყვარე სახეებს, რომ ველარ იტევდნენ  
ერთდროულად აიხედეს მაღალი ცისკენ.

იქნებ ეს გულიც გადარჩეს,  
თუმცა გული კი არა,  
თითქოს ათასი ფრთამოტეხილი ფრინველი  
ერთად ფართხალებს მეგრდში  
ისე ძლიერად და მტკივნეულად,  
რომ მე ვხედავ გულს —  
როგორც ზამბარა  
ხელი, რომ ჰკრეს და ინურციით აგრძელებს ხტუნვას,  
გულიც ასევე შეიკუმშა და აფართხალდა.

დიდუდაჩემი ასე შემოილოცავდა შეშინებულს:  
„გულო ჩადეკ საგულესა“ და ა. შ.  
ცას ახედავდა, დამტკნარი ხელით პირჯვარს  
ისე ფრთხილად გადაიწერდა,  
ბებრულ თვალებში ისეთი შუქი ჩაუდგებოდა,  
როგორც მუსიკოსს — ლვთაებრივი პიანისიმოს  
შესრულებისას.

ეს მოგონება ისე გაკრთა ღამის წყველიადში,  
როგორც სხივი ნემსის ტოლა ჭურჭრუტანიდან  
სიბნელეში შემოპარული.  
გაყვევი ამ სხივს — ბავშვობისაკენ,



სად ჭრელ მინდვრებზე ფარფატებენ ლურჯი პეპლები,  
სად სალამოხანს შაშვის ტახტახი ისმის  
და ღამის იის სურნელი,  
ისე ძლიერ ჰგავს პირველ სიყვარულს,  
რომ ვიხსენებ თითქოს ასლაც ვიყო შეყვარებული.

ყოველთვის, როცა გამოიგნებს  
გამოფიტულ დღეების ტყვრი,  
უნაყოფო, მწირ წელიწადებს  
მივიწყების ცვლით გავითბავ,  
დავუბრუნდები ჩემს ბავშვობას — ძვირფას საგანს  
და როგორც დიდი წვიმების მერე მოჭუფრული ცა,  
გული გადიყრის საავდრო ღრუბელს და გაიხსნება.

ნთუ ამ გზებზე უნდა მეგლო უთავბოლოდ, უმისამართოდ,  
სიუცხოვეში გავთოშილიყავ, რომ წლების მერე  
სიყმაწვილის მოგონებებით გავმთბარიყავი?!  
როგორც პირველკურსელი სტუდენტი,  
პირველად გოგო რომ გააცილა  
და გვიან ღამით დამშეულმა ჩამოიარა პურის საცხობთან  
და წამით შედგა,  
მეც ერთი წამით ვჩერდები ასლა ჩემი ბავშვობის ხიახლოვეს  
და ველ-მინდვრების მომხიბლავ სურნელს ხარბად  
ვისუნთქავ.

ნეტავ როდემდე ვიმყოფინებ ბავშვობის საგზალს,  
ვინ წაშლის ფიქრის ცაზე ანთებულ ყრმობის  
ვარსკვლავებს?!

ვინ ჩააქრობს იმხელა მზეს  
(მაშინ უფრო ნათელი იყო),  
ხსოვნის ღრუბლებში, რომ გახვეულა  
და ელის, როდის გამიჭირდება,  
რომ უეცრად ამოანათოს?!

იქნებ არ ღირდეს წარსულზე ფიქრი,  
თუმცა ვინ იცის რას გვპირდება დღე ხვალინდელი?!

ეჭვი მღრღნის ისევ, ეს ეჭვია, რომ მაძლებინებს.  
უპასუხო კითხვებია  
ციდან მიწაზე, რომ მანარცხებს შეუბრალებლად,  
რომ მერე ისევ წამოვიმართო  
და შეკითხვა ჯიუტ ბავშვივით  
გულუბრყვილოდ გავიმეორო:

— რას გვიქადის დღე ხვალინდელი?  
არარსებული დღე კი არა — აი, ეს წამი  
ახლა რომ გადის შეუმჩნევლად —  
უკანასკნელ სიტყვასთან ერთად,  
იქნებ, ამ ცეცხლის ნაბერწკალია უეცრად რომ წაგვიიდება?!

მინდა მოვასწრო, გითხრა სათქმელი,  
 დრო აღარ ითმენს, ნეტავ საით მიმეჩქარება,  
 ნუთუ ზღვარი მოახლოვდა აღსასრულისა?!

ოთხივე მხარეს ზღვა დგაფუნებს  
 უკიდევანო  
 და ბავშვობას — ერთადერთ კუნძულს ვებღაუჭები.

### სიზმარი

იმან იდარდოს —  
 ვისაც ცა ქუდად არ მიაჩნია,  
 დედამიწა კიდევ ქალამნად,  
 თორემ მე რა...  
 ერთი ლუკმა პური,  
 ერთი ციდა მიწა,  
 ზეცა ერთი თვალის მოვლება —  
 ჩემი დათვლილი დღეებისთვის საკმარისია.

მეც იმ ჯაგოვით, ხრიოკზე რომ დგას  
 ღვთის წყალობის მომლოდინე ვარ,  
 ვერ გამაოცებ ვერც წვიმებით და ვერცა გვალვით.

გაზაფხულის ქარს დაგმანულ სარკმელს რომ გამოვეუღებ,  
 მკერდს რომ მივეუშვერ მთების სუნთქვას  
 დამეული კომმარის მერე —  
 ესევ მყოფნის გადასარჩენად.  
 ბედს შევეჩვიე, ერთ ლოყაზე თუ შემოშვარავ,  
 მყისვე მეორე მოშვერილი მაქვს,  
 ერთგულ ძაღლივით გაგინერდები,  
 შენ მცემე, მე ვიწკმუტუნებ,  
 ოღონდ უფალო ფიჭრს და ოცნებას ნუ დამიშლი,  
 ოცნებაში მარად მე ვარ გამარჯვებული.

### ბავშვის ტირილი

იძინე შეილო! დამძიმდა სასლი ქაოტური მოჩვენებებით,  
 უკვე თინდება, უსახელო ფერი აქვს ზეცას,  
 „მზე აღმოსხდება აღმოსავლით,  
 მანუგეშებელს ეტყვის რასმე ქვეყნიერებას“.

მორვეი დღისა კვლავ ჩამითრევს,  
 ნაფოტივით დამატრიალებს,  
 რომ საღამოთი გამომრიყოს მყუდრო ნაპირზე,  
 კვლავ მივაშურო — ფიჭრის ხეებით აშრიალებულ  
 მარტოობის ბაღს  
 და გრძელ დამეებს ვუდარაჯო უერთგულესად.



შენს ღიმილს, სიზმარში რომ იღიმები,  
იმ ღიმილის ხილვას ვინატრებ,  
როცა ბაგეზე უკანასკნელ სიტყვას შევნიშნავ.

შემომამჩვენა უღონო ხელში,  
აყვავებული ალუბლის ტოტი,  
მოლივლივე ცა შეაგება უსიცოცხლო და მიმქრალ თვალებს  
და ვიდრე ფიქრში გაღმა ნაპირს წავეპოტინე,  
შემომამბრუნა იის სურნელით გაბრუებულმა ნიავის ქროლვამ.

საით მიგყავარ გაზაფხულო,  
ისევ იქით, ისევ იმ მხარეს?  
ისევ იმ ხალხთან, ქაოსში მიხმობ?

გადამეღობა უცარი გაზაფხული  
შემაჩერა, შემომამბრუნა და ჯვრძნობ —  
ამ ქვეყნად ერთი კვირტიც არ იფოთლება,  
მდინარეს წვეთიც არ ემატება,  
ისე მთვარეც არ ამოდის,  
რომ არ ტოვებდეს ჩემში ნაკვალევს  
ღრმას, წარუსლელს, იდუმალს, მფეთქავს.  
რადგან დამტოვე და მომამბრუნე, მოფდივარ შენთან...  
ალუბლის ტოტი კი არ ანათებს არემარეს,  
კი აღარ მოჩანს სიბნელეში, ის მზერას ახსოვს,  
როგორც ციურ პარმონის ხილული ეჭო,  
რომელიც ისე ზუსტად წააგავს ჩვენს ბავშვობას,  
რომ მსგავსება გვაშინებს ხშირად.  
ჩქარა, რომ არ დაჭკნეს არ მოიწყინოს,  
ლარნაკში ჩადგით მოტეხილი ტოტი ალუბლის,  
გამოუცვალეთ მალიმალ წყალი,  
მერე შემოდგით ფანჯრის რაფაზე  
და იოცნებეთ რაზეც გენებოთ?!

მხოლოდ ოცნება, მხოლოდ ფიქრი, მხოლოდ ჩურჩული,  
ძერწავდა ნაკეთებს, ქმნიდა სახეს, გასახიჩრებდა,  
თვალეში ლოცვის და მუდარის კონტურებს ქსოვდა...  
შენ ყველაფერს იმასხოვრებდი,  
კლავიშებივით ითვლიდა ნექნებს შიშველ ფერდებზე  
და გაუქმებულ წყაროს ღარივით  
გამშრალი ხახა,  
ვერ იგონებდა მზიარულ ბგერებს,  
(დროის დინებას, რომ ახსენებს ადამის ძეთა),  
ველარცა ზავილს ერეოდა.  
იგი დუმდა ცრემლისსმომგვრელად.

ჭუჭრუტანაში შემოპარულ სხივს,  
საკუწუნეთა სიბნელეს, რომ ბურღავს და ბურღავს,  
სიკვდილის წინ რად იგონებდი?!

მდინარე — არა თაგვევ მიმავალი, არამედ შენკენ,  
 დაბერილ ძარღვებს, რომ შეერთვის  
 და გაზაფხულის მღვრიე ტალღებს მოათქრიალებს,  
 სწორედ ასე დატბორილი ვარ  
 შენი სხეულის ვნებიანი ქარმონით,  
 მონუსხული ვარ, შენი ღიმილი ველის ყვავილივით იშლება.

რად დამაბრუნე შუაგზიდან ბინდისფერში,  
 რად მიმახვედრე, რომ ეს მთები კი არ შეთხოვა,  
 უძღური და დამარცხებული  
 ბრძოლის ველიდან მივიპარები?!

„ეს ცა, ეს მიწა, მზე და მთოვარე,  
 ეს ბუნებაა ჩვენი მფარველი“,  
 და არაგვის ხმა, მხოლოდ მდინარის ხმა კი არა,  
 შენი ხმაა დაუსაბამო,  
 რომ არ დუმდება, არ მთავრდება  
 და გრძელდება საუკუნიდან საუკუნეში,  
 მოედინება, ვარსკვლავიან ცას  
 დროშასავით მოაღივლივებს.

### ბავშვის ტირილი

გამთენიამდე ბორგავდა ბავში,  
 ბორგავდა, ხმობდა დედას და მამას  
 და მომერვენა მიჰყავდა ცაში,  
 იგი მიჰყავდა მინორულ გამას.

მე დავუყვავე და მოვეფერე  
 და ისე ფრთხილად მოვზვიე ხელი,  
 ვითარცა მთვარის შუქი ბებერი  
 ნაზად უხვევა ყვავილებს ველის.

შემომხედა და თვალი მიღულა  
 და გაეცინა ანგელოზს ძილში,  
 ო, ღმერთო ჩემო, ღღვება ყინული,  
 ქრება ძარღვებში გამჯდარი შიში.





## მ ი წ ა

ჩიკოვანი

თათბირიდან უჩა ნაშუალამევს დაბრუნდა ყულევში. იგი პარტორგმა მოიყვანა თავისი მანქანით და კიდევ ერთხელ მიულოცა დამშვიდობებისას, მისი წინადადების ასე ერთხმად მიღება და მოწონება თათბირზე.

ანტონ ბაჩილო ღრმა ძილში იყო. იმის შიშით, რომ არ გაეღვიძებია მეგობარი, ჩექმები აივანზე დატოვა და ოთახში ფეხშიშველი შევიდა. მისი შესვლა და ანტონის გაღვიძება ერთი იყო. ბელორუსი ძილშიაც კი წუხდა, რომ უჩამ დაიგვიანა. იცოდა, ივიღლის ცვლაში მუშაობდა და საღამოს უნდა დაბრუნებულყო. ლოგინზე წამოჭდა, შეხედა და ლამფის მკრთალ შუქზეც კი შეატყო, რომ უჩა დაღლილობისაგან ძლივს იდგა ფეხზე.

— სად იყავი ასე გვიანობამდე, უჩა?! — ჰკითხა ანტონმა, ჩუმად, რომ მომიჯნე ოთახში ცოლ-ქმარი არ გაეღვიძებია.

— სამმართველოში ვიყავი.

— რა გინდოდა ამ შუალამისას სამმართველოში?!

— თათბირი იყო, — უთხრა უჩამ და უამბო, რა საკითხს იხილავდნენ და რა დადგენილება მიიღეს.

ბაჩილო აღტაცებული უსმენდა. მღელვარებისაგან ლოგინში ვერ გაჩერდა, წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

— რა დიდებული ამბავია, უჩა, — წამოიძახა მან, როცა უჩამ მოყოლა დაამთავრა. მის წინ შედგა: — ეს ხომ... ეს ხომ... როგორ გითხრა. სიტყვა ვერ მომიძებნია... — ფეხშიშველი, საცვლების ამარა მიმოდიოდა ოთახში. — ეს დეობადა ასეთი საოცარი აზრი?! — ჩამოჭდა უჩას გვერდით საწოლზე. პაპიროსი იყო უჩას ტუმბოდან და მოუკიდა.

უჩა ისე იყო დაქანცული თავისი წინადადების წარმატებით გამოწვეული მღელვარებით, ტანს ძლივს იკავებდა, ნელა იხდიდა, არ უთხრა ბაჩილოს, რომ ეს მისი იდეა იყო.

— თათბირზე გამოთქვეს ასეთი აზრი, ანტონ! დამავიწყდა შეთქვა, ბონდო ავად გამიხდა. ამაღამ ჩემი „კომსომოლეცი“ გაჩერებულია.

— რა დაემართა, ბონდოს?

— გააცია. მთაშია დაბადებული და გაზრდილი. ვერ აიტანა აქაური ჰაერი.

— ვერ არის ეს კარგი საქმე.

— ერთი ამბავი უნდა გითხრა, ანტონ, თუ არ მიწყენ.

— რა უნდა მიიხრა ისეთი?! — გაუკვირდა ანტონს.

— ბონდოს მაღალი სიციხე ჰქონდა. უპატრონოდ ვერ დაეტოვებ.

— არ უნდა დაგეტოვებია უპატრონოდ.

— იცი, ვინ გაუფუგზავენ?

— საიდან მეცოდინება?

— შენი ცისანა გაუფუგზავენ.

— კარგად მოქცეულხარ. ყორათის ციებიანი ავადმყოფის მარტო დატოვება დიდი ცოდვია. მე რომ მიაციებდა, შენ და ეს ჩვენი მოხუცები რომ არ მყოლოდით პატრონად, ჩემი ხსენება არ იქნებოდა ამ ქვეყანაზე.

— მაგრამ შენ ალბათ, ვაფიქრე, რატომ თავისი ცია არ გაუფუგზანაო.

— მართალი ხარ, უჩა, ვაფიქრე, — გაიცინა ბაჩილომ, წამოდგა და თავის ლოგინზე დაწვა.

— იცი... — უჩამ ხალათი გაიხიდა. —

იცი... — ვერ ახერხებდა თქმას. — ცია არ წავიდა. უარი მიიხრა.

— უთუოდ რაღაც მიზეზით.

— დიდი მიზეზით, ანტონ, — უთხრა უჩამ. ძიქვა და წინდები ერთად გაიხიდა.

— კარგი უქნია, რომ არ წასულა.

— საქმე ის არის, ანტონ... რომ ბონდოსაც უყვარს ცია.

— მეხუმრები? — არ დაიჯერა ანტონმა.

— არ გეხუმრები, — უჩა დაწვა.

— ამიტომ მოვიდა აქ სამუშაოდ?!

— ალბათ.

— ცუდად მოქცეულა.

— რატომ მოქცეულა ცუდად?!

— თუ იცის, რომ ციას შენ უყვარხარ, არ უნდა მოსულიყო.

გარედან ზღვაური შემოდოიდა.

— ეგ მეც ვიფიქრე, ანტონ, მაგრამ მოვიდა. ხომ ვერ გავაგდებდი, — უთხრა უჩამ. გაჩუმდა და მერე ძილმორეულმა ხმადაბლა დაუმატა: — ცია ერთხელ არ უხსენებია ჩემთან.

— მაგარი ნებისყოფის ყოფილა. ციამ თუ ნახა?

— არ უნახავს.

— შენ პირველმა უთხარი ციას, ბონდოსთან წადიო?

— პირველმა, — წაიღულღულა სხლმორეულმა უჩამ.

— ყოჩაღ, უჩა.

— ციამ უარი რომ მიიხრა, ცისანამ შემომთავაზა, მე წაველო. უპატრონოდ ხომ არ დავაგდებთ ავადმყოფსო, — უთხრა ძილში წასულმა უჩამ ბაჩილოს.

ციისანამ ბონდო ნოდის ოთახის კარი რომ შეაღო, ავადმყოფს ეძინა. საწოლთან ნავთის ლამფა ენთო, გამკვარტლული, გაშავებული. ცისანამ მიინც დაიხანახა იმ ნელ შუქზე ბონდოს სიციხით გაეარვარებული სახე. იგი პირაღმა იწვა. შუბლზე სველი ტალო ედო. ნერვიულად ეძინა და ქუთუთოებს ახამხამებდა. თავის საბანთან ერთად გუდუიას საბანიც ეხურა. შეტევას გაეგლო, აღარ სციოდა, ოფლში ცურავდა. ისე იყო მოთენთილი, ხელის აწვევისა და მეორე საბნის გადახდის თავი არ ჰქონდა.

ციისანამ მეორე საბანი ფრთხილად გადახადა და გუდუიას ლოგინზე დადო. ფრთხილად იმიტომ, რომ ბონდო არ გაეღვიძებია, მაგრამ ავადმყოფმა მაშინვე გაახილა თვალი.

— როგორა ხართ? — ჰკითხა ცისანამ. შუბლიდან ტილო ააცალა, გაფეროთხა, გააგრილა და ოთხად გაკეცილი ისევ დააფარა.

— ექიმი ხართ? — შეხედა ბონდომ ცისანას.

— არა.

— ექთანი?

— არა. ცისანა ვარ ცინცაძე. უჩამ გამომგზავნა თქვენთან.

— საიდან გამოგზავნათ? — გაუკვირდა ბონდოს.

— საცდელი სადგურიდან. იქ ვმუშაობ.

— ცია ცანასთან? — გაეხარდა ბონდოს.

— ერთად ვმუშაობთ მე და ცია. ბონდომ მღელვარების დასაფარავად ჰკითხა:

— რა დროა?

— ღამის ცხრა საათია.

— როგორ ჩამოდით ასე გვიან ფოთიდან.

— მთავარი ინჟინრის მანქანა მომცა უჩამ.

— უჩა სადაა?

— სამმართველოშია თათბირზე.

— თქვენ რატომ გამოგაგზავნათ ჩემთან? — ლაპარაკი უჭირდა, ტკივილისაგან თავი უსკდებოდა. ცისანას ბუნდოვნად ხედავდა. ეგონა, თვალში ნისლი ედგა.

— იმიტომ გამოგაგზავნა, რომ მოგიართ ავადმყოფს, — ტილო ისევე ააცალა, ფანჯარასთან მივიდა, რანდენჯერმე გაფერთხა, რომ კარგად გაგრილებულიყო. იქვე კუთხეში ვედროთი წყალი იღვა, მაგრამ წყალი ჰაერზე უფრო თბილი იყო. უფრო სქლად გავეცა ტილო, დაადო შუბლზე და საფეთქლებზე, თან ხელი დააჭირა: — ხომ გრილია?

— გრილია, — უთხრა ბონდომ. — ციამ იცის, რომ ბონდომ ჩემთან გამოგზავნათ.

— იცის. მე და ცია ერთ ოთახში ვცხოვრობთ.

„ერთი ჰაერით სუნთქავთ, ერთ ოთახში ცხოვრობთ, — ფიქრით წარმოიდგინა ცია და ცისანა ერთად. — ერთად ჭამენ, ერთად სვამენ, ერთად დადიან სამუშაოდ, შინ ერთად ბრუნდებიან“. — ნელა ამოიხხრა.

ცისანას არ გამოეპარა ეს ამოხხერა.

— თავი გტკივით?

— ცოტა... არაფერი არ მტკივა. კარგად ვარ. რა გქვიათ?

— ცისანა.

— ცია... ცისანა... თქვენი სახელები ერთმანეთსა ჰგავს.

— უჩა და ანტონიც ასე ამბობენ... სახითაც ჰგავხართ ერთმანეთსო, — უთხრა ცისანამ.

ბონდო დააკვირდა.

— მართლა ჰგავხართ, ციას. ლამაზი ხართ.

— თუ ციას ვგავარ, მართლა ლამაზი ვყოფილვარ, — უთხრა ცისანამ და გაიცინა.

— ლამაზი ხართ, ციასავით ლამაზი,

— თავის ტკივილი დაევიწყდა, თვალში უჭიჩა ჩაუდგა.

ციანა ხედავდა, ციას ხსენებაზე ჯერ როგორ გაუნათდა თვალები, რალაც ღიმილის მაგვარიც გაუერთა დაჭანკულ სახეზე. უნდოდა რაიმე სანუგეშო ეთქვა, გაემხნეებია, მაგრამ რითი ანუგეშებდა, რით გაამხნეებდა!

— წინათაც გაციებდათ, ბონდო? — ჰკითხა და საწოლზე სკამიდან ისე გადაჯდა, ტილოსათვის ხელი არ მოუშორებია.

— ჩვენში, ლაკადაში ციება არ იცის.

— აქ ყოველ მესამე ადამიანს აციებს. ქინაქინის ნემსი გაუყუთებიან თქვენთვის. შესძლოა მეტი აღარ გავაციოთ.

— ღმერთმა ქნას, თორემ უჩას დაეღალატებდა.

— რაში?! — ვერ გაიგო ცისანამ რაში დაღალატებდა უჩას.

— ჩვენ ერთ ექსკავატორზე ვმუშაობთ.

— ვიცი.

— ერთ ბელორუსელს ვეჯაბრებთ.

— ესეც ვიცი.

— საიდან?!

— ის ბელორუსელი ჩემი საქმროა.

— გვაჯობებს შეჯიბრებაში თქვენი საქმრო. თქვენ და ცია ერთად ცხოვრობენ. უჩა და ანტონიც ერთად ცხოვრობენ, — არ უნდოდა ცისანას შეენიშნა მისი სევედა.

ციანა ყველაფერს ხედავდა და გრძნობდა.

— რა ჭამეთ დღეს, ბონდო? — ჰკითხა ცისანამ.

— პირი შხამივით მაჭქვს. ვერაფერს ვერ შევჭამ.

— ასე იცის ციებამ. წიწილის ხორცი ჩამოგიტანეთ. ერთი ბარკალი და ფრთა მაინც შეჭამეთ, — ისე თხოვა ცისანამ, რომ ბონდომ უარი ვერ უთხრა. — დასუსტდებით და ანტონი გაჯობებთ შეჯიბრებაში, — ხელჩანთიდან ხორცი, მარილი და მჭადი ამოიღო. — დედამ ჩამომიტანა სოფლიდან, — ტაბურეტზე გაზეთი დაუფინა, ზედ დაალაგა ხორცი,

მარილი და მჟავი. ერთ ხელში წიწილის ბარკალი მისცა, მეორეში — მჟავი. — ჭამეთ.

დერეფანში ორი ადამიანის ნაბიჯის ხმა გაისმა.

— ძილი ნებისა, გუდღუია.

ეს ვასო ბრეგვაძის ხმა იყო.

— ღამე მშვიდობისა.

უკასუხა გუდღუიამ. მერე გაიღო და შიხურა მოპირდაპირე ოთახის კარი. ბრეგვაძე თავის ოთახში შევიდა.

„ნეტა სად იყვნენ აქამდე?“ — გაიფიქრა ბონდომ. ეამა წიწილის ხორცი. ჭამდა და კარს უყურებდა.

შემოვიდა გუდღუია. ცისანა რომ დანახა, გაუკვირდა, ექიმი ეგონა. ამ დროს ექიმი რათ მოუყვანეს, ალბათ, ბონდო ცუდათაო. ბონდოს ხელში წიწილის ხორცი და მჟავი რომ დანახა, დამშვიდდა. ცისანას მიესალმა. თავის ლოგინზე ჩამოჯდა.

— ცისანა, ანტონ ბაჩილოს საცოლე, — გააცნო ბონდომ. — ეს კი გუდღუია ესვანჯია, ჩვენი ექსკავატორის მამა. შვილივით უფლის მანქანას, სად იყავით შენ და ბრეგვაძე აქამდე?

— გმუშაობდით.

— მუშაობდით?! — ჭამა მიატოვა ბონდომ, გუდღუიას შეაჩერდა. — შენ და ბრეგვაძე მუშაობდით?

— მე და ვასო.

— ვასო მართავდა ექსკავატორს?! — წამოჯდა ბონდო. არ ჯეროდა გუდღუიას ნათქვამის.

— ვასო მართავდა. კარგი დრაფერი ყოფილა, მაგრამ მალე იღლებოდა. სვენებ-სვენებით მუშაობდა. ერთი ცკლის ნორმა მაინც შეასრულა, — უთხრა გუდღუიამ და დაუმატა: — შენი ცკლის ნორმა.

— ჩემთვის გაისარჯა ასე?

— საქმისათვის გაისარჯა. ასე თქვა თვითონ.

ბონდოს სიხარულისაგან ჭამა დაავიწყდა, წიწილის ხორცი და მჟავი ხელში შერჩა.

— თქვენ კი გეშინოდათ, ის ბელორუსელი გვაჯობებსო, — უთხრა ცისა-

ნამ. — მე და ციაც ვეჯიბრებით ერთმანეთს, მაგრამ არ ვეშინია, ვინ წააგებს შეჯიბრებას.

— რატომ არ გეშინიათ?! — ბონდომ ჭამა განაგრძო.

— იმიტომ, რომ ვინც გაიმარჯვებს, ჩემთვის სულ ერთია.

— ეს მართალია, ცისანა, — გამოცოცხლდა ბონდო, — მაგრამ გამარჯვების გარდამავალ დროშას ჩვენი და ანტონის ბრიგადიდან ორში ერთი მიიღებს. ძალიან მინდა მე და უჩამ მივიღოთ დროშა.

— იქნებ მიიღოთ, — გაამხნევა ცისანამ. — აი, თქვენ სიცხემ დაგიწიათ.

— რაზე მატყობთ?

— თვალზე, ფერზე. ჭამეთ. ხვალ კიდევ გაგიკეთებენ ნემსს და შეიძლება მეტი არ გაგაციოთ. მე ვილოცებ თქვენზე, რომ აღარ გაგაციოთ.

— თქვენ... ანტონ ბაჩილოს საცოლე, ილოცებთ, რომ არ ვამაციოს?! —

— რასკვირველია, სოციალისტური შეჯიბრება თანასწორი ძალებისა უნდა იყოს. ანტონმა ავადმყოფს რომ მოგიგოთ შეჯიბრება, ეგ მოგება არ იქნება.

— ცისანა, თქვენ ღამაზია ხართ და კარგი გულიც გაქვთ, — უთხრა ბონდომ და გაწითლდა. — ბედნიერია ანტონი, რომ ასეთი საცოლე ჰყავს.

— ჭამეთ, ბონდო. აი, ფრთა. არ გიყვართ ფრთა?

— თქვენს მოწოდებულს მგლის ხორცს შეეკამ, — უთხრა ბონდომ და წიწილის ფრთა ჩამოართვა.

ცისანა გუდღუიას მიუბრუნდა:

— დაწეკით, გუდღუია ბატონო. დაღლილი ხართ, მოისვენეთ.

— არა. შენ დაწეკი ჩემს ლოგინზე, — შესთავაზა გუდღუიამ.

— მე ორ სკამს მივადგამ ერთმანეთს, — უთხრა ცისანამ, — სკამებზე დაწვეები.

ვასო ბრეგვაძეს გარიყრაქამდე არ მოუხუტავს თვალი. თექვსმეტი საათი ექსკავატორზე მუშაობამ მკლავები დააწყვრტა. წელი, ფეხები, მხრები მისი აღარ

იყო. ის დარჩენილი მესამედი ღამე კენესა-ოხვრამში გაატარა. ვერც ერთ გვერდზე ვერ მოისვენა.

ვახშმის შემდეგ ბონდოს სიციხე მთლად ნორმამდე დაუვიდა და მისუსტებული, ღრმა ძილს მიეცა. ცისანა-ორ სკამზე მოკრუნჩხული იწვა. ცალი ზეგი სასთუმლის მაგივრად ლოყის ქვეშ ედო, რაღაცით კმაყოფილი, სიზმარში იღიმებოდა.

გუდუიას გაუხდელს ეძინა ტახტზე. ალიონზე გაიღვიძა, ტახტი რომ არ აპრაპუნებელიყო, ნელა წამოჯდა, ორივეს მზრუნველი თვალით გადახედა, ჩექმები აიღო, კარი ფრთხილად გამოაღო, ისე გავიდა დერეფანში, არც ბონდოს გაღვიძებია, არც ცისანას.

გარეთ ჭერ კიდევ ბნელოდა. ბარაკებში ეძინათ. ძალდი კიბეზე შემოეგება. ერთად ჩაუარეს ბარაკებს. ჩქარი ნაბიჯით გაეშურნენ არხისაკენ. გუდუიას უნდოდა უჩასათვის დაესწრო ექსკავატორთან მისვლა, მოემზადებია მანქანა — ჩაესხა საწვავი და ზეთი.

ხეებზე ფრინველები იღვიძებდნენ. ისმოდა ფრთების ფართქალა, ტოტიდან ტოტზე გადაფრენის ხმა და ფოთლების შრიალი. ბილიკით მიდიოდა. ძალდი, როგორც ყოველთვის, წინ მიუძღოდა, ბუჩქებსა და ბალახს სუნავდა, უკან ისე დებოდა, ერთს შეხედავდა გუდუიას, კუდს გააქიციანებდა და მერე ისევ წინ ვარბოდა. ასე მეორდებოდა ყოველ დილით. თითქოს ეშინოდა ძალდს კამეჩსა, თხასა და შვლებივით ისიც არ მიეტოვებია პატრონს. ღამეს კიბის ქვეშ ათენებდა. სამუშაოზე ექსკავატორს არ შორდებოდა. გუდუია სამხრის ან წყლის მოსატანად რომ წაივდიოდა, იქაც წინ მიუძღოდა.

შორიდან გაიგონა ექსკავატორის ღრქილ-რახრახი. — „დამასწრო“. — გაიფიქრა გუდუიამ და გაუღიმა უჩას. კიდევ უფრო აუჩქარა ნაბიჯს. ექსკავატორის ხმამ ძალდიც ააჩქარა, ძუნძულით გარბოდა.

ბილიკი გუდუიას გაკვალული იყო. ამ ბილიკით კანტორიდან, საწყობიდან, სა-

სადილოდან და არხიდან რამდენჯერმე უხდებოდა ავლა-ჩავლა. ეს იყო უმოკლესი ბილიკი კანტორიდან არხამდე და ამიტომ შეარჩია იგი გუდუიამ.

ამ ათასჯერ ავლილ-ჩაველილ ბილიკის ნაბიჯებზე და ტყის სიღრმეში ყველაფერი ნაცნობი იყო გუდუიასათვის. თვალდახუჭული მივიდოდა ნაცნობ ხესთან, ძეძქთან, ქაობთან, ტყიურის ბუდესთან და ნადირის ბუნავთან.

ტყე ბნელი იყო, როგორც კოლხიდის ქაობიანი დაბლობების ყველა ტყე, ხმაურიანი, შფოთიანი, ნადირითა და ფრინველით სასვე. წვიმისა და ქექა-ქუხილის ქამს კიდევ უფრო გადაარეული და თავაწყვეტილი. ავდარში ხეებზე და ძეძქებზე წვიმის შხლარტუნი, ქარის წივილი, ქექა-ქუხილი ახანზარებდა ტყეს. ელვა აჭრელებდა. ზღვიდან მონაბერი ქარი ეკალ-ბარდს ნაბღებივით არწევდა.

ტყის ხმაურს ხშირად ზღვის ზათქი ერთვოდა. ზღვა ნაბიჯზე გამოიჭრებოდა ამ ღროს, ყალყზე შემდგარი ტყეში შევარდებოდა და თეთრი და შავი ტალღები ხეებს ელენებოდა.

წინათ ასეთი ქამი და ასეთი ავდარი გუდუიას კარვიდან გამოიყვანდა, კარვის წინ შედგებოდა. წვიმა და ქარი ყოველ მხრიდან სცემდა. ელვა სახეზე დამთელ ტანზე ეფინებოდა. ოპოპო!.. ოპოპო!.. შეჰყვიროდა ავდარს მგრვინავი ხმით ავდარივით აბობოქრებული გუდუია. თვითონაც არ იცოდა, რატომ ელაპარაკებოდა ენაადგმულ ტყეს, წვიმას, ქარს, ქექა-ქუხილსა და ზღვას.

მშვიდი ტყე და მშვიდი ზღვა უოკებდა სიმწრით აღტუნებულ სულს. აი, ასეთი, ახლა ამ ვარჯიშისას მრავალფერად ნელა რომ ბრწყინავდა და პრკიალებდა. მხოლოდ ფრინველთა ყივივი, სტვენა და გალობა, ხის ტოტებზე მონაგარდე ციყვების ბრჭყალების ფხაქაფხუჭი რომ არღვევდა.

მიდიოდა გუდუია თავისი ბილიკით. მისი განიერი მხრები იმ ვიწროებში აქეთ-იქით ეღებოდა ეკალ-ბარდს, მა-



ლალ გვიმრნარსა და ისლნარს, ზავსმო-  
დებულ და სურთაკიდებულ ხეებს.

მიდიოდა უკიდევანო მწვანეში და ის-  
უნთქავდა გრილ ჰაერს. გრძნობდა, რო-  
გორ შედიოდა იგი მის სხეულში. ეს მი-  
სი ჰაერი იყო, შეჩვეული, შესისხორცე-  
ბული, მაგრამ ყოველთვის ახლებურად  
საგრძნობი და საამო.

თავზე, მხრებზე უხვად ედვებოდა  
ფოთლებიდან ჩამოცეცილი გამჟღავნ-  
ვალე ცვარი, გრძნობდა, როგორ უბრუ-  
ნდებოდა გუშინ და წუხელ დაკარგული  
ძალა.

ტყისპირზე გავიდა. გამოჩნდა არხი  
და ექსკავატორი, გამოჩნდა კაბინიდან  
უჩა შამუგია.

გულუიას მისდა შეუმჩნეველად თანდა-  
თან აეხადა გულის დახურული სარქვე-  
ლი. ჩაღამებულ თვალებში შუქი ჩაუდ-  
გა. მოღრუბლულ, აბედისფერ სახეზე  
ზოგჯერ ღიმილიც შეეფინებოდა და მა-  
შინ ის უსიამო აბედისფერი უკან დაი-  
ხედა, საღლაც კანს იქით ჰქრებოდა და  
სახეზე ადამიანის ფერი ედებოდა. ახ-  
ლაც უჩამ ხელი დაუქნია თუ არა, ღი-  
მილმა და ამ ფერმა მოიცვა მისი სახე.

— გულუია ბაბუ, როგორაა ბონდო?  
— კაბინიდან გამოსძახა უჩამ, რომ ექ-  
სკავატორის ღრჭიალ-რაზარას არ ჩაექ-  
რო მისი ხმა.

— კარგადაა. სიცხემ დაუწია, — ხელი  
დაუქნია გულუიამაც.

წინ ცვრით გალუმპული ძალი მიუძ-  
ლოდა ისევ. თვითონ თავით ფეხამდე  
სველი გრძელი ნაბიჯით მიაბრტებდა.

უჩამ ძრავი გამოართო, სარკმლის ჩა-  
რჩოდან თავი გამოჰყო და ასე უცდიდა  
გულუიასა და ძაღლის მოახლოებას.

— მაინც რამდენი აქვს სიცხე, გულ-  
უია?

— სულ არ აქვს. ივანშმა და დაიძინა.  
იმ ვოგომ თქვა, შენ რომ გამოგიგზავნია,  
მეტს აღარ გააციებდესო.

— იმ ვოგომ რა იცის, — გაეცინა  
უჩას. — ნეტა მართლა არ გააციებდეს  
მეტს, — ბერკეტებს მიუჭდა, ძრავი ისევ  
ჩართო. — გულუია! — დაუძახა კაბინი-  
დან. — აწი აქ საცხოვრებელ ვაგონებს

დაგვიდგამენ. ელმავლებს რომ უბიათ,  
ისეთებს. აქ ვიცხოვრებთ და ამ სოფო-  
რიდან წასვლა-მოსვლა აღარ დაგვეჭირ-  
დება. ცვლაზე ორი დრაგერი და ორი  
თანაშემწე იმუშავებს. დრაგერები ვან-  
ტზე რომ დადგებიან, ორორ ცვლას იმ-  
უშავებენ. თითოეული ექვს საათს. შემ-  
დეგ ექვს საათს დაისვენებენ და მერე  
ისევ ვანტაზე დადგებიან. ექსკავატორი  
დღე-ღამე იმუშავებს, — გულუიას რომ  
არ ეკითხა, ვინ მოიგონა ესო, სწრაფად  
დაუმატა: — ასე დაადგინეს სამმართვე-  
ლოში.

— ჭკვიანურად დაუდგენიათ, — ასძა-  
ხა ქვევიდან გულუიამ. ექსკავატორთან  
შედგა. პირზე ორივე ხელი მოიფარა: —  
დრაგერებს საიდან მოიყვანთ?

— ტრაქტორისტებს მოვიყვანთ ემტე-  
ესებიდან, — გადმოიხარა სარკმლიდან  
და ჩამოსძახა უჩამ. მერე კმაყოფილმა  
თავისი სიმღერა წამოიწყო:

ვოუ, ნანა, ყორათს მივალ,  
მძებარი გზისა მარალ,  
უმიწო და უსახლ-კარო,  
მთვარისა და მზის ამარა...

სალამოს ყორათის კლუბში დრაგერე-  
ბი თავიანთი თანაშემწეებითა და მომსა-  
ხურეებით შეიკრიბნენ. კრებამ ერთხმად  
მოიწონა დრაგერთა ოთხცვლიანი მუ-  
შაობის იდეა.

ლონგინოზ ლომჯარიას დაავალეს ხო-  
ბის, ახალსენაჯის და აბაშის „მეტს“-ბიდან  
ტრაქტორისტები მოეყვანა, შეესწავლე-  
ბიათ ექსკავატორზე მუშაობა და შეექ-  
მნათ ოთხცვლიანი ბრივადები.

— ეს ისეთი საქმეა, რომლის ფასი  
ჯერ არ ვიცით, — თქვა თავის სიტყვაში  
ანტონ ბაჩილომ. ექსკავატორის სად-  
ლელამისო მუშაობა, დრაგერთა ბრივა-  
დები და მათ შორის სოციალისტური  
შეჯობრება, იცით რა არის ეს? — მიმა-  
რთა კრებას. — თვით ალექსეი სტახა-  
ნოვი მოვიდოდა ალტაცებაში. მე შხადა-  
ვარ, ამხანაგო კოჩა, — მიმართა კრების  
თავმჯდომარეს ყორშიას, — ორ თვეში  
სამი დრაგერი მოვამზადო. თუ ყველა  
ჩვენს ექსკავატორს ოთხცვლიანი ბრი-

ჯდა ეყოლება, დედაარხს ორჯერ უფრო ადრე გაიყვანთ.

— ჩვენ კიდევ ორ ექსკავატორს შეგვებირდნენ, ანტონ, — უთხრა ვეა ჯაფარიძემ ბაჩილოს, — და მაშინ ათი ბრიგადა გვეყოლება. მართლა გაიყვანთ ორჯერ უფრო ადრე დედაარხს. ექსკავატორებს სხვა არხების გათხრაზედაც გამოიყენებთ. ბარით მომუშავეებს ტყის ვაკაფვაზე გადავიყვანთ.

ვასო ბრეგვაძე კრებას არ ესწრებოდა. იმ დღეს ლოგინიდან ვერ ადგა. ორ ცვლაზე მუშაობა ვერ აიტანა მოხუცის ჯანმა. წუხდა, რომ ასეთ საინტერესო კრებას ვერ ესწრებოდა. ბორგავდა, წრიალებდა, ერთი სული ჰქონდა, როდის მოიტანდნენ კრების გადაწყვეტილების ამბავს. თუმცა იცოდა, კრებაზე გადასაწყვეტი არაფერი იყო. ვინ წავიდოდა სადღეღამისო ბრიგადების შედგენის წინააღმდეგ. კრებაზე მხოლოდ გასაცნობად იხილავდნენ ამ საკითხს.

კრების შემდეგ ბრეგვაძეს ვეა ჯაფარიძე და უჩა შამუგია ესტუმრნენ. უამბეს, რა ერთსულოვნად მიიღეს კრებაზე განსახილველი საკითხი.

ბრეგვაძის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისეთი ალერსით შეპყურებდა უჩას და ისე ელაპარაკებოდა, რომ უჩა თავს უხერხულად გრძობდა. უკვირდა თავისი წინადადების ეგზომ დიდი მოწონება და მნიშვნელობა, ბრეგვაძის ალტაცება, კაცის, ვინც შექებაზე ძალიან ძუნწი იყო.

ბრეგვაძის ოთახიდან უჩა ბონდოსთან შევიდა.

ბონდოსათვის დღეს აღარ გაეციებია. ცისანა ფოთში არ წასულიყო. არ მიუტოვებია ავადმყოფი. გამოცდილებით იცოდა, ზოგს დღეგამოშვებით რომ აციებდა და გადაეწყვიტა კიდევ ორი დღით დარჩენილიყო ბონდოსთან.

— კარგი გიქნია, რომ არ წასულხარ, გაუხარდა უჩას, — შეიძლება ხვალ გააციოს. ხედავ, რა ფერზეა, — უთხრა ცისანას, — რა უქნა ერთმა გაციებამ. ბონდო ახლა ისე გვჭირდება, არ შეიძლება მისი ავადმყოფობა.

— მეტს აღარ გამაციებს, უჩა. ცისანამ შემილოცა, — იხუმრა ბონდომ. ხვალ ავდგები. მართლა არ შეიძლება ახლა ჩემი ავადმყოფობა. ცისანამ ნება არ მომცა, თორემ დღეს ავდგებოდი.

— კარგი გიქნია, ცისანა, რომ ნება არ მიგიცია, — უთხრა უჩამ — ნემსი გაგიკეთეს დღეს?

— გამიკეთეს. დარწმუნებული ვარ, მეტს აღარ გამაციებს.

გადაწყვიტეს, თუ არ გააციებდა, ხვალ მეორე ცვლაზე გასულიყო ბონდო სამუშაოდ. ცისანა კი ფოთში დაბრუნდებოდა.

მეორე დღეს მართლა არ გააცია. ცისანას მადლობა გადაუხადა, ფოთში მიმავალ სატვირთო მანქანაში ჩასვა და გაისტუმრა. იმ დღეს მეორე ცვლაზე მივიდა უჩასთან და ბერკეტებს მიუჯდა.

ლონგინოზ ლომჯარია თავისი ოთხცილინდრიანი მოტოციკლეტით მეორე დღესვე გაემგზავრა ზობის, ახალსენაკის და აბაშის რაიონებში „ტრაქტორისტთა მობილიზაციის ჩასატარებლად“. ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა და ათი ტრაქტორისტი ჩამოიყვანა. ეჭვსი კიდევ ჩამოვარა ამ დღეებში, უპატავა მშენებლობის სამმართველოს უფროსს.

— როგორ მოახერხე, ლონგინოზ, ასე უცებ თექვსმეტი ტრაქტორისტის შოვნა?! — გაოცდა ტარიელ ჭარდა. — ეს ხომ მთელი არმიაა.

— ზოგი კარგმა გამოიშუავებამ მოხიბლა, — უთხრა მომმარაგებელმა ჭარდას, — ზოგიც მიწისა და სახლის დაპირებამ. სამი კაცი რაიკომის დაუალებით წამოვიდა.

— შეუძლებელი შეგძლება, ჩემო ლონგინოზ.

— შესაძლებელს ყველა შესძლებს, ტარიელ ბატონო. ამაში თავმოსაწონი არაფერია.

ჩამოვიდა ის ეჭვსი ტრაქტორისტიც, გაანაწილეს დრაგერებზე და მათვე მიანდეს ტრაქტორისტების გადამზადების შემდეგ ბრიგადების შედგენა.

• ცისანა საცდელ სადგურში რომ დაბ-

რუნდა, ცია სანერგეში იყო. ცისანას არ უსაუზმია, კაბა არ გამოუცვლია და ფეხსაცმელი. ნამგზავრი, დაღლილი მაშინვე ციასთან გაიქცა.

— დაბრუნდი, ცისანა? — შემოეგება სათბურიდან ცია. ესლა უთხრა, თვალღებები კი ეკითხებოდა, ბონდო როგორ არისო?

— დაბრუნდი. ბონდო კარგადაა და აღარ გამანერგეს უჩამ და ბონდომ, — ეშმაკური, კეთილი ღიმილით უთხრა ცისანამ. — ქინაქინის ნემსი გაუკეთებიათ და მეტი აღარ გააცია, — შევიდნენ სათბურში, ციამ ცისანას გვერდით ჩაიმუხლა და კალმების გადარჩევას შეუდგა.

— ისაუზმე? — ჰკითხა ციამ.

— არა. არ მშოილა. მინდოდა, ბონდოს ამბავი მენახრებია შენთვის.

— რა სასწრაფო ეგ იყო, — მოჩვენებითი გულგრილობით უთხრა ციამ.

— არ გაინტერესებდა მისი ამბავი?! — თვალში შეხედა ცისანამ.

— როგორ არა. ავადმყოფობას მტერსაც არ ვუსურვებ.

— რა ბიჭი ყოფილა, გოგო. ავადმყოფი, სიცხიანი, მწოლარეც კი გადასარევი იყო. ნეტა რა დაუწუნე?!

— არაფერი. ჩემი დასაწუნი რა აქვს.

— იმდენი თავდაქერა ჰქონია, ერთხელ არ მკითხა შენი ამბავი.

— რა უნდა ეკითხა? — ისევე მოჩვენებითი გულგრილობით თქვა ციამ.

— ეტყობა, ძალიან უყვარხარ, იმიტომ არ ვეკითხა.

— რომ ვუყვარდე, მიკითხავდა.

— არ გცოდნია, ცია, ძალიან რომ უყვარხარ, სწორედ იმიტომ არ ვეკითხა.

— მოგჩვენებია, ცისანა.

— ნუ გეშინია. ჩემს თვალს არაფერი გამოეპარება.

— ნეტა არ ვუყვარდე, — თქვა სევდიანად ციამ.

— გეცოდება, ცია?

— გეცოდება.

ერთხანს ჩუმად არჩევდნენ კალმებს. ორივე დაფიქრებული იყო. ორივეს ეცოდებოდა.

— უჩას იმდღესვე უშოვია ქინაქინის

ამბულები. ექთანი მოუყვარია ქინაქინის გასაქებლად.

— უჩა ძალიან კეთილი გულისაა, — უთხრა ციამ.

— ბონდოც კეთილი გულის ჩანს.

— უჩა უფრო კეთილი გულისაა.

— სხვა მის ადგილზე ასე არ გამოიღებდა თავს.

— უჩა კეთილი გულისაა, — გაიმეორა ციამ. — წადი, კაბა გამოიცვალე და ისაუზმე. ნამგზავრი ხარ, მშოერი, — არ უნდოდა ბონდოზე საუბრის გაგრძელება.

— არა მშოია, — უთხრა ცისანამ, — არც დაღლილი ვარ. მანქანით ჩამოვედი. ბონდომ ჩამსვია მანქანაში. არა, მინცრა დაუწუნე, ცია?

— აკი ვითხარი, არ დამიწუნებია-მეთქი. უჩა შემოყვარდა, — უთხრა ციამ. გადარჩეული და დაწუნებული კალმები ერთმანეთში აერია. — უჩა რომ არ შემხვედროდა, ალბათ, ბონდოზე გაეთხოვდებოდი.

— საოცარია ადამიანის ბედი, — თქვა დაფიქრებით ცისანამ. ციას არეული კალმების ხელახლა გადარჩევას შეუდგა, — „უჩა რომ არ შემხვედროდა“. — გაიმეორა. — რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში უბრალო შეხვედრასაც კი. ერთი შეხედვით მოგეწონა, უჩა?

— ნუ მეკითხები, ცისანა, — თხოვა ციამ.

— მითხარი, ცია. მაინტერესებს. რა ნახე უჩაში ისეთი?

— ერთი შეხედვით მომეწონა. ისეთი არაფერი მინახავს. უბრალოდ მომეწონა. მომეწონა კი არა, შემოყვარდა.

— გარეგნულად რომ არ ჯობია უჩა ბონდოს. რა მოგეწონა ერთი შეხედვით?

— მეც არ ვიცი, ცისანა. რაღაც. მეც არ ვიცი რა იყო ის რაღაც. ახლა ჩემთვის ძნელია ამის ახსნა. მაშინაც არ ვიცოდი. სულ სხვადასხვანაირები არიან უჩა და ბონდო.

— მეც ასე დამემართა, ცია. ბევრ ბიჭს მოგეწონდი სოფელში. ზოგი მათგან-

ნი მეკ მომწონდა, მაგრამ ის გადაბთი-  
ელი ბელორუსი რომ დაეინახე, ამ ქვე-  
ყნად ყველა დამავიწყდა. უცებ მომტაცა  
გული ანტონმა. არც მე ვიცი, რა არის  
ის რ.ღაც.

— ასე ყოფილა თურმე, — თქვა ციამ.

— ასე ყოფილა.

— მოდი, შევწყვიტოთ ამაზე ლაპარა-  
კი.

— ცოდვას ბონდო, — თქვა ცისანამ.

— წადი, ცისანა, — თხოვა ციამ. ეში-  
ნოდა არ ატირებულყო.

ცისანამ შეატყო და მაშინვე წამოდგა:

— წავალ. შევქამ რამეს, — სათბური-  
დან გავიდა და ბარაკისაკენ გაიქცა.

მოდი, შევწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი  
კი უთხრა ცისანას, მაგრამ მაინც თავის-

თავთან მარტო დარჩენილი, ბონდოზე  
ფიქრობდა. — „დემობილიზაციის შემ-

დეგ თბილისში უნდა წასულიყო. არ წა-  
ვიდა თბილისში. აქ ჩამოვიდა. ჩემთან

ჩამოვიდა. ამდენი ხანია აქ არის და ჩემს  
სანახავად არ მოვიდა. კარგი ქნა, რომ

არ მოვიდა. უნდა წასულიყო თბილისში,  
უნდა შესულიყო ინსტიტუტში. ისე

ძლიერ უნდოდა სწავლა. ჩემი გულსი-  
ათვის არ წავიდა, ჩემი გულსიათვის მია-

ტოვა სწავლა. თბილისში გაერთობოდა,  
გულს სწავლას გადააყოლებდა. კიდევ

კარგი, რომ ფოთში არ ჩამოღის. კარ-  
გია, რომ არ ვუკითხვიარ“. — გული შე-

სტკიოდა და ამიტომ ფიქრობდა ბონდო-  
ზე. ბონდოზე ფიქრიც კი დანაშაულად

მიანდა უჩას წინაშე. ისე უყვარდა უჩა,  
ფიქრიც კი დანაშაულად მიანდა და

რომ გაქცეოდა ამ ფიქრს, მუშაობა მი-  
ატოვა, ერთხანს იდგა, უზარო თვალე-

ბით დასცქეროდა კალმებს. არ იცოდა  
რა ექნა. მერე სათბურიდან ნელა გავი-

და და მეშვიდე სათბურისაკენ გაიქცა.  
ისე გაენთო, თითქოს უკან მოსდევდა

უჩაზე ფიქრი.

მეშვიდე სათბურში მისი ამხანაგები  
მუშაობდნენ. ბევრნი იყვნენ. მათთან

დაპყოფდა ცოტახანს. საუბარში ფიქრს  
გადაიყრიდა. აღარ იფიქრებს არც უჩა-

ზე, არც ბონდოზე. აღარაფერზე აღარ  
იფიქრებს ამ ქვეყნად. — მაინც რა ჩა-

ვიდინე ისეთი ბონდოს წინაშე? არ  
მყვარებია ბონდო. არ მიმიტოვა მარტო  
არაფერი დანაშაული არ მიმიძღვის ბო-  
ნდოსთან. მაშ, რატომ ვფიქრობ ბონ-  
დოზე? რატომ ვწუხვარ ბონდოზე...“

მშენებლობაზე სამუშაოების ოთხ-

მოც პროცენტს ექსკავატორები ასრუ-

ლებდა. ნორმით მშენებლობაზე ოცი

ექსკავატორი იყო საჭირო. მუშაობდა

მხოლოდ თორმეტი. ამიტომ სადღელა-

მისო ოთხცელიან ექსკავატორების მუ-

შაობის იდეას სამმართველოში და მშე-

ნებლობაზე დიდი ინტერესით შეხედნენ.

ყველაზე უფრო გახარებული გალინა

არკადიევნა იყო. სიტყვას ვერ პოულო-

ბდა თავისი სიხარულის გამოსახატავად.

უჩა ხომ ანდრო განვიამ მოიყვანა სამ-

მართველოში, მან გაუწოდა მამობრივი

ხელი. ხშირად აკითხავდა უჩასა და ბო-

ნდოს და კმაყოფილებით უყურებდა, რა

მონდომებით ასწავლიდნენ ისინი ლონ-

გინოზ ლომჯარიას ჩამოყვანილ ტრაქ-

ტორისტებს ძუქუ წულაიასა და პლა-

ტონ ხურციას ექსკავატორის მართვას.

უჩა და ბონდო ცვლის დამთავრების შე-

მდეგაც დიდხანს რჩებოდნენ მათთან.

დრაგერების ასეთი უურადლებით წახა-

ლისებულის ახალგაზრდა ტრაქტორის-

ტები წულაია და ხურცია ბევითად სწა-

ვლობდნენ და დღითი-დღე ეუფლებო-

დნენ დრაგერის რთულ ხელობას. ხე-

დავდნენ, როგორ უხაროდა ეს ოქროს-

თმიან რუსის ქალს და ესეც ახალისებ-

დათ. უფრო გულიანად მუშაობდნენ.

ორი რამ იყო მთავარი მშენებლობა-

ზე: არხების გათხრა და რიონზე, ხობის-

წყალზე, ცივზე, ტეხურზე, აბაშაზე და

ნოღელაზე დამბების დაყრა.

არხები დააშრობდა ჭაობებს, დამბე-

ბი ლაგამს ამოსდებდა მდინარეებს. მათი

ზოგი მონაკვეთის დონე დასაშრობ

მიწაზე დაბალი იყო და წყალდიდობის

გარდა, ამითაც ჭაობდებოდა მიწა. ამი-

ტომ ამ ადგილებზე უფრო მაღალი დამ-

ბა იყრებოდა.

ხუთი მეტრი სიმაღლის დამბის ამო-

ლება მდინარის ნაპირიდან, ასი მეტრის

მოშორებით გადატანა და დაყრა, არანაკლებ ძნელი და რთული სამუშაო იყო, ვიდრე არხის გათხრა.

მდინარეების დამბების მშენებლობა დიდი ხნის წინათ დაიწყო და ამ საქმეში საკმაო გამოცდილება ჰქონდათ დრაგერებს. სადაც ჯერ კიდევ არ იყო მოთავებული დამბების დაყრა, მიწას წყალდიდობა მაინც არ ემუქრებოდა, რადგან დამბები შორს იყრებოდა მდინარის კალაპოტიდან ორივე მხარეს. ამიტომ ექცეოდა არხების გათხრას მთავარი ყურადღება.

ბონდო ნოდია თავის ცვლის დამთავრების შემდეგაც ამეცადინებდა ძუკუ წულაიას. კიდევ ორი კვირა და წულაია დამოუკიდებლად იმუშავებდა „კომსო-მოლეცზე“. სულ რაღაც თვენახევარი დაჰირდა წულაიასთან მუშაობა, კიდევ ნახევარი თვე და დამოუკიდებლად დაჯდებოდა ბერკეტებთან მისი შეგირდი.

უფრო მეტი წარმატება ჰქონდა უჩასთან მომუშავე ტრაქტორისტს პლატონ ხურციას. შორს აღარ იყო დრაგერთა ბრიგადების შედგენის დღე და დაიწყებოდა ბრიგადების სადღეღამისო მუშაობა.

ცელიდან ბარაკში მიმავალი ბონდო ხშირად ციაზე ფიქრში წასული ხობისწყლის პირას შეჩერდებოდა, მდებარე წამოჯდებოდა. ხობისწყალი ციას სოფელს ჩაუდიოდა. იქ, ლაკადაში მდინარე სწრაფი, შფოთიანი, კედლების ნამუსრევს შორის ზათქითა და შხუილით მიგელავდა დაღმა.

როცა ცია მასთან მეგობრობდა და ეგონა, იმასაც ვუყვარვარო, მდინარის ლალი, შმაგი დინება თავისაკენ იზიდავდა, სიმხნევს, ხალისსა და ძალას მატებდა, აქეზებდა, ალაღებდა. მზად იყო შევარდნილიყო მდინარეში, გაჰყოლოდა მის გადარეულ სრბოლას, ეყვირა, ეცნობებოდა ქვეყნისათვის, რომ ციას უყვარს და ყველაზე ბედნიერია ამ ქვეყნად, ყველაზე ლამაზი საცოლე ჰყავს. ეგონა, მთელ გზაზე, ზღვაში ჩასვლამდე მასხევით ლალი, თავაწყვეტილი იყო მდინარე, მონაწილე იყო მისი სიყვარულისა

და ბედნიერების. მერე აქ, ასე მდორე, ზანტი, უდიდამო-თავისთავისთანა სევდიანი რომ დაინახა, აქაც გაიფიქრა, ჩემი დარდას და მწუხარებას იზიარებო, ამიტომ მოედინება მდორედ, ზანტადო. დიდხანს იჯდა ხოლმე მის ნაპირზე და მდინარის თანაგრძნობაში დაჯერებული ასე იქარვებდა დარდს. ეგონა, იქარვებდა, მაგრამ მის დარდს ვერავითარი განგება ვერ გააქარვებდა.

სამი დღელამე ზღვისპირეთისათვის უჩვეულო თოვლი მოდიოდა. მიწა სამი მტკაველის სიმაღლეზე დაიფარა თოვლით. გაიყინა ხობისწყალი.

ბონდო არხიდან გუდუიას განაკვალ ბილიკით ბრუნდებოდა, მდინარისაკენ მიდიოდა.

ბინდებოდა. ცა მოსარკული იყო. მთვარის ბრდღვილით, ვარსკვლავთ ციმციმით და თოვლის სითეთრით ქვეყანა დღესავით განათებული იყო.

ყინვას შეუჩვეველი ბონდო სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა. მალე გზაზე მისი შემცვლელები — უჩა შამუგია, ბუხუ ხურცია და გუდუია ესვანჯია უნდა გამოჩენილიყვნენ. აი, დაინახა ისინი. ხობისწყლიდან ამოდიოდნენ. ბონდომ ნაბიჯი შეანელა. მარტო ბრუნდებოდა ბარაკში. მისი შეგირდი, ტრაქტორისტი პლატონ წულაია ექსკავატორთან დარჩა. შემცვლელების მოსვლამდე ვიმუშაებო.

ტყეში მშვიერი მგლები დაძროდნენ. სახიფათო იყო ამ უღრანში კენტად სიარული. ბონდოს თავისი შემცვლელები რომ ეგონა, სცდებოდა. ხობისწყლიდან ამოსულები აღამიანებს არ ჰვადნენ. სამი ცხოველი მოდიოდა მისკენ. ისინი არც კამეჩები იყვნენ, არც ძროხები და ცხენები. ასეთ თოვლში და ყინვაში ვინ გაუშვებდა მათ გარეთ!

ის სამნი თოვლში მოდიოდნენ გაშლილად. რატომ მოდიან თოვლში და არა ბილიკზე?! მთვარის, ვარსკვლავებისა და თოვლის ბრკიალზე თანდათან გამოისახა სამი მგლის ტანი. მგლებს თოვლი მუტლამდე წვდებოდათ. სიარული



უქირდათ. ადამიანის დანახვაზე. ბილიკისაკენ გადაუხვიეს და შედგნენ. ბილიკზე ერთად ვერ დაეტივნენ. ერთი — მაზარუ მგელი წინ გაჩერდა ბილიკზე. ორი დანარჩენი აქეთ-იქით...

ლაკადის ტყეში რამდენჯერ შემოკურია მგელი ლამთაც და დღისითაც. შეძახილითა და ხელის აქნევით შეუშინებია. აქ სამი მგელი იყო, მშვირები, გაიფებულები.

შედგა ბონდო. ტანში გაბურძღლა. მგლები ნელა დაიძრნენ მისკენ. მაზარუ მგელი წინ მიდიოდა. იგი იმ ორზე უფრო დიდი იყო.

ორმოცდაათ ნახიჯზე რომ მოახლოვდნენ, შედგნენ. თავაწიულები უყურებდნენ ბონდოს. მერე მაზარუ მგელმა უკანა მგლებისაკენ მიიხედა. უკანა მგლებმა თავი დაუქნიეს. ერთმა მარჯვნივ გაიწია, მეორემ მარცხნივ.

„გარს მივლიან“.

შიშშილისაგან გააფებულ მგლებს ხელის აქნევით და შეძახილით ვერ შეაშინებდა. ერთადერთი გზა, რითაც თავს უშველიდა, ხეზე ასკლა იყო. მაგრამ იმ ორმა მგელმა მარჯვნივ და მარცხნივ იმიტომ გაიწიეს, რომ ხეებისაკენ გზა გადაეჭრა.

ბონდო იდგა და უცდიდა. ხაფანგში იყო მოქცეული. ერთ მშვიერ, ილაჯგაწყვეტილ მგელს მოერეოდა, გავუღავდა, მაგრამ, დანარჩენი ორისათვის რა უნდა ექნა! მდინარისაკენ იხედებოდა, იქნებ უჩას ცვლა გამოჩნდესო.

ბილიკზე მღვარი მაზარუ მგელი დაიძრა. მიდიოდა თავისი ძალითა და მდგომარეობით გათამამებული, შიშშილით გააფებული.

ასევე თვითდაჯერებით უახლოვდებოდნენ მარჯვნიდან და მარცხნიდან მომავალი მგლები.

არ ახსოვდა ბონდოს, რამდენი ხანი იდგა, რამდენი ხანი უახლოვდებოდნენ მგლები. შორიახლო შედგნენ. შიგ თვალბეჭდში შეხედეს. მწვანე, მოკიაფე, მშვიერი თვალბეჭდით. მთვარის შუჭვე გაიღვეს დაკრეჭილმა კბილებმა.

ბონდოს მოეჩვენა, რომ ის კბილები

ტანში ჩაერჭო. საშინელი ტკივილი იგრძნო. უნდოდა დაეყვირა. პირი დააღწია, ხმა არ ამოუვიდა. ისევ დააღწია პირი, ვერ დაიყვირა, შეეკრა ყელი. ხელები შეივლო კისერზე, თითქოს ისრჩობოდა.

— ოპოპოპო!.. ოპოპოპო!..

ეს მისი ხმა არ იყო. გუდუიას ხმა იყო. ისწრაფა მაზარუ მგელმა ამ ხმაზე, მოწყდა მიწიდან და შეახტა ბონდოს, მაგრამ ბონდომ იმედმოცემულმა გუდუიას შეძახილით, ორივე ხელი დაახვედრა და მთელი ძალით ჰკრა მკერდში.

მგელი პირაღმა გადაეარდა თოვლში. დაცემისთანავე უჩა ზედ დააცხრა. გაივლვა დანამ და ფხრიწინი გაიღო მგლის მუცელზე.

მარჯვნივ მდგარმა მგელმა შეხტომა ვერ მოასწრო, გუდუია დაატყდა თავზე, მთელი თავისი მძიმე ტანით და ყელში წვდა.

მესამე მგელი მარცხნიდან ეძებრა ბონდოს, წააქცია, მაგრამ ბუხუ ხურცია ყურებში წვდა და აავლიჯა. უჩამ არ დააყოვნა, თავისი სისხლიანი დანა, რომლითაც მაზარუ მგელი გაფატრა, კისერზე დაუსვა მგელს.

ერთდროულად მივარდნენ უჩა, გუდუია და ბუხუ ბონდოს. წამოაყენეს. ფეხზე ძლივს იდგა. სახეზე სისხლი სდიოდა.

— მაინც მოასწრო კბენა, — უთხრა უჩამ, — არაფერია, ლოყა გაქვს გაკაწრული.

ბონდო ტკივილს არ გრძნობდა. ისე იყო გაბრტყებული და აღელვებული ყველაფერი იმით, რაც ერთ წამში მოხდა, რომ გონს ვერ მოეგო. საიდან გაჩნდნენ ასე უცებ უჩა, გუდუია და ბუხუ! ვერაფერს ვერ ხედავდა გარშემო.

— მგლები სადაა? — ჰკითხა უჩას.

— აი, მგლები, — უჩვენა უჩამ მათ გარშემო დაყრილი მგლები. რომლებიც სისხლში ცურავდნენ და სულს დაფავდნენ. სადაც სისხლი თხლად იდგა, გაყინულიყო, სადაც სქლად — შედედებულყო. — სულზე მოვისწარით, — დანა ჩექმის ყელზე შეიწმინდა და ქარკაშში ჩაავო.

ბონდომ გვიან იგრძნო ლოყაზე ტკივილი. ეგონა, სისხლი განუწყვეტლად მოდიოდა. ხელი მიიღო საბეზე. სისხლი შეყინვოდა.

— სიარული შეგიძლია? — ჰკითხა უჩამ.

— შემიძლია.

— ბუხუ, შენ გაყევი, — მიმართა ხურციას. — ამბულატორიაში მიიყვანე.

— რათ მინდა გაყოლა. შიში კი ვჭამე. ისე გამაჭრობდნენ, ჩემს ძელებსაც არ დატოვებდნენ. მაღლობთ, მეგობრებო.

— აწი აღარ გაგაციებებს, ბონდო, — იხუმრა ბუხუ ხურციამ.

— ჩემს მტრებს მშვიერი მგელი. ერთ-ბელ შევესწარა, როგორ გლეჯდნენ ფურკამეჩს. სწორედ სამნი იყვნენ. მარტო რაჭები დატოვეს შეუქმელი, — ვიხსენა გუდულია ესეანჯიამ. — მაინც რა ზამთარი დაგვიდგა წელს. დიდთოვლობის შემდეგ ასეთი ზამთარი არ მინახავს.

— აბა, წადით, — უთხრა უჩამ ბონდოსა და ბუხუს. — ნაკებნზე ცხვირსახოცი, ან ქუდი დაიფარე.

არც უჩა შამუგეისათვის, არც ანტონ ბაჩილოსათვის, არც სხვა დრაგერებისათვის მათზე სასწაულებლად მიმაგრებულ ტრაქტორისტებს ხელი არ შეუშლიათ სოციალისტურ შეჯიბრებაში. სწავლება მუშაობის პარალელურად ისე ეწყობოდა, რომ დრო ერთი წუთითაც არ ეკარგებოდათ. სამხარზე შესვენებისას ტრაქტორისტები უსხდებოდნენ ბერკეტებს. ცვლა ამით ერთი საათით იგებდა.

სამმართველოს ყოველ კვირის ბოლოს აცნობდნენ სოციალისტურ შეჯიბრების შედეგებს. ამ საქმეს უშუალოდ ვასო ბრეგვაძე ხელმძღვანელობდა, პირადად ამოწმებდა შეჯიბრების პირობების შესრულებას. ორივე მხარესთან ერთნაირად პრინციპული და მოურიდებელი იყო, ამავე დროს, ცოტა არ იყოს, შარბანიც.

ზამთარი ჩვეულებრივზე ადრე გავიდა. თებერვალი დადგა და მაშინვე ჩადგა ხეებში წყალი. მზიანი დღეები დაიჭირა. დრაგერებმა სამმართველოს ერთ-

დროულად უპატაკეს, რომ მათზე მიმაგრებული ტრაქტორისტები მზად იყვნენ დამოუკიდებლად ემუშავათ ტექსტავატორებზე.

ბრიგადების დაკომპლექტება ვასო ბრეგვაძეს მიანდევს. მასვე მიანდო მშენებლობის სამმართველოს უფროსმა ახლად მიღებული ორი საბჭოთა მარკის ექსკავატორის განაწილება. მოხუცი ინჟინერი ისე იყო გადატვირთული, თავის მოსაფხანად არ ცალოდა, დასვენება რა იყო, დაავიწყდა.

ბრეგვაძეს, მომმარაგებელთან ერთად დიდი შრომა დაჰქირდა საცხოვრებელი ვაგონების დამზადებისათვის. დიდი ვაგონები იყო, ოთხი საწოლი დაეტეოდა. რკინიგზის ჩვეულებრივ ვაგონებზე უფრო ფართო ფანჯრები ჰქონდა და უფრო მაღლები იყო.

— ეს ჩვენს ბარაკებს ჯობია.

სამხრის მოსამზადებლად არ ცვალა უჩას და არც მის მეწყვილე ბუხუ ხურციას, ასევე — არც ბონდო ნოდის და პლატონ წულაიას. მათთვის ცხელი კერძი ისევ გუდულიას დაჰქონდა სასადილოდან.

ყოველმა ბრიგადამ დაწვრილებით, ზუსტად იცოდა სხვა ბრიგადის წარმატებისა და წარუმატებლობის ამბავი. ამას ერთმანეთისაგან ტელეფონით გებულობდნენ. მთავარი ინჟინერი, სადაც უჭირდათ, იქ სასწრაფო ზომებს ღებულობდა.

ახლა უკვე კვირის ბოლოს კი არა, დღის ბოლოს ღებულობდა სელექტორით ტარიელ ქარდა ყველა ცნობას.

აქამდე ექსკავატორები ორ ცვლაზე მუშაობდა, დღეში რვა-რვა საათს. დანარჩენი დრო მანქანები უქმად იდგა — დრაგერებს შემცველები არ ჰყავდათ. ახლა სადღეღამისო მუშაობისას ექსკავატორი მხოლოდ ერთი საათი იდგა და ისიც ტექნიკურ რემონტზე. ეს იყო და ეს მათი გაცდენა.

ყველაზე დიდი წამახალისებელი დრაგერების მუშაობაში არხის გათხრის ჩქარა დამთავრება იყო. მაგრამ ზოგი დრაგერი ამ სიჩქარეში ხარისხს იეიწყე-

ბდა. არღვევდა როგორც ფსკერის, ისე კედლების პროფირებას. ამის გამო არხში წყალი დგებოდა, კედლები შვავდებოდა. ეს დღითი-დღე ფართო ხასიათს იღებდა. ცუდად პროფირებულ ფსკერსა და კედლებს ბართა და ნიჩბით ასწორებდნენ. ამაზე დიდი დრო და თანხა იხარჯებოდა.

სვანები და სხვა მბარავეები სადრენაჟო არხების გასათხრელად იყვნენ გადაყვანილი. ახალ მუშებს ვერ შოულობდნენ. დრენაჟებიდან სვანების გადაყვანა დედაარხზე, იქ დრენაჟების გათხრას შეაფერხებდა. ერთადერთი საშველი გათხრის ხარისხი იყო.

მშენებლობაზე ყველაზე უფრო ვასო ბრეგვაძე ღელავდა. მის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა. დრაგერების ასეთ მუშაობას იერიშიანობას უწოდებდა და გაცხარებისას იმ დრაგერს, ვინც გათხრის წესს არღვევდა, სამუშაოდან მოხსნით ემუქრებოდა. მაგრამ თვითონვე იცოდა, რომ მოხსნა ადვილი იყო, მაგრამ იმ ადგილზე შემცვლელის შოვნა — შეუძლებელი.

საჭირო შეიქნა ამ საკითხზე თათბირის მოწვევა.

თათბირი გვიან საღამოს შედგა ყორათის კანტორაში, სპირიდონ გუნიაძე ოთახში. თათბირს ვაჟა ჭაფარიძე თავმჯდომარეობდა. მოწვეულები იყვნენ სამმართველოს განყოფილების უფროსები, მასივების მშენებლობის ხელმძღვანელები, სამუშაოთა მწარმოებლები, ათისთავეები, ბრიგადირები, დრაგერები, მბარავეები.

— შეიძლება აპატიო გამოუცდელ მემანქანეს, — განაგრძობდა დაწყებულ სიტყვას თათბირის მოწვევის ინიციატორი ვასო ბრეგვაძე. არ უყვარდა სიტყვა „დრაგერი“ და მის მაგივრად მემანქანეს ხმარობდა. — მაგრამ როცა ასე არახარისხიანად თხრის დახელოვნებული მემანქანე, მას ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეპატიოთ. მეტი კუმპეტრი მიწის ამოღებისათვის მადლობა ვუთხრათ, უხარისხო მუშაობისათვის კი პასუხი მოეთხოვოთ.

— უყურე შენ ამ ბლუკუნას, რავე გაუწაფავს ენა, — წასჩურჩულა კირილე ებრალიძემ თავის ამხანაგს, თენგიზ ქერქაძეს და მერე ხმამაღლა ღვარძლიანი ნითხითი განაგრძო: — რა პასუხი, ნენა? პასუხი რომ მოთხოვო, ქე შეუშვებს ხელს იმ შენს ბერკეტს და თავს დაგიკრავს. მერე სად იშოვნი მის შემცვლელს, ხობის, თუ ფოთის ბაზარზე?

— ის, ვინც სამართლიანი პასუხის მოთხოვნაზე თავს დაგიკრავს, ჯანაბას მისი თავი. ისევე წასულა, არც მოეხედოს, — მკაცრად უთხრა ვასო ბრეგვაძეს.

— უყურე შენ! — კვლავ უჩურჩულა კირილემ თენგიზ ქერქაძეს. ისინი თავს თავისუფლად არ გრძნობდნენ — ისინი სიორღია აღარ ეჭდათ შუაში. — რამ აუღდა ასე ენა ამ ბებერ ჯირკსა?

— არ გახსოვს, კირილე, იმ დამის შემდეგ აიღდა, ახალი ტრასით დედაარხის გაგრძელება რომ გადაწყვიტეს, — ჩურჩულითვე უპასუხა კირილეს თენგიზ ქერქაძემ.

ვაჟა ჭაფარიძემ მაინც გაიგონა მათი ჩურჩული.

— ხელს ნუ გვიშლი, კირილე, — ბრეგვაძეზე უფრო მკაცრად უთხრა ებრალიძეს.

— ხელს მე კი არ გვიშლით, ცუდი დრაგერები გიშლიან. სამ თვეში გამოჩევილი დრაგერები, ნენა. აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამიაო, არ გაგიგონიათ? აჩქარებით საქმე კი არა, პურის ქამა არ ვარგა, — ვერ მოითმინა და წამოდგა ებრალიძე: — არ უნდა მიგვენდო გუშინდელი ბაღნებიზა ამისთანა დიდი საქმე. არ ხედავთ, თვითონ სიტყვა დრაგერი რანაირია! მას სრულად დრაგერმეისტერი ჰქვია. ხუმრობაა ამოდენა მანქანის მართვა!..

— დაჯექი, — უბრძანა ვაჟა ჭაფარიძემ.

— ჩვენ ყოველი მემანქანისაგან კვალიფიციური შრომა უნდა მოვითხოვოთ, — განაგრძო ვასო ბრეგვაძემ. — მტკიცე უარი უნდა ვუთხრაო წუნს. უჩა შამუგია ორ თვეში დასვა ბერკეტებთან ბაჩი-

ლომ. თვითონ უჩამ კი თვენახევარში მოაშალა ყოფილი ტანისტი ბონდო ნოლია. თუ კეკუთ აყვებ, კირილე, აჩქარებთაც გამოდის საქმე. ეგ ბრძნული ანდამა აქ რა მოსატანია. მას სხვა აზრი აქვს, — ვასო ბრეგვაძე ყველა შეკრებოდა ერთად მიუბრუნდა: — ერთი მტკიცე, კატეგორიული პირობა უნდა წაუყუენოთ მემანქანეებს — კუმბეტრებთან ერთად ხარისხიც.

— სწორია!

— მართალია!

— კარგი წინადადება!

— ასე უნდა მოვიქცეთ.

— დიახ, მტკიცე უარი წუნს.

თითქმის ერთხმად წამოიძახეს.

— ენც ხარისხს არ დაიცავს, ჩვენ თვითონ დაეუკრათ თავი, — თქვა ანტონ ბაჩილომ.

წამოლდა ქვალონის მასივის დრაგერი მიკიტა ლიაშკო, მუქში ჩაახველა.

— როგორც იცით, მე ვიბარებდი სამ თვეში გამოჩეკილ დრაგერებისაგან გამოცდას, — დაიწყო ჩახლეჩილი, სუსტი ხმით, — ისინი თითქმის ყველა კარგადაა მოშნადებული. თამამად შეუძლიათ, თუ მოინდომეს უკეთ იმუშაონ, — ისევ ჩაახველა მუქში. ციებისაგან გაყვითლებული და გამხდარი იყო. სამმართველომ რამდენჯერმე შესთავაზა საგზური წაღვერას დასასვენებელ სახლში, მაგრამ საქმე ვერ მიატოვა. — კირილემ ყველგან უნდა ჩააწვეთოს თავისი შხამი, მაგრამ შენი შხამი აღარ წამალავს, კირილ მაქსიმოვიჩ. ძალა დაკარგა, — ისევ ჩაახველა. მერე შუბლზე ცხვირსახოცით ოფლი შეიწმინდა. — მშვენიერად ბრძანა, ვასილ გრიგორიევიჩმა. ყველა დრაგერს კუმბეტრებთან ერთად ხარისხიც უნდა მოვთხოვოთ. უარი, მტკიცე უარი წუნს. ასეთი ლოზუნგები გავაკრათ ყველგან. კუმბეტრებთან ერთად ხარისხისათვისაც დავაწესოთ წამახალისებელი პრემია.

— საიდან მოვიტანოთ, მიკიტა, ხარისხისათვის პრემიის ფული? — ჰკითხა ლიაშკოს სამმართველოს მთავარმა ბუღალტერმა, შავ სათვალთანა შეახნის

ხარიტონ კახიძემ. — ნორმის ზევით ამოდებულ მიწაზე გვაქვს საბჭოეთის ფული, მაგრამ ხარისხზე სამწუხაროდ... მდა... ასეთი ფული უკაცრავად მასუხია და, ჯერ არ გაჩენილა.

— უნდა გავაჩინოთ, ხარიტონ, — უთხრა პარტორგმა.

— მატერიალური წახალისების გარეშე, მარტო ცარიელი ენთუზიაზმით, შორს ვერ წავალთ, — ჩამოართვა პარტორგს სიტყვა ვასო ბრეგვაძემ. — ასეთი წახალისებით ხარისხიც გვექნება და კუმბეტრებიც.

მოწონების ნიშნად კირილე ებრალების და თენგიზ ჭერქაძის მეტმა ყველამ ტაში დაუკრა მოხუცი იენიერს.

— შენი თქმით ასე გამოდის, ნენა, ფულზე ყოფილა საქმე, — წაივრძელა კისერი კირილე ებრალიძემ.

— ჰო, ფულზეც, — უთხრა მტკიცედ მიკიტა ლიაშკომ. — შენ რა უფულოდ მუშაობ?

— მე უფულოდ არ ვმუშაობ, მაგრამ პრემიისათვის თავს არ ვიკლავ.

— ეგ ვერაფერი თავმოსაწონია, რომ კარგი მუშაობისათვის არ იკლავ თავს, — უთხრა მიკიტა ლიაშკომ.

— ასეთები მხოლოდ ფულისათვის არიან აქ მოსული, — შუბლშეკვრით შეხედა უჩა შამუგიაძე კირილეს და თენგიზ ებრალიძეს, — და ხელსაც გვიშლიან.

წამოლდა გაეა ჯაფარიძე.

— კირილე, თუ არ გაჩუმდები, იძულებული ვიქნები, თათბირიდან დაგიტხოვო.

— მე კი გავჩუმდები, ნენა, ჩემი გაჩუმებით საქმეს თუ ეშველება, — გაჩუმდა კირილე და თათბირის დამთავრებამდე ხმა არ ამოუღია.

— თქვენ ბრძანეთ, ხარიტონ, საიდან გავაჩინოთ ასეთი ფულიო, — უთხრა პარტორგმა მთავარ ბუღალტერს. — ეჭვი არ არის, რომ ხარისხიანი მუშაობა დამატებით წახალისებას მოითხოვს. საიდან გავაჩინოთო ამისათვის ფულიო, კითხულობთ თქვენ.

— დიახ, საიდან?

— განა კვალიფიციური მუშაობა,

უფრო სწორად, ხარისხიანი მუშაობა, უფრო მუშაობა არ ამცირებს წარმოების ხარჯებს?! განა ეს არ გააჩენს ფულს?! აი, ამ ეკონომიით მიღებული ფულით წავახალისოთ დრავერები, — პაპიროსი აქამდე ხელში რომ ეჭირა და ძირამდე ჩაიწვა, საფერფლეზე დაასრისა. — ჯერ კიდევ გუშინ, ვინ იფიქრებდა ექსკავატორების თხცვლიან მუშაობაზე ოცდაოთხი საათის განმავლობაში, ამხანაგებო! თქვენს წინ ზის გმირი ამ დიდი თაოსნობის, — უჩა შამუგვიას შეხედა: — ბაღანა, როგორც ეს კირილე ებრალიძემ დეარძლიანად თქვა. ასეთი ბაღნები ქმნიან ჩვენს მომავალს, ამხანაგებო. ალექსეი სტახანოვი ბევრად უფროსი არ არის უჩა შამუგვიანზე. დღეს მისი თაოსნობა სასწაულსა ჰგავს. ასი ათასობით მიმდევარი გაუჩნდა ამ დიდი შრომის კაცს. შენ თქვი, კირილე, მე პრემიისათვის არ ვმუშაობო. სტახანოველები პრემიისათვისაც მუშაობენ. პრემიისათვის მუშაობა უკეთ მუშაობაა, ხარისხიანი მუშაობაა. ასე უნდა ვიმუშაოთ ყველამ. დიახ, ყველამ. დადგება დრო და ჩვენს ქვეყანაში ყველა — ქალაქი და კაცი, დიდი და პატარა ხარისხის ნიშნით იმუშავენს.

— კარგად თქვით, კოჩა, დიდებულად თქვით, — ტაში შემოჰკრა ვასო ბრეგვაძემ.

ტაში დაუკრეს სპირიდონ გუნიამ, ვაჟა ჭაფარიძემ, სხვებმაც.

— ამხანაგებო, თქვენი ერთსულოვანი ტაში იმის დამდასტურებელია, რომ კოჩა ყორშიას წინადადებას მხარს უჭერთ. თუმცა კირილე ებრალიძემ და თენგიზ ჭერქაძემ თავი შეიკავა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, — მიმართა შეკრებილთ ვაჟა ჭაფარიძემ. — მაშ, ამხანაგო ხარიტონ, წუნის აღმოფხვრის ხარჯზე მიღებულ ეკონომიის თანხას პრემიისათვის გამოვიყენებთ. რას იტყვით?

— თანხმობისა და მოწონების მეტი რა მეთქმის.

— კარგია.

— ყველანი მხარს ვუჭერთ.

— დიდებულია.

— ამხანაგებო, ეს წესი სხვა მსოფიერებებზე ვაგრცელდება. ასეა არა, ამხანაგო კოჩა? — მიუბრუნდა ვაჟა ჭაფარიძე პარტორგს.

— რასაკვირველია, ასეა.

— გზებისა და ხიდების მშენებლობებზე, ტყეების გაკაფვაზე, კოლმაციაზე, დრენაჟებზე, კოლექტორებზე, საცდელ სადგურზე, — განაგრძობდა მთავარი ინჟინერი.

ჯერ მხოლოდ შუა თებერვალი იდგა და ფანჯრები უკვე ღია ჰქონდათ, გუნიას კაბინეტში მაინც ცხელია. გარეთ ჰაერი არ იძროდა. თებერვლის სიცხე აქ ზოგჯერ იელისის სიცხეზე უფრო ძნელი ასატანია. იგი კოლოზე უფრო მწარედ იკბინება და ადამიანს სულს უხუთავს. მაგრამ ახლა თათბირის მონაწილენი კარგ გუნებაზე იყვნენ და საცხეს თითქმის არ გრძნობდნენ.

ასე ხდება ხოლმე. კარგ ხასიათზე როცა ხარ, ნაკლებ გაუხუხებს სიცხეც და სიცივეც. ორივეს კარგად იტან. მხოლოდ კირილე ებრალიძესა და თენგიზ ჭერქაძეს ცხელიადათ. მოუსვენრად წრიალებდნენ სკამზე. თათბირიდან აღრე რომ გასულიყვნენ, თვალს უკმაყოფილოდ გააყოლებდნენ. ამ უკმაყოფილებას ახლაც გრძნობდნენ. ისინი, როზორც ისილორე სიორღია, ბევრს არ უყვარდა მშენებლობაზე, მაგრამ იომენდნენ. მათ მუშაობას კილს ვერ გამოაბამდი. იყვნენ თავისთვის უმეგობროდ, უმეზობლოდ და უამხანაგოდ. მათი აზრი არასოდეს არ ემთხვეოდა უმრავლესობის აზრს; სულ მუდამ უკმაყოფილო იყვნენ, ყოველთვის ჩიოდნენ, ბუზღუნებდნენ.

ტარიელ ქარდა და ვაჟა ჭაფარიძე ვასო ბრეგვაძესთან ერთად არხზე მუშაობას ამოწმებდნენ. ათი დღის წინათ დაიწყეს დედაარხის სათავიდან ჩამოვლანოღელა-ცხენისწყლის, ნოღელა-ტხუურის, ტხუური-ცივის, ცივი-ყორათისა და ყორათ-ყულევის მონაკვეთებისა დედაარხის ეს უკანასკნელი მონაკვეთით, თუმ-



ცა უკეთესი ტრასა იყო, მაინც ყველაზე რთულ ადგილად ითვლებოდა. ექსკავატორების მუშაობის ერთი დამატარებელი მიზეზი ის იყო, რომ გარდა „კომსომოლცისა“, სხვა ექსკავატორებს — „პრისტმანებს“, „კომპელებს“, „მენიკებს“ და „ლუბეკებს“ ნაწილები არ ჰქონდა. მანქანები ხშირად ფუჭდებოდა და ნაწილებს ფოთის მექანიკურ ქარხანაში მიარბენინებდნენ შესაკეთებლად.

— ტარიელ, — უთხრა მშენებლობის სამმართველოს უფროსს ვასო ბრეგვაძემ, ვიდრე უნა შამუგიას ექსკავატორთან მივიდოდნენ. — ექსკავატორი დღეში საშუალოდ რვა-ათი მეტრით მიიწევის წინ. უნა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოს ექსკავატორები თორმეტს თხრიან ცვლაში. ახლა ითხ ცვლაში ითხჯერ მეტს თხრიან.

— ასეა, — უთხრა ტარიელ ქარდამ. სახეში შეაქქერდა. იგრძნო, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ ბრეგვაძეს რაღაც ახალი აზრი დაეხადა.

— ჩვენ ამ მასივის მშენებლობის დამთავრება წლის ბოლოსათვის გვაქვს დაგეგმილი.

— სწორია, — ღიმილით უყურებდა ტარიელ ქარდა. მიხვდა, რის თქმას აპირებდა ბრეგვაძე.

— რატომ არ ვადმოეწიოთ მშენებლობის დამთავრება აქეთ და ოქტომბრის დღესასწაულისათვის არ ვიზეიმოთ, მე ბევრი ვიფიქრე და ვიანგარიშე. ამ დროისათვის დედაარხი ყულევამდე იქნება მიყვანილი.

— ეს მართლა არ არის გამორიცხული, ასეთი ტემპით თუ იმუშავებს დრაგერთა ბრიგადებმა, — თქვა ვაჟა ჯაფარიძემ, რომელიც ყურადღებითა და დაფიქრებით უსმენდა მოხუც ინჟინერს. — მშენებლობის დამთავრება აქეთ რატომ არ უნდა ვადმოეწიოთო, ბრძანეთ თქვენ, ვასო.

— დიას.

— ასეთი ტემპით ბრიგადები მოასწრებენ დედაარხის გათხრას, მაგრამ შემკრები არხები, კოლექტორები, დრენაჟების გათხრა?

— ამ არხებზე „კომსომოლცებს“ გადაეყვანოთ, — მიუგო ვასო ბრეგვაძემ.

მშენებლობის სამმართველოს უფროსი გაკვირვებით უსმენდა ბრეგვაძეს.

— დედაარხზე ასეთი ტემპით სრულიად საქმარისია თორმეტი ექსკავატორი.

— კეთილი და პატიოსანი, — უთხრა ბრეგვაძეს მშენებლობის სამმართველოს უფროსმა. — ტყეების გაყაფვა და ამოძირკვა, გზების გაყენა, ხიდების აშენება? ყორათ-ყულევის მასივის მშენებლობის დამთავრება მართო დედაარხის გაყენით ხომ არ ამოიწურება?

— რასაკვირველია, არა, — უთხრა ბრეგვაძემ. თვალები ახალგაზრდულად უბრწყინავდა მოხუც ინჟინერს, აღზნებული იყო. — შეიძლება ყველაფრის გაკეთება ვერ მოვასწროთ, მაგრამ პირობას გამძლევეთ. ტყეების გაყაფვას და ამოძირკვას უსათუოდ მოვასწრებთ.

— ამაში მეც დარწმუნებული ვარ, — მიაშველა მთავარმა ინჟინერმა სიტყვა ბრეგვაძეს. — გზებსაც გადაეყვანოთ, მაგრამ შესაძლებელია ყველაგან ასფალტის დაგება ვერ მოვასწროთ.

— ხიდების მშენებლობას მომავალი წლის მეორე კვარტალში დავამთავრებთ, — განაგრძო ბრეგვაძემ, თითქოს ეშინოდა, თანხმობა, რომელსაც ტარიელ ქარდა ჯერ ღიმილით გამოხატავდა, არ გადაიფიქროსო. — მთავარია არხების გაყენა და ტყეების გაწმენდა.

ყორათ-ყულევის მთელ მასივზე, რიონსა და ხობისწყლის შუა მდებარე მიწებზე მშენებლობამ და ცხოვრებამ ახალი სახე, ახალი შინაარსი მიიღო. ადამიანების მონდომებას ბუნებაც ხელს უწყობდა. წლის ამ დროის შესაფერისად არ წვიმდა. მზიანი დღეები იდგა.

მუშებსა და ტექნიკურ პერსონალს შორის არავითარი განაწესი არ არსებობდა. არ იყო დადგენილი, როდის უნდა წასულიყვნენ სამუშაოდ და როდის უნდა დაბრუნებულიყვნენ სამუშაოდან. ყველა ერთად იღვიძებდა ადრე ღილით, საუზმობდა და სამუშაოდ მიეშურებო-

და. ყველა გვიან საღამოს ერთად ბრუნდებოდა, ვახშობდა და იძინებდა. ყველას კარზე მომდგარად ეჩვენებოდა ყორთა-ყულევის მასივის მშენებლობის დამათვრების დღე.

— დაუდგება ვითომ ჩვენს შრომას დასასრული? — თითქმის ყოველ დამე ასე იწყებდა ლაპარაკს თავისი ტახტის მეორე სართულიდან მეჯოგეთა მოდგმის უკანასკნელი წარმომადგენელი, სამოცდაათ წელიწადს გადაცილებული ბურდა კვარაცხელია. — პატენეფი, ხუთი წელიწადია აქ ვმუშაობ. ის ინგლისურთ „პრისტმანი“ ჩემს ზურგზე გადადის, — ბურდა კვარაცხელია მიკიტა ლიაშკოს ექსკავატორს ემსახურებოდა. — ფიცარნავს უგებდა მუხლუხოებს და საწვავითა და ზეთით ამარაგებდა. — გაფწყდი წელში ყაზახი. იმ სისქე ფიცრებს ერთი ის სიმძიმე ტალახი აკრავს. არ გინდა ფიცრების დღეში რამდენჯერმე ტალახიდან ამოღება და ადგილის გადანაცვლება? იცით, რისთვის ვიკლავ თავს? ნუ გგონიათ, იმ მყავე ლიმონისა და ფორთოხლისათვის, ან ჩაისათვის. ლიმონი ვინც ჩაის სვამს, იმისათვის დამილოცნია, — უძილობა კირდა ბურდა კვარაცხელიას. ყველა რომ ღრმა რულში იყო, ის მაინც ელაპარაკებოდა ქვედა და ზედა სართულებს. — პატენეფ, მე აქ იმისთვის კი არ მოვსულვარ, რომ ჩემს ეზოში ის მყავე ლიმონი და ფორთოხალი გვაშენო. მეტი არა შენი მტერი. ეს მიწა ორინჯისათვისაა გაჩენილი — კამეჩისა და ძროხისათვის. კვარაცხელებს ზამთარში ამ ტყეში ჩამოჰყავდათ ჯოგი. თურქობის დროსაც აქ ჩამორეკავდნენ. თურქი ვერ ბედავდა ტყეში შემოსვლას. აქაური ბალახი რძითაა გატენილი. დედის ძუძუსავით ერგება ორინჯს. უკეთესი საძოვარი ალბათ, ქვეყანაზე არ არის. ციტრუსი კი არ უნდა გაშენდეს აქ. ფერმები უნდა გაშენდეს, პატენეფი. იმდენი უნდა გაშენდეს, რომ ორინჯის რძე ზღვას შეუერთდეს. ხომ ზედადო, გადაშენდა ორინჯი ოდიშში. აქა-იქ რაიონებში თითო ლერი ფერმა რომაა, იგი წყეთაა ზღვაში. ახლა კვლავ

დადგა კვარაცხელებისა და გაბედავის მოდგმის დღე. სულ ფერმები და ფერმები გაიშლება ჩვენს დასარბინებში. ფერმები! აბა, რა პატენეფი! ადამიანის შვილს თუ ხორცი და რძე არ ექნა, დაზიადება, გადაგვარდება უღომონოთ და უფორთოხლოდ ქე ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, მაგრამ კაცივით იყვნენ. აგი სამართალია, პატენეფი, ფოთის დუქნებში ერთ გირვანქა ხორცსა და ყველს რომ ვერ იშოვი თუ ბაზარში არ გადი და იქ ოქროს ფასად არ იყიდი. აგია ცხოვრება?!

— ვის ელაპარაკები ბურდა, ამ შუალამისას? — ჰკითხავდა ვინმე მისი ლაპარაკით გამოღვიძებული და გაბრაზებული.

— ჩემს თავს, პატენეფ. ვერ გაიგეთ ძილი რომ მაქვს ვატეხილი იმ ბედნიერ დღის მოლოდინში? საათებს ვითვლი, დღეებს ვითვლი. ჩემი „პრისტმანი“ რამდენ მეტრს წაიწვეს წინ, იმდენ პირჯვარს ვიწერ, იმდენი დღე მემატება. შენ რამდენი ბალანა გიღნავის შინ არ ვიცი და მე თოთხმეტი შვილისა და შვილიშვილის პატრონი ვარ. რა დამაძინებს მე უბედურს! მარტო მქალი, ლობიო და ჭინჭარი ვაჭამო ბალნებს? რძე არ უნდათ, ყველი არ უნდათ, ჭეიშტარი არ უნდათ, ხორცი არ უნდათ? რავე იტყვი შენ?! ჩემი ეზო-კარი, ჩემი კოლმეურნეობის მიწები ისეთ ციკაბოზე ჰკიდა, თოკით თუ არ მიეზი ხეს, ისე სიმინდსა და ლობიოს ვერ გამოთოხნი. კვანს ვერ მოიწვე, ქე დაგორდება ძირს. თოთხმეტ პირს ჭამა არ უნდა, ჩაცმა არ უნდა, დახურვა და ლოგინი არ უნდა? როგორც კი აქ ფერმები გაშენდება, თოთხმეტივეს ფერმაში უკრავ თავს. პაპაპაპა, რა მეჯოგეები დადგებიან! კვარაცხელია ვარ, პატენეფ, მეჯოგეთ დაბადებული. კვარაცხელების ჯოგი არ გაავგონიათ? მთიდან რომ დაიძვებოდა კვარაცხელების ჯოგი, თვითონ მთა წამოვიდაო, ეგონებოდა კაცს. ისევ ის დრო გვიდგება, პატენეფ! შენ გინდა გვერდზე გადაბრუნდე და შენსავით ვიზვირონო მთელი დამე? მაგი კარგია, კარგი შენ დაგემარ-

თოს, მაგრამ ჯერ და სიხარული ერთად რომ შეიყრებიან თურმე, არ დააძინებენ კაცს.

ცისკრის მოახლოებამდე ვერ იძინებდა ბურღუ კვარაცხელია და მერე ისე მოჭრიდა რული თვალს, ვიდრე ტახტიდან არ ჩამოიღებდნენ, არ გაელვებებოდა.

ტყის გაკაფვაზე მომუშავე გლეხები ერთ ჯგუფად ბრუნდებოდნენ ბარაკებში. გიშლილად მოდიოდნენ ახლად გაკაფულ და ამოძირკულ მინდორზე, დაღლილები, მაგრამ მაინც ხალისიანები.

— გაიგეთ, ხალხო, კომისია რომ ჩამოსულა თბილისიდან? — ამბობდა მხარზე წერაქვევადანებულა, ხანში შესულ გლეხი.

— რა კომისიააო? — ჰკითხა გვერდით მომავალმა ჯაჭუ ჯგერენაიამ, ხელში ნაჭახი რომ ეკირა და ქამარში წალდი ჰქონდა გარკობილი.

— მიწის გამანაწილებელი კომისია, — უთხრა სარდიონ სართანაიამ.

— რას ამბობ, სარდიონ, მართლა ანაწილებენ უკვე?! — სიხარულით შესძახა ბურღა კვარაცხელიამ.

— რავე, არ არის დრო თუ?! — გაიკვირვა ჯაჭუ ჯგერენაიამ. — რამდენი წელიწადია ვუცდით ამ დღეს და დადგა იგი. საჩიჯაოში, ნაბადაში, ყორათში, საბაგოში, ქალადიშო და ქვალონში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ანაწილებენ მიწებს.

— რისი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ანაწილებენ თუ იცი, პატენ?

— რისი და ციტრუსების კოლმეურნეობებისათვის და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

— მეცხოველეობისათვისაო არ უთქვამთ?!

— მაგი არ გამიგონია, შენ არ მომიკვდი.

— რავე არ გაგიგონია, პატენ. მეჯოგეობა უნდა იყოს მთავარი მეურნეობა ამ მიწებზე და შენ ამბობ არ გამიგონიაო.

— არ გამიგონია და რა ვქნა.

— ყურს გვლებია და ემეტემ არ გაგიგონია, — უთხრა ერთ მიკვდილ თავებულმა ბურღა კვარაცხელიამ.

— შენი ხნისა რომ ვიყო, კი დამაკლდებოდა ყურს, მაგრამ მაგ ხანამდე ბარემ ოცი წელიწადი მიკლია, შენ არ მომიკვდი.

— ნუ გამიწყურები, პატენ. გულზე გამხეტე და იმიტომ გითხარი, ყურს გვლებიათქვა.

— რა ვთქვი გულზე გასახეთქი?! — გაუკვირდა ჯაჭუ ჯგერენაიას.

— შენ არა თქვი, მეციტრუსეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ანაწილებენ მიწებსო.

— ალბათ, მეცხოველეობისათვისაც განაწილებენ...

— რას ჰქვია „ალბათ“? — ავირდა ბურღა კვარაცხელია. — ალბათ კი არა, პირველ რიგში მეცხოველეობისათვის უნდა განაწილონ.

— ეგ ჩემთან არ შეუთანხმებიათ, შენ არ მომიკვდი. შეიძლება კიდევაც ანაწილებენ მეცხოველეობისათვის.

— შენ ხუმრობ, პატენ. მე კი კინაღამ გული გამიხეთქე...

ციასა და ცისანას სათბურებიდან ლომონისა და ფორთოხლის კალმები გამოჰქონდათ და კვლებში რგავდნენ. ჩითის მოკლესახელებიანი და მოკლეკალიანი კაბები ეცვათ. თავი ტრელი თავსაფრით ჰქონდათ წაკრული. მზემოკიდებულები, მკვრივები, ხალისიანები განუწყვეტლავ ტიკტიკებდნენ.

სხვადასხვა სათბურებიდან გამოდიოდნენ და სხვადასხვა კვლებში რგავდნენ. სათბურებიდან ერთდროულად გამოჰქონდათ კალმები საუბრით, საუბრით მიდიოდნენ კვლებამდე და მერე ჩამუხლულები, ერთმანეთს საკმაოდ მოშორებულები, მაინც განაგრძობდნენ საუბარს.

— ვაგონებში გადასახლების შემდეგ სულ დაგვივიწყეს, — საყვედურით ამბობდა ცია და თან თიხიანი ხელით ლოყაზე ჩამოცურებულ თმას ისწორებდა,

მაგრამ თმა ჩუტად ისევ ლოყაზე ეცემოდა.

— რა ქნან, ციამ ჩვენი გულისათვის გადავიდნენ იმ ვაგონებში, ჩვენი გულისათვის ჩქარობენ, ჩვენი გულისათვის არ უნდათ დაკარგონ დრო. თურმე რაც იქ გადასახლდნენ, მათი ექსკავატორები არ გაჩერებულა.

ამ საუბარში რომ იყვნენ, კოლმეურნეობის „ოდიშის შხის“ თავმჯდომარე ესტატე ფარცვანია და მისი შოფერი ჭიჭიკო ჭითანა შედგნენ შორიახლო და ყური მიუვდეს მათ საუბარს.

ქალიშვილები ისე იყვნენ ვართული მუშაობითა და საუბრით, არ ვაუვიათ როგორ წამოებარნენ ესტატე და ჭიჭიკო. მაგრამ მერე ერთდროულად დაიხახეს, უიო, წამოიძახეს, წამოდგნენ და მუხლებს ზევით ასხლეტილი კაბის კალთა ჩამოიწიეს.

— გამარჯობათ, — პირველად თავმჯდომარე მიესალმა ქალიშვილებს.

— ბიძია ესტატე, — საკოცნელად გადაეხეცა ციამ, მაგრამ ესტატეს მუცელს არ მიუშვა. მერე ჭიჭიკოს მივარდა — ჭიჭი, რამსიმალღე ხარ, კიდევ ხომ არ გაიზარდე?! — ვერ შეწვდა ჭიჭიკოსაც.

— გაზრდა არ მაკლია მე. ჭკუა მომემატა, — თვითონ დაიხახა და აკოცა ციას. — ახლაც არ გავატანთ ნერგებს?

— ვერ გავატანთ, ჭიჭი, — უთხრა ციამ.

— რატომ? აკი შეპირებული იყო დირექტორი?!

— შეპირებული კი იყო, მაგრამ ახლა ისეთი მდგომარეობა შეიქმნა...

— რა მდგომარეობა? — უკმაყოფილოდ ჰკითხა თავმჯდომარემ.

— პირველ რიგში სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უნდა მივეცეთ ნერგები.

— გოგო, პირველ რიგში მე ვიყავი და სხვას აძლევთ?!

— ვაძლევთ, ბიძია ესტატე. უნდა მივეცეთ. სხვა გამოსავალი არ არის.

— რომელია მაინც ისეთი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები,

ურიგოდ რომ აძლევთ ჩემთვის შეპირებულ ნერგებს.

— რამდენი ჩამოგიტვალას „ახალი ფაზისი“, „ოქროს ვერძი“, „კოლხიდა“...

— რაიო?! — შეაწყვეტინა თავმჯდომარემ, — ასეთი კოლმეურნეობები ჯერ არ გამოგონია.

— მალე გაიგონებ, ბიძია ესტატე, — უთხრა ციამ. — მიწა უკვე მიუზომეს ამ კოლმეურნეობებსა და სხვებსაც.

— რომელი მიწა, სადაა მიწა, გოგო?! ჯერ დედაარხი არ გაგიტხრიათ, ჭაობი არ დაგიშრიათ და უკვე მიწებს ანაწილებთ?!

— არ გაგიგონია, ბიძია ესტატე, საოქტომბროდ რო ვხსნით დედაარხს?!

— შაქარი შენს პირს, შვილო. დედაარხს თუ გახსნით, ის წყეული ჭაობი ზღვაში ამოჰყოფს თავს. კი ყოფილა დრო მიწის მიზომვის. ოღონდ თქვენ არხი გახსენით და ნერგებს მე თვითონ ჩამოგიტანთ აფხაზეთიდან იმ თქვენი „ოქროს ვერძისა“, „ახალი ფაზისისათვის“ და „კოლხიდისათვის“.

— არა, ბიძია ესტატე, — უთხრა ციამ. — ამ მიწაზე აქ გამოყვანილი ნერგები უნდა გამრავლდეს. შეხედე, რა ფერი აქვთ, რა ძალა. მართლა ოქროს მიწა ყოფილა აქ.

— ეს კარგია, ციამ, ნერგებს რომ ამზადებ, მაგრამ საქორწილოდ არ აპირებ მომზადებას? — ჰკითხა აქამდე გაჩუმებულმა ჭიჭიკომ.

— საქორწილოდ დიდი ხანია მომზადებული ვარ, ჭიჭიკო, — უთხრა ციამ და დაუმატა: — მეც და ცისანაც.

— ცისანა ვინდაა? — ჰკითხა ჭიჭიკომ. ცისანა თავით ფეხამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— ცისანა ისაა, ვისაც ასე თვალგამტერებელი უყურებ.

— საქმრო ჰყავს? — სწრაფად ჰკითხა ჭიჭიკომ. — თუ არ ჰყავს, აჯერ ვარ მე, ჭიჭიკო ჭითანა.

— ჰყავს, ჭიჭი, ჰყავს. ისეთი ბიჭია, ვარსკვლავებს ეთამაშება.

— სადაურია?

— ბელორუსია.

- ვინაა?!
- ბელორუსი. ანტონ ბაჩილო.
- ცისანა, ბელორუსიაში რომ არ წასულიყავი, აქ გავწყდით ბიჭები?! — ჰკითხა ცისანას ჰიჭიკომ.
- თვითონ ჩამოვიდა ის ბელორუსი,
- უთხრა ცისანამ.
- იმ სიშორიდან რაფერ დაგინახა, გოგო?!
- დაინახა, ჰიჭიკო, — გაიცინა ციამ.
- ჩვენ რამ დაგვაბრძოვა, აგერ ყუ-რისპირაში რომ ვერ დაგინახეთ!
- გაჩუმდი, — გაუწყრა ესტატე, — შენ თვალში რომ ჩავივარდეს, მაინც ვერ დაინახავ.
- მე კი ვხედავ გოგოებს, მაგრამ ისინი ვერ მხედავენ, — ნალელიანად თქვა ჰიჭიკომ. — ამისთანა გოგო მაინც არ მინახავს ჯერ.
- შენ მარტო ენა გერჩის, შე ჰირი-ანო, — ისევე გაუწყრა თავმჯდომარე.
- დედა და ბაბა როგორ არიან, ბიძია ესტატე?
- რა უჭირთ, დედასა და ბაბას. მუ-შაობენ, ცხოვრობენ, ქონება ბანში ამო-სდით. ოღონდ შენი დარდით აღარ არი-ან. რა ოჯახი მიატოვე, შვილო, რა ჰავა და ამ მოშხამულ მიწაზე გაცე-ლე.
- მოშხამული ახლაა, ბიძია ესტატე, თორემ ჰაობი რომ დაშრება, მთელი ჩვენი ზღვისპირეთი სამოთხე იქნებაო, როგორც ვაგრა და ბიჭვინთა.
- კარგი დაგემართოს, დაშრობის შე-მდეგ შეიძლება ვაგრასაც აჯობოს და ბიჭვინთასაც. შენი საქმრო როგორაა?
- მუშაობს, ცხოვრობს, — თავმჯდო-მარის კილოზე უთხრა ციამ და გაუცი-ნა, — ოღონდ ქონება ჯერ არ ამოდის ბანში.
- ამოუვა, ბაბა. დედაშენმა მითხრა, მშენებლობაზე პირველი დრაგერიაო.
- ხან პირველია, ხან მეორე, ბიძია ესტატე.
- ეს როგორ?! — ვერ გაიგო ჰიჭი-კომ.
- უჩას ცისანას საქმრო სოციალის-ტურ შეჯიბრებაში ჰყავს გამოწვეული. ხან უჩა იმარჯვებს, ხან ანტონ ბაჩილო.
- რა კარგად შეთანხმებულან, — გა-იცინა ჰიჭიკომ.
- არა, ჰიჭიკო, არ შეთანხმებულან. ეს რა თქვი! — გაუწყრა ცია. — აკი ჰკუა მომემატაო.
- რომ მომემატა, იმიტომ გავიფიქ-რე ასე. შოფერი ვარ, ცია, მაგრამ ჰკუა პროფესორისა მაქვს. შევეციდი, რომ არ ეისწავლე. ამ მანქანის სიყვარულმა გა-მიტაცა თორემ, ახლა დირექტორი, ტრე-სტის მმართველი ან პროფესორი ვიქნე-ბოდი. მაშინ ალბათ, არ დამიწუნებდნენ გოგოები.
- შენი საქმის ახლაც პროფესორი ხარ. ასე მითხრა ციამ, — უთხრა ცისა-ნამ. — ყველა პროფესორი და დირექ-ტორი ხომ არ იქნება. აი, ჩემი საქმროც დრაგერია — მემანქანეა, მაგრამ ამით არ დამიწუნებია.
- თვითონაა წუნია ეგ ვაჟბატონი, — უთხრა ცისანას თავმჯდომარემ. — რამ-დენ გოგოს ურიგებდნენ, რომ იცოდეთ.
- გარიგებით ვინ თხოულობს ჩვენს დროში ცოლს! გააგებინეთ ამ კაცს, — უთხრა ციასა და ცისანას ჰიჭიკომ.
- მართალს ამბობს ჰიჭი, — უთხრა ესტატეს ციამ. — გარიგებით ნათხოვი ქალი ღმერთმა დაუფაროს. თუ მოეწო-ნა, რომელი გოგო ეტყვის უარს ჰიჭი-კოს!
- ეხ, საქმეც მაგაშია, ცია, თუ მოვე-წონე.
- მოეწონები, ჰიჭი. მოვა დრო და მოეწონები ვინმეს.
- შენ სულ ეგრე მამშვიდებ, ცია, მაგრამ მე რომ მომეწონა, იმას მე არ მოვეწონე და ქე მიდის დრო.
- რა ვქნა, შვილო? — დაიწყო ისევ თავის სატყუარზე ლაპარაკი თავმჯდო-მარემ. — აფხაზეთიდან ნერგების ჩამო-ტანა რომ შემძლებოდა, აქამდე ასჯერ ჩამოვიტანდი. აფხაზებს თვითონ არ ყოფნით ნერგები. სანამდე ვუცადო ნე-რგებს? მიწა მიცდება. ტყუილა შევაკა-ლი ხალხი ტყის გაკაფვას, ტყუილა მო-ვაცდინე სხვა საქმეს!
- ბიძია ესტატე, ეს მიწები საუკუ-ნეები იყო გაცდენილი და ახლა მაინც



არ მიეცეთ ნერგები, არ გავაცოცხოთ?  
— უთხრა ციამ.

— უნდა გავაცოცხოთ, შერლო ჯერ ამ მიწებს უნდა მიეცეთ ნერგები. მე ჩემი გაჰირვება მალაპარაკებს თვარა, განა ამდენი არ მესმის. აღარ შევალ ღირე-ქტორთან, — მამობრივად გაუღიმა ციას: — მომზადებული კი ყოფილხარ საქორწილოდ, მაგრამ ის კი არ მითხარა, როდის აპირებ ქორწილს.

— დედაარხის გახსნის დღეს, ბიძია უსტატე. მოსაწვევ ბარათებს გამოგიგზავნიან შენ და ჭიჭიკოს.

— პირობა გახსოვს, ცია? — ჰკითხა ჭიჭიკომ.

— ერთერთი ხელისმომკიდე შენ იქნები ჭიჭიკო.

— რას ჰქვია ერთ-ერთი?! — ეწყინა ჭიჭიკოს. — ერთ-ერთი კი არა, პირველი ხელისმომკიდე მე უნდა ვიყო. ხელისმომკიდე კი არა, რომ შეიძლებოდეს, თამადაც მე ექნებოდი, ისე მიყვარხარ, გოგო.

— კარგი. გაჩუმდი, ჭიჭიკო, — უთხრა გულაჩილებულმა თავმჯდომარემ. — შენ შენს სოფელში კი ხარ გვარიანი თამადა, მაგრამ საქვეყნო სუფრაზე ვერ ივარგებ. იცი, რა ზღვა ხალხი დაესწრება არხის გახსნას? მერე ყველა ის ხალხი ქორწილში წამოვა. რომც შეიძლებოდეს ხელისმომკიდის თამადაობა, შენ გაუძლებდი, შე ჰირიანო ასეთ სუფრას?!

— ხალხის არ მეშინია მე, — თქვა ჭიჭიკომ, მაგრამ ხმაში შეეტყო, ამდენი ხალხის მართლა შეეშინებოდა.

თებერვალში კი იდგა დარი, მაგრამ მარტმა, როგორც ყოველთვის, მაინც იმარტა. უფრო მეტიც — მთლად მოიგვიანა თავი. დღე ისე არ გავიდოდა მერეხი არ მოვარდნილიყო ჭეჭა-ქუხილით.

ყორათელებმა გამოცდილებით იცოდნენ, რომ დელგმა მარტის ბოლომდე გასტანდა.

წვიმები ყველაზე მეტად დრაგერების მუშაობას უშლოდა ხელს. ექსკავატორები ფიცარნაგებზე ფეხს ვერ იკიდებ-

დნენ. მუხლუხოები ჭანჭყოფში ეფლობოდა. თვითონ რომ ვერ ამოდიოდა, მაგირით ამოჰყავდათ ფიცარნაგებზე. მუშაობა მთელი არხის მანძილზე მაინც გრძელდებოდა დღისითაც და ღამითაც.

სპირილონ გუნია თავისი კანტორის ოთახიდან არ გამოდიოდა. იქ მუშაობდა, იქ ჭამდა და სვამდა, იქ იძინებდა. ყველა ბრიგადას ტელეფონით უკავშირდებოდა, ზუსტად გებულობდა ბრიგადების მდგომარეობას.

ლონგინოზ ლომჯარიას გვერდიდან არ იშორებდა, თავის ოთახში აქმევდა, თავის ოთახში აძინებდა, რომ დღისით და ღამით დაუყოვნებლივ გაეგზავნა იმ ბრიგადაში, რომელსაც უჭირდა.

მერეხი უფრო ხშირად ზღვიდან მოდიოდა თავისი ქართა და განუწყვეტელი ჭეჭა-ქუხილით. მიწაზე და ქაობზე მღერიე წყალი იდგა. წყალი იდგა არხებში.

უჩას ექსკავატორის მუხლუხოები არ უჩანდა. წვიმის თქეში კაბინის სახედ მუშაზე სცემდა და ღვარად ჩამოსდიოდა. ექსკავატორი პირით ზღვისაკენ იდგა და თქეში მთელი ძალით ურტყამდა მუშას, ისეთი ძალით, უჩას ეგონა, საცაა შემოამსხვრევსო.

ტროპიკული ცხელი დღის შემდეგ საშინელი ელქეჩი იწყებოდა, ბორცავდა, მძვინვარებდა თეთრ-მოიისფრო ელვის გრძელი ცეცხლი, შემდეგ სადღაც ახლოს ან შორს სკდებოდა მეხი და ზანზარებდა, ფეთქავდა მიწა, ისმოდა დამებლ ხეთა ლაწანი, როგორც მძვინვარე ზღვის ხავილი.

წინ ვერაფერს ხედავდა, ბრმად ალოთი მუშაობდა. მაინც წყალშიაც კი იცავდა ფსკერის პროფირებას. წვიმა ისე გამეტებით ურტყამდა, რომ კედლების პროფირება თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ უჩა დიდი გაჰირვებით და ძალ-ღონის დაძაბვით ამასაც ართმევდა თავს.

დედაარხის გათხრის დამთავრების დრო არც ისე შორს იყო. წინათ რომელ დრაგერს მოუვიდოდა აზრად წვიმაში

მუშაობა ახლა საქირო იყო და ყველა დრაგერი მუშაობდა.

ანტონ ბაჩილო და უჩა შამუგია ყოველდღე ურეკავდნენ ერთმანეთს, ხომ არაფერი გიჭირსო. წვიმის ზათქში ძლივს ესმოდათ ერთმანეთის ხმა. ეკითხებოდნენ ერთმანეთს, ციასა და ცისანას ამბავი ხომ არ იციო.

არც ერთმა არც იცოდა. ორივე წვიმისა და წყლისაგან ქვეყანას მოწყვეტილი იყო.

არც ციამ და ცისანამ იცოდნენ მათი ამბავი. სამმართველოში რომ ეკითხათ ეინმესთვის, ერიდებოდათ. არა და მოსვენება დაკარგეს. ის კი იცოდნენ, რომ დრაგერები წვიმამში მუშაობდნენ და გაცივებულები იყვნენ ასეთ ამინდში რანაირად მართავენ ექსკავატორსო.

მარტის შუა რიცხვებში უჩამ მაინც მოახერხა ლონგინოზ ლომჯარიას ხელით წერილის გაგზავნა ციასთან. მე და ანტონი კარგადა ვართ, წერდა უჩა. სოციალისტური შეკიბრება გრძელდება. ჩვენი ქორწილისათვისაც ვმუშაობთ და ალბათ, ამიტომ არ გვიჭირს მუშაობა. თქვენთან რა ამბავია? სათბურები ხომ არ წაიღო წყალმა? ამბობენ, ფოთში ისე არ წვიმსო. როგორც კი გამოიღარებს, ერთი საათით მაინც ვინახულებთ. მოგიკითხათ ცისანა და შენ ანტონმა. თუ მოახერხებ, მომწერე თქვენი ამბავი. ბარათს ლონგინოზ ლომჯარია წამოიღებს. გწერს შენი უჩა შამუგია.

უცებ საოცრად მოუნდა, რომ ცია მასთან ყოფილიყო. ენახა, რანაირად მუშაობდა, რას უძლებდა, რას უმკლავდებოდა ასეთ ავდარში. ეს იყო მისი ქაბუკური სურვილი, წმინდა წადილი, გმირობის, სიმამაცის და თავდადების გამოჩენის სურვილი საყვარელი ადამიანის წინაშე და მაშინვე შერცხვა ამ სურვილის. ამ არაეაჯაკური სურვილისა, თავისი ფიჭრით არაეაჯაკურისა.

უჩა ციაზე ფიჭობდა და ქარიშხლით ამღვრეული სახედველი შუშიდანაც ციას წვიმით გალუმბული სახე ედგა თვალწინ, გრძელ წამწამებში მოჭყეული ჰკვიანი თვალები, სიყვარულით საესე

თვალები, შიშითა და სინახით გამოტბარი, მოწონებითა და აღერსით გაბრწყინებული. უღიმოდა ცია და ეს კიდევ უფრო მეტ ძალასა და ენერგიას მატებდა. ნუ გეშინია, ცია, მე არაფერი დამემართება, ბევრი ასეთი ავდარი დამტეხია. თავს, ბევრჯერ წაველივარ წყალს.

სპირიდონ გუნია თავის კაბინეტიდან ხელმძღვანელობდა ბრიგადებს. ვასობრეგვაძე კი ჯაჭვით ვერ დააბეს კანტორაში. ვერც თხოვნამ გაქრა, ვერც დარიგებამ, რომ ვარდა ვაცივბასა, ან წყალი წაიღებდა, ან გრივალისაგან მოვლუჯილი ხე დაეცემოდა, ან კიდევ წყლით დაფარული, უხილავი ქაობი ჩაიტაცებდა.

დღეში რამდენჯერმე ერთი ბრიგადიდან, ერთი პიკეტიდან მეორეში გადადიოდა. ზოგს პაპიროსს, ზოგს არაყს მიუტანდა, რომ თავით ფეხამდე სველი დრაგერები შემთბარიყვნენ. ზოგს ტბილ სიტყვას ეტყოდა. ხანდახან სულის მოსაბრუნებლად ვაგონშიაც შევიდოდა. იქ ცვლიდან მოსული დრაგერები ამ დროს ან პურს ჭამდნენ, ან ნარდსა და ქადრაკს თამაშობდნენ, ან ეძინათ. სუფრაზე დაეწვეოდა მოტრაპეზებებს, ნარდსა და ქადრაკს ითამაშებდა. შეაქებდა, შეაგულიანებდა თითოეულს. — დეკაცები ხართ, რომ ასეთ ავდარში ასე კარგად თხრით არხსო, მაგრამ იცოდეთ, ცვლაზე ნორმანახევარი, ეს მინიმუმიაო. დიახ, დიახ, ასეთ ამინდშიც მინიმუმია. ეს ბრძანება არ არის. ბრძანებით ასეთ ამინდში ერთ ნორმასაც ვერ გამოიბუშავებ, ეს ჩემი თხოვნაა. თხოვნით, სათრით, მოვალეობის შეგუებით ადამიანი მეტს მოინდომებს, ვიდრე ბრძანებით.

მოხუცი ინეინრის საყვარულით ნათქვამი ასეთი სიტყვები დრაგერებისა და მის თანამშემუშევებისათვის ზიარებაზე უფრო ტბილი იყო და მეტი მონდობებით მუშაობდნენ.

ბრეგვაძე ლამითაც არ ბრუნდებოდა ბარაკში, რომელიმე ბრიგადის ვაგონში ათევედა ლამეს, რომ საქმეს არც დღე მოცდნოდა და არც ლამე. ვაგონში ყვე-

ლა ხელგაშლით ხედებოდა, ემაყებოდათ მისი სტუმრობა.

ძილშიაც მოსვენებას არ აძლევდა მშენებლების დადებული პირობა. ამ პირობის შესრულებისათვის მარტო ძილა არ კმაროდა და ყოველ დღე ერთსა და იმავეს იმეორებდა ყველგან — სამშართველოში, მშენებლობაზე, ყორათის მასივის კანტორაში, ცალკეულ ობიექტებზე, ცალკეულ ადამიანებთან, რომ საჭიროა მშენებლობის მუშაობის გარდატეხა, გარდაქმნა, მისი რიტმის აჩქარება. ეს უკვე ასედაც იყო, მაგრამ გრატაციებული ამ აზრით, ამ სულით, ვეღარ ამჩნევდა.

მოხუცი ინჟინერი რაღაცით დაემსგავსა ანდრო განჯიას. ამას თვითონაც გრძნობდა. ისიც იცოდა, რომ წინათ არ იყო ეს მსგავსება მათში. იგი თანდათან ვაჩნდა ბრეგვაძის არსებაში ანდრო განჯიას სიკვდილის შემდეგ, იმ ღამის წყაღდილობის შემდეგ, იმ ღამის თათბირის შემდეგ სამშართველოში.

რითი დაემსგავსა ანდრო განჯიას? სურვილით გაეკეთებია მეტი, არ დაჰყოფილებულიყო მიღწეულით, არ დაშვილებულიყო, ეძებნა მუდამ ახალი; ამ თვისებების გარდა კიდევ იყო სხვა თვისებები ანდრო განჯიაში, რომელთა ახსნას, რომელთათვისაც სახელის დარქმევას ვერ ახერხებდა, მაგრამ გრძნობდა, კიდევ რაღაც კარგით დაემსგავსა ყოფილ მთავარ ინჟინერს.

სამოც წელიწადს გადაცილებული ადამიანები ჩვეულებრივად კმაყოფილებიან თავისი სიცოცხლის მანძილზე გაკეთებულით, მიღწეულით და ახლისათვის აღარ იღვწვიან, მაგრამ ვასო ბრეგვაძე ამ ყაიდის ადამიანებს არ ეკუთვნოდა.

იგი სიჭაბუკის, დაჯაცების ეამსაც არ იყო კმაყოფილი, დაშვილებული. მუდამ მეტისაყენ, ახლისაყენ ისწრაფოდა. პირად ცხოვრებაზე აღარ ფიქრობდა მას შემდეგ, რაც ცოლი გარდაეცვალა, პირად ბედნიერებისათვის არ იღვწოდა, არც კარიერაზე უფიქრია არასოდეს. ოღონდ ბალხისათვის რაიმე საჭირო გა-

ეკეთებია, ეს იყო მისთვის ბედნიერება.

ასეთ ადამიანს ზოგი განუსჯევლს, ქვეყნის მამიდას უწოდებს ირანინიხის მხატვრის ვასო ბრეგვაძე მხოლოდ დაცინვით გაუღიმიებდა და ისიც გულში, თავისთვის, არ უწყენდა, თავის საქმეს კიდევ უფრო მეტი მონდომებით განაგრძობდა.

მისი ცოლი, ძველი არმიის მოწყალეების და ნინა ივანოვნა პირონოვა, ქმართან ერთად ფრონტზე ებრძოდა გერმანელებს, მაგრამ ერთმანეთის ამბავი არ იცოდნენ. ვასო ბრეგვაძე, უკვე წითელი არმიის მეთაური, მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა ჩარიდან. მძიმედ კონტუზირებული მოსკოვის ერთ-ერთ ჰოსპიტალში იწვა რამდენიმე თვე. ენა მაშინ დაება, როცა ცოლის დაღუპვა გაიგო. ამ ამბავმა თითქმის გამოიწინაშრთელეული კაცი ისევ ლოგინად ჩააგდო.

ჰოსპიტალიდან გამოწერის შემდეგ სამშობლოში არ დაბრუნებულა. ენას ისე უკიდებდა ეს ღამაზი, მოხდენილი ახალგაზრდა კაცი, და რცხვენოდა ასეთი ჩვენებოდა ნაცნობ-მეგობრებს, რამდენიმე თვის შემდეგ მოსკოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა და სამშობლოში მხოლოდ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა.

ადამიანის ბედ-იღბალი ბევრადღა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოეწყო მისი ცხოვრება ახალგაზრდობისას. ნამდვილი, დიდი სიყვარული სულ სხვადასხვანაირად წარმართავს კაცის ცხოვრებას. ასეთი სიყვარულით უყვარდა ნინა პირონოვა და აღარ შეირთო ცოლი.

კოლხიდის დაბლობების დაშრობა იყო მისი სიცოცხლის ყველაზე დიდი ბედნიერება. სხვა მშენებლობებზე, სადაც კი მანამდე ემუშავა, არასოდეს არ უგრძნებია ისე მღელვარება, წუხილი და სიხარული, როგორც აქ. არ უნახავს იმდენი შრომა და გაჭირვება, ნერვიულობა, არ მოუხდომებია ისე, როგორც ამ მშენებლობაზე. ეს იყო, როგორც თვითონ ხუმრობდა, მისი გედის სიმღერა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვარდენ ბუკიას მამას, ბეგლარს არაერთი თანამდებობა შესთავაზეს, ზოგი თხოვნით, ზოგი დავალებით, მაგრამ მან ყველაფერზე უარი თქვა.

ბეგლარი თესავდა სიმინდს, იწვედა დაფნის ფოთოლს, უვლიდა კამეჩებს, იყო სოფლის თავკაცი. ძველებურად ქუეხს მას ეკითხებოდნენ, გასაჭირისა და სიხარულის ეამს იგი იყო სოფლის იმედი. ასე ატარებდა წლებს, ვიდრე რაიონში კოლექტივიზაცია არ დაიწყო. მაშინ კი უარი ვერა თქვა ამ საქმის გაძღოლაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ცხრა წელიწადი გავიდა. გლეხებს მიწა მიზომილი ჰქონდათ, მაგრამ გლეხი ისევ ისე ღარიბად ცხოვრობდა. მხოლოდ კოლექტიურ მეურნეობას შეუძლია სიღარიბიდან მისი გამოყვანა, ამბობდა პარტია.

ბეგლარმა ეს მაშინვე ირწმუნა და როგორც იმ ღირსშესანიშნავ 1921 წლის თებერვალში, ახლაც ჩაუდგა გლეხებს სათავეში და რაიონში კოლექტივიზაციის ჩატარების ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელი გახდა.

ზოგი მათგანი ვინც მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის დროს მხარში ედგა და ჩიხუების მიწაც გაინაწილა, ახლამტრად გაუხდა ბეგლარს: „განა იმისათვის ვიბრძოდით, იმისათვის ვიკლავდით თავს, რომ სისხლით მოპოვებული მიწა ისევ წაერთმიათ იმათ, ვინც იგი მოგვცაო. ამას გვიწინასწარმეტყველებდნენ მენშევიკები და აგვიხდა კიდეც. შევცდით, ქუეხ წავაგეთ და ახია ჩვენზეო“.

ზოგი ახლობელი და მეგობარი მოკვლით, სახლ-კარის გადაწვით, შვილების ამოწყვეტით ემუქრებოდა, მაგრამ ბეგლარ ბუკიას ნებისყოფა ვერავითარმა მუქარამ ვერ გატეხა. პარტიამ გადაწყვიტა კოლექტივიზაცია, პარტიამ მისცა გლეხს მიწა, პარტიას მიაჩნია, რომ კოლექტიური მეურნეობით მეტს მიიღებს მიწისაგან გლეხი და უნდა შესრულდეს პარტიის გადაწყვეტილება.

შვილების ამოწყვეტის შერში არ ჰქონდა. ვარდენი რაიკომის მდივანი იყო, ჯგებე წითელი არმიის მეთაური და შორეულ აღმოსავლეთში მსახურობდა, გვანჯი თბილისში უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე სწავლობდა.

შვილებთან ხელი ვერ მიუწვდებოდათ დამუქრებულებს, თავის თავისა და სახლ-კარის გადაწვის არ ეშინოდა. ბეგლარი, როგორც მაშინ, გვარდიელებს პირველი რომ გადაუდგა და გზა გადაუღობა, ახლაც ასევე პირველი ედგა თავში იმათ, ვინც კოლექტივიზაციის მომხრე იყო.

გვანჯი ბეგლარმა გაგზავნა აგრონომიულ ფაკულტეტზე: — წადი, ისწავლე მიწის საქმე და მერე შენს რაიონს დაუბრუნდი, ხალხის მიწებს მოუარეო.

გვანჯი პატარობიდანვე მამის გამგონე იყო, მაგრამ, ამავე დროს, ცოტა თავისნებაც. მამას ნახევარი თხოვნა შეუსრულა, მეორე ნახევარში კი ბოდიში მოუხადა. რაიონში დაბრუნდა, ოღონდ კოლმეურნეობაში მუშაობაზე უარი თქვა, სამეცნიერო მუშაობისაკენ გაუწია გულმა.

იმ წლებში სუბტროპიკული კულტურების გაშენება ახალი დაწყებული იყო საქართველოში. ჭაბუკის გონებამ მალე განსჭვრიტა მისი დიდი მომავალი. ფოთის სუბტროპიკულ საცდელ სადგურში მოეწყო აგრონომად, იქ ქართული ლიმონის ახალი ჯიშის გამოყვანაზე და საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობდა. მალე სადგურის დირექტორად დანიშნეს.

საცდელ სადგურში ფორთოხლის, მანდარინის, გრეიფრუტის, ფეიხოიას ჯიშებიც გამოჰყავდათ. მათი ნერგები ოდიშის, გურიის, აფხაზეთის და იმერეთის სხვადასხვა რაიონებში იგზავნებოდა შესამოწმებლად და ყველგან მშვენივრად ხარობდა. მაგრამ გვანჯი ბუკია მაინც მეტ ყურადღებას ისეთი ჯიშების გამოყვანას აქცევდა, კოლხიდის დაბლობების ამომშრალ მიწისათვის. რომ ივარგებდა. ეს მიაჩნდა საცდელი სადგურის უპირველეს ამოცანად. ამი-

ტომ სადგურში უკანასკნელ წლებში მხოლოდ ასეთი ჯიშები გამოჰყავდათ, თანაც, ნერგებს არავის აძლევდნენ.

გვანჯიმი თავის მამასაც კი არ მისცა ნერგები. ბეგლარის კოლმეურნეობაშიაც იყო დაბლობები, დაჰაობებულ მიწები. ბეგლარი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. სოფლის მიწების ნახევარი ურთას მთას ასდევდა და ლიონის, ფორთოხალისა და მანდარინის ხეები შესანიშნავ მოსაველს აძლევდა კოლმეურნეობას. ფერლობების მეტი ნაწილი ჯავნარით იყო, დაფარული. ბეგლარი ყოველ წელიწადს კაფავდა და ძირკვავდა ჯავნარს და ციტრუსის ხეებს აშენებდა. ნერგებს სხვაგან შოულობდა. შეილზე გული არ ტყენია. მოეწონა კიდევ, უარი რომ უთხრა.

— მართალი ხარ, გვანჯი. ჯერ ყორათის, ქვალონის და ქალადიდის მიწებმა უნდა მიიღონ შენი ნერგები. ამ სოფლებმა მოიღვან სული ჩვენ დატყდი. არ გვაწვიმს და არ გვათოვს. ბეგლარს მოწონდა, რომ გვანჯი ვარდენივით ცოტა ჯიუტი და ცოტა თავნება იყო. ამ ორ თვისებას მისი შეილები მხოლოდ კარგ საქმეში იჩენდნენ, როგორც თვითონ ბეგლარი.

ბეგლარის ჯანმრთელობა ვარდენის დაპატიმრების ამბავმა ძლიერ შეარყია, მაგრამ ბერკიაცი ჭირს მტკიცედ უმაგრდებოდა ძველი ბოლშევიკი დარწმუნებული იყო, რომ პარტია ადრე თუ გვიან გამოასწორებდა ზოგიერთი ხელმძღვანელი პირის დანაშაულს. უფრო მეტიც — დასჯიდა მათ. დაბრუნდებოდა ვარდენი.

ეს რწმენა არასოდეს არ ტოვებდა მოხუცს და ცდილობდა უფრო მეტი გაეკეთებია. მისი კოლმეურნეობა რაიონში ერთი პირველთაგანი იყო. მაგრამ ბეგლარს ახლა აღარაეინ იხსენებდა არც თათბირზე, არც კრებაზე, არ ირჩევდნენ პრეზიდიუმში, არ წერდნენ მის შესახებ, არ აჯილდოებდნენ, არ აქებდნენ. ბევრი ამხანაგი და მეგობარი აღარ ამხანაგობდა მასთან. ბეგლარმა იცოდა, რატომ ერიდებოდნენ ისინი და არავის ამ-

ტყუნებდა. დრომ მოიტანა და დრო წილებსო, ფიქრობდა გულში.

დღეაარზე ექსკავატორები ისე ჯიქურად მიიწევდნენ წინ, რომ მკაფავები ვერ ასწრებდნენ ტყის გაწმენდას. არც მუშები ყოფნიდათ, არც ტრაქტორები, ხერხები, ბაგირები და ჯაჭვები.

კოლექტორებიდან, შემკრები არხებიდან და ღრენაეებიდან დააბირეს მუშების გადმოყვანა, მაგრამ ეს იქ უკან დასწევდა საქმეს. გადაწყვიტეს, ტყის გაკაფვაზეც ოთხი ცვლა შემოეღოთ.

ამ საქმის ხელმძღვანელობა პარტორგმა კოჩა ყორშიამ ითავა. მან კარგად იცოდა ტყის საქმე. ნახევრად ტყეში ცხოვრობდა ბავშვობიდან. სახნავი მიწა არ ჰქონდა. ტყიდან შემას ეზიდებოდა და სიმინდზე ცვლიდა. ამით არჩენდა ოჯახს.

პარტორგმა მასივებში თვითონ გაანაწილა გამკაფავი ბრიგადები, დანიშნა ბრიგადები და ყოველ დღე ჩამოუვლიდა მთავარ ინჟინერთან ერთად, კმაყოფილებით უჩვენებდა მათ შეუპოვარ მუშაობას.

ფეხდაფეხ მისდევდა ექსკავატორები მკაფავებს. ტყე, ბარდი და ჯავნარი უკან იხევდა.

ღამე საშინელი სანახავი იყო ანთებული ტყე. ცეცხლის ალზე მწვანობში აქა-იქ ელავდნენ ადამიანთა ოფლიანი სახეები, ქულები, ყაბალახები, წალდეები, ხერხები, ბაგირები, ჯაჭვები, ტრაქტორები, ბულდოზორები და ექსკავატორები, სატვირთო მანქანები, ურმები.

ირეოდა ფრინველი და ნადირი.

ისმოდა ცეცხლის ტაკატაკუცო, აფეთქების ხმა. აფეთქებდნენ ჰეების ძირკვებს. წვავდნენ ტოტებს, გაჰქონდათ მორები.

ცეცხლის შადრევნები ღრუბლებს ლოკავდა.

კოჩა ყორშიას ახსენდებოდა, როგორ ჩეხავდა ტყეში შემას. ტყეს გამოჩენით ჭრიდა. ტყისა და ტყის ბინადართა სიყვარული მეტყვევ მანჩა შავდიაჩ ჩაუნერგა. შავდია ისე ეტრფოდა ტყეს და



მის ბინადართ, შველი ან კვერნა რომ ჩავარდნოდა ხელში, არ დაიჭერდა, მაგრამ ახლა ეს ის ტყე არ იყო. ეს იყო ჭაობითა და შხამით მოწამლული ტყე.

მუშაობდა გატაცებით, ეშხით, პრიდა ნაჯახით, სხებავდა წალდით. ისე სწრაფად მიიწედა წინ, ტყის გამოცდილი მჭრელი ძლივს უბამდა მხარს. ასე გაიყოლიებდა მუშას ხან ერთ პიკეტზე, ხან მეორეზე.

ერთი რამ აწუხებდა კოჩა ყორშიას: ნადირი, ფრინველი და ქვეწარმავალი გარბოდა, მიფრინავდა, მისრიალებდა ხანძარმოდებული ტყიდან. ზოგი ცეცხლს თავს ვერ აღწევდა და იღუპებოდა. გარბოდნენ, მიფრინავდნენ და მისრიალებდნენ ერთი ტყიდან მეორეში, მაგრამ იქაც იგივე გენია ენთო. ღამით განსაკუთრებით შესაზარი იყო ტყის ბინადართა ყმუილი, წივილი, ხავილი, კრიახი.

დაბრმავებული ფრინველი და ნადირი გზას ვერ იკვლევდა და ცეცხლში იბუგებოდა. ნადირი და ფრინველი ახლომახლო ტყეებშიც აღარ ჩერდებოდა.

ერთი თვეც არ იყო გასული, რაც დრაგერებისა და ტყის მკაფავების ბრიგადები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და ყოველი ნამუშევარი საათი, ყოველი ნამუშევარი დღე იმდენ ფიზიკურ და გონებრივ ძალას ართმევდათ, ეგონათ, მთელი წელიწადი იყვნენ ასეთ დაძაბულ შრომაში, მოწყვეტილი გარემოს, ხალხს.

მშენებლობა თავისი შეუწინაღებელი ტემპით მიდიოდა.

შათშორის, ვინც მშენებლობის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ომის საშიშროების მოახლოებას ყველაზე მეტად ვასო ბრეგვაძემ განიცდიდა. კარგად იცოდა რა იყო ომი, რა მოჰქონდა ომს ხალხისათვის.

ზოგჯერ დაძინების წინ წარმოუდგებოდა ომით შეჩერებული მშენებლობა, ამდენი წლის ნამუშევარ-ნაამაგარი, მიწის მიღების მოლოდინით გაცურებული ადამიანების მწუხარებით შეკრულა სახეები. წარმოუდგებოდა დაუმთავრებ-

ლი დედაარხი, შემკრები არხები, კოლექტორები, დრენაჟები, გზები, ხიდები, გაჯაფული, გაშენებული სატყვევარი. ყველაფერი ეს ტანჯვით, წამებით, სიცოცხლის ფასად ნაკეთები წლების მანძილზე, შუა გზაზე უნდა შეჩერებულიყო. ისევ ამოღებდა არხებს წვიმები, გადარეცხავდა გზებს, ჩაშლიდა ხიდებს.

ყველაზე და ყველაფერზე დიდი უბედურება ის იყო, რომ ამ ადამიანებს, რომლებიც ახალი მიწის დაბადებისათვის იბრძოდნენ ბარიტა და წერაქვით, ნაჯახითა და წალდით, ტრაქტორითა და ექსკავატორით, ხელი უნდა შეეშვათ მათთვის და იარაღი აეღოთ, ტანკში და თვითმფრინავში უნდა ჩამსხდარიყვნენ, ეხოცათ მტერი და თვითონაც დახოცილიყვნენ.

ამ მწარე ფიქრით ჩაეძინებოდა დღისა და ღამის შრომით დაქანცულს და ეს ჩაყოლილი ფიქრი იმ რამდენიმე საათის ძილშიც არ აძლევდა მოსვენებას. ბორგავდა, შფოთავდა და ალიონზე გამოღვიძებული ისეთი გატანჯული იყო, მთელი ტანი ისე ჰქონდა დაბეჭედი, ლოგინიდან წელს ძლივს ითრევდა და მშენებლობაზე მიდიოდა იმის შიშით, თუ რას მოუტანდა დამდგარი დღე.

ხშირი წვიმების წყალი სულ უფრო მატულობდა არხებში. განსაკუთრებით დედაარხში გაუჭირდებოდათ მუშაობა. უჩაბ ექსკავატორი არხის ბოლო პიკეტზე მუშაობდა. მას უნდა გაეთხარა არხი ყულევამდე.

ამ მონაკვეთში მიწა ზღვისაყენ იმდენად ეშვებოდა, რომ ზღვის დონის ქვევით იყო დაწეული. ამიტომ არხში წყალი მაღლა იდგა. ექსკავატორის მუშაობა თანდათან შეუძლებელი ხდებოდა.

ვასო ბრეგვაძემ გადაწყვიტა, ექსკავატორის უკან გადაეჩინათ არხი. რითი? ფიცრებით? ამაში დიდი დრო და შრომა დაიხარჯებოდა, დამატებით მუშახელი დაჭირდებოდა. — ექსკავატორის ყოველი ოცი მეტრით წინ წაწევის შემდეგ ისევ უნდა გადაეჩინათ ფიცრებით.

აქ თვითონ უჩამ მიაგნო გამოსავალს: მე გადაეჩინავე ჩემს უკან ციცხვით ამო-

ღებული მიწითო. ეს არც ბევრ დროს, არც ხე-ტყეს და არც მუშახელს მოითხოვს, მხოლოდ წვიმების გადაღების შემდეგ ამ მიწის ამოღება დაგვირდებაო.

ფანჯარაში მთვარე იხედებოდა.

ისინი იწვნენ, არ ეძინათ. მთვარე დიდი ხნის ამოსული იყო და ვარსკვლავებს შორის, მალლა იღგა ცაში. ვარსკვლავები ციმციმებდა. მთვარე ბრღღვიალებდა მთელი თავისი თვალის მომჭრელი შუქითა და რბილად ანათებდა მათ დაფიჭრებულ სახეს.

პირაღმა იწვნენ ძილი არ ეკარებოდათ.

სახლში ყველას ეძინა. არ ეძინა ქალსა და კაცს. მათ სიმშვიდეს ზღვის ხენეშა არღვევდა. თუმცა არა, არ არღვევდა. შეჩვეულები იყვნენ ამ ხმას. ზღვა ახლო იყო სახლიდან. იგი ერთნაირად, მონოტონურად ხენეშოდა. ფანჯრებიდან ცხელი ღამისა და ზღვის სუნნი შემოდინოდა. ამჟამად შეჩვეულები იყვნენ.

ქალი თღნავ შეტოკდა, შეკრთა, თათქოს უბიძგესო. არასოდეს არ უგრძვნია ასეთი ბიძგი. ეს სიხარულის შეკრთომა იყო. იწვა სულგანაბული და ახალ ბიძგს უცდიდა. უნდოდა, კვლავ გაემორებულიყო ბიძგი. მის სახეზე შეკრთომა დიმილმა შეცვალა. არასოდეს არ გაუღიშია ასეთი სიხარულით.

მთვარე ანათებდა მის ღიმილს.

კაცი შუბლშეკრული, დაფიჭრებული იწვა, არასოდეს არ დაფიჭრებულა ასე მძიმედ, არასოდეს არ შეუკრავს შუბლი ასე მწარედ.

მთვარე ანათებდა გაღიმებულ სახესაც და დაფიჭრებულ სახესაც. მთვარე ანათებდა შუბგახსნილ სახესაც და შუბლშეკრულ სახესაც.

ქალმა ფრთხილად მოკადა კაცის ხელს ხელი.

კაცი არ განძრეულა. იწვა შუბლშეკრული და დაფიჭრებული.

ქალმა აიღო კაცის ღონიერი ხელი და მუცელზე დაიდო.

მთვარე ანათებდა ორივე ხელს — ქალისას და კაცისას. ქალი იწვა გაღიმე-

ბული, კაცი — შუბლშეკრული... კაცის ხელისგული ქალის მუცელზე და ქალის ხელისგული კაცის ხელისზე და გზე იღო.

ზღვა ხენეშოდა.

ფანჯრიდან ცხელი ღამის და ზღვის სუნნი შემოდინოდა.

ქალი და კაცი არც სიცხეს გრძნობდნენ და არც ზღვის სუნს.

მთვარე ვარსკვლავებს შორის მალლა იღგა.

ვარსკვლავები ციმციმებდა. მთვარე ბრღღვიალებდა მთელი თავისი სიღიადით. რბილად ანათებდა ქალისა და კაცის სახეს.

ასე იწვნენ ქალი და კაცი.

ქალი ახალი ბიძგის მოლოდინში იღიმებოდა.

კაცი შუბლშეკრული იწვა და ფიჭრობდა.

მერე კაცის ხელს უბიძგა ქალის მუცელმა. კაცსაც არასოდეს უგრძვნია ასეთი ბიძგი. კაციც შეტოკდა, შეკრთა, შუბლი გაეხსნა, გაიღიმა. კაცსაც არასოდეს გაუღიშია ასე.

ერთი წუთით გაუნძრევლად იწვნენ.

— შეილი, — თქვა მერე ვაჟამ.

— რამდენი ხანი ველოდით, ვაჟა, ამ დღეს, — თქვა გაღიანამ.

— იგი დაღდა გაღიანა, — გაიუმბა ვაჟა და ისევ შეეკრა შუბლი. — ეს ბედნიერება ცუდ დროს დაგვიღდა, გაღიანა.

— არ თქვა ასე, ვაჟა.

— ცუდ დროს დაგვიღდა, გაღიანა.

— არ იფიჭრო ასე, ვაჟა.

ზღვა ხენეშოდა. ფანჯრიდან ცხელი ღამის და ზღვის სუნნი შემოდინოდა.

— შეიძლება არხის გახსნისათვის და ახადოს, — სთქვა გაღიანამ.

— გაღიანა.

— რა იყო, ვაჟა?

— მწარე ფიჭრები არ მაძლევენ მოსვენებას.

— ეცადე მოიშორო მწარე ფიჭრები.

— არ დაგვეცადება არხის გახსნა.

— ეცადე მოიშორო მწარე ფიჭრები, — ისევ სთხოვა გაღიანამ.

— ომი კარზეა მომდგარი.

— ღმერთმა დაგვიფაროს ომისაგან.  
— ღმერთი ვერ დაგვიფარავს ომისაგან. ომი კარზეა მომდგარი, — გაიმეორა ვაჟამ.

— შეწყვიტე ომზე ფიქრი. შენს შვილზე იფიქრე, ვაჟა, — თხოვა გალინამ.

— არ მინდა ომზე ვიფიქრო, — ხელი ხელზე მოუჭირა ვაჟამ.

— შენს შვილზე იფიქრე, ვაჟა, — გალინაც ფიქრობდა ომზე. ფიქრობდა დღისით, ფიქრობდა ღამით.

— ომი მალე დაიწყება, გალინა, — უთხრა ვაჟამ. — მე ვერ მოვესწრები შვილის ნახვას.

— არ იფიქრო ასე, ვაჟა.

— არ მინდა ასე ვიფიქრო, გალინა.

ღამით ამ დროს მეთევზეები ჩაივლიდნენ ნავით ნაპირიდან ახლო. ერთი მეთევზე ახალგაზრდული, მაგრამ სევდიანი ხმით მუდამ ერთსა და იმავე სიმღერას მღეროდა თავისთვის.

ნანა, მუში მანწარაზე,  
ჯანუქე და ვალურსუნი,  
თიში გოჭყოლადული რე  
ელუქი დო ვაჭურსუნი,  
თიში უმწარაში ყოფე  
გიორსი დო ვარუნსუნი,  
გვალო დუღიში ოვილალი  
სქანი ყორთფილი შხვას ყურსუნი\*.

გალინა არკადიევნა და ვაჟა წინათ არ აქცევდნენ ყურადღებას ამ სიმღერას, არ დაკვირვებიან მის შინაარსს, არ შებრალებიან მითოვებულ მიჯნური. მხო-

\* ნანაია, რა მწარეა, რომ წევზარ და არ გმინავს, არასოდეს გავიწყდება, რომ ელი და აღარ მოვა. უფრო მწარე ის ყოფილა, გიყვარდა და მიგატოვა, სიკვდილი სჯობს შენმა სატრფომ თუკი სხვასთან ბინა ჰოვა.

ლოდ ახლა შეიგრძნეს, მისი სევდა და წუხილი.

— რომ ელი და აღარ მოვა, — გაიმეორა ვაჟამ. — ალბათ, ძალიან ძნელია, გალინა.

— ძალიან ძნელია, ვაჟა, — უთხრა გალინა არკადიევნამ. ხელზე ხელი მოუჭირა. — ღმერთმა დაგვიფაროს ომისაგან, ვაჟა.

ვაჟამ აღარ უთხრა ღმერთი ვერ დაგვიფარავს ომისაგანო. ჩუმად იწვნენ და მთვარეს უყურებდნენ. მთვარე არაჩვეულებრივად კაშკაშებდა. ზღვიდან წამოსული ღრუბელი მიისწრაფვოდა მთვარისაკენ.

გალინა და ვაჟა თვალს არ აშორებდნენ, ჩაუვლიდა თუ გადაეფარებოდა ღრუბელი მთვარეს.

ღრუბელი სწრაფად მიიწევდა მთვარისაკენ.

გალინა არკადიევნამ თვალი დახუჭა. არ იცოდა, რატომ დახუჭა თვალი.

ვაჟა თვალს არ აშორებდა ღრუბელს.

ღრუბელს ის იყო უნდა ჩაეველო მთვარისათვის, მაგრამ უცებ ერთი ფრთა მოწყდა და მთვარეს გადაეფარა.

ჩრდილი დაეფრწა გალინას და ვაჟას სახეებს.

გალინა შეკრთა.

„ღმერთი ვერ დაგვიფარავს“, — გაიფიქრა ვაჟამ.

ხელებჩაჭიდებულები იწვნენ.

გალინა არკადიევნას თვალის გახელის ეშინოდა.

ვაჟა თვალს არ აშორებდა ღრუბლებ-გადაფარებულ მთვარეს.

„ღმერთი ვერ დაგვიფარავს“, — იმეორებდა მისი გონება.

## მესიზმრებოდა...

მესიზმრებოდა:  
დღე იყო,  
სამკალს იმკიდა სოფელი,  
გაუყოფელი  
გზა იყო,  
სოფელიც გაუყოფელი,  
ისეთი კარგი  
დღე იყო,  
ჟამი ბრწყინავდა ნანატრი,  
ძმისგან კი არა,  
მიკვირდა  
თავად მტრისგანაც ღალატი,

იყო კალანდა,  
გრგვინავდა  
თოფების ხმა,  
შემზარავეი,  
ახალს ხვდებოდნენ,  
არც წარსულს  
არ იფიწყებდა არავინ,  
ვისაც ვუყვარდი,  
მიყვარდა,  
მინათდებოდა ცარგვალი,  
ძალიან კარგი დღე იყო,  
არ იყო სევდის მაგვარად.

## გ ა ნ შ ო რ ე ბ ა

რა ჰქვია ნეტავ განშორებას  
სევდა თუ დარდი?...  
საფლავის ლოდთან  
მოცახცახებ აჩრდილი დადის...  
ამოდის მთვარე,  
იფურცლება ბალბა  
და ვარდი,  
რა ჰქვია ნეტავ განშორებას —  
სევდა თუ  
დარდი?  
ყოფილა ბედის მორჩილება

მწარე და  
მწუთხე —  
აჩრდილი ქრება  
ვგებება  
შესხვედრის წუთებს.  
რა ჰქვია ნეტავ განშორებას,  
სევდა თუ  
დარდი? —  
იწყება თოვა...  
სევდიანი  
ზაფხული გადის.

## ქ ა რ ბ ი ლ ე



როგორაც

დიდი წვალების მერე,  
საგულდაგულოდ გადაბარულ  
თიხის ფენიდან

ინათებს განძი,

და წამიერად

მხუბუქდება მუხლებში დაღლა...

ღღეს

ანაირად მამხუბუქებს

ჩემი მსახური —

ღღე,

ღღე,

რონელიც გამობრწყინდა

დიდი ხნის შემდეგ.

რა მშვენიერი ქუჩები და მოედნებია,

რა მომხიბვლელად შრიალებენ

ხეზე ფოთლები,

რამდენი კარგი ხალხი ყოფილა.

მიყვები ქუჩას,

ვესალმები ადამიანებს:

უფროსებს,

ტოლებს,

მოხუცებს,

ბავშვებს,

ვარდის გამყიდველს,

მასწავლებელს,

ექიმს და

დალაქს...

რომლებიც თურმე მიღიმოდნენ დიდი ხანია

და მე კი,

მე კი

ღღეს,

მხოლოდ ღღეს აღმოვანინე...

ქვეყნად

რამდენი საღიღინო მოძალებულა,

რამდენი კარგი ხალხი ყოფილა.

## ს ი ზ ბ ა რ ი

სიზმარში

ვითომ

ჩემი სახლის შესასვლელს ავცდი,

მეზობლის სახლში კამათობდა

ღმერთი და კაცი.

კაცს სათხოვარი აღარ ჰქონდა

შეკითხვის მეტი,

უფალი იდგა,

კაცი იჯდა უფალის გვერდით.

— რომელი უფრო ადრე გაჩნდა

კაცი თუ ღმერთი?

ღმერთი ყვიროდა გაბრაზებით:

— მომეშვი ერთი!!!

## შ ე რ ი ბ ე ბ ა

არ უთხოვია მოხელა ძალათი,

ღღეს შეღიმოდა

შინ და გარეთაც,

როცა შეიძლო

ღმერთთან კამათი

შემოღამების წამმაც დარეკა.

იჭირვეულა...

სიღან სადაო,

ბოლოს

სიკვდილმა მაინც მოქებნა...

ღმერთთან რა უნდა გქონდეს სადაო,

მიაქვს ის

რისიც ძალუძს ბოქება.



## ქახილი კახეთან

გულში ჩამაკვდა სურვილი ასი  
და ხელში შემჩნა ალუბლის ტოტი...  
თურმე რაც რჩება სიცოცხლის ფასად,  
აუტანელი ლოდინით მოდის...  
მოდის და მოაქვს სიღურჯე ფერის,  
როგორც სიცოცხლის ჩუმი ბგერები  
და თვით მოწყენაც სიცოცხლედ მღერის  
ვიღაცის ხათრით და მოფერებით, —  
მე ასე ვფიქრობ, ვფიქრობ და... ალბათ  
ერთხელ ყველასთვის უნდა გათენდეს!..  
ჩამომაშორე დიმილი ყალბი,  
ამიყვავილე ზეცა — სამტრედე...  
ნუ დამენდობი მერეც მთლიანად,  
მე კი ამ გულზე უნდა მეხატო...  
ო, ყველაფერი დამიგვიანე  
და საყვედურშიც არ მომეხათრო...  
და შე გეძახი, გეძახი ახლა  
და მოლოდინი კრთება კარავთან...

გადაიფრინა ტყეებზე დაღღამ  
და ლურჯი სიერცე დაპატარავდა...

• • •

ცა ლურჯად ბოლავს, ტორტმანებს ნისლი  
და თითქოს ფეხქვეშ მიწა მეცლებს...  
ვერ გამოიგია მოფედი რისთვის.  
ვერც ცად ვარსკვლავთა დანაკვერცხლებს  
ვერც გამოიგია, გული ამხელა  
ვინ მომცა...



ანდა რაღად ემუნჯდები...  
 აშვეებულია ცად ასაფრენად  
 ჩემი სიზმრები, ვით ფასკუნჯები...  
 და შენ იზრდები ნათელ სვეტივით  
 მწველ სინანულის ოკეანეში...  
 ფიქრით გიმზერ გულდაწყვეტილი  
 და წუთი არ მწამს თრობის გარეშე...  
 ჩემზე გამწყრალი მუხები ვიხმე, —  
 ვიხმე... დამლახვრონ თუ დამლახვრავენ...  
 შენა ხარ ჩემი სურამის ციხე  
 და ჩემს სიყვარულს შენში მარხავენ ..

• • •

მატარებელი სოფელში შედის  
 და წუთით მაინც უნდა გაჩერდეს...  
 ყველა შეხვედრას ლოდინი ერთვის, —  
 ასე ყველაფერს გინდა ამჩნევდე!...  
 მატარებელი ნელა ჩერდება,  
 ძალღი გამორბის კუდისქიციანით...  
 აიშლებიან ჭრელი ჩიტები  
 და ფრთებით მიაქვთ ცა და სიცივე...  
 ყველამ მონახა გული თავისი,  
 შენი მოწყენის გზა არ მთავრდება...  
 და კუბეს ისევ დარდი აავსებს  
 და... ყველაფერი გულს დაბრალებს!..  
 ბნელეთს მიკვალავს მატარებელი  
 და ვერ იშორებს სევდის სიმძიმის...  
 ყვითელ ფერებში თვლემს ნოემბერი  
 და ესიზმრება მთვარის სიცილი...



## ე ნ ძ ე ლ ა

ვინაა ყინვის დამძლევი,  
მაგრამ შინდორზე ერთხელაც,  
თოვლი გაეპო  
და ზევით  
ცას უცინოდა ენძელა.  
თმა შეეღება ვნდროსფრად,  
კაბა, ატლასის ემოსა,  
და ულოცავდნენ დედოფალს  
ქვეყნად ადრიან შემოსვლას.  
და სცემდა თოვლი სახეში —  
ქარის ღმუილით, ბღავილით,

მაინც ამ კორიანტელში  
ენტო ლამაზი ყვავილი.  
ცა იქუფროდა საოცრად,  
იმუქრებოდა სიკვდილით,  
და იყო დიდი გამოცდა,  
დიდი ბრძოლა და ჭიდილი.  
კელაბტრად ენთო იმ ბორცვზე  
ყვავილი თვალად მცირედი,  
ფეთქავდა დიდი სიცოცხლე  
დიდი მომავლის იმედით.

• • •

შენ შენი ხნული გაგაქვს,  
მე ჩემი ხნული გამაქვს,  
გული ხხარჯვის მეტად  
(დაუხარჯავი რა მაქვს!)..  
ვიჩქარით,  
ვიდრე თავი  
არ დაეხრება თავთავს,  
მერე ამ სიბრძნის მარცვლებს  
მზის დასავლამდე ვფანტავთ.





ოთარ კუპრავა

# სირიაჩონის ტყის სიზმარი

რომანი

\* \* \*

სენაკს შუაზე ჰკვეთდა ფოსტის მთავარი გზა. ეტლების, ურმების, დილიყნების განუწყვეტელ მისვლა-მოსვლას გზაზე ალაგ-ალაგ ორმოები გაეჩინა და იმ ორმოებში სულ მუდამ წუშვე იდგა.

ქალაქის ბოლოს, დასავლეთით, ეს გზა ორ დიდიწლებოდა — სამურზაყანოსა და ფოთისკენ.

ვაგზა ლი რკინიგზის გაღმა იყო მაშინ და აქეთ, ქალაქისკენ მიმავალთ, ან იქით მიმავალთ — ლიანდაგებს ზემოთ გადაშვილდული ზიდი უნდა გადაევლით. მაგრამ მეტი წილი ხალხისა, ამ ხიდზე გადასვლას არჩევდა — ლიანდაგებზე ფეხით გადაბრუნას, ან მატარებლის ქვეშ გაძრომას გზის შესამოკლებლად. ამის გამო ხშირი იყო უბედური შემთხვევაც.

ვაგზლის მთავარი მოედანი ეტლები-სა და დილიყნების ბირჟად იყო განკუთვნილი.

მთავარი ქუჩის გასწვრივ, მხარიმხარ, მწკრივში იდგნენ დუქნები, სახაბაზო, სადალაქო, საწვრილმანო...

ქალაქის შუაგული ბაღს ეკავა, ბაღის იქითა მხარე კი — ბაზარს. ქალაქი ამ ბაზრით თავდებოდა. მერე იწყებოდა — ისლიანი, სიძველისაგან ჩაშავებული და გაბოლილი სახლები, ქოხმახები...

ვიწრო ქუჩებსა და შუკებში ზამთრობით ტალახი გამოუღვევლი იყო. ამიტომ, ფეხსაცმელების მწმენდავებს მეტწილად ამ ტალახიანი ქუჩებისა და შუკების თავში ეკავათ თავთავიანთი ადგილი...

დუქნების, სამჭედლოსა და სამიკიტნოების წინ გამუდმებით ყაყანებდა მოცილილი ხალხი. წიწილებივით გაწუწულ დაბალ სახლებს-შორის გაფხორილ კრუხივით იდგა ერთადერთი კრამიტით გადახურული, ორსართულიანი შენობა. ზემო სართულზე ვიღაც წერილი ვაჭრის ოჯახი ცხოვრობდა. ქვედა სართულის კარს კი ეწერა: „სენაკის სამაზრო ს.ს. მართლო.“

ადრე აქ სკოლა ყოფილა და ორი თუ სამი დამტკრეული მერხიც დარჩენილიყო კედელ-კედელ მიდგმული. სკოლისთვის ერთი წლის წინათ ახალი, ოთხთვალისანი სახლი იქნა შესყიდული ფუცუ დგებუაძე-ფულარიას თაოსნობით. ფუცუს ქმარი — დიმიტრი ფულარია — ვაჭარი იყო, ფული არ უქირდა და ახალგაზრდა, ლამაზი მეუღლის სიყვარულითა და ხატორით სოციალ-დემოკრატი გაზდა. სკოლის შენობის შესასყიდი თანხის მთავარი ნაწილი მან შემოიტანა. ფუცუ დგებუაძე-ფულარია — მწერალი და სახალხო პედაგოგი, ტკბილ მოხუ-

ცებულობაში გარდაიცვალა 1965 წელს სოხუმში.

ამ მიყრილ-მოყრილ, მუდამ ჩაბინძურებულ და აყალ-მაყალით საფეხ სამაზრო ქალაქს ჩრდილოეთიდან ტანჯულ ჭირისუფალივით გადმოსცქეროდა ლაღუმებით მკერდდაგლეჯილი საკირეს მთა...

ქალაქში დილიდანვე ხმა დაეარდა: დღეს კაცისმკვლელებს ასამართლებენო.

ეს ამბავი ყველაზე ადრე ერთმა დალაქმა გაიგო მილიციელისაგან, რომელმაც, რაკი პირს ნისიად იპარსავდა, ვითომ ასიამოვნა დალაქს და საიდუმლო გაანდო.

ათიოდე წუთში უკვე მთელი ქალაქი ლაპარაკობდა ამაზე და ყველას აინტერესებდა მკვლელების ნახვა. ამიტომ თვალი ფხიზლად ეჭირათ საპატიმროსაკენ, საიდანაც უნდა გამოეყვანათ პატიმრები.

სასამართლო დარბაზს ერთი მხარე სცენასავით ამადლებული ჰქონდა და ზედ მოსამართლეებისთვის გრძელი მაგიდა იდგა. დაბლა პატიმართა ხის მთაჭირიანი კუთხე იყო. დარბაზის დანარჩენი ნაწილი ეკავა ერთმანეთზე გადაბმულ სკამებს და რამდენიმე სასკოლო მერხს.

დამსწრეთა სიმრავლემ სასამართლოსა და მილიციის გარაუდს გადაამეტა. დარბაზში ტევა აღარ იყო. ნაწილი გულისტკივილმა მოიყვანა, ნაწილი სეირის საყურებლად მოვიდა, ზოგნიც — მატარებლის ან დილიქანის მოლოდინში დროის მოსაკლავად.

ზოგს ისიც გაეგო: დღეს ჩიქვანის ქვრივი გამოდისო მოწმედ და მისი ნახვის სურვილს არ დაეყენებინა შინ. იმ ქვრივის სილამაზის ამბავი მხოლოდ სიტყვიერად ჰქონდათ გაგებული და ახლა თვალით ნახვასაც ეშურებოდნენ.

სპარტაკელებიც და კომუნისტებიც ამ ხალხში იყვნენ გათქვეფილნი.

სცენაზე მოსამართლეთა სკამების მა-

ღალ საზურგეებს ნიკოლოზ მეფის ღერბი შერჩენოდა.

პატიმრები გაძლიერებულნი დაცემულ გამოიყვანეს საპატიმროდან.

ცრიდა, ციოდა, ნისლი იყო ჩამოწოლილი ქალაქში.

პატიმრებს გზადაგზა ბავშვები აედევნენ.

წვერი წამოზრდოდა სამივეს, ხელები ზურგსუკან დაეწყით და მძიმე-მძიმედ მოაბიჯებდნენ შუა ქუჩაში.

ტროტუარზე ვიღაც მდიდრულად ჩაცმული, ქოლგიანი კნეინა შეჩერდა, რქის ტარიანი სათვალე ცალ თვალით მიიტანა, მეორე თვალი მოქუტა და ტუსალებს გაუღიმა.

ტუსალები კი აქეთ-იქით იცქირებოდნენ და ხალხში ნაცნობებს ეძებდნენ.

მამანტიმ ერთ სენაეულ ბოლშევიკს შეასწრო თვალი; შორიდან იცნობდა, სახელი და გვარიც იცოდა, მაგრამ ახლავერ გაიხსენა.

სენაეული ბოლშევიკი მუშტის შეღერებით და ტუჩების ოდნავი მოძრაობით ანიშნებდა: გამაგრდით, ყველაფერი რიგზე იქნებაო...

ტუსალებს სამი კალანჩიანი ქალი აედევნა. ესენი იყვნენ: მამანტის დედა, ბაგრატის მეუღლე და სევეს და. სამივენი ლოყებს იხოკდნენ და იძახდნენ: „ნანა, ნანა, ჩემი ცოდვა, ჩემი სიკვდილი...“

ტუსალები სასამართლოზე გაყვანამდე, ცალკე ოთახში რომ შეიყვანეს, ქალებმა, დაცვის მეთაურის ნებართვით, ძლივს მოახერხეს მათთვის კალათების გადაცემა.

ერთმა გულშემა ხორავი მაგიდაზე ამოალაგა, მჭადი დატეხა, მრგვლად მოხარშული დედალი შუაზე გახლიჩა, — მუცელში რამე არ ედოსო, ლობიო და ფხალეული თეფშიდან თეფშზე გადაიტანა-გადმოიტანა, მწვანილეულობა ღერ-ღადერ გადაარჩია, ყოველგვარი ქალაღი მოიშორა, მხოლოდ ერთი გახეთი გაფინა მაგიდაზე, ხორავი ზედ დაჰყარა და პატიმრებს ანიშნა: მიირთვითო. სიმინდის ფუჩჩით თავდაცული დოჭი



ქალებს დაუბრუნა. ქალები სასომხიდი-  
ლნი იდგნენ ღია ფანჯარასთან და თა-  
ვისიანებს რაღაცას ელაპარაკებოდნენ,  
რაღაცას ანიშნებდნენ შორიდან.

დოქი რომ დააბრუნა გულშემა, მამან-  
ტის დედა შეეხვეწა:

— დალიონ, შეილო... შენც დალიე...

— არ შეიძლება, დედა, რა ვქნა!.. —  
შეწუხდა ახალგაზრდა გულშემა.

პატიმრებმა ბევრ თანამებრძოლს მო-  
ჰკრეს თვალი. მაგრამ არაფერი შეიმ-  
ჩინეს, ვითომ არც იცნობდნენ.

ბოლშევიკებმა სპარტაკელთა მეთა-  
ური დაეითი მიაგზავნეს მათთან. დაეი-  
თმა როგორც კი დაიჭირა ბაგრატიის მზე-  
რა, ტუჩებზე აქეთ-იქიდან ხელისგულები  
აიფარა და გააგებინა: საპირფარეშო-  
ში გასვლა ითხოვეო. მერე თითოთ წრე  
მობაზა ჰაერში, ამ წრეში შეტყუებულ-  
ი ცერი და საჩვენებელი თითები ამო-  
ძრავა ისევ, როგორც წერის დროს აკე-  
თებენ ხოლმე. ბაგრატი მიხვდა, რასაც  
ნიშნავდა ეს...

საპირფარეშო ეზოში იყო. ორი გუ-  
შაგი გაჰყვა ბაგრატს. მან ათასგვარ უწ-  
მაწურ წარწერებსა და ნახატებს შორის  
გამოარჩია ფანქრით წრეშემოვლებული  
წარწერა: „ყველაფერზე უარი. ვანიშ-  
ნებთ. ფაიტონი უკანაა.“

... ტუსალები რომ შემოიყვანეს, აჩო-  
ჩქოლებულ სასამართლო დარბაზს სი-  
ჩუმემ გადაუარა.

მამანტის დედა, ბაგრატიის ცოლი და  
სევეს და ახლა აქ მოკალათებულიყვნენ  
და განუზომელი მწუხარების სიტყვებს  
იმეორებდნენ ხან გულში, ხან — სხვე-  
ბისთვისაც ყურმოსაკრავად...

დარბაზში იყვნენ მოკლული გვარდი-  
ელის დედაც და ნათესაებიც.

ტუსალებმა ხალხს გახედეს. ბევრი ნა-  
ცნობის თვალი იყო მათკენ მოპყრობი-  
ლი და ამით ცოტა იმედი მიეცათ.

პროცესი დაიწყო.

ხანშიშესულმა, თეთრწვერულვაშიან-  
მა მოსამართლემ, ყველა წინასწარი სა-  
სამართლო ცერემონიალის შესრულები-  
სა და პროცესის ჩატარების შესაძლებ-  
ლობის დადგენის შემდეგ, სამართალში

მიცემულთ ადგომა სთხოვა, სათვალე  
შეისწორა და საქმე გაშალა.  
კითხულობდა სხაპასტუხით, თითქოს  
გაზეთირებული ჰქონდა, და ნაწერში  
არც იხედებოდა:

— „ბრალდებული ბაგრატი არსენის  
ძე კუცია. დაბადებული 1895 წელს სო-  
ფელ კვათანაში, სენაქის მაზრა, გლუხი,  
ცოლშვილიანი. ადრე სამართალში არ  
ყოფილა. განათლება ორი კლასი. ბრა-  
ლი ედება მიმდინარე წლის 18 აგვის-  
ტოს აბაშიდან სენაქის მიმართულებით  
მესამე კილომეტრზე მომხდარ მკვლე-  
ლობაში.“

— „ბრალდებული სევერიანე სევე-  
რიანეს ძე გუგუშვილი. დაბადებული  
1897 წელს სოფელ ეწერში, აბაშის რა-  
იონი, სენაქის მაზრა. სახელმწიფო მო-  
ხელის ოჯახში. უცოლშვილო. ადრე ქუ-  
თაისის სემინარიიდან გარიცხული ბო-  
ლშევიკურ ბუნტში მონაწილეობისათ-  
ვის. ბრალი ედება იმავე მკვლელობა-  
ში.“

— „მამანტი დურუს ძე ხაბეიშვილი.  
დაბადებული 1891 წელს დაბა აბაშაში,  
სენაქის მაზრა. აბაშის ოთხკლასიანი სა-  
სწავლებლის პედაგოგი. ცოლშვილიანი.  
ადრე, ბოლშევიკური საქმიანობისათვის  
სამჯერ ნაპატიმრალი. ბრალი ედება იმა-  
ვე მკვლელობაში.“

მოსამართლემ საქმე მაგიდაზე დასდო  
და პატიმრებს სათვალის ზემოდან გად-  
მოხედა:

— სამართალში მიცემულო ბაგრატი  
კუცია, სცნობთ თუ არა თავს დამნაშა-  
ვედ?

— არა!

— სამართალში მიცემულო სევერიან  
გუგუშვილი, სცნობთ თუ არა თავს და-  
მნაშავედ?

— ჩვენ არავინ მოგვიკლავს!..

— ბრალდებულო მამანტი ხაბეიშვი-  
ლი, სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

— მე უნდა მოვახსენო სასამართ-  
ლოს...

მოსამართლემ ბრალდებულს სიტყვა  
გააწყვეტინა:

— უპასუხეთ სასამართლოს მოკლედ,

სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ თქვე-  
ნთვის წაყენებულ ბრალდებაში?

— პროცესი გამოავლენს დამნაშა-  
ვეს...

მოსამართლემ მსაჯულებს რაღაც გა-  
დაუჩურჩულა და შეუდგა საბრალდებ-  
ლო დასკვნის კითხვას:

— „წინასწარმა გამოძიებამ, რაც  
ჩატარდა თბილისის სახელმწიფო მართ-  
ლმსაჯულების ზედამხედველობით და  
თბილისიდან მოვლინებულ გამომძიებე-  
ლთა უშუალო მონაწილეობით, დაადგი-  
ნა და დადასტურებულად მიიჩნია შემ-  
დეგი: მიმდინარე 1919 წლის 18 აგვის-  
ტოს ბაგრატ კუციამ, სევერიანე გუგუ-  
შვილმა და, მათთან ერთად, კიდევ რამ-  
დენიმე, მართლმსაჯულებისათვის ჯერ-  
ჯერობით უცნობმა პირმა თავი მოიყა-  
რეს მდინარე აბაშისწყლის მახლობ-  
ლად, დაუსახლებელ, უკაცრიელ ადგი-  
ლას. მათ დაზუსტებული ჰქონდათ, რომ  
ამ გზით უნდა გამოეცლო გვარდიის რი-  
გითს ჯარისკაცს ბონდო მარკოზის ძე  
პერტენავას. განზრახული ჰქონდათ ამ  
ჯარისკაცის მოკვლა შურისძიების თვა-  
ლსაზრისით მის მიერ ადრე, მთავრობ-  
ის მოწინააღმდეგე საშინო პირთა გამთ-  
ვლენისათვის, ნივთიერი მტკიცება  
გვიჩვენებს, რომ ბანდიტები შეიარაღე-  
ბულნი იყვნენ ცეცხლსროლელი და  
ცივი იარაღებით. ნაშუადაშეცხვ ერთ-  
ერთი ბოროტმოქმედი, ძიების დადგე-  
ნით — ბაგრატ კუცია — ზურგიდან  
მეიპარა ხუთდღიანი შევებულებით ში-  
ნისაყენ მიმავალ გვარდიელს და თავ-  
ში მძიმე საგნის დარტყმით გააბრუა  
იგი, ხოლო შემდეგ სევერიან გუგუშვი-  
ლმა ყელში ხელების წაჭერით დააბრ-  
ჩო. მკვლელებმა სცადეს გაქცევა, მაგ-  
რამ ადგილზევე იქნენ შეპყრობილნი...“

დარბაზის შუაგულში ქალის მოთქმა  
გაისმა:

— ვაიმე, შვილო! რომელია ის შენი  
დამხრჩობი!.. მე დავახრჩობ ჩემი ხე-  
ლით! ვაი შენს უბედურ ღედას, შვი-  
ლოოო!..

ბოლო სიტყვა თითქოს წაიმღერა ბე-  
ღშავემა ქალმა.

ქვას აატირებდა მისი გოდება.  
დარბაზში აქა-იქ წამოდგნენ დრო მეტე-  
ნა დაუწყეს მოტირაღს. მისი მოტირაღს  
მოსამართლემ ზარი ააწერიალა:

— გაჩუმდით, მოქალაქენო! სმენა  
იყოს და გავიგებო...  
მოტირაღი ქალი მის გვერდით  
მსხდომმა, შევძახებიანმა ქალებმა და-  
ამოშმინეს.

დარბაზიც გაჩუმდა.

— ჩვენ კაცი არ მოგვიკლავს, — წა-  
მოიძახა ბაგრატმა.

მოსამართლეს მისთვის ყურადღება  
არ მიუქცევია, ნაწერს ჩაჰყვა:

— „შემდგომად ამისა სიბნელიდან  
ჩოჩვით წამოვიდა მესამე ბოროტმოქ-  
მედი, რომელმაც სცადა თავის თანა-  
მზრახველთა შემპყრობლების მოკვლა.  
ერთ-ერთმა გვარდიელმა დროზე შენი-  
შნა მოწინააღმდეგე და შესაშინებლად  
ჰაერში გაისროლა... მოწინააღმდეგემ  
გაქცევით უშველა თავს და სიბნელეში  
გაუჩინარდა.“

(აქ მოსამართლეს არ უთქვამს, რომ  
ეს „მოწინააღმდეგე“ მოკლულ იქნა იქ-  
ვე.)

— „წინასწარმა ძიებამ დაადგინა:  
მოკლულ გვარდიელზე თავდასხმის  
ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი იყო  
ბრალდებული მამანტი ხაბეიშვილი. ყო-  
ველივე ზემოთ აღნიშნულის ქვეშარი-  
ტებას ადასტურებენ მოწმეები...“

სახელმწიფო ბრალმდებელი — პრო-  
კურორი დომენტი მამარდაშვილი ლავის  
ამოსაფრქვევად გამზადებულ ვულ-  
კანს ჰგავდა, პატიმრების მოპირდაპირე  
მხარეს სავარძელში ჩაფლული, წარამა-  
რა ქშინავდა, იბღვირებოდა და თან გა-  
მალებით რაღაცას იწერდა. მას თავისი  
ვარაუდით ამ სამი პატიმრისათვის დახ-  
ვრეტის განაჩენი უკვე გამოტანილი  
ჰქონდა; მოსამართლის მიერ მოწმეების  
ხსენებაზე, მუქში ჩაახველა და დაიბუ-  
ხუნა:

— გამოიძახეთ მოწმეები!..

თან მაჯის საათს დახედა. ამით მოსა-  
მართლეს ანიშნა: ცოტა იჩქარე, რას

მიზონინებ, დასახვრეტები უნდა დაიხვრიტონო...

მოსამართლემ ზარი დააწკრიალა და გვერდით კართან გაჯვამულ მცველს მიმართა.

— სთხოვეთ მოწმე მამედ დავითაიას.

მცველმა კარი გამოაღო, შიგ თავი გაპყო და მოწმე გამოიძახა.

მამედ დავითაიამ მოწმეებისათვის განკუთვნილი ადგილი დაიკავა, პატიმრებს დარცხვენით, დამნაშავესავით გახედა და დაიწყო:

— მე, ბატონო მოსამართლენო, ერთი უბრალო რკინიგზელი ვახლავართ. დავყვები ამ ლიანდაგებს და ვამოწმებ მს გაზნარული არ იყოს სადმე, ან ნიაღვარისაგან ნიადაგამოცლილი...

— იცნობთ თუ არა სამართალში მიცემულთ? — შეეკითხა მოწმეს მოსამართლე.

— როგორ არა, ბატონო! აბაშელები ვართ!..

— განაგრძეთ!

— იმას მოვახსენებდით... ორი ფერის დროშა მაქვს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთი წითელი და ერთიც ყვითელი. ღამით კიდე ფარანს ვიყენებ, ერთ მხარეს წითლად ანათებს, მეორე მხარეს — მწვანედ...

პროკურორს და სასამართლოს წევრებს მოუთმენლობა დაეტყოთ.

დარბაზში ვილაცამ ჩაიფხუქუნა...

მოწმე კი მშვილად განაგრძობდა:

— დღისით, თუ გზა დაზიანებული ვნახე, წითელ დროშას ავეფრიალებ მატარებელს, თუ სახიფათო არაფერია, ყვითელს გავშლი. ღამით კი...

მოსამართლემ მეტი ველარ მოითმინა:

— საქმეზე ილაპარაკე, მოწმე (გვარი დაიფიქვდა და ქალაქში ჩაიხედა)... დავითაიას რკინიგზის ის უბანი, სადაც მკვლელობა მოხდა 18 აგვისტოს, შენის თუ არა თქვენს საგუშაგოში?

— დიას!

— რომელი ბრალდებული ნახეთ იმ დღეს რკინიგზაზე და რა საუბარი გქონდათ მასთან?

— იმ დღეს, ბატონო მოსამართლენო, ჩემს ჯიხურთან ბაგრატიმა ჩამოიარა, ასანთი მთხოვა და თუთუნს შოუქიდა...

— იყავით თუ არა ღამით განკუთვნილ უბანში და რა შენიშნეთ იქ?

— მე, ბატონებო, ზედ რკინიგზასთან ვსახლობ. სროლის ხმა რომ გავიგონე, გამოვედი და ჩემს უბანს მივაშურე...

— მერე?.. რა ნახეთ?..

— შევნიშნე: ორი თუ სამი მამაკაცი მდინარისკენ გარბოდა.

— ხომ არ გიცნიათ რომელიმე მათგანი?

— აბა იმ სიბნელეში რას გავარჩევდი!..

მოსამართლემ მსაჯულებს გადაულაპარაკა:

— შეკითხვა თუ გაქვთ?

ერთმა მსაჯულმა მოწმეს გამომცდელად შეხედა თვალბში:

— მოწმე დავითაია, თქვენ სთქვით, რომ მდინარისკენ გარბოდა სამი მამაკაცი... რითი ამტკიცებთ, რომ ნამდვილად მამაკაცები იყვნენ? იქნებ ქალები გარბოდნენ?

— ეე, რასა ბრძანებთ! შარვლები ეცვათ... აბა!..

მსაჯულმა თავისი ჭკუით ვითომ გამოიქიბრა მოწმე და მის პასუხს დაუყოვნებლივ შეაგება ახალი შეკითხვა:

— მაშ კარგად გავიჩვენეთ და ვალდებული ხართ სასამართლოს მოახსენოთ სიმართლე: მათ შორის ხომ არ იყო მამანტი ხაბეიშვილი, აი, ეს კაცი, — ხელი გაიშვირა.

რკინიგზელმა მხრები აწურა:

— იქნებ იყო კიდეც. აბა რას გავარჩევდი!.. აი, თქვენც რომ ყოფილიყავით, როგორღა უნდა მეცნეთ იმ სიბნელეში? აჰ.. დიას!..

— მეტი შეკითხვა მე არა მაქვს, — თქვა განაწყენებულმა მსაჯულმა და სკამის საზურგეზე გამოსახულ ნიკოლოზის ღერბს თავით მიეყრდნო.

მოწმეების მოსაცდელ ოთახის კართან მდგარმა მილიციელმა მოსამართლეს ფანჯრისკენ გაუთითა და ერთი სიტყვაც გააგებინა: „მოვიდაო!..“

მოსამართლემ გარეთ გააპარა შხერა: ვხის ნაპირას გაჩერებულ, ძვირფასად მორთულ ეტლიდან ჩიჭვანის ქვრივი ნარნარით ვადმოვიდა და სასამართლოს შენობისკენ ნელა წამოვიდა. გვერდით სტვა ქალი მოჰყვებოდა, ალბათ მოახლევ...

გულზე ვარდი ვადაეფინა მოსამართლეს, მაგრამ არაფერი შეიმჩნია სხვათა დასანახად; მაგიდაზე ვადაშლილ ქალაღს დახედა და შემდეგი მოწმის გვარი ამოკითხა.

ქუდმობდილი შემოვიდა გვარდის ოფიცერი და ახლახან გასული მოწმის ადგილი დაიკავა. მოსამართლემ სიტყვა უშალვე შეაგება:

— მოახსენეთ სასამართლოს, რა იცით 18 აგვისტოს მომხდარი მკვლელობის შესახებ?..

დარბაზში დავით კაჭარავას ბექტორმა იდაყვით გაჭკრა: ეგ ეინ არისო?.. ვერც დავითმა იცნო გვარდიელი; მგობარს ტუჩზე თითის მიღებით ანიშნა, ჩუმად ვიყოთო.

მოწმე თავის სათქმელს წინასწარ გაზეპირებულაგვით ლაპარაკობდა:

— ამ რამდენიმე დღის წინ, 18 აგვისტოს, საბრაღდებო სკამზე მსხდომმა, ბოროტმოქმედებმა წინასწარი განზრახვით მოჰკლეს გვარდიელი, რომელიც ხუთდღიანი შევებულებით შინისკენ მიდიოდა...

— მეტი შენ რა ვითხარი, ყურბან! — გასასვლელი კარებიდან დაიძახა ვილკამ და ელვის უშალ გაჭრა.

დარბაზში სიცილი გაისმა.

მოსამართლის ხარი კვლავ აწკრიალდა.

— განავრძეთ.

მოწმე გვარდიელმა ჯერ უკან მიიხედა, მერე ისევ გასწორდა და ჩაარაკრაკა:

— მე სწორედ მაშინ მივედი მკვლელობის ადგილზე, როდესაც ეს ორი ბოროტმოქმედი უკვე შეპყრობილი იყო, ხოლო მესამე ბრაღდებული (თითი გაიშვირა მამანტისკენ) გარბოდა მდინარის მიმართულებით.

— რითი შეგიძლიათ დაარწმუნოთ სასამართლო, რომ მდინარისკენ გარბოდა და სწორედ ეს კაცი და არა-კინმე სხვა?

— ეს უკვე ნდობის საკითხია. მე ვნახე, რომ გარბოდა სწორედ ეს კაცი...

„არაფერი გამოდის, — ფიქრობდა მოსამართლე, — ასეთი მოწმეებით არაფერი გამოვა...“

მას ახლა მთავარ იმედად დარჩენოდა ჩიჭვანის ქვრივი. საქმეში ამ მანდილოსნის ჩვენება მყარ საფუძველს იძლეოდა — დამნაშავეებისთვის, თუ სამივესთვის არა, ერთისთვის მაინც დახვრეტის განაჩენის გამოსატანად. დანარჩენ ორს ათ-ათ წელიწადს მიუსჯიდა და პირნათელი დარჩებოდა ზემდგომი ორგანოების წინაშე.

— სთხოვეთ მიწმეს, ქალბატონ თინათინ ჩიჭოვანს!..

ეს რომ გამოაცხადა მოსამართლემ, დარბაზი შეიშშუშნა და თითქმის ერთი მტკაელით ამაღლდა.

გვერდითა კარი გაიღო და შემოვიდა შავად შემოსილი, შავგაროზმობვეული, ტანმოლტილი ქალი. მისი შავი კაბის ბოლო იატაკს ოდნავ ეხებოდა, ქალს თვალებზე შავი ეუალი ჰქონდა ჩამოფარებულა...

შავ ღრუბლებში ბადრი მთვარე ციმციმებდა...

ბექტლები თხელ, სიფრიფანა ხელთათმანს ზემოდან გაეყეთებინა თითებზე. ძვირფასი თვლები თვალისმომჭრელად ბრჭყეილაუბდნენ...

შემოვიდა და შემოიჩანა ვარდთა სურნელემა. წინა რიგში მსხდომი ქალები ნესტოებს ბერავდნენ და ხარბად იყნოსავდნენ ამ სურნელს, თან თავისთვის ჩურჩილუბდნენ:

— დედა, დედა... მართლა რა მშვენიერი ყოფილა!..

— რა ბექტლები აჭეს, რა სამაჯური!..

სასამართლოს წვერებიც მოკრძალებით აღივსნენ ამ მშვენიერების წინაშე.

პროკურორი გაღიმებული წამოდგა და თავი მდებლად დაუკრა ქვრივს.

მოსამართლე არ ამდგარა, მაგრამ ენა კი საოცრად დაითაფლა:

— ქალბატონო თინათინ (გვარის ხსენება საჭიროდ არ მიიჩნია), სასამართლო წინასწარ ბოდიშს ვიხდით ამ, თქვენთვის მძიმე, სამგლოვიარო ჟამს შეწუხებისათვის. მაგრამ სამშობლოს სიყვარული და ხალხის მტრების მიმართ შეუწყნარებლობის გრძნობა მოითხოვს თქვენს მცირე განმარტებას იმის თაობაზე, თუ რა იცით სამართალში მიცემულთა შეთქმულებისა და მათ მიერ მკვლელობის ჩადენის შესახებ.

მოსამართლეს სიტყვა გაუგრძელდა:

— მართალია, საქმეში ნათლად არის გადმოცემული თქვენი კეშმარიტად გულახდილი ჩვენება, მაგრამ სასამართლო კანონები მოითხოვს აქვე, სახალხოდ მოსმენილ იქნას იგივე — პირადად თქვენთა ბაგეთაგან. ქალბატონო, გისმენთ...

დენდა და დაილია კაცი.

ერთმა მსაჯულმა სათვალე მოიხსნა გასაწმენდად და ააფრინა ბუზი, რომელიც თურმე მის შუბლზე მჯდარა:

ბუზმა დარბაზს გადაუფრინა და მისი ბზუილი თვითმფრინავის ხმასავით გაისმა.

— ავდარი იქნება, — თავისთვის ჩაილაპარაკა ვიღაცამ დარბაზში ბზუილის გაგონებაზე...

„მშვენიერმა ქალბატონმა“ საუბარი დაიწყო ხავერდოვანი ხმით, მის მიერ წარმოთქმული ყოველი ბგერა თითქოს ეფერებოდა ადამიანის სულს, ცად ადამაღლებდა მის ფიქრებს და ოცნებას. ეს იყო ჟღერა ჩანგთა, რომელთაც ოდნავ შეეხო სიო, ჟღერა, რომელსაც შეეძლო ხვერლით ამოეყვანა გველი:

— ბატონო მოსამართლენო, მე ჩემი სინდისი და ღვთის წინაშე პირნათლად ყოფნის მოვალეობა მომიწოდებს მოგახსენოთ ყოველივე სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, რაც გამოავლენს და უღმობლად დასჯის ყველა ბოროტმზრახველს, უცოდველი ადამიანის მკვლელებს...

დარბაზში მოკლული გვარდიელის დედამ კვლავ დაიწყო მოთქმა:

— დედა, შეილო!.. ვინაა შენი მკვლეელი, რომელია შენი მკვლელიიი!.. —

ბოლო სიტყვა ახლაც „წაუშლერა“, მერე ხელები მაღლა აღაყვრო და ლოცვა-კურთხევით აავსო მისი შვილის მკვლელობა შემრისხველი შაოსანი ქალბატონი...

მოწმე სიჩუმეს დაელოდა. და კვლავ აღუერდნენ „ჩანგის სიმები“:

— მე მეუღლე მომიკლეს. მკვლელები არ დაუსჯიათ. დღეს თქვენ იხილავთ ერთი ადამიანის მკვლელობის საქმეს, მაგრამ მისი მკვლელები სადღა არიან? გვერდს ველით იმავე საღამოს მეორე ადამიანის მოკვლის ამბავს. გვარდიის ჯარისკაცი ხუთდღიანი შევბუღებით, უიარალოდ შინ მიდიოდათ, არ არის სიმართლე. გვარდიელი იცავდა რკინიგზას, დენიკინელების თოფ-იარაღით დატვირთულ ეშელონს უვნებლად რომ გაევიღო. რად მალავს ამას მართლმსაჯულება?..

მოსამართლემ, მსაჯულებმა და თვით პროკურორმაც პირი დააღეს, მოწმე კი შეუცდომლად მიჰყვებოდა თავის სათქმელს:

— ეს ფარული გალაშქრებაა რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ. საქართველოს მენშევიკური მთავრობა უგულებელმჯყოფს პროლეტარიატის ბელადის — ლენინის მრავალჯერად გაფრთხილებას და ხელს უწყობს რუსეთიდან გამოდევნილ უცხოელ ინტერვენტებს, — მოიკიდონ ფეხი ყირიმის მიწაზე და კვლავ შეუტიონ გამარჯვებულ რუსეთს...

ლენინის ხსენებაზე, დარბაზში მყოფ ბოლშევიკებს და სპარტაკელებს თითო მტკაველი სიმაღლე მოემატათ.

დავითმა პირველმა შემოკრა ტაში მას სხვებიც აპყვნენ და ეს მცირე დარბაზი ერთთავად უჩვეულო გუგუნმა აავსო.

— მოწმე მართალს ამბობს!..

— მთავრობაა დამნაშავე!..

— მთავრობაა მკვლეელი!.. — მოისმა აქეთ-იქიდან შეძახილები.

— გაუმარჯოს ლენინს! — ეს ისე ხმამაღლა სტეკა ბიქტორმა, ლამის სული ამოაყოლა...



მოკლული გარდცილის დედამ თავსაფარი მოიგლიჯა, გაშლილი თმა თითებიდან გაიწეწა და მთელი ქვეყნის გასაგონად აკვილდა:

— დიდუუუუ... დიდუუუ... დიდუუუ...

ამას მოდიდებულ რიონივით მოჰყვა სპარტაკელთა გუგუნი.

ხალხი წამოიშალა...

მოსამართლეს ხელი მალა აეწია და ზარს ქერთან ახლოს აწკარუნებდა, მაგრამ მისი ზარის ხმა არავის ესმოდა.

ბიჭტორი ჯაჯგურ-ჯაჯგურით წინ გაიქრა, სასამართლოს მაგიდას გადაფარებული მადის წვევრტი ჩაბლუჯა და მთელი ძალით დაქაჩა. წყლიანი გრაფინი, ტიქა-ლამბაქი, საფერფლე, ქაღალდები მიიფანტ-მოიფანტა.

ამ რია-რიაში ღულუნე ტორჩინავამ პროკლამაციების დასტა დააძრო უბიდან და ტოროლასავით მალა ასტყორცნა. დასტა ჯერ მკვრივად აიჭრა ზევით, გაიშალა, ფარფატით გადმოეფინა აბობოქრებულ დარბაზს. ახლა ამ ფურცლების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლამ სულ ერთიანად არია მონასტერი.

მკლავლონიერმა ბოლშევიკებმა ტუსალთა მცველებისკენ გაიწიეს...

— გაიყვანეთ პატიმრები სასამართლო არ შედგება. — ღრიალებდა, ხრიალებდა მოსამართლე, მაგრამ, როგორც მისი ზარის ხმა არ მოუსმენია არავის, ისე არც მისი სიტყვები გაუგიათ.

პატიმრები, მცველები და ხალხი ერთმანეთში აირივ-დაირივნენ. ხოლო როცა ხმაური და გნიახი ოდნავ მიწელდა, ყველაფერი ნათლად გამოჩნდა: განიარაღებული გუშაგები გაშეშებულნი და მოკუნტული ეყარნენ იატაკზე, ხალხი ნელნელა გადიოდა დარბაზიდან, ტუსალები კი იქ არსად იყვნენ.

ზუსტად ამ დროს ქვრივის ოჯახში სულ სხვა იდილია სუფევდა: ვერიკოს მიერ ქვრივთან გუშაგად დატოვებული, თქვესმეტი წლის ყმაწვილი, სპარტაკელი გუჯა გვაზავა რბილ საეარძელში დამორცხვებული იჯდა და უზარმაზარ სა-

რკეში თმაჩამოშლილ და გაღამებულ ქვრივს თვალს არ აშორებდა. პერანგისამარა იდგა ქვრივი სარკესთან.

მუსლებამდე ვერ სწვდებოდა შავი მარმარის უცხოური პერანგი და მისი სიშვეე მეტს სიმძაფრეს აძლევდა ქალის თოვლივით თეთრ სხეულს. პერანგის ცალი მხარეი ჩამოსცურებოდა მკლავზე და მკერდის სიმკვრივეც უფრო ნათლად მკლავდებოდა.

ეს არ იყო უბრალოდ მოკვდავი ქმნილება, ეს იყო — ცოდვილი ღვთაება: რკინა, ვერცხლი და ოქრო — ერთად გადამდნარი.

„რკინა, ვარჩხილი და ოქრო — ართო გინონდლულაფირი.“

ორი გუჯას ხნისა იქნებოდა ქვრივი და ზეიმობდა ქალის გული ისევე, როგორც იზეიმებდა თქვესმეტი წლის ქალწულთან ნანებიერები ოცდაათს გადაცილებული მამაკაცი.

სარკეს მოშორდა, ყმაწვილის სავარძელთან იატაკზე დადებულ ხავერდის ბალიშზე დაიჩოქა და ყმაწვილს შიშველი მკლავები მოხვია:

— სხვა დროსაც მოდი ჩემთან, გუჯა... გზაზე რომ ჩავილი, მე განიშნებ. როცა მართო ვიქნები... ახლა კი წადი, გენაცვალე. მე ის თქვენი სასამართლო სრულებითაც არ მაწუხებს... თუნდაც იმ ტანსაცმელსა და ბეჭდებსაც ნუ მომიტანს შენი მეგობარი...

— რას ბრძანებთ, ქალბატონო! უსათუოდ დაგიბრუნებთ ყველაფერს უკლებლივ... ჩვენ მძარცველები არა ვართ...

ქვრივმა გუჯა ააჩქარა: შესაძლოა ჩემი მამიდები მოვიდნენ და შენი აქ ყოფნა უხერხული იქნებაო...

სავლე ბოკუჩავამ წინა დღეს მატარებელს ვერ მიუსწრო, უკანვე აბაშაში დასაბრუნებლად მეეტლე ბიკიას მეორე მანეთიც მისცა და შინ კარგა შეღამებულზე მივიდა. სპარტაკელს კრება უკვე დიდი ხნის დამთავრებული ჰქონდათ.

თბილისში გამგზავრებას დღეისთვის აპირებდა სავლე, მაგრამ სენაკში სასამართლო პროცესზე ქერივის საოცარი გამოსვლის ცნობა მოუტანეს და ახლა ამან აუფფორიაჟა სული. მას „ზევიდან“ წინასწარ, საიდუმლოდ ნაბრძანები ჰქონდა არამედარამც არ გახმაურებულყო აბაშაში მომხდარი — ეშელონის აფეთქების ამბავი. ახლა რა პირით უნდა წარმდგარიყო თავის უფროსებთან დედაქალაქში!

სალამო ხანს ეტლი გამოაძახებინა და ქერივის სანახავად საგვანაოსკენ გაემუჟრა.

ქერივის სახლში მღვლეზარება დახვდა. თინათინის შინაბერა მამიდები ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. მათ სრულებითაც არ აწუხებდათ სასამართლოს ამბები, მთავარი იყო ძვირფასი სამოსელისა და სამკაულის ვატაცება ვილაც ვლუბი გოგოს მიერ.

ერთ-ერთი მამიდა უკვე მეცხრედ ეკითხებოდა მამისვილს:

— როგორ გითხრა, მამიდა, იმ გომბიომ? მათხოვე და დაგიბრუნებო?...

— ჰო, მამიდა! მათხოვე და სალამოს დაგიბრუნებო, — მეცხრეჯერვე პასუხობდა შეწუხებული თინათინი.

— ჩემი ნაჩუქარი სამაჯური!.. ინგლისური სამაჯური!.. — ვერ იოყებდა მოხუცი ქალი ათუხუთებულ გულს.

ამ დროს შემოალო კარი შინამოსამსახურემ და თინათინს მუხლების ოდნავ ჩაბრით აუწყია: ბატონი სავლე ბოკუჩია გეახლათო.

თინათინმა მამიდებს სთხოვა, იმ „გომბიო გოგოს“ თაობაზე არაფერი ეთქვათ სტუმართან...

სავლე ხელზე ვამბორა ქერივის, მამიდებს შორიდან დაუკრა თავი გულზე ხელის მიდებით და შემოთავაზებულ სავარძელში ჩაეშვა.

საუბარი დაიძრა ამ არეული დროების ბილიკზე.

სავლე ჯერ მიჰყვა შინაბერებს, ერთ მოხერხებულ ადგულას კი მოხდენილად უვანა მათ და თინათინს შეხვდა:

— ქალბატონო, დღეს სასამართლოში გამოსულხართ მოწმედ.

— მე დღეს ამ სახლს არ ვავეცილებივარ, ბატონო სავლე, — თქვა თინათინმა და მიხვდა, სავლემ ამბის სწორი ვითარება რომ არ იცოდა.

სავლემ ვაოცება სათვალის მოხსნით გამოხატა...

თინათინმა დიდხანს არ ალოდინა სტუმარი სიმართლის გასარკვევად:

— ჩემს მაგივრად ბოლშევიცი გოგონა გახლდათ სენაკში, იელიტა დანელია...

ახლა სულ დაიბნა სავლე, იელიტა დანელია ვინა არისო, ამოილულულა და პასუხის მოლოდინში სმენა დაძაბა.

— ჩემი ტანსაცმლით მოიხრო, ჩემი ბეჭდები და სამაჯური გაიკეთა...

თინათინს ის კი არ უთქვამს, — იმ იელიტა დანელიამ მეთვალყურედ ერთი ყმაწვილი რომ დასტოვა მასთან, მაღალი, მხარბეჭიანი, ახლად ულვაშაბიბინებული...

მოსამსახურე გოგონამ სამოვარი შემოიტანა.

ჩაი მიართვეს ქერივის მამიდებმა სავლეს.

სავლე გონების თვლით სხვა სივრცეებში იხედებოდა: ვის უნდა დასჭირებოდა სასამართლოზე მოწმედ წასვლა თინათინის მაგიერ? ექვს არ იყვებოდა, რომ აქ ბოლშევიკების ხელი იყო გარეული. მაგრამ იელიტა დანელიას სახელი და გვარი პირველად ესმოდა სავლეს...

თვალა გაუჩერდა და თვითონ ვერ გაერკვა, საქმეზე ფიქრობდა თუ თინათინის მამიდებს აცვირდებოდა...

ერთ მამიდას, ეტყობოდა, თმა ადრე წითლად ჰქონია შეღებილი, მერე თმა გაზრდია და ახლა თმის ძირები თეთრად უბზინავდა; დამკვნარ სახეზე ფერ-უშარილი უშომოდ წაეცხო ქალს, ზედ პუდრიც იმდენი დაეყარა, სული რომ შეეებრა ვინმეს. მტერის ბული დანაკვობდა. ტუჩები წითლად გეთხუპნა.

ჭიქაში შექარი ჩაიყარა სავლემ და, რომ მოურია, ზარის რეკვასივით გაისმა კოკის რაკენი.

მშიშვილსთვის ნაჩუქარი სამაჭურის დაკარგვით გულდათუთქულმა მამიდამ წამოიძახა:

— ეს მძარცველობაა, ბატონო სავლე! ეს რომ ყაჩაღობაა!..

სავლეს ახლა მისთვის არ ეცალა, თინათინისკენ იყურებოდა.

შავი ხავერდის კაბა ეცვა ქვრივს, ვითომ სამგლოვიაროდ, ოღონდ საამისო არაფერი ეტყობოდა სამოსელს, მის ღრმა დეკოლტეს.

წუწყად მისჩერებოდა სავლე შავ ფერში აკივლებულ სითეთრეს.

— მილიციას თუ შეატყობინეთ, ქალ-ბატონო თინათინ? — ეს შეკითხვა იმ შინაბერას ნათქვამის პასუხიც იყო.

— მილიცია რას გახდება, ჩემო ბატონო, — ხმა გაინახა თინათინმა, მამაკაცის შხერის სიმწვავე იგრძნო და დღევანდელი დღის განარჩარებულმა ყრუანტელმა ახლაც დაუარა სხეულში...

სავლემ მილიციის ჩაურევლობა შეცდომად მიიჩნია და მომლოდინე მეეტლე სასწრაფოდ აფრინა ადილარ გვაზავს მოსახმობად.

ადილარ გვაზავა ოციოდე წუთში უკვე ქვრივის კიშკარზე მათრახის ტარს აკაქუნებდა.

თავათ ცხენზე იჯდა და ფეხად ორი მილიციელიც ეახლებინა.

ლოდინის ეს „ოციოდე წუთი“ მამიდების ლაპარაკში წვალეებით მოახრჩო სავლემ.

ეშველა, როგორც იყო: მილიციის უფროსი რომ მოვიდა, სულიდა ჰქონდა ძლივს შერჩენილი.

მილიციელები შინ არ შემოსულან.

ადილარი დაწერილებით გაეცნო საქმის ვითარებას; ფეხზე მღვარა ისმენდა თინათინის მონაყოლს.

ივლიტა დანელია ვინ უნდა ყოფილიყო, ამას ვერც ადილარი მიხვდა, მაგრამ აქ რომ ბოლშევიკების ხელი ერია, ეს საეჭვოდ, სავლესავით, არც მას მიანდა.

თინათინმა უკვე მერამდენედ სთხოვა ადილარს დაბრძანება.

ბოლოსდაბოლოს ადილარმაც ინება მუხლების მოდრეკა.

სავარძელში რომ ჩაეშვა, შამინლა იგრძნო, რომ მათრახიანად ყოფილა შემოსული. ეუხერხულა, მათრახიანი ხელი ძირს დაუშვა...

თინათინი დარწმუნებით ამბობდა: ის გოგო ჩემს ძვირფასეულობას უსათუოდ დამიბრუნებს, მძარცველისა და აესულისა არაფერი ემჩნეოდან...

ადილარ გვაზავს მწარედ გაეღიმა:

— ასე იციან ბოლშევიკებმა. ანგელოზად მოგჩვენებიან და სულს ამოგაძრობენ.

ადილარი დაბეჯითებით ამბობდა, რომ ამაღამვე დაადგენდა „ივლიტა დანელი-ხეს“ ვინაობას და მათრახის ცემით დააჩოქებდა იმ „გომბოს“ ძვირფასი ქალ-ბატონის ფერხთით (მათრახის ხსენებაზე მარჯვენა ხელი უნებლიედ ასწია და უმაღლვე კვლავ დამალა).

— ბატონი ბრძანდებით! ჩვენ დაველოდებით ივლიტა დანელიას გამოჩენას, — მოთმინების ძალა მოიკრიფა თმაშეღებულმა მამიდამ.

მაგრამ „ივლიტა დანელიამ“ დიდხანს არ ალოდინა ისინი: უცებ კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ვერიკო; დილეგიდან დიდ სინათლეზე გამოყვანილივით შეკრთა, — ამ სახლში მხოლოდ ქვრივი და გუჯა ეგულებოდა; ახლა ორივე ფეხით იყო ჩავარდნილი. მაგრამ უკან დახვევა უკვე არ შეიძლებოდა.

თამამად გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი და თავიზიანად თავი დაუკრა, საღამომშვიდობისა უსურვა ყველას; თავი ისე ექირა, თითქოს წინასწარ სცოდნოდა, ვინც დახვდებოდა აქ.

ადილარმა თვალეში შეხედა ვერიკოს და სახეზე ცეცხლი წაეკიდა...

— ქალბატონ თინათინს მოვართვი თავისი სამკაულები და სამოსელი, — წარმოსთქვა ვერიკომ, მაგიდას მიუახლოვდა და სათუთად შეკრული ფუთა დასდო.

გაოცების ღმერთმა იისფერი ნისლი გადააფინა მამიდებს. ერთი სული ჰქონდათ, ენახათ, რა იყო ფუთაში.

და ნახეს კიდევაც...

ადილარ გვაზავამ ვერიკოს თითზე ძვირფასთვლიანი ბეჭედი შენიშნა და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი იჭითკენ გაიშვირა:

— ეს ბეჭედი? — ვითომ მშვიდად იკითხა.

ჰო, რას იღრიალებდა ახლა და როგორ ებღღვებოდა ვერიკოს, თავის კაბინეტში რომ ყოფილიყო! მაგრამ აქ იგი ჰგავდა მებონიას დათვის, — ვერაფრითარ ნახტომს ვერ გააკეთებდა ჯაჭვზე დაბმული...

— ეს ბეჭედი ჩემია, ადილარ ბიძია! — შელის თვალებით შემოხედა ვერიკომ მილიციის უფროსს და ბეჭედიანი ხელი ზურგსუკან დამალა.

ვერიკოს ნათქვამმა, — ადილარ ბიძიაო, — ადილარს შეახსენა, რომ ვერიკო და მისი შვილი თანატოლები იყვნენ...

გული უცნაურად შეუქანდა ადილარს და სულ ერთი წამით იგრძნო, რომ ის იყო — აღამიანი...

მხოლოდ ერთი წამით...

ამასობაში თინათინმა თავისი ნიუთები დაათვალიერა და, არაფერი აკლიაო, მოახსენა დარბაზში მყოფთ; მერე ვერიკოს ბეჭდის ნახვა მოუხდა, მაგრამ ვერიკოს ისევ ზურგსუკან ჰქონდა ხელი დამალული.

ადილარი წამოდგა... საველეს სიბრაზისაგან ნიკაპი აუკანკალდა: — ესაა ივლიტა დანელია? — ჰკითხა ქალბატონს და, როცა დასტური მიიღო, უმაღლ ვერიკოსკენ მოტრიალდა: — შენ ბრძანდებოდი დღეს მოწმედ?

— მე ვახლდითო!

საველემ მზერა სწრაფად გადმოიტანა ადილარისკენ და მოკლედ ბრძანა:

— დააპატიმრეთო!

ადილარმა ჩექმის ქუსლები შეატყუპა, გაიჭვიმა და ახლა კი იძულებული გახდა, მათრახიანი ხელის ორი თითი მარჯვენა წარბთან მოეტანა.

თინათინის მამიდებმა ერთდროულად წამოიძახეს:

— გომბიო!..

ერთს ძალზე წვრილი ხმა ჰქონდა, ნემსის ყუნწში გასაძვრენი, ველურას — ბოხი, ხორკლიანი. და ორჯერ ერთად, შერწყმულად — ძლიერ არასასიამოვნოდ ელერდა.

ვერიკოს ლოყები შეეფაკლა. მის გამოზურცულ ტუჩებზე ზამბახის ფერმა თითქოს იმძლავრა...

თინათინმა ვერიკოს მოაცილა მზერა და სარკვეში საკუთარ სახეს დააკვირდა. მერე ისევ ვერიკოს შეხედა და გულში რაღაც ჩხვლეტა იგრძნო, რაღაც შეშურდა თუ ეწყინა...

ვერიკოს სილამაზეს მამიდებიც ხედავდნენ, მაგრამ მათ სარკისკენ არ გაუხედავთ, რადგანაც უკვე ისეთ ასაკში იყვნენ, როდესაც, საერთოდ, სარკე ჭირის დღესავით ეჭავრებათ ქალებს.

ვერიკო ახლა უფრო მშვიდად ალაპარაკდა:

— ვიცი, დამაპატიმრებთ. აქი მე თვითონვე გეახელითო!.. მაგრამ სიმართლეს მაინც მოგახსენებთ.

თავი ისევ ეჭირა, როგორც ბეჭით მოსწავლეს გამომცდელის წინაშე.

— გვარდიელი ბოლშევიკებს არ მოუკლავთ... ის სხვებმა მოკლეს...

აშკარად იგრძნობოდა, ამ „სხვებში“ ვერიკო მენშევიკებს რომ გულისხმობდა.

— აი, პოლიტიკოსი, — დამარცვლა საველემ, — ჰქუას გვარიგებს კიდევ... ასეთებია, საქართველოს თავისუფლებას ძირს რომ უთხრიან... სასაცილოც გახლავთ, ბატონებო! ჯერ პირზე რძე არ შეშრობიათ და უკვე ქვეყნის ბედზე ზრუნავენ...

აქ საველეს რაღაც სიცილისმაგვარი ხმა აღმოხდა.

— მე სიმართლეს მოგახსენებთ, — ჩიუტად განავრძო ვერიკომ და საუბრის გაჭიანურება სცადა, მოთმინება არ დაუკარგავს: — აი, მე ეს ბეჭედი ინგლისელმა გოგონამ მაჩუქა...

საველემ ახლად შენიშნა, რომ ვერიკოს ბეჭედიანი ხელი აქამდე ზურგსუკან ჰქონდა. ვერიკომ ბეჭედი მოიხსნა და მაგიდაზე დადო.

უნებლიედ თვალი ყველამ ბეჭედს მიაპყრო და თითქოს უფრო აბრჭყვი-  
აღდა ძვირფასი თვალი ამდენი შერის  
არეკვლით.

— ხომ ძვირფასია? — მიაყვლა ვერი-  
კომ სიტყვები ირგვლივ მსხდომთა მზე-  
რას, — კარგი ხალხია ინგლისელები!  
იქნებ თქვენ მართალნიც იყვნეთ! იქნებ  
ინგლისის ქვეშევრდომობამ მოუტანოს  
საქართველოს ბედნიერება!

ქვრივი უსმენდა ამ გლეხ გოგონას  
პკვიანურ მსჯელობას და უცნაური მო-  
რიდების გრძნობით იცხებოდა მის მი-  
მართ; მოეჩვენა: თითქოს თვითონ ბნე-  
ლეთში იმყოფებოდა, ვერიკო კი, ცად  
ამაღლებული, მზით და ვარდებით ამ-  
ღერებულ სივრცეში იდგა. ახლა ეუბნე-  
რხულა ქვრივს, ამდენ ხანს საეარძელი  
რომ არ შესთავაზა ფეხზე მდგომ გოგო-  
ნას. ყოველივე ამას თითების ნერვიულ  
მომძრაობაზე შეაბყობდა დაკვირვებუ-  
ლი თვალი. წამოდგომა სცადა, ვერი-  
კოსთვის საეარძლის მისართმევად. მაგ-  
რამ უმალვე გადაიფიქრა, — თავის დამ-  
ცირებად მიიჩნია...

ადილარ გვაზავას გულში ცხრა მზე  
უკაშკაშებდა, ზეიმობდა ადილარი, რომ  
ახლა კი ვერსად წაუეიდოდა ეს „უჩინ-  
მაჩინი“, „აღქაჯი“; ხელში ჰყავდა მომ-  
წყვდეული „მტრელი“...

ვერიკო ერთსა და იმავე დროს კიდე-  
ვაც ლაპარაკობდა და კიდევაც ფიქ-  
რობდა...

მისი ლაპარაკი იყო დინჯი, ზნადაბა-  
ლი, აუჩქარებელი:

— მე მართო არ მოვსულვარ თქვენ-  
თან, პატივცემულო საზოგადოებავე...  
აქვე მგლოდება დღეს სასამართლოდან  
გაქცეული მამანტი ხაბეიშვილიც...  
თქვენს სამსახურში მივედით (ადილარ  
გვაზავას შეხედა, მილიცია განზრახ არ  
ახსენა), გვიოხრეს, აქ ბრძანებულხართ  
და ჩვენც აქ გეხებით.

ადილარის სახარულს სახარული მი-  
ემატა — მამანტი ხაბეიშვილიც თავისი  
ფეხით მოსულა. ასეო, — გაიფიქრა, —  
ანკესზე მობმული ლიფსიტა ზოგჯერ  
ორავულს ამოგაყვანიანბსო. ამ შემთ-

ხვევაში, მისი აზრით, ლიფსიტა იყო გე-  
რიკო, ორავული კი — მამანტი, კენესული  
ვერიკო განაგრძობდა: ხაბეიშვილიც

— ძიება წესიერად არ არის თავიდან-  
ვე წარმართული. გვარდიელის გარდა,  
იმ ღამით მოკლულია კიდევ ერთი ადუ-  
მიანი... და თუ ძიება თავიდანვე იქნება  
დაწყებული და თუ იგი წარიმართება  
სიმართლის გზით, თავისივე ფეხით გე-  
ახლებათ სასამართლოდან დღეს გაქცე-  
ული ორი ჩვენი ამხანაგიც... მამანტის  
კი ახლაც მოვუხმობ. მომითმინეთ ერ-  
თის წუთით.

ეს სთქვა ვერიკომ და კარისკენ ნელა  
წავიდა. მისი ძვირფასთვლიანი ბეჭედი  
ისევ მაგიდაზე იდო.

ადილარ გვაზავას პირი დავლო და  
მონუსხული იდგა...

საელეს თვალები ისევ გაუჩნერდა და  
ირგვლივ ვერაფერს ხედავდა...

ვერიკომ კარი ნახევრადლა მიიხურა  
და თინათინმა გარკვევით გაიკონა კიბე-  
ზე ჩასვლისას მისი ფეხის აუჩქარებელი  
ხმა...

ერთმა მამიდამ ვერიკოს ბეჭედი აიღო  
და სცადა თითზე მოერგო. მაგრამ მისა-  
ყველა თითი მსხვილი გამოდგა ძვირფა-  
სი ნივთისათვის...

— ა? — უაზროდ წამოსცდა ადი-  
ლარ გვაზავას; თავი სიზმრიდან გამო-  
სულივით შეაქანა და კარს მიაჩერდა.

წუთი საათად იქცა.

გავიდა მეორე წუთიც, მესამეც და  
აღმათ, მეათეც...

კარში აქეთ შემომსვლელი არაფერ  
გამოჩენილა.

ადილარს ახლა თვით მამა ღმერთიც  
ვერ დააჩერებდა იმაში, რომ ვერიკო არ  
ლაბრუნდებოდა.

ბოლოსდაბოლოს აივსო მოთმინების  
ფიალა. ადილარი აივანზე გავიდა, ეზო-  
ში გაიხედა: მისი მილიციელები ხეს მი-  
ყუდებოდნენ და თუთუნს აბოლებდ-  
ნენ... ჰიმარისკენ წავიდა ადილარი. იქ  
არც ვერიკო იყო და არც სასამართლო-  
დან გაქცეული მამანტი ხაბეიშვილი.  
მხოლოდ ვიღაც მეურამე მიერეკებოდა



ხარებს და თავისთვის ნაღვლიანად მილინებდა.

რალაც უსაშინლესი მუქარის სიტყვებში წარმოსთქვა აღილარმა. მაგრამ მის ნათქვამს უკვე აზრი არ ჰქონდა...

ვერიკოს ერთი პატარა ოთახი ჰქონდა დაქირავებული ლადი მეზონიას სახლში.

მედღუნე მეტწილად ღამითაც არ მოდიოდა შინ, თავის ცოლშვილში, დუქანში იძინებდა.

ღაბიდან კარგა მოშორებით იდგა ეს სახლი, ხეხილის ბაღში ბელურასავით ჩაყუყული...

ვერიკოს ოთახში დღისით ცოტა სინათლე აღწევდა ვიწრო სანათიდან. ღამით ლამაზ ენთო ვერიკოს, მაგრამ ნავთის შიგნა ქირდა და ამიტომ უფრო მეტად ბუხრის შუქზე კითხულობდა...

ქვრივის სახლიდან წამოსული, შორი გზით შიადგა თავის სამყოფელს (აღილარ გვაზავას ამ ოთახის არსებობა არ ჰქონდა გაგებული). სახლში მყოფთ აღბათ ეძინათ, — არც შუქი ენთო საღმე, არც რამე ჰაჰანება ისმოდა.

ვერიკოს ოთახს ცალკე შესასვლელი ჰქონდა, ფრთხილად შეაღო კარი და ფეხაჯრეფით შევიდა.

ლაშისთვის ასანთი არ აღმოაჩნდა. ბუხარში შენახული ღადარი გაჩხრიკა, ქალღლის ნაფლეთი დაადო ობოლ ნაკვერჩხალს და კარგა ხანს უბერა სული, ვიდრე ალი გამოჩნდებოდა.

ლაშაში ცოტა იდგა ნავთი, პატრუქა ვერ სწვდებოდა საწვავს. ვერიკომ წყალი ჩაამატა და ააბუტა, როგორც იყო;

კითხვას გული ვერ დაუღო, ოცნებაში გადაიჭრა დაღლილ-დაქანცული; შესძაგდა თავისი ყოფა, არაადამიანურა ცხოვრება...

ვერიკოს გული და სხეული გრძობდა, რისთვისაც იყო მოვლენილი ქვეყნად: სიყვარულისთვის, აღერისთვის, ღიმილისთვის...

არცერთისთვის არ ეცალა გოგონას. მას ქვეყნის ბედნიერებისათვის ბრძო-

ლის სამსხვერპლოზე ჰქონდა მიტანილი საკუთარი სული.

რატომ?

რისთვის?

ყოფილიყო თავისთვის სოფელში და ემწყემსა ძროხებში.. მერე მასაც გამოუჩნდებოდა სულისწორი, შეერთდებოდნენ, პატარა კერას აანთებდნენ და იქნებოდნენ ბედნიერი თავიანთი უბედურებით და სიღუბეპირით... ყოფილიყო მათი ლუქმა — მჭადი და პრასა, ლობიო და ხახვი...

შიში ხომ არ ექნებოდათ ყოველ წუთს: არ დაგვივირონ, ციხეში არ ჩავყვარონ.

და ასე დახარჯადნენ თავიანთს წუთისოფელს; შეილუბს გაზრდიდნენ და მათაც ასეთსავე გაჭირებულ ცხოვრებას უანდერძებდნენ...

და გაგრძელდებოდა ასე...

არავინ არასდროს მოიგონებდა, არავის გაახსენდებოდა, რომ ოდესღაც ერთ პატარა ფაცხაში ცხოვრობდა ქართველი დედა — ვერა კიზირია...

საქართველოს კი ვინმე უცხოელი დეპარტონებოდა, ფინჩხა პურს გამოუწვდიდა სულის შესანახად (იმ ფინჩხასაც თავისივე — ქართული პურიდან ჩამოუტეხავდა). თავზე ხელს გადაუსვამდა ყსიდად; მერე და მერე პატრონობას დაუწყებდა, შეაბამდა უღელში და მისსავე მიწაზე გახარებული ბროწეულის სახრით აუწვავდა ზურგს... საკუთარ სალაპარაკო ენას ამოაგლეჯდა პირიდან და უცხოურს ჩასჩრიდა...

და დაეცემოდა, დაქინდებოდა, დაგლახავდებოდა ოდესღაც დიდებული, ღეთის წილდებული ქვეყანა...

ყოფილიყო თავისთვის სოფელში და ემწყემსა ძროხები?

არა!

ვერიკოს ათასწილად ურჩევნია ეს წამება, ეს ბრძოლის გზა...

ვერიკო! შენ სიყვარულისთვის ხარ გაჩენილი, მაგრამ სიყვარულისთვის საღლა გცალია!

ფარჩის კაბით უნდა დაშრიალეზდებ მინდვრის ნამიან ყვავილებში... შენს

ბაღაში მიფშალიები უნდა ვალობდ-  
ნენ... შენი კერა დღედაღამ უნდა გუზ-  
გუზებდეს... აკვანი გედვას კერასთან  
და ტკბილ იაენანას დაჰმღეროდ პირ-  
მშოს... შენს უღლის გამწვევს დღისით  
ვენახში უნდა ჰქონდეს მკლავი გაშლი-  
ლი, საღამოს გემრიელ ლუქმას შეეძვე-  
ოდეს, შენი თეთრი ხელებით მორთმე-  
ულს, და ქარვისფერ ღვინოს აყოლე-  
ბდეს. სანადიროდ მიდიოდეს დრო და  
დრო და მთებში დათოფილი ირემი მო-  
ჰქონდეს...

სად არის შენი უღლის სწორი?  
ვინ არის შენი გულის პატრონი?  
სიყვარულისთვის ხარ გაჩენილი, მაგ-  
რამ სიყვარულისთვის სადღა გცალია!..  
გაძარცვულია შენი სული...

გაყინულია შენი გული...  
გაყიდულია შენი საქართველო...  
მაშ ეწამე, ქართველო ქალო, და იდექ  
სინდისის სადარაჯოზე!..

შენი მსხვერპლი — ერთი ანთებული  
სანთელი იქნება საქართველოს ბედნიე-  
რების დიდ ტაძარში...

შენი ძმების — ლევანის და მოსეს სი-  
სხლი გეძახის!

ვერ მოისვენებენ ძმები საფლავში,  
თუ კი მათს საფლავს გააყიდინებ...

აჰ, ამ მიწაში მარხიან ალბათ ისინი  
საღლაც. შენ არ იცი მათი საფლავი, მა-  
გრამ იცი, რომ ამ მიწაში განისვენებენ.

საქართველოა მათი საფლავი... და  
შენ არავის გააყიდინებ ძმების საფ-  
ლავს...

მერე, შეგწევს კი ამის ძალა? შენ ერ-  
თი პატარა სანთელი ხარ ყიამეთ სიბნე-  
ლეში. შენნაირები ბევრნი არიან... და  
ერთად — გაანათებთ...

მოგიახლოვდა დრო მიწით მწვანის  
ამოსვლისა, ვარდის ფურცლობისა, დრო  
პაემანისა...

მაგრამ შენ არ გცალია საამისოდ...

მენშევიკური მთავრობა თითქოს  
გრძნობდა მოახლოებულ საშიშრო-  
ებას; საგანგებოდ შეაჩრია და სხვადა-  
სხვა კუთხეში დაგზავნა თავისი წარ-  
მომადგენლები. ისინი უნდა გაცნობოდ-

ნენ მშრომელი მასის, გლეხობის მდგო-  
მარეობას, შეძლებისდაგვარად გაეგოთ  
ხალხის გუნება-განწყობილება, დამო-  
კიდებულება მთავრობის მიმართ...

მივლინებულებს ურჩევდნენ მათთვის  
უფრო ნაცნობ და ახლობელ კუთხეს.

აბაშის თავაკეები სტუმრის მისაღე-  
ბად დილიდანვე შეუდგნენ სამზადისს:  
ეაგზლის მოედნის მაღალ ბოძზე დროშა  
აატანინეს.

გაიშალა და ატყაცუნდა მენშევიკების  
დროშა ქარში.

ადილარ გვაზავას ძლიერ უყვარდა ამ  
დროშისთვის ყურება; დრო რომ ჰქო-  
ნოდა, შეეძლო საათობით არ მოეშო-  
რებინა მისთვის თვალი, ესმინა მისი  
ტყაცუნი...

მატარებელი რომ ჩამოდგა, სავლე  
ბოკუჩავა და სხვა დამხვედრნი დიდ  
მოწიწებით შეეგებნენ საპატიო სტუ-  
მარს და სათითაოდ ჩამოართვეს ხელი,  
დანარჩენ მის თანმხლებთ თავის დაკვ-  
რით მიესალმნენ.

მოედანი ხალხით იყო სავსე. მდი-  
დრებიც და ლატაკიცი ერთნაირად უკ-  
რავდნენ ტაშს, თუმცა არ იცოდნენ სა-  
ხელდობრ ვინ იყო თბილისიდან ჩამო-  
სული ეს „დიდი კაცი“.

ადილარ გვაზავამ სტუმრის სახელი  
კი გაიგონა — ბატონი სილობისტრო —  
და გვარის გაგებას არ ჩასდევნებია,  
რადგანაც მთავრობის მიერ თბილისი-  
დან მოვლინებული ყველა პიროვნება  
მას ისედაც თავის უფროსად მიაჩნდა;  
ახალთახალ ფორმაში გამოწყობილი,  
ტხენს ამყად დააგეღვებდა და ცდი-  
ლობდა როგორმე თვალი მოეკრათ მის-  
თვის.

სტუმარი წარმოშობით აბაშელი ყო-  
ფილა, მაგრამ აქედან დიდი ხნის წინათ  
წასულს მეგრული დაეწიებოდა; ბე-  
შვობისა და ყრმობის მეგობრები კი  
ყველა ახსოვდა და ერთერთი მათგანი  
— იუსტინე ნიჭაბაძე — ჩამოსვლისთა-  
ნავე მოიკითხა კიდევ.

იუსტინე მასწავლებელი იყო. სავლე  
ბოკუჩავას და ადილარ გვაზავას ბოლ-  
შევიკობაში ეჭვიც ჰქონდათ მიტანილ

მასზე და დასაქვრად ჰყავდათ დაგულე-  
ბული; პატარა საბაბს ელოდნენ მხო-  
ლოდ...

ახლა სტუმარმა რომ იუსტინე მოი-  
კითხა, გაშრინე, მაგრამ საწინააღმდე-  
გო სიტყვის თქმას ვინ ვაბედავდა...

სტუმარი და მისი თანმხლები პირები  
თავდაპირველად სადილზე მიიწვიეს.

დეგთა სანადიმოდ გამზადებულს ჰვა-  
და სუფრა, იმდენი ზორავი ელაგა ზედ.  
მაგიდის შუაგულში ოთხ ფეხზე იდგა  
მთლიანად შემწვარი შველი...

ადილარ გვაზავა არ მოუწვევიათ და,  
ცოტა არ იყოს, ეწყინა, მაგრამ არ იმ-  
ჩნევდა: მე აქ იმისთვის დამტოვეს, ვინ-  
მე უფურმა რამე უფურება არ მოი-  
მოქმედოსო...

თამადამ წელში გამოყვანილი ჭიქე-  
ბით დაიწყო და ვაქცაცის მკლავის სიგ-  
რძე ყანწით დაამთავრა...

სტუმართაგან მიძალღებულად არცერ-  
თი არ სვამდა.

მათი აბაშაში ჩამოსვლა დაემთხვა  
ტრადიციულ, ცხენთა შეჯიბრის დღეს.  
უკეთეს სათვალისეიროს რაღას შესთა-  
ვაზებდნენ საპატრიო ადამიანებს: ყაბახი,  
თარჩია, მკერდობა...

შეჯიბრი ეწყობოდა ცხენისწყალთან,  
სამი სოფლისთვის სამყოფ მინდორზე.  
აქეთენ მომავალ ყველა გზას კეტავდა  
სარებზე გაბმული თოკი. გასასვლელად  
დატოვებულ ადგილას იყიდებოდა ბი-  
ლეთები.

მხოლოდ ამპარტავანნი და ქისადაძე-  
ძგინი თუ ყიდულობდნენ ბილეთს,  
თორემ დანარჩენები გზიდან გადაუხვევ-  
დნენ და უკვე მინდორზე იყვნენ.

სურნელოვანი ამინდი იდგა.

სტუმარ-მასპინძლები ეტლებით მია-  
დგნენ სასპარეზო მოედანს და ნეშოთი  
გადახურულ, მათთვის საგანგებოდ მო-  
მზადებულ ტრიბუნას მიაშურეს.

საველეს ერთი სული ჰქონდა, როგო-  
რმე დრო მოეხეტებინა და თბილისში  
თავის გადაყვანაზე ჩამოეგდო ლაპარაკი  
მთავრობის წარმომადგენელთან.

მას კი იუსტინე ნიჭაბაძე არც სუფრა-  
ზე და არც აქ — გვერდიდან არ მოუ-

ცილებია. თავისი მიზანი ჰქონდა თბი-  
ლისიდან მოვლინებულ კაცს. და ამ მიზ-  
ნისთვის სიყრმის მეგობარზე უკეთესს  
ვერავის გამოიხატავდა. თანაც გაგებული  
ჰქონდა, რომ იუსტინეს ბოლშევიკების  
მხარე ეჭირა და ზალხის გულის ვარაძე  
მას ეცოდინებოდა...

წინა რიგის ორ სავარძელში ორნი  
მოთავსდნენ. საველეს უკან დაჯდომა  
მოუწია და მეტისმეტი დამცურება იგრძ-  
ნო: გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონ-  
და იუსტინეს ბედი: როგორც კი მარ-  
ტოკას ჩაიდებდა ხელთ, ციხეში ამო-  
ყოფინებდა თავს...

უკანა რიგებში დაიკავეს ადგილები  
დაცვის წევრებმაც...

იუსტინემ ცოტა უხერხულობა იგრძ-  
ნო და სიყრმის მეგობარს გადაულაპა-  
რაკა: აქ ჩემი ადგილი არ არის, ბატო-  
ნო... უფროსები მიწვევენო...

— მესმის, ჩემო იუსტინე, შენი, მაგ-  
რამ ავეთი მშინარა არ მახსოვხარ!.. მე  
შენთან საუბარი მიჩვენია...

პოლიტიკაზე სიტყვა არ დასცდენიათ,  
გვერდი-გვერდ უელიდნენ მტკიცეულ  
საკითხებს ძველი მეგობრები.

მათი საუბარი უკანა რიგებში მსხლო-  
მთა ყურამდე ვერ აღწევდა, ალბათ ეს  
იგრძნო სტუმარმა და მეგობრის წასა-  
თამაშებლად სთქვა:

— ვიცი, შენ ბოლშევიკების მხარე-  
ზე ხარ...

იუსტინემ უხერხულად გაიღიმა...

ორი ქართველი იჭდა ერთმანეთის  
გვერდით.

ორი გული სხვა და სხვა საფიქრალს  
ფიქრობდა.

ბევრი უარეს გარშემო თავინთი მთა-  
ვარი ფიქრის მინდორს, ბევრჯერ აუქ-  
ციეს გვერდი მთავარ ბილიკს, მაგრამ  
ბოლოს, უნებლიედ, მაინც აქეთ გამო-  
ექცათ სიტყვა.

წაართვა ალვირი სათქმელმა მოსაუბ-  
რეთ.

იუსტინემ პირველმა გადმოდგა ფეხი  
ამ ბილიკზე:

— მართალი ხარ, სილიბისტრო. ბოლ-

შევიკების მხარესა ვარ!.. გულახდილობას უდღიერობაში ნუ ჩამომართმევ...

თვალეში ჩახვდა მეგობარს და მიხვდა ნაწყენი არ უნდა ყოფილიყო მისი ამ ნათქვამით.

— ამბოხებას აპირებსო სამეგრელო, — თითქოს სხვათაშორის ჩაილაპარაკა სტუმარმა. მეგობრის გულახდილობის ბოროტად გამოყენება წუთითაც არ გაუვლია გულში. ამიტომაც ცდილობდა რაც შეიძლება ხმადაბლა ესაუბრა.

იუსტინეც გრძნობდა, სიყრმის მეგობართან სითამამე რაიმე საფრთხით რომ არ ემუქრებოდა, და მისცა თავის სათქმელს გზა:

— ხალხს თავისუფლება და მშვიდობა უნდა, ჩემო სილიბისტრო.

— ძმებმა ერთმანეთს თუ ვერ ვაძუგეთ მოტაბიეე ხარებივით, მშვიდობა როგორღა იქნება?!

— ჩვენი ხარები ერთად ვერ ვაწვევენ უღელს, ერთი თეთრია, მეორე — წითელი...

— მერე? — ვითომ ვერ მიხვდა სტუმარი.

— თეთრი ხაზოს ეტანება, წითელი ნაბორბალს მისდევს...

— რუსეთიდან რევოლუციის ექსპორტი დალუბავს ქართველ ერს... ცუდ ნაბორბლარს მიჰყვებით...

სტუმარს ენაც უჭრიდა და გონებაც, მაგრამ განსწავლულობით არც იუსტინე დაუდებდა მას ტოლს:

— ქართველი ხალხი თვითონვე, საკეთარი სისხლით მოიბოვებს რევოლუციას. საექსპორტო არაფერი უჭირს...

— სცდები, ჩემო იუსტინე...

იუსტინეს უკვე არაფრისა ეშინოდა:

— ამას დრო დაგვანახებს... ხალხს სული ყელში აქვს მობჯენილი, ტანფეხშიშველია და სველი ლუკმის მონატრული... რა მისცა ღარიბ გლეხობას თქვენმა ავარარულმა პოლიტიკამ? არაფერი!.. ღარიბ გლეხობას მიწა უნდა. მას არ ძალუძს მიწის შესყიდვა... ეს განსაკუთრებით სამეგრელოში იგრძნობა მწვავედ...

— და თქვენ კიდევ უფრო უარესად აღიზიანებთ გლეხობას?

— ასეა საჭირო! გლეხობა უნდა დატოვდეს, რომ სამხედრო ხროვის დამხობის გარეშე...

სტუმარმა სიტყვა გააწყვეტინა:

— ესე იგი, შენ გსურს თქვა მენშევიკური მთავრობის დამხობის გარეშე?

— დიახ... ვიდრე მხილებული არ იქნება და ხალხის ნდობას არ დაჰკარავს ესერებისა და მენშევიკების პარტიები, გლეხები მიწას ვერ მიიღებენ.

— ჩვენ ვგონებ, გადავამეტეთ... აქ ასეთი საუბრის ადგილი არ არის...

მოედანზე ყაჭრიანი ცხენება შემოიყვანეს.

ხალხის გნისმა და ბავშვების სტვენამ სივრცე აავსო.

— ჩვენ არავინ გვისმენს, სილიბისტრო ბატონო...

სტუმარმა ხალხს გახედა, სცადა საუბარი სხვა საგანზე გადაეტანა.

— სპარტაკელი გყოლიათ ერთი, გოგონა, — გაიღმა, — ლეგენდასავით მოვიდა მისი ამბავი ჩვენამდე.

— იმ გოგონას ძმები დაუხვრიტეს! შენ იცნობდი ლევან და მოსე კიზირიებს.

სილიბისტროს წამიერად წამოელანდა ორი ვაჟაკი. იგი მართლა იცნობდა ლევანს და მოსეს!

ლევანი მისი კბილა იყო.

რამდენი ჩიტის ბუდე დაუშლიათ ერთად!

მერე, თავთაც რომ წამოიჩიტნენ და ნახეს, მათაც უნგრევდნენ ბუდეს, — ვერ ყოფილა ბუდის დანგრევა კარგიო, — ჩაფიქრდნენ. საქართველოს მომავალზე ოცნება დაემგზავრა ორივეს... და გაიყო მათი გზაცა და რწმენაც...

სტუმარმა უნებლიედ ამოიხენწა და თავისთვის ჩუმად თქვა:

— ეჰ, ვხოცავთ ერთმანეთს!..

— გერმანული ტყვიაც გაციებულა ქართველის გულში, — ჩაურთო იუსტინემ და, სტუმარს გაოცება რომ შეატყო, იქვე განუმარტა: — აბაშაში

გერმანელებმა მოკლეს კიბი ჩიქვანი და მისი ოჯახი გაძარცვეს... კახეთში ლადო არსენიშვილს მოუსწრაფეს სიცოცხლე სიტყვის შებრუნებისთვის... ქუთაისში თოთხმეტი წლის ქალწულს ნაშუსი ახადეს და რიონში გადაადგდეს...

— ყველაფერი მონაპოვრია!

ამ სიტყვებს წამიერი დუმილის ფარდა აეფარა...

და სტუმარმა ხმას აუმალა, გაბრაზება დაეტყო:

— ბოლშევიკებს დაღუპვის გზაზე მიჰყავთ ხალხი... ათასნაირი ასეთი ტყუილებით და პროკლამაციებით გამოუტყენეს თავი და ახლა თვით არ იციან, რას სჩადიან...

იუსტინეს უნდოდა ეთქვა ლევანი და მოსე კიზირიები თქვენ მოჰკალითო, მაგრამ ამ უადგილო ადგილას საუბრის ერთობ გამწვავებას მოერიდა.

თუმცა არც ნაკლები უთქვამს:

— ხალხს რუსეთის პროლეტარიატის გზა მოსწონს...

— ისეთი ტყემალი არ უნდა ვკამოთ, შვილიშვილს რომ კბილი მოსჭრას...

— უცხოელთა უღელს ვერ შეეგუება ქართველი... მობეზრდა უღლის ზიდვა...

— ქართველისათვის რუსიც უცხოელია, იუსტინე. გამიგე!... ევროპის ქვეყნებით ჭერ ზურგს გავიმეგრებთ მხოლოდ... საქართველო დარჩება თავისუფალი და დამოუკიდებელი...

—მერე გაჭირდება ზურგზე შესმულის გადმოგდება...

— სცდები!..

მოედნის გარშემო ხალხი მომრავლდა.

მოედანიც თოკებით იყო შემოკავებული. თოკს აქეთ, შიგნითა მხარეს მხოლოდ წესრიგის დამცველი მილიციელები მიმოდითონ.

ადილარ გვაზავამ ტრიბუნას განზრახ ახლოს ჩაუარა ერთი-ორჯერ; საუბარს იქნებ ყური ვკიდოო...

განაწყენებული იყო ადილარი, ეს პატივცემული სტუმარი ბოლშევიკებთან საუბარს რომ კადრულობდა.

ადილარს ერჩია, — ებრაძენებთან მისთვის იუსტინეს დაპატარავება უკმაშინ გაიხარებდა მილიციის უფროსის წელშიც უფრო გაიმართებოდა და უფრო თავისუფლადაც ამოისუნთქავდა.

შეჯიბრი თარჩიით დაიწყო.

ცხრა ცხენი მონაწილეობდა.

ცხენები პატარა ბიჭებმა მოპვარეს თავიანთ პატრონს.

ტანის სილამაზით და ფერით ორი ცხენი გამოირჩეოდა ცხრაში: ერთი სამსონ თოფურისა თეთრონი და მეორე ნოსირელ ოდიშარისა ალისფერი.

თარჩიის წესი ასეთია: ერთ-ერთი ცხენოსანი მერდინს დაიჭერს კბილებით და გაქუსლავს, სხვანა ცხენდაცხენ მიენთებიან გაქცეულს მერდანი წასართმევად. გამარჯვებული ისაა, ვინც საბოლოოდ მიიტანს მერდინს ფინიშთან.

ფინიშის დროშა ხუთ ვერსზე იყო დასობილი.

მსაჯის მიერ მიცემულ ნიშანზე ცხენები ადგილს მოწყდნენ.

თეთრონის მხედარმა, სამსონ თოფურამ, იგდო მერდინი.

ალისფერმა კვალში მისდია თეთრონს და მალე მისმა მხედარმა დაისაკუთრა მერდინი.

იუსტინემ ამ მხედრის გამარჯვება ჩაითქვა, — მებრძოლ საქართველოდ წარმოიდგინა იგი, თეთრონი კი მენშევიკური მთავრობის სიმბოლოდ მიიჩნია.

მისდევდა თეთრონი ალისფერს

თეთრონის მხედარმა ბოხოხი მოიგლიჯა და ხელის ელვისებური აქნევით უმისამართოდ გასტყორცნა გვერდზე.

გასტყორცნა და თვითონ გაწვა ცხენის ზურგზე, ფინიშისკენ მიმავალი გზა გადაუჭრა ალისფერს, მაგრამ ალისფერმა დროზე უგანა.

— ალისფერი გაიმარჯვებს, — თქვა იუსტინემ სტუმრისაკენ ოდნავ მხარდაწევით.

— თეთრონისა პირველობა, — პირმოუბრუნებლად გაეპასუხა სტუმარი. იქნებ მასაც თეთრ საქართველოდ



მიანდა თეთრონი, ალისფერი კი კომუნისტურის სიმბოლოდ ესახებოდა.

ალისფერმა მარცხნივ რომ გაუხვია, თეთრონი მხედრის ალერის არ დაემორჩილა. ყალყზე შედგა და შემზარავი ჭიხვინი გააბა.

სამსონმა მათრახი გადაუჭირა გაჭიურებულ ცხენს.

ახლა სულ გადაირია ცხენი, მიწას ფლოქვები დასცა, მხედრის გადმოვდება მოინდომა...

ალისფერს სხვა ცხენოსნები დაედევნენ.

ხალხის გუგუნი უსაზღვრო სივრცეში ჯერ ფიქტებად გაიფანტა, მერე გუნდად შეიკრა და გაგიჟებულ ცხენივით მიაწყდა ტრიბუნას.

იქ მსხდომნი ერთდროულად წამოდგნენ ინსტინქტურად და თეთრონისკენ მიაპყრეს მზერა.

მართლაც საოცარი იყო ცხენის ასეთი გაჭიურება. მისმა ჭიხვინმა ხალხის ხმას გადაამეტა და ცა და ღედამიწა შესძრა.

მშვილდიდან გამსხლტარ ისარივით გაიჭრა ცხენი ველზე, უცებ წინა ფეხები გაწვდილად ჩაასო მიწაში და მხედარი თავდაყირა გადაისროლა...

მაყურებლებმა თოკები დაითრიეს და მოედნის შუაგულისკენ ყიყინით დაიძრნენ.

ადილარ გვაზავა და მისი მილიციელები ვერაფერს გახდნენ...

ტიერთი რომ მოიშორა ცხენმა, თითქოს დაოკდა.

პატრონი მიუახლოვდა მას, აღვირი დაუჭირა და მათრახი დაუშინა ცხვირპირში.

გალახული ცხენი მორჩილად დადგა.

— უნაგირი მოხსენი, მიდა, — ურჩია სამსონს ვიღაც ბერიაცმა, საიმქვეყნოდ გამზადებულს რომ ჰგავდა, — ცხენს რატომ სცემ!.. ჯერ ნახე. ალბათ რალაც უჭირს, ვაგლახად აგრე არ მოგექცეოდა...

მხედარმა მოსართავეები შეხსნა პირუტყვს, უნაგირი გადმოიღო და... თოქალთოს ქვემოთ კაკლის ნაქუტი დაინა-

ხა, ზორცში ჩასვლოდა და ჩასქედოდა ცხენს...

რა ძნელი მისახვედრი იყო: ამას რომელიმე მოწინააღმდეგე გაუქეთებდა.

სამსონმა ნაგანი დააძრო და ზედიზედ გაისროლა ჰაერში;

ყელში ბოლმა მოსწოლოდა და ხმას ვერ იღებდა, სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი თუ ცრემლი...

ყანწების ფრჩხილზე დაბერტყავი გამარჯვებულმა სამსონ თოფურიათ ცხენოსნობითაც ვერ მოაწონა თავი სტუმარს.

მერდინი ფინიშზე ალისფერმა მიიტანა...

სეირის მოყვარული ბავშვები ზევითქვევით დარბოდნენ, დიდებს ფეხებში ეღებოდნენ...

ხალხში ათიოდე სპარტაკელი ერია, მათ, წინასწარ მოლაპარაკებით, შეჯიბრების დასასრულს უნდა გაეფანტათ პროკლამაციები, ეჩვენებინათ თავიანთი ძალა მთავრობის წარმომადგენლისათვის. მაგრამ საამისო დრო სწორეთ ახლა მიეცათ, ამ რიარიაში, და დათქმულს არ დალოდებთან.

პირველმა ბიქტორ კაჭარავამ ასტყორცნა პროკლამაციების დასტა.

შუაზე გაკეცილი ფურცლები მტრედებივით აფარფატნენ.

იქით, მეორე ადგილასაც გაიფანტა ფურცლები...

— ეს რაღაა?! — გაოცდა სტუმარი და ყრმობის მეგობარს თვალი თვალში გაუყარა, თითქოს მას სდებდა ბრალს... არამც და არამც არ მოელოდა, თუ ბოლშევიკები ამდენს გაბედავდნენ მთავრობის წარმომადგენლის წინაშე. ეს აშკარად აბუჩად ავდება იყო...

იუსტინე დამნაშავესავით მოიხარა, უხერხულობა იგრძნო სტუმრის წინაშე; გულში კი მოეწონა რევოლუციონერთა საზრიანობა...

ადილარმა ჰაერშივე დაიჭირა ერთი ფურცელი და ზედ არც დაუხედავს. ისე დაქმუნა, იცოდა, რაც უწერებოდა შიგ და ამიტომ არ დაუხედავს.

ერთგან წრე შეჭერეს და ვიღაცამ

ხმამალა დაიწყო პროკლამაციის კითხვა...

ადილარმა ამ წრისკენ მიავლო ცხენი...

— რას ნიშნავს ეს?.. ბუნტია?.. ამბობხეზა?.. ნერვიულობდა სტუმარი.

ადილარმა მათრახი დაატრიალა, ცხენოსან მილიციელებს გასძახა და ბრბო მიმოაფანტვინა.

მოედანი თანდათან ისევ გამოჩნდა. გაოფლილ, ნაჯაფარ ცხენებს მხედრები აქეთ-იქით დაატარებდნენ.

ერთი ფურცელი იუსტიწეს ჩაუვარდა, სტუმარს გადასცა და თითქოს თანაგრძნობით მიმართა:

— საშინელებაა, პატონო, საშინელება!.. ხალხია ყველაფრის მოქმედი... თავისთავად აცეთებენ და... მოდიდებულ მდინარეს ჭებირი რას დააკეცებს... ამჯარად იგრძნობოდა, რომ ეს იყო დაცინვა იდეური მოწინააღმდეგის მიმართ. სტუმარმა ფურცელი გამოართვა და კითხვას შეუდგა.

სტამბურად დაბეჭდილი არ იყო პროკლამაცია. თვითონ სპარტაკელებმა ხელით გადაწერეს ორმოცდაათამდე ცალი. ტექსტი მამანტი ხაბეიშვილმა შეადგინა:

„აბაშის მკვიდროს ღარიბსო და ლატაკოს! მენშევიკები თვალს გიხვევენ. თქვენს მიწა-წყალს უცხოელებს აჯიჯგინებენ! დღეს გვესტუმრა წარმომადგენელი ჩვენი სისხლისმწოველებისა ვითომ კეთილი განზრახვით... დაირაზმენით! იყავით დაუნდობელნი ყველა მენშევიკის მიმართ! ძირს თაღლითი, მატყუარა, სპეკულიანტი მენშევიკობა! გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციას!“ სტუმარმა ფურცელი ბოლომდე ჩაიკითხა. მოედანზე ხალხი ისევ მძვინვარებდა და, ცოტა არ იყოს, შიშის ნაპერწყალმაც გაჰკრა გულზე: ადვილი შესაძლებელი ჩანდა საიდანმე მისკენ მომზინებული ტყვიაც გამომტყვარიყო...

და ამ დროს სხვა, უფრო დიდი რამ დატრიალდა, ტყვიანზედაც ძლიერი, ფარატინა ქალაღზე დაწერილ სიტ-

ყვებზე უფრო მკრელი: ხალხის ტალიდან ცხენოსანი გოგონა მამოიზარდა, ჯერ ნელა, ჩორთით წამოიყვანა ცხენი, მერე და მერე უმატა სიჩქარეს და უცებ წითელი დროშა აფრიალდა მის ხელში. დროშა ქარმა გაშალა და ზედ ამოქარგული — ლენინის სახე ქვეყნიერებას დაანახა.

— ვაშაა!.. გაუმარჯოს ლენინს!.. — ზედ ტრიბუნასთან დაიყვირა მილიციის უფროსის — ადილარის შვილმა — პატარა ადილარმა.

ეს ვერიკოსგან ჰქონდა დავალებული, როგორც, ვითომ, ყველაზე ბოხ და ლამაზ ხმიანს.

წამოისროლა პატარა ადილარმა ლოზუნგი და უკვლოდ გაქრა.

მის ძახილს მთელი მოედანი აჰყვა. მხედარი გოგონა გაშლილი დროშით, თვითონაც თმაგაშლილი, ლაღად დააქროლებდა ცხენს მოედნის ირგვლივ. ბენზინგადასხმულს რომ მოედება ალი, ისე მოედო სტუმარს სახეზე სიწითლე იუსტიწემ კი სასესებით შშვიდი ტონით გადაულაპარაკა:

— ესაა იმ დახვერტილი ბოლშევიკების და — ვერა კოჭირია!..

ადილარ გვაზავა ცხენდაცხენ მიჰყვა წითელდროშიან მხედარს.

თითქოს თარხია გაგრძელდა: ვერიკოს მიჰქონდა „მერდინი“ და წასართმევადა მისდევდა ადილარი...

ხალხს არ ზოგავადა მილიციის უფროსი. ვილაცას მკერდი გაჰკრა მისმა ცხენმა და გვერდზე მიავლო.

— ხედავ, ჯიმა აჯამი? — მუჯღუგუნნი გაჰკრა ერთმა გლეხმა მეორეს: — ბოლშევიკები უფრო ძლიერები ყოფილანი რას ბედავენ მთავრობის თვალწინ! აუუ, თქვენ შემოგვევლეთ, ახალგაზრდებო!.. არ დაიჭირონ ახლა ეს გოგო!.. როგორ ბუმბულივით მიფრინავს, ა?..

მეორემ უპასუხა (ჩანდა, იცნობდა ვერიკოსს):

— მაგი ისეთი ბუმბულია, ყველა თამელში გაძვრება...

ვერიკომ იგრძნო ადვილარის ადევნება, ცხენი ააჩქარა...

ტრიბუნის უკანა რიგიდან დაცვის მეთაური ბატონ სილიბისტროსთან მივიდა და მოახსენა:

— რაზმი თქვენს განკარგულებას ელოდება!..

ტრიბუნის გასწვრივ განლაგებულ საიდუმლო დაცვას ერთი ვასროლით შეეძლო დროშისანი მხედრის გადმოღება.

— სროლა არ იყოს! — გაცა მთავრობის წარმომადგენელმა განკარგულება, მერე მოტრიალდა, იუსტინესთვის არც შეუხედავს, ზედ ტრიბუნასთან მომდგარ ეტლში სწრაფად ჩაჯდა და იქაურობას გაეცალა.

ბავშვებმა სტვენა დაადვენეს გაფრენილ ეტლს...

სავლე ბოკუჩავა აქამდე გონს ვერ მოსულა, გულწასულივით ესვენა თავის სავარძელში პირდაფრენილი...

თბილისიდან მოვლინებულ მთავრობის წარმომადგენელს აბაშის შემდეგ სხვა ადგილებიც უნდა შემოეელო, მაგრამ აბაშაში ნანახი ხალხის მიზნის გასაგებად სავსებით საკმარისად ჩათვალა და იმავე დღეს გაბრუნდა უკან... ეს მოხდა 1919 წლის 2 სექტემბერს (ძველი სტილით).

მართალია, დიდ ნაკადად არ შეერთებია ბოლშევიკური წყალიდობის ნიაღვარს, მაგრამ, თავისი პატარა და გაბედული სილამაზით, ოქროს ასოებით ჩაიწერა აბაშის სპარტაკელთა ისტორიაში.

იმ დღის შემდეგ, ერთ კვირაში, სპარტაკელებს შემოუერთდა, ოცდასამი, ახალგაზრდა, მათ შორის თერთმეტი გოგო იყო.

...შენ სიყვარულისთვის ხარ, ვერიკო, გაჩენილი, მაგრამ სიყვარულისთვის არა გცალია.

მამ იბრძოლე, გასწირე შენი ახალგაზრდული სულის სილამაზე სამშობლოსათვის — შენი საქართველოსათვის...

ლენინური კომკავშირის ისტორიის

სქელტანიან წიგნში ერთერთ პატარა ამბაცად ჩაწერილია: „1919 წელს აბაშაში სპარტაკელ ვერა კონიარაშვიტი წითელი დროშის აფრიალება თითქოს წინამორბედი იყო სამეგრელოს მოახლოვებული აჯანყებისა.“

ამ დროისთვის მენშევიკურ ჯარში გაიწვიეს ორი სპარტაკელი ჯაბუკი.

მერე ისინი ჯარში განაგრძობდნენ ბოლშევიკურ ავტოციას გვარდიულებთან, თანამესანგრეებთან მიჰქონდათ პროკლამაციები და მართალი სიტყვა...

ბოლშევიკები ხალხს აჯანყებისთვის ამზადებდნენ მთელს საქართველოში.

პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით (ეს კომიტეტი შეიქმნა ბაქოს კონფერენციასზე) აჯანყება უნდა მომხდარიყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორე წლისთავთან დაკავშირებით — 1919 წლის ოქტომბერში.

რიცხვი ჯერ დასახუტებელი ჰქონდათ.

ამ დროისათვის აბაშაშიც, როგორც თბილისსა და საქართველოს სხვა რაიონებში, იქმნებოდა და ყალიბდებოდა „ახალგაზრდა კომუნისტების წითელი გვარდია“.

კომკავშირის აბაშის ადგილობრივი კომიტეტი მაშინ გარდაქმნილი იყო წითელი გვარდიის შტაბად.

მთელ საქართველოს ხელმძღვანელობდა მთავარი შტაბი — თბილისიდან.

ემზადებოდა აბაშა მოახლოებული ბრძოლისათვის.

სოფელ ონტოფოს იქით, ეკალ-ბარდითა და ვაჟვალი ჯაგებით გარშემორტყმული ერთი ტრიალი მინდორი აირჩიეს სპარტაკელებმა სამხედრო მომზადებისათვის.

ეს ადგილი შეკრებისთვისაც კი იყო ხელსაყრელი, მაგრამ სპარტაკელებისთვის შორს მდებარეობდა: მხოლოდ სამხედრო მეცადინეობისთვის იყენებდნენ.

სულ ოცამდე მოგროვდნენ ღარიბი გლეხის შვილები, მათში მარტო ერთი

ქაბუკი ერია მენშევიკის ოჯახიდან — სულიკო დვალი.

მომავალ წითელგვარდიელებს ამეცადინებდა თბაშებოლილი, ომგამოვლილი ჭუტა ნადარაია.

მისი ხმალი ქარქაშიდან ვერ დააძრო ქუჩუჩიამ, — ხელი არ გაუწვდა.

სამეცადინოდ ერთი თოფიც ჰქონდათ. თოფის დაშლა-აწყობა და გაწმენდა ყველამ ათვისა. სროლასაც შეეჩინებდნენ თანდათან.

წინააღმდეგობათა გადალახვისას სწორედ სულიკოს დაუცდა ფეხი წყალზე გადებულ ცალ ძელზე და თავფეხიანად დასველდა.

მეგობრებმა სიცილი დააყარეს, მერე ცეცხლი დაუნთეს და შესაწვავ გოჭივით ატრიალებდნენ ვასაშრობად.

ყველანი ცეცხლთან მოგროვდნენ და საუბარი გააბეს. ამ საუბარს კომკავშირული კრება არ ერქვა, მაგრამ, თავისთავად, კარგი კომკავშირული კრება კი გამოუვიდათ.

პარტიული ამხანაგებიდან ამ დროს სპარტაკელებთან იყვნენ მამანტი ხაბეიშვილი და თბილისიდან გამოგზავნილი ვანო, ისიც ხაბეიშვილი.

მთავარ დავალებებს ეს ორნი იძლეოდნენ.

სამ სპარტაკელს: ბიქტორ კაჭარავას, ქუჩუ ფრანგიშვილს და მიხა გულორდავას დაევალიათ აბაშის მიდამოებში მენშევიკური ჯარის ნაწილების განლაგების დაზუსტება, ყუმბარების საწყობების ადგილმდებარეობისა და ჯარისკაცთა ტანსაცმლის რაოდენობის გაგება. აჯანყების დაწყებისთანვე, აჯანყებულები ამ საწყობებს გაძარცვავდნენ.

მეორე დავალება შედარებით რთული ჩანდა და ვერიკომ თავის თავზე აიღო. ეს იყო — რკინიგზის გაღმა მხარეს, ეწერისკენ მიმავალ გზაზე, ინგლისელთა ჯარის ყაზარმაში პროკლამაციების შეტანა და, აგრეთვე, ინგლისელ ჯარისკაცთა რაოდენობისა და შეიარაღების გარკვევა.

ინგლისელთათვის განკუთვნილი ეს პროკლამაციები ბაქოში დაიბეჭდა და

იქიდან ჩამოიტანა დავითმა. სულ თორმეტი ფურცელი იყო, ერთი ფურცელი გაეხათ და გოგოებმა გაწმენეს უქმად არც ერთი არ უნდა დაკარგულიყო, პირიქით: თითო ფურცელს რამდენიმე ინგლისელ ჯარისკაცამდე უნდა მიეტანა ქართველ რევოლუციონერთა სიტყვა. სარქივში, რატომღაც, არ აღმოჩნდა ამ პროკლამაციის დედანი!

რაკი საუბარმა თავი აიშვა, ფულის საკითხიც არ დასტოვეს შეუხებელი. სპარტაკელებს ამ მხრივ ყველაზე მეტად ენაბრებოდა სუჯუნელი ებრაელი „ყოზო ბიძია“ და ისევ ის უნდა შეეწყუხებინათ — ფინანსურად ხელის გამართვა ახლა აუცილებელი იყო ახალგაზრდებისათვის.

ფული რაღად სჭირდებოდათო, — მეკითხება თოვლისა.

ქუთაისიდან უნდა ჩამოეტანათ ბროშურები და პროკლამაციები — ფული იყო საჭირო...

სხვადასხვა ადგილას დამალული იარაღის გადმოსატანად ურმები უნდა დაეჭირავებინათ (დღეში თითო ხარი აბაზი ღირდა, თანაც საჭმელიც შენ უნდა მიგეცა ხარებდსთვის) — ფული იყო საჭირო... ურმებზე თოფების ჩასამალი ჩალაც მათ უნდა ეყიდათ, უქმად გზაზე არ ეყარა.

საქმეზე რომ გაგზავნიდნენ ხალხს, იმათ იქ ჭამა უნდოდათ, საკუთარი სახსრები ყველას როდი გაჩნდა — ფული იყო საჭირო...

მომავალ ჯარისკაცებს ტანზე და ფეხზე რამე უნდა სცმოდათ — ფული იყო საჭირო.

ტაგუ ჯანელიძე სასწავლებლიდან გარიცხული დადიოდა — მისი სწავლის ქირა იყო შესატანი...

და კიდევ ათასი რამ წვრილმანის მოგვარება ითხოვდა ფულს...

ამ შეკრებას სპარტაკელთა უმრავლესობა არ ესწრებოდა, მაგრამ დავალებებს დაუსწრებლადაც ანაწილებდნენ მათთვის. მაგალითად, სამ სპარტაკელთაგან, რომელთაც საჭილოში გადამალული ოცდაათი თოფი და სამი

ყუთი ტყვია აბაშაში უნდა ვადმოეტანათ, აქ იყო მხოლოდ დავეითი. დანარჩენ ორს თვეთონ დავეითი გააცნობდა გეგმას.

იარალის ვადმოტანისთვის სამი დღე ჰქონდათ განკუთვნილი.

იარალი სხვა ახლო სოფლებშიც იყო გადაძალული; ვერიკოს მამის — ჯაბა კიზირიას ეზოშიც.

საშური იყო მათთვის თავის მოყრა შიგ აბაშაში.

აბაშაში თოფების შესანახ ერთ-ერთ ადგილად მიჩნეული ჰქონდათ მილიციის უფროსის ადილარ გვაზავას ეზო.

ადილარი საკუთარ ეზოს საეჭვოდ

ბომ არ ჩათვლიდა მისდღეში. აჯანყების დაწყების წინ კი მებრძოლები იქ, საზამთრო შეშის ქვეშ დამალულ თოფებს დაირიგებდნენ.

ამ ოპერაციისთვის საჭირო იყო როგორმე ადილარ გვაზავა ერთი-ორი დღით თავიდან მოეცილებინათ, გაეტყუებინათ აბაშიდან ისევე, როგორც სავლე გაიტყუეს...

— ეს საქმეც მე მომანდეთ, — უთხრა ვერიკომ მეგობრებს.

ალბათ რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული...

მართლა საქმიანი გამოდგა სპარტაკელთა ეს საუბარი სულიკოს გასაშრობად დანთებულ ცეცხლთან...





შოთა ძიძიგური

# ქართული ენისა და კულტურის დაუსხროველი გკვლევარი

აკაკი შანიძე გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, რომელმაც ახალ საფეხურზე აიყვანა ქართველური ენათმეცნიერება. ქართველოლოგიის ამ დისციპლინის საფუძვლის ჩამყრელი და პირველი ეტაპის დამაგვირგვინებელია ალექსანდრე ცაგარელი, ზოლო მეორე, ეპოქალური მნიშვნელობის პერიოდის ქართველოლოგიური კვლევა-ძიებას მებაიარაბტრედ ნიკო მარს მიიხედვენ, მესამე ხანის შესვეურება კი წილად ზედა აკაკი შანიძეს, რომელიც თბილისის საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია და მისი საუკეთესო ტრადიციების დამამკვიდრებელი.

ფართოა და მრავალმხრივი სამეცნიერო პრობლემატიკა, რომელიც იზიდავს აკაკი შანიძეს. ქართველური ენების სტრუქტურა და ისტორია, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია, სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია, ტექსტოლოგია, ეპიგრაფიკა, აღმანათლებელი, ფოლკლორისტიკა, რწხთველოლოგია, — ამ უმთავრესი დარგები, სადაც ჩვენს დაუღალავ მეცნიერს ფუძემდებლური ნაშრომები შეუქმნია.

აკაკი შანიძის ამ დიდი შეცნიერება და საზოგადო მოღვაწის, სახელი ცნობილია როგორც ზვენი, საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში.

აკაკი შანიძე დაიბადა 1867 წელს 26 თებერვალს საქავეთოში, ზვეისწყლის პირად მდებარე სოფელ ნოღაში, მამა გაბრიელ ოქროპირის ძე შანიძე — მღვდელი იყო და სოფლის მეურნეობას მისდევდა, დედა ეფთხო (ეფემია) იოსების ასული შარაშენიძე კი — დიასახლისი.

წერა-კითხვა აკაკიმ შინ ისწავლა ძმებისაგან, რომლებიც ოზურგეთში სწავლობდნენ. სოფლის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში განაგრძო სწავლა (1897 წ.).

სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (1904 წ.) აკაკი გადავიდა კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც მესამე კლასში მოიღეს. მესუთე კლასის დანსრულების შემდეგ (1907 წ.) ზაფხულში შოენზადა, მეექვსე კლასი გამოტოვა და პირდაპირ მეშვიდეში დაიჭირა გამოცდები. გიმნაზია დამთავრა 1909 წელს.

გიმნაზიადამთავრებული ა. შანიძე 1909 წელს გაემგზავრა პეტერბურგში და უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ განთქმული ორიენტალისტები, რუსეთის გამოჩენილი მეცნიერები. მას ლექციებს უკითხავდნენ პროფ. ნ. მარც (ქართულ-სომხური ფილოლოგია), პროვატ-ლოცენტი ი. ჭავჭავიძელი (საქართველოს ისტორია), პროვატ-დოცენტი ნ. აღონცი (სომხეთის ისტორია; ასლი სომხური ენა), პროფ. ვ. ფუკოვსკი (სპარსული ენა), პროვატ-დოცენტი ა. შშიდტი (არაბული ენა), პროვატ-დოცენტი ი. კრანცევსკი (არაბული ქრისტიანული მწერლობის ისტორია), პროვატ-დოცენტი ა. ხაშაბი (ახალი არაბული ენა), პროფ. ვ. ხართოლდი (აღმოსავლეთის ისტორია), პროფ. ი. ბოდუნ-დუკურტენე (ზოგადი ენათმეცნიერება), პროვატ-დოცენტი დ. შჩერბა (ექსპერიმენტული ფონეტიკა) და სხვები.

ქრე კადევ 1908 წელს, ივანე ჯავახიშვილის ინსტიტუტით, პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა „ქართული სტუდენტთა სამეცნიერო წრე“. შემდგომ, 1911 წელს, ამ წრის გამგეობის თავმჯდომარეობა წილად ზედა ა. შანიძეს, სამეცნიერო წრის მთავარი მიზანი იყო ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენა და სამეცნიერო კვლევა-ძიება.

„ქართული სტუდენტთა სამეცნიერო წრის“ მუშაობის შედეგად 1916 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა ბიბლიოგრაფიის პირველი წიგნი. ამ დროდ მნიშვნელოვანი წიგნის დაბეჭდვა განხორციელებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სავანებო დარგეწილებით. მას წამყვანდნობული აქვს პეტერბურგის უნივერსიტეტის პრეფერ-დოცენტის იოსებ ყიფშიძის წინასიტყვაობა, საიდანაც ვკუთხილობთ, თუ ვინ იღებდა მონაწილეობას ბიბლიოგრაფიის შედგენაში. აქ ჩამოთვლილ სტუდენტთაგან დავასახელებთ შემდგომში ცნობილ მეცნიერებს: აკაკი შანიძეს, უკუალ ბერძენს, იოსებ და დავით ყიფშიძეებს, სიმონ ყაუხჩიშვილს, გიორგი ჩიტაიას, ვლადიმერ ფურუხიძეს.

1915 წელს სამეცნიერო წრემ ა. ჯავახიშვილის რედაქტორობით თბილისში გამოცვა სამეცნიერო კრებული, სადაც მოთავსებულია აკაკი შანიძის გამოკვლევა — „ქართული კილოები მთაში“.

1912-1913 წ.წ. ა. შანიძე თანამშრომლობს „რუსულ ენციკლოპედიაში“.

1911 წელს სტუდენტთა ა. შანიძე ფაკულტეტში მიავლინა უშახსა და ხევისურეთში დოქტორატოლოგიური მასალების შესავარცხლებლად. აკაკი ესტურია ვაჟა-ფშაველას ს. ჩარვალიში და გააცნო მინდობის მიზეზი: უნდა შეკრიბოს ფშაური და ხევისურული ზემიანობისკუთხეების მასალები, შემდეგ ისინი უნდა დამუშავოს ენათმეცნიერული თვალსაზრისით და სხვ.

1913 წ. მაისში ა. შანიძემ დაამთავრა უნივერსიტეტი და ნ. შარბის წარდგინებით დატოვეს პროფესორობისათვის მოსამზადებლად (ახლანდელი ტერმინოლოგიით — ასპირანტად) ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრასთან. კათედრას განაგებდა ნიკო შარბი. იმ ზაფხულს ა. შანიძე კვლავ გამოიგზავნა საქართველოში მთის კილოების შესასწავლად, ოღონდ ახლა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით. 1914 წელს იგი მიავლინეს ერმიოპინში სომხურ ბელანურებზე სამუშაოდ, „ქებათა-ქებებს“ ქართულ-სომხური ვერსიების წარმოშობის ვამოსაჩვენებლად; ერმიოპინში მას მალარია შეეყარა და აღიქმანდროპოლში (ამჟამად ლენინგრადი) გადავიდა და, მოყოლოდა თუ არა, ახალი სომხური ენის შესწავლას მიმყო ხელო.

1915 წელს ა. შანიძემ ჩააბარა ზემიანი სამეცნიერო გამოკვლევი ქართული ენათმეცნიერე-

ბის სპეციალურ დარგში და შეუდგა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების აღწერას. 1916 წლის ზაფხულში საქართველოს სახტორო და საენოგრაფიო საზოგადოების დავალებით სამეცნიეროში იყო სამეცნიერო მისინთ და ორი კვირა დაჟყო რაქის სოფლებშიც, სადაც დიალექტოლოგიურ მასალებს კრებდა.

1915 წელს ა. შანიძე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში შეუდგა გამოკვლევის ბეჭდვას ქართული ზმნის პრეფიქსების შესახებ. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერო ჩამოღის თბილისში და აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში; იგი შედგოდა უნივერსიტეტის დამაარსებელთა საინიციატივო ჯგუფში.

ა. შანიძე ერთი იმთავანია, ვინც — ივანე ჯავახიშვილის მეშინავეობით — უდიდესი ამაჟი დასილ საქართველოში უმადღესი სასწავლებლის დაარსებასა და ორგანიზაციას, მის შერმინდელ განვითარება-წინსვლას. ამ დროიდან იწყება ფართო მასშტაბით ჩვენი მეცნიერის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მუდმივი ზრუნვა საზოგადო საქმისათვის, ერთვლულ ნიადაგზე უმაღლესი განადლებების კერების საფუძვლის ჩაყრისათვის.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პირველ გამგედ არჩეულ იქნა გ. ახვლედიანი, რომელიც ამ თანამდებობაზე (1919 წლიდან 1922 წლამდე) ა. შანიძემ შეცვალა.

1918-1920 წ. წ. ა. შანიძე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანია, 1919-1921 წ. წ. — პროფესორობა საბჭოსი, 1919 წლიდან განაგებს აგრეთვე ქართული ენის კათედრას.

უნივერსიტეტის ვახსნის დღიდან ა. შანიძე ლექციებს კითხულობს არაბულ და სომხურ ენებში, 1919 წლიდან (პროფ. ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ) ქართულ ენაშიც. ა. შანიძე სხვადასხვა დროს კითხულობდა შემდეგ საუნვერსიტეტო კურსებს (გარდა არაბულ-სომხურ-ქართულისა): ქართულ დიალექტოლოგიას, ქართველო ენათა შედარებით გრამატიკას, რუსთაველის ენას, სენურს. კავკასიურ ენათა სწავლებას უნივერსიტეტში ა. შანიძემ ჩაუყარა საფუძველი წოვა-თუშურით 1925-26 წლებში.

1920 წელს ა. შანიძემ პროფესორობა საბჭოს დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარუდგინა დისერტაცია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ოფიციალურ ოპონენტებად გამოყოფილი იყვნენ ა. ჯავახიშვილი და გ. ახვლედიანი. მიქტირობა შედგა 1920 წლის 9 მაისს.

ეს იყო პირველი დისერტაცია, დაკული თბილისის უნივერსიტეტში.

1922 წელს ა. შანიძე, კ. კვეციციანისთან ერ-

თად, შევლინებულ იქნა მოსკოვსა და პეტრო-გრადში ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების დანახარუნებლად (რეკავაუაციონათვის).

1923 წელს დაარსდა „ქართული საენციკლოპედია“ საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. აბულაძე, ხოლო თავმჯდომარის აშხანაგად ა. შანიძე. საზოგადოებამ დიდი როლი შეასრულა საქართველოში საენციკლოპედიაში აზროვნების განვითარების საქმეში.

ა. შანიძე 1933-1936 წლებში განაგრძობდა ქართული ენის სექტორის უნივერსიტეტთან არსებულ რუსთაველის ინსტიტუტში. 1936-1941 წლებში მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. შარის სახელობის ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტში ქართველური ენების სექტორის გამგედ. უნივერსიტეტის გარდა, 1935-1936 წ. წ. ლექციებს კითხულობდა ქუთაისის პედაგოგიკურ ინსტიტუტში და 1938-1939 წ. წ. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე თბილისში. 1946-48 წლებში განაგრძობდა ქართული ენის კათედრას პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიკურ ინსტიტუტში.

1945 წ. ქართული ენის კათედრა, ა. შანიძის წინადადებით, გაიყო ორად: ძველი ქართული ენის კათედრა და ახალი ქართული ენის კათედრა. აქედან მოყოლებული ა. შანიძე დღევანდლამდე განაგრძობს ძველი ქართული ენის კათედრას (უნივერსიტეტში).

1937 წელს ა. შანიძე აირჩიეს პრადის (ჩეხოსლოვაკია) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად. 1935 წელს — ისტორიისა და ლიტერატურის სამეცნიერო საბჭოს წევრად ერეგა.

1939 წელს ა. შანიძეს, როგორც გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, ირჩივენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1941 წლის 22 თებერვლიდან ა. შანიძე დამატებით მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1946 წლიდან ამავე აკადემიაში განაგრძობდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას, ხოლო 1948-50 წლებში იყო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

1966 წელს ა. შანიძე აირჩიეს იენის ურბრის შიფერის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

1958 წელს ა. შანიძე არჩეულ იქნა ქ. თბილისის კარგის სახელობის რაიონის მშრომელთა საბჭოს დეპუტატად, ბოლო 1941-1944 წ. წ. იყო ამავე რაიონის აღმასკომის წევრი.

1960 წლიდან 1963 წლამდე ჩათვლით ა. შანიძეს ირჩივენ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ა. შანიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1971 წლის მოწვევის დეპუტატია.

1938 წლის 2 მაისის დადგენილებით ა. შანი-

ძე დაჯილდოებულ იქნა საქართველოს ცაკის საპატიო სიგელით.

1948 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის წოდება, ხოლო 1967 წელს — სომხეთის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1972 წელს ა. შანიძეს მიენიჭა ი. ჯავახიშვილის სახელობის პრემია.

ა. შანიძე დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით. 1975 წელს იგი დაჯილდოეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

ა. შანიძე გრამატიკაში ძირითადად მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხების მკვლევარია, მაგრამ მას ფონეტიკური კანონების დადგენაშიც დიდი როლი აქვს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. შანიძემ ჩინებულად ახსნა სიტყვის შედგენის მოვლენები და მისი გამოჩვეული მიზნები ქართველურ ენებში.

ნაშრომში „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ გარკვეულია ისეთი მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოვლენა, როგორცაა რედუქცია.

ა. შანიძემ ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა სვანურ ენაზე.

1926 წელს გამოქვეყნდა აკად. შანიძის მონოგრაფია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ენებში“.

ამ გამოკვლევას ეპოქალური მნიშვნელობა აქვს, საერთოდ, ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ისტორიაში, იგი სანამუშაო კვლევის მეთოდების, მასალის შერჩევისა და მეცნიერული დასკვნების მიხედვით.

პრეფიქსების საკითხის შესწავლას შედეგად მოჰყვა ქართული ენის განვითარება, უღმრთობა-სხვანაირი განაწილება, ვიდეო პროფილის ნიკო მარს ჰქონდა თავის „ძირითად ტაბულაში“ და, საზოგადოდ, ახალი შეხედულების დამყარება ქართულ ენებზე.

მეორე კარის სუბიექტური პრეფიქსის არსებობაზე ეპოქალური ა. შანიძე შეხედობდა ჯერ კიდევ 1912 წელს „ქართულ სტრუქტურაში მეცნიერო წრის“ სხდომაზე პეტერბურგში. შემდეგ ძველ ქართულში მის ხმარებას ყურადღება მიჰქცევდა პროფ. ი. უფშიძემ. რაც შეეხება მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსს, მისი ხმარების წესი მთის კლდეების მასალების მიხედვით, ა. შანიძემ 1918 წლის ზაფხულში გამოარკვია; იმავე წელს შემოადგომაზე, როცა იშუური ბიბლიის „გამოსვლათა“ წიგნის ტექსტის გამოწერას მიჰყო ხელი, მან შენიშნა, რომ ძველ ქართულშიც მორფოლოგიური წესი მესამე ობიექტური პირის ნიშნის ხმარებასა არსებითად იგივეა, რაც მთის კლდეებში, კერძოდ ფშატისა და ხევსურულში.

ეს აღმოჩენა მან ვადაცო ნ. მარს, რომელიც 1914 წელს უფროსად „ხრისტიანული კონსტრუქციონი“ გამოქვეყნებულ ერთ წერილში დაადასტურა და წავსვლის კატეგორიულად აღიარა ახალგაზრდა მეცნიერის მიერ აღმოჩენილი კანონი მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა, კანონი, რომლის ვრცელ დასაბუთებას რამდენიმე წლის შემდეგ ზემოხსენებული მონოგრაფია მიძღვეს.

1923 წელს ი. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა V-VI საუკუნეთა ქართული მწიგნობრის მიერ შექმნილი ძეგლები. უშუალოდ მათი ხელაღან გამოხსული ნაწერები. ა. შანიძის სიტყვებით, რომ ვთქვათ, „ის მანძი ცხადია, რომ აქ, უფრო შემთხვევაში, არაბობამდე ლიტერატურასთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, არაბთა შემოსვლის წინა ხანებში (ე. ი. მეშვიდე საუკუნის ნახევარში) არსებული ქართული მწიგნობრობა არ დაღუპულა ისე კატასტროფულად, როგორც ეს აქამდე გუგონს ვინაიდან, ჩვენდა ბედად, ზოგი რომ ამ ეპოქისა დაღუპვისაგან გადარჩენილი პალეოგრაფიკების. ეს ფაქტი უაღრესი მნიშვნელობისაა როგორც ქართული ლიტერატურისა და ენის ისტორიის, ისე პალეოგრაფიისათვისაც“.

შორის მიმავალი დასკვნები კეთდება ქართული კულტურის ისტორიისათვის. ამ ძეგლების საფუძველზე ვრწმუნდებით, რომ მხბლების წიგნები V საუკუნეში თუ არა, VI საუკუნეში მაინც უნდა ყოფილიყო ქართულად გადმოთარგმნილი. რაც შეეხება სახარებას, იგი, მით უმეტეს, V საუკუნეში ნათარგმნად უნდა ვივადისებოთ, თუ მანერ აღარსდებოდა არა.

ახლა აღმოჩენილ უძველეს წერილობით ძეგლებს მეცნიერებაში ერთად „ხანძრის ტექსტები“, ამ ტერმინის მნიშვნელობის დადგენაც ა. შანიძის დავაა. „მართლაც, — როგორც აღნიშნა ი. ჯავახიშვილმა. — ა. შანიძემ მშვენიერი განმარტება მოუტანა ერთ ტერმინს, რომელიც ვიორტი მოაწოდებს ცნობილს ანდრეაშვილს ნახმარი“.

1923 წელი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ხანძრის ძეგლების აღმოჩენითა და მათთან დაკავშირებული კულტურული-ისტორიული საკითხების გადაწყვეტით. იმავე 1923 წლის გაზაფხულზე ა. შანიძემ ერთ-ერთ ძველ ძეგელში — აღიშნის ოთხთავში მიაგნო ზმნის თავსართს მავს, რომელიც იმავე ვითარებაში გვხვდება, რა ვითარებაშიც ცნობილია პრეფიქსი ხანი ე. წ. „ხანძრე ძეგლებში“. „ხანძრე“-ტერმინის ანალიზით ა. შანიძემ შემოიღო ახალი ტერმინი „ქაერმეტ“. იმავე ზაფხულში ჩვენმა მეცნიერმა იმუგაურა სვანეთში და გასინჯა იფარის ელემენტები და ცუდი ხელნაწერები. პროფ. ა. ხახანაშვილის აღწერილობიდან მას ახსოვდა, რომ აქ რაღაც პალიმფსესტი იხატებოდა. იგი აღმოჩნდა ნაწილი საქართველოს ხანტორიო და საერთოგრაფო ნაწილიაგობის ხელნაწერისა, რომელიც 1920 წლის ნოემბერის კატალოგში შეტანილია „მწიგნობრივი“, № 4.

ამრიგად, კიდევ ერთი აღმოჩენა: ჩვენ წინაშეა ძველი წერილობითი ძეგლი, ა. შანიძის გამოკვლევის თანახმად, მერვე საუკუნისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქაერმეტობა. მალე ა. შანიძემ გამოაქვეყნა ამ ტექსტის ნაწილები სათანადო გამოკვლევით.

როგორია მიმართება ხანძრე და ქაერმეტ ძეგლებს შორის? ამ საკანზე ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულება აქვთ გამოთქმული ი. ჯავახიშვილსა და ა. შანიძეს. პირველი მათგანი ვარაუდობდა, რომ ჯერ იყო ხანი და მერე ქაერმეტ, შემდეგ სულ გაქარა. ა. შანიძე ამტკიცებს, რომ ჩვენი პრეფიქსების პროტოტიპული სახედ უნდა მივიჩნიოთ ქაერმეტობისაგანაც შემდეგ წარმოიშვა სხვა სახეები და, მთ შორის, ხანძრე. თუ ი. ჯავახიშვილს ხანი თავსართად მთელი ქართული ენის კუთვნილებად მიაჩნდა, ა. შანიძე ფიქრობს, რომ ხ-სა და მ-ს შორის განსხვავება იმდენად ქრონოლოგიური არ არის, რამდენადაც დიალექტური, ე. ი. იმდენად სხვადასხვა ეპოქის ენა იყოფენის, რამდენადაც სხვადასხვა კლასი.

ა. შანიძემ შემდეგ და შემდეგ გამოსცა რამდენიმე პარავლუბარისოვანი ძეგლი, რომლებსაც გააფართოებს ჩვენი წარმოდგენა უძველესი ქართული ხანძრეობისაგან ენის შესახებ (მახეტივეთლი გვეჩვენა ხანძრეობა).

ქართული ენის გრამატიკის შექმნა მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე წილად ხვდა ა. შანიძეს, რომლის „ქართული გრამატიკა“ (მორფოლოგია) გამოქვეყნდა 1920 წელს.

ამ გრამატიკის დაწერას წინ უსწრებდა ცალკეული გრამატიკული საკითხების მონოგრაფიული დამუშავება, მათი დეტალური გამოკვლევა. ა. შანიძე წლების მანძილზე აქვეყნებს სპეციალურ ნაშრომებს, სადაც გაშუქებას მოუხდის ჩვენი ენის სტრუქტურული თავისებურებანი, და ამით აწვადებს ნიადაგს მეცნიერული გრამატიკის აგებისათვის.

ა. შანიძე თანდათან აფართოებს კვლევა-ძიებას ქართული ენის გრამატიკის სტრუქტურის დარგში. ისხებდა ახალი პერსპექტივები, მეცნიერული ანალიზი ავლენს ჩვენი მდღეობა ენის მორფოლოგიური ანგაგობის მანაშის შეუცნობელ თავისებურებებს, ფარდა ეხდება ისეთ მოვლენებს, რომელთა საფუძველზე ქართული ენა აჩენს მსოფლიოს ენათა თვალსაზრისით საინტერესო და საუფლისხმო გრამატიკულ კატეგორიებს. ამის მშვენიერი მაგალითია დადგენა ახალი კატეგორიის — ქვეცვისა, რომელიც ჩვენმა მეცნიერმა წარმოადგინა თავის გამოკვლევაში „ქართული ზმნის საქვეცვი“ (1926 წ.). აქ მოხაზულია ზოგადად ქვეცვის რაობა და მისი ხმარების არე, ოდონდ ხაზილიო სახით ეს კატეგორია 1920 წელს გამოსულ გრამატიკაშია და მას შემდეგ გაზიარებულია ყველა სპეციალისტის მიერ და შესულია ხსკოლო სახელმძღვანელო-

ებსა და უმაღლესი სკოლის კურსში. ამ მორფოლოგიური კატეგორიის დადგენა შედგინებულია ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული ზმნის აკრებულიებს განსუქებულად. შრომაში მაღალი შეფასება მიიღო როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ისე ევროპაშიც.

ფონებისა და მორფოლოგიის დარგებში ა. შანიძის მრავალწლიანი დავიერებებისა და ნაყოფიერი ძიების ერთგვარ შექაზებას წარმოადგენს მისი ზემოხსენებული წიგნი „ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია“, რომელშიც მოცემულია ხისტემატიკურად თანამედროვე (ხალიტერატურა) ქართული ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურა.

1941 წელს ა. შანიძემ წამოაყენა თეორია გრამატიკული მწკრივის შესახებ. ზმნის უღლებად ფორმათა შიგნით მარაგადან გამოყოფა ჩვეულებრივ, რომლებიც გარკვეული წიგნის მიხედვით აერთიანებენ შიგ შემაჯავლი ფორმებს. ამ ჩვეულებს საერთო სახელი არა აქვთ, მაგრამ თვითიველ მათგანს სახელს აქმედებენ ერთი ან ორი მარტივანობის კატეგორიის მიხედვით, როგორცაა დრო, კილო და სხვა, ან კიდევ მათ რაიმე წიგნის მიხედვით ასახელებენ (პერფექტი, იმპერფექტი) სათანადო ჩვეულებს, შანიძის მოძღვრების თანახმად, დარგში მწკრივები.

მწკრივის თეორია ა. შანიძემ პირველად ვაპტონო საბჭოთა კავშირის ლინგვისტებს 1941 წელს, რომლებიც წაიკითხა მოხსენება ლენინგრადში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების იანვრის სესიონზე. ავტორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ, მისი ღრმა რწმენით, საკითხი ედება არა მარტო ქართულ ენას, არამედ სხვა ენებსაც, საზოგადოდ.

1942-1958 წ. წ. დღის სინათლეზე გამოდის ა. შანიძის წიგნი „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, ორ ნაკვეთად. ეს არის ძირითადად გადაშუაებული გამოცემა 1936 წ. გამოსული ქართული გრამატიკისა.

ა. შანიძე შეუნდობელი ინტერესით განაგრძობს მუშაობას ქართული გრამატიკის პრობლემებზე, გააწვდის ახალ-ახალ დავიერებებს, არკვევს ბევრ საკვლავს საკითხს, აწუხებს და აღმოაჩენს წინააღმდეგობრივ სოციალურ შედეგულს და ამით თანდათანობით შეადგება ნოვადაც იმ კავშირს გრამატიკისათვის, რომელიც შემდეგ გამოკვეთდა.

1942 წლიდან მოყოლებული შედგინდა იბელებდა ა. შანიძის ნაშრომები გრამატიკის სფეროში.

ქართული გრამატიკის (ერთად, მორფოლოგიის) დარგში ა. შანიძის რამდენიმე ათეული წლის დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის შედეგები მთლიანად სახით წარმოდგენილია ვიდეორთულად, 672-გვერდიან, წიგნში „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (I. მორფოლოგია), რო-

მელიც თბილისის უნივერსიტეტმა გამოცემა 1958 წელს.

„ქართული გრამატიკის საფუძვლები“ ეხება თანამედროვე ქართული ხალიტერატურა ენის გრამატიკულ (მორფოლოგიურ) წყობას, ფართოდ წარმოგვიდგენს ქართული ენის სტრუქტურულ თავისებურებებს და განაზოგადებს მიღწევებს, რომლებიც მოაგებულა საბჭოთა ქართველოლოგიაში.

ა. შანიძის გრამატიკის საფუძვლები ვრცელად ექრისა, რომელიც საფუძვლად ედება ქართული ენის სწავლებას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებშიც. შანიძისეულ გრამატიკულ მოძღვრებას ევრდნობა აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკაში დედაენის სწავლებას.

ა. შანიძის გრამატიკის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს განსაზღვრავს ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის კვლევა-ძიება. მთელ რიგი გრამატიკული კატეგორიების ვაგებისათვის ამ გარემოების გათვალისწინებას გადაწყვეტი მიწვეწელობა აქვს. ამ გზით, მაგალითად, შეტად მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული ზმნის ასპექტის, გვარისა და ქვეცის კატეგორიების გარკვევის დროს.

გრამატიკული ფაქტების კვლევისათვის ავტორს კრიტიკიულად მომარჩეული აქვს ფორმათა შეფარდების (დამარისპირების) ხერხი, დაურდნობილი ურთიერთობის განსხვავებულ ფორმათა პირისპირ არსებობის საფუძვლებზე. ბგერითი შედგენილობის მიხედვით ერთი ფორმის მქონე სიტყვა დამარისპირების წინადაგზე მორფოლოგიურად შეიძლება რამდენიმე ფორმის მქონედ წარმოგვიდგეს.

გრამატიკის საფუძვლებში მოცემულია აგრეთვე ქართული ენის შედარებითი მორფოლოგია სხვა ენებთან, როგორცაა: რუსული, ლათინური, ბერძნული, არაბული, თურქული და სხვ.

უდავოა, რომ ქართული ენის სხვა ენებთან შედარებას ის ღირსება აქვს, რომ აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ენობრივი მოვლენების მიმართ და ღრმად ჩივახედებს დედაენის ბუნებაში.

ამგვარი შედარება არ არის ინტერესსმოკლებული თვით ამ შესადარებელი ენის გრამატიკის ბუნდოვანი საკითხების განსუქებლადაც. ქართული ენის გრამატიკული მოვლენების სწორ მეცნიერულ ანალიზს შეუძლია დავასმევისნოს საკითხები განსხვავებული ტაოლოგის ენათა ზოგა საკითხის გამოსარკვევად.

„ქართულ გრამატიკულ მოვლენებზე მუშაობისას არა ერთხელ წამოჭრილა საკითხები ზოგად-საენათმეცნიერო ხასიათისა, რომლებიც არ არის სათანადოდ გადაწყვეტილი სპეციალურ ლიტერატურაში“. ა. შანიძის გრამატიკაში ჩვენ ვხვდებით ისეთ შეხედულებებს, რომლებ-



საც კარგტრავი შექათა სავროთოდ ენათმეცნიერებაში განმტკიცებულ თეორიებში .

ახალი კატეგორიების დადგენასთან ერთად, ა. შანიძემ შექმნა მთელი რიგი ახალი გრამატიკული ტერმინები. ჩვენს მეცნიერს „ამა თუ ამ ტერმინების შესახებ ზოგჯერ დიხანს უფიქროსა და ზოგჯერ არც მორაილება, რომ ერთხელ ნახსარი ტერმინი, ხანდახან ტრადიციულად განმტკიცებულიც, უკუგადო და მის ნაცვლად ახალი მიიღოს“. შანიძისეული ტერმინები და ცნებებია, მავალითად, „უწყვეტელი“, „მწყრივი“, „სათავისო“, „სახსხვისო“, „სხარვისო“ (ქცევები) და მრავალი სხვა, რომლებიც დამკვიდრებულია უოველი წევნიერი ქართვლების ცნობიერებაში. ავტორი სპიროდ მიიჩნევს, ზოგიერთი ტერმინი შევიდეს სავრთაშორისო გრამატიკულ ტერმინოლოგიაში. მაგალ, ქცევებს კატეგორია ა. შანიძემ უცხოური ენებისა-თვის აღწერისა მარტვე ტერმინით — „ვერსისა“, რომელმაც თავისი თავი ვაპაროლა კიდევაც და დამკვიდრდა უცხოურ გრამატიკულ მწერლობაში (როცა საზღვარგარეთელი მეცნიერები ეხებთან ქართული ენის ამ კატეგორიას). ამავე სახითათაა ავრთვე „კონტაქტი“.

ა. შანიძემ დიდი მსახი დანდო ქართულ ფილოლოგიას. მის მიერ გამოკუმული ტექსტები სანიმუშოა და გზის გამკლველი. მან გამოაქვეყნა მრგვე საუკუნის ჰაემეტკობის შემცველი ტექსტი სათანადო გამოკლვეითა და შენიშვნებით. 1927 წელს უნივერსიტეტის მოამბეში იბეჭდებდა ახლადდამოჩენილი ძველი, რომელიც ტყენი წარსულის ისტორიასათვის დედნიშვნელოვანია და არსებითად ცვლის ჩვენს წარმოდგენასა და შეხედულებას ქართული ლიტერატურის შინაარსის, არსისა და მოცულობის შესახებ უძველეს პერიოდში. ეს ვახლავთ მრავალთავი, რომელსაც ენობრივად ხანწელობს ახასიათებს.

ა. შანიძემ გამოაქვეყნა ავრთვე ზანწელობის შემცველი ერთი პატარა ხელნაწერი, რომლის დედანი დაცულია კემბრიჯის უნივერსიტეტის წიგნოსაცავში. ესაა ქართულ-ებრაული პალიმფსტის ნაწევები.

კიდევ ერთი ხანწეტი ძველი, რომლის მეცნიერული გამოცემა ეკუთვნის ა. შანიძეს, ვახლავთ ე. წ. ხანწეტი დეტიციონარი. უძველესი პერიოდის ძველთა შორის ეს არის ერთადერთი, რომლის ტექსტი თითქმის ზელუზლებლად არის ჩვენამდე მოდწეული და ამის გამო ვანა, კუთრებულს მნიშვნელობა აქვს. ვახწული ხანწეტი ტექსტები ზომ მხოლოდ პალიმფსტისებთან ან წარწერებთან არის ცნობილი დეტიციონარის ერთვებს მხედრული ტრანსლიტერაცია ტექსტისა და სიმფონია.

ქართული და სხვა კავკასიური ენების შესწავლის ინტერესებმა, ძველი ქართული ზელნაწერების სისტემატური და გეგმავომიერი ბეჭდ-

ვის სპირობამ უკარანახეს აკაი შანიძეს, დარხნებისა გამოცემათა სერიები, „კავკასიისა: „Caucasus Polyglottus“ (1935), „ქველი ქართული ენის ძველები“ (1944) და „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“ (1955).

ა. შანიძემ დიდი მსახი დანდო ქართული ბიბლიის ტექსტის აკადემიური გამოცემის საქმეს. მის დიდ დამახაურებლად უნდა ჩითავალოს მუშაობის განახლება ათონური ბიბლიის ტექსტის გამოცემისათვის. 1947 და 1948 წლებში დაიბეჭდა ორი ნაკეთი 978 წლის ხელნაწერის მიხედვით.

„ძველი ქართული ენის ძველების“ სერიაში ა. შანიძემ 1945 წელს გამოსცა ოთხთავი (სახარება), მეცხრე-მეტეო საუკუნეების ხელნაწერთა მიხედვით.

ოთხთავის აკადემიური გამოცემა უდიდესი მოვლენაა ქართული ფილოლოგიის ისტორიაში. შანიძისეულ მუბლიაციას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადასაწყვეტად, მით უმეტეს, რომ ორი რედაქცია პირი. სპირ უდგას ერთმანეთს (გვრდიგვრდი და ბეჭდელი) და ამით გადავლდებულია როგორც მათი შედარება ურთიერთშორის, ისე მათთან შედარება სხვა ხელნაწერების ტექსტისა.

„ძველი ქართული ენის კათედრის შრომების“ სერია ა. შანიძემ დაარბა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ უნდა შეგხრდეთ „სინურ მრავალთავს“, რომელიც სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციითა და გამოკლვეით.

სინური მრავალთავი იმ მხრევა განსაკუთრებით სინტერესო, რომ იგი უძველესი ქართული თარიღანი ხელნაწერია. ესაა ერთგვარი ქრტიკალია, რომელიც შესულია 18 ავტორის 56 ნაწარმოები. სინური მრავალთავი 864 წელსა გადაწერილი იერუსალიმის ახლოს, ხანაწმინდის მონასტერში და წინ უწრებს წარწერებს, თუ არ მივადებთ მხედველობაში ყველა თარიღანი ქართულ წერილობით ძველს ადამის ოთხთავს (897 წ.), იამზის ოთხთავს (918 წ.), კრუკის ოთხთავს (936 წ.) და სხვ. შანიძისეულ გამოცემას წმინდა სანათმეცნიერო მონაწიბი აქვს დანახული.

დღეს ეს დიდი წერილობითი ძველი მთლიანად არის გამოცემული და ხელთა ვაქვებს ა. შანიძის მეცადინეობის წყალობით. ტექსტის ერთვებს ა. შანიძის ვრცელი გამოკლვეა, სადაც განხილულია ძველის აღწერილობათა საკითხები, გადაშლილია ზელნაწერის შექმნის ისტორია და მოცემულია დაკვირებები ენის თავისებურებათა შესახებ, რაც ქართული ენის ისტორიასათვის მტად მნიშვნელოვანია. გამოცემათა შანიძისეული სერია „Caucasus Polyglottus“ იმავე უნივერსიტეტის წამოწ-

ყენა. პირველ ნომარად 1935 წელს დაიბეჭდა ჩვენი მეცნიერების წიგნი „ძველი ქართლის ქრესტომათია“, შეფარდებული საუნივერსიტეტო კურსის მოთხოვნითაა.

დღეაღ მნიშვნელოვანი 1971 წელს გამოცემული პეტრიწონის სავანის ტიპიკონი.

ა. შანიძე, ნ. მართაძე ერთად, ქართული დიალექტოლოგიის საფუძვლის ჩამყარება. მან ადრიადავე შეაგროვა კილოების მასალა და საფუძვლად ჩაუდო გამოკვლევას, სადაც მოცემულია მთის კილოების კლასიფიკაცია და უმთავრესი მოვლენების ანალიზი.

ა. შანიძემ გამოაქვეყნა ბ. ვახუტის ბევსურული ტექსტები, დღეაღ საურაადღებო ქართული დიალექტოლოგიისათვის (1923-24 წ.).

ქართული დიალექტოლოგიისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ა. შანიძის 700-გვერდიან წიგნს „ქართული სალხური პოეზია. 1. ზევსურული“, რომელიც გამოქვეყნდა 1941 წელს. აქ გადაშლილია ზევსურული შეტყვევება მთელი სისახითა და მრავალფეროვნებით, სიძლიერითა და ნიარსებობით. დიალექტოლოგიისათვის ენა და ვახუტის ტექსტები სანდო მასალას წარმოადგენენ მეცნიერული დაკვირვებისა და განვითარებისათვის, მეტად არქაული და მტკიცედ ჩამოყვანილი ქართული დიალექტური ერთეულის შეცნობისათვის.

ქართული სიტყვიერების მასალას ფართო გეგმით და მეცნიერულ საფუძვლავზე შეგროვების აუცილებლობა სრულად ბუნებრივად მოითხოვა ვაშლილი პროგრამა-ინსტრუქციის შემუშავება. და აი, 1916 წელს პეტრიწონადში მარსიელის სერისის — «Пособия для работы по армяно-грузинской филологии», მეორეხე ნომრად გამოდის იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის მიერ შედგენილი «Программа для собирания диалектических материалов по грузинскому языку». (გამოცემულია ამონიშვრად). პროგრამა დაბეჭდილია ორ ენაზე — ქართულად და რუსულად (ერთმანეთის გვერდიაგვერდ). შეხავალ ნაწილში საზგანსუფაო სალხური სიტყვიერების მასალათა შეგროვების საჭიროება და განაპირა რაიონებში ადგილობრივი ინტელიგენტების მონაწილეობა ამ დიდ კულტურულ-ეროვნულ საქმეში.

ქართული დიალექტოლოგიური მეცნიერებისთვის დღეაღ შენაძენია ა. შანიძის ნაშრომი პრეფიქსების შესახებ, სადაც განხილულია პრეფიქსების საკითხი ყველა ძირითადი კილოური ერთეულის მასალაზე და მოცემულია მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები.

ა. შანიძის ყურადღებას იპყრობს ქართული დიალექტების კლასიფიკაციის საკითხი. ამ თვალსაზრისით საურაადღებოა მოხსენება,

რომელიც მან წაიკითხა 1957 წელს ბაქოში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გვერდითანებულ სამეცნიერო სესიაზე: *Классификация грузинских диалектов*.

ქართული ლექსიკის საკითხები ა. შანიძის ადრიადავე აინტერესებდა. ქვე კვადე 1915 წელს რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლური განყოფილების ბეჭდვითს ორგანოში მან მოათავსა რეცენზია მისე ქანა. შეილის ცნობილი ნაშრომისა («სიანვლო»), სადაც აღწესბა ის ინვლოური სიტყვები (დაახლოებით 400.მდე), რომლებიც გამოტოვებულია იყო ქანაშვილის ლექსიკონში, და მოგვცა მათი განმარტება. ეს მომცრო სიტყვისკონა სანიშნუთა განმარტებათა სიზუსტითა და ლაკონურობით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. შანიძის მიერ შედგენილი ვაჟა-ფშაველას ნაწერების ლექსიკონი, რომელიც ერთვის პოეტის გამოცემებს — ლექსებსა და პოემებს.

უაღრესად საინტერესოა აგრეთვე ზევსურული ლექსიკონი, რომელიც ა. შანიძემ დაურთო მისი რედაქციით გამოცემულ დიალექტოლოგიურ ტექსტებს შესაბამის ვახუტისას.

დიდი შრომა ვასწია ა. შანიძემ მე-11 საუკუნის გამოჩენილი ლიტერატორის გიორგი მთაწმიდლის ერთ-ერთი თხზულების (იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების) ლექსიკონის შედგენისათვის.

ა. შანიძის «გ. მთაწმიდლის ლექსიკონი» განსაკუთრებით საურაადღებოა პრინციპული თვალსაზრისით: აქ შემოტანილია ერთი ძირის ზმნების პირიან ფორმათა დალაგება ვარკვეული სისტემით. ლექსიკონში პირველად არის გამოყენებული ე. წ. ინდექსები, რომლებიც აადვილებენ ქართული ზმნის ფორმებში ვარკვევას და ლექსიკონის მოძებრებას.

ამრიგად, ა. შანიძემ შეიმუშავა ორიგინალური პრინციპი, თუ როგორ უნდა დალაგდეს ლექსიკონსა და სიმფონიას სიტყვები, განსაკუთრებით ზმნები. ინდექსების შემწეობით ზმნა დახასიათებულია მოყვლედ, თვალსაჩინოდ და ადეფიზიასხვედრად. ამასთანავე ზერხდება, თავი მოვუყაროთ ლექსიკონში ერთი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნის ფორმებს... რაციონალურად დავალაგოთ ისინი და არ ვაფუტანოთ სხვადასხვა ადგილას», ამბობს ა.

შანიძის განსაკუთრებულ დახასხურებად უნდა ჩაითვალოს ზრუნვა «გუფიხისტაოსნის» ლექსიკური შედგენილობის შესახებავად.

რუსთაველის ქმნილების 1957 წელს გამოცემას ამშვენებს ვრცელი ლექსიკონი, სადაც თავმოყრილია პოემაში ნახშიარი იშვიათი სიტყვები და გამოთქმები, ვაუკებარი თანამედროვე მკითხველისათვის. ამ ლექსიკონის ავტორია ა. შანიძე.

რუსთველოლოგიის ისტორიაში განსაკუთრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოსვლით (1956 წ.).

ა. შანიძემ დიდი ამაგი დასდო სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის გამოცემის საქმეს. 1928 წ. დაიბეჭდა საბის ლექსიკონი ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქტორობით. წიგნს ერთობა ა. შანიძის ვრცელი გამოკვლევა, სადაც განხილულია ლექსიკონის რედაქციები, შედგენილობა, ილუსტრაციები, საჩივრები.

ა. შანიძეს დიდი დავალი მიუძღვის ქართული ენისგრაფიკული ძეგლების შესწავლაშიც. ბევრი „უბუფი“ წარწერა მან აამტვევლა, დაზიანებული ეპიგრაფიკული ძეგლი აღადგინა. იქნება ეს წყისისა თუ მანგლისის წარწერები, კოსისა (სომხეთში) თუ საპნოვანის წარწერა ვრემში, ბუნაშისის წარწერა თუ სხვა, — უვალა ეს მნიშვნელოვანი ძეგლი შესწავლილა ჩვენი მეცნიერის მიერ და მიღებული დასკვნები გაზიარებულა მეცნიერებაში.

ა. შანიძე, როგორც ქართული ენის სპეციალისტი, თავის ნაშრომებში დიდ ადგილს უთმობს ჰანურ-მეგრულსა (კლხურის) და სვანურის აღწერას შესწავლას.

ა. შანიძემ შეისწავლა სვანურის კლოუბი, ჩაიწერა მრავალი მასალა — ლექსები, ზღაპრები, სწავლა-გამოცანები და სხვა. სვანურისათვის დამახასიათებელია კლოუბრი შინასხვაობანი.

ა. შანიძის კალამს ეკუთვნის ფუძემდებლური ნაშრომი „უმლაური სვანური“ (1924 წ.). უმლაურის ბუნების შესწავლამ და გარკვევამ ნათელი მოჰფინა სვანურის ისეთ მხარეს, რომლის გაშუქებასთან დაკავშირებულია ბიძლი მოცულა რთული მორფოლოგიური კატეგორიების გაგებაც.

ა. შანიძემ, ვ. თოფურიახთან ერთად, სათავე დაუდო საქართველოში სვანური ტექსტების მეცნიერულ გამოცემებს. 1939 წელს მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა სერია „მხალღები ქართულურ ენათა შესწავლისათვის“, სადაც გამოქვეყნდა სვანური ტექსტების რამდენიმე ტომი.

1924 წ. ა. შანიძემ წამოაყენა დებულება მეგრულსა და ჰანურის კლოუბრი მიმართების შესახებ.

აკაკი შანიძის მოღვაწეობა, როგორც ქართული ენის მკვლევარისა, მარტოოდენ თეორიული პრობლემების კვლევა-ძიებით არ შემოიფარგლება.

იგი უოველთვის განსაკუთრებული გულისხურითა და დიდი მონდომებით ეკადებოდა ხალიტერატურო ენის პრაქტიკულ საკითხებს.

თავის თეორიულ ენათმეცნიერულ გამოკვლევაში, რომელიც ავტორმა სადოქტორო დისერტაციად წარმოადგინა, ახარტეს უდვილმბული მტკიცებელი საკითხი უკვალ ქართული ხალიტერატურო ენისა: ამ წიგნს დამატების სახით ერთვის „პრაქტიკო ორთოგრაფიის რეფორმისათვის“, რომელიში მოცემულია წესები და მითითებანი, თუ რა და რა შემთხვევაში უნდა ეხმაროთ პე და სანი ზმნებში.

1920 წელს ქართული ენის გულშემატკვარათა წინაშე დაისვა საკითხი ხალიტერატურო ენაში არე-დარტვის მოწესრიგებისა და მყარის ნორმების გამოშუშავების თაობაზე. ვადაწუდა, მოწწუთა ურთლობა თუ კონფერენცია, რომელსაც დაეკისრებოდა სადავო ფორმებში გარკვევა და სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავება. ურთლობის მიზანი, შენაღვეწლოდა და ჰუმობის მოკლე პროგრამა ვაწუთმეც გამოქვეყნდა. ამ დიდ ერთგულ საქმეში მოწანილუმბს შიიღებდენ ჩვენი სამეცნიერო პედაგოგიური ძალები შესაფერისი პროპოზიციით. შედგა საორგანიზაციო კომისია, რომელსაც თავმჯდომარებოდა აკაკი შანიძე. კომისიამ გულდასმით განისილა მთელი რიგი საკვირბორტო საკითხები ქართულ ხალიტერატურო ენაში. 1921 წელს გამოდის ა. შანიძის წიგნი „ხალიტერატურო ენაში. 1921 ქვამეწიგნი „ხალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ (მხალღები კონფერენციათვის)“ კ. კეკელიძის, ვ. აბჯღეღინის, ვ. ბერიძის და ს. ვორგანის თანავეტრობით.

წიგნში „ხალიტერატურო ქართულისათვის“ განხილულია საკითხები გრაფიკიდან, ფონეტიკიდან, მორფოლოგიიდან, სინტაქსიდან და ლექსიკიდან.

ხალიტერატურო ენის ნორმალიზაცია სახელმწიფოებრთვი შრატუნელობის საგნად იქცა საბჭოთა საქართველოში. როგორც შემოთოქვა, ა. შანიძე იმთავითვე ნორმათა მომწესრიგებელი კომისიის წევრია. წლების მანძილზე იგი იყო თანამედროვე ქართული ხალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუღვივი ხალიტერატურო კომისიის თავმჯდომარე.

ა. შანიძეს, როგორც მკვლევარს, კარგა ხანა იზიდავს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გამართვის პრობლემა. ამ დარგში ჩვენი მეცნიერის დეწუთა ძალიან დიდა.

1937 წელს, რუსთაველის საიუბილეო დღეებში, ქართველმა ხალხმა ჩინებული საჩუქარი მიიღო. ეს ვახლავთ ა. შანიძის მიერ აღდგენილი გამოცემა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემისა (ვანმეორებით დაიბეჭდა 1976 წელს).

1956-1961 წლებში ა. შანიძემ გამოაქვეყნა ნაშრომები, სადაც განხილულია და ბევრ შემთხვევაში საბოლოოდ გადაწყვეტილი პოეზიის ტექსტის ზოგი სადავო საკითხი.

გარდა რუსთაველის ენისა, ჩვენმა მეცნიერმა შეისწავლა გიორგი მთაწმიდლის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ენობრივი მემკვიდრეობა.

მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ა. შანიძის ძიებებს კავკასიის ალბანულთა ენისა და მწერლობის სფეროში. მკვლევარმა, შეიმღება ითქვას, დასაბამი მისცა ახალ დისციპლინას — ალბანოლოგიას.

ა. შანიძის ვრცელმა გამოკვლევამ «Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки» (1938 წ.) მსოფლიო მეცნიერებას ამცნო ერთ-ერთი გადამენებელი ცივილიზებული ხალხის დამწერლობის აღმოჩენა, დამწერლობისა, რომლის ბედა აღუდგებდა სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარებს ამ ნაშრომმა დიდი გამოხმაურება მოუტოვა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

1948 წ. მიწვევარსი წარმოებული გათხრების დროს აღმოჩნდა ტაძრის ოთხკუთხა ქვა, უცნობი ასოებით შემოწერილი ირავლივ შემდეგ მას მიემატა წარწერები თიხის ხასან. თღუზე და თიხის ჭურჭლის ნატყებზე.

ა. შანიძემ შეისწავლა ეს უცნობი წარწერები და ისინი ალბანურად აღიარა. ამ ახალი ფრამენტების საფუძველზე მეცნიერებას საშუალება აქვს დაახლოებით წარმოადგინა შემოქმედის უკვე ალბანური ენის აღმავლობა. ჩვენი მეცნიერი აქვეყნებს რამდენიმე ნაშრომს ახალი მასალების საფუძველზე. ავტორი მიდის იმ დასკვნამდის, რომ ალბანური ენა კავკასიური მოდგმის ენა იყო და ძალიან ახლოს იდგა დღევანდელ უღარუთან ა. შანიძის აზრით, ალბანური — ეს არის დღევანდელი უდიდების ძველი სალიტერატურო ენა, ანუ, რაც იგივეა, უდიდები — ეს ძველი ალბანულების ერთ-ერთი ტომის ჩამომავლები არიან.

ა. შანიძის სამეცნიერო ინტერესებში შემოქმედის ლიტერატურისა და ფოლკლორისტიკის საკითხებზე. განსაკუთრებით მას იზიდავს მხატვრული ლიტერატურისა და ზემოხსენებულთა ურთიერთობის პრობლემატიკა. ამ საგანზე ჩვენს მეცნიერს ერთობ საუარადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული.

ა. შანიძემ თავი მოუყარა როსტომიანის ციკლს ვარიანტებს, ჩაწერა საქართველოს სსრ-ის კულტურის, — ამას ემატება მის მიერვე მოთხოვნილი ჩაწერილი დიდად საუარადღებო ვარიანტი „ბედიანისა“, და ტექსტუ-

ლური შედარების გზით ნათქვამი, რომ ხალხური „როსტომიანი“ ლიტერატურული წარმომადგენელია, იგი „შანიძის“ კვლევებითაა შემუშავებული. ავტორის ზიტყვით, ხალხური „როსტომიანი“ ფოლკლორზე ლიტერატურის გადგენის ჩინებულ მავალი წარმოადგენს.

ა. შანიძემ სათავე დაუდო თანამედროვე მეცნიერების მოსოვიანებათა მიხედვით ხალხური ზემოხსენებულთა მასალათა პუბლიკაციის საქმეს.

ვრცელი და საფუძვლიანი „შენიშვნები და ვარიანტები“, რომელიც ა. შანიძემ დაურთო მის მიერ ხანიშუმოდ გამოცემული ხეცხურულ პოეტურ ნიმუშებს (ქართ. ხალხური პოეზია, 1. ხეცხურული, 1981 წ.) წარმოადგენს ფუძემდებლურ ნაშრომს, რომლითაც დაიწყო ახალი ხანა ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში.

რამდენიმე ათეული წელია, საქართველოს უმაღლეს და საშუალო სკოლებში ა. შანიძის მიერ შედგენილი ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოებია მიღებული. ჩვენი ახალგაზრდობა თვით შანიძისავე წიგნებით თვისებს იმ საფუძველებს, რომლებიც მოკავებულია ჩვენი მეცნიერის მიერ.

ქერ კიდევ 1930 წელს გამოქვეყნდა ქართული გრამატიკის პირველი გამოცემა, რომლითაც სტუდენტობა თვისებდა ქართული ენის მეცნიერულ კურსს. იგივე წიგნი, სავარძნობად გადაშუშავებული, დღეს უმაღლესი სკოლის ერთადერთი სახელმძღვანელოა ამ დარგში. უფრო გამართლებული სახით ა. შანიძემ „საფუძვლები“ გამოაქვეყნა „ქართული ენის გრამატიკის“ სახელწოდებით 1958 წელს.

1939 წლიდან საშუალო სკოლებში მიღებული იქნა ა. შანიძის ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო.

ა. შანიძისავე ცუთუნის საშუალო სკოლის სახელმძღვანელო ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურას (ახლ. ბარათიანის და ი. აბულაძის თანავტორობით), რომელიც პირველად დაიბეჭდა 1934 წელს. წიგნს ახლავს ძველი ქართული ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა, რომელიც ა. შანიძის კალამს ეკუთვნის.

1976 წელს გამოვიდა ა. შანიძის ძველი ქართული ენის სახელმძღვანელო. ახეთი დადი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი შანიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე და ზოგადი მიმოხილვა.

ამ მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ ა. შანიძის თავისი დაუცხომელი კვლევა-ძიებებითი მუშაობის შედეგად მრავალ დარგში შეუტანია თავისი წვლილი და ფუძემდებლური შრომებით გამომდღერება ქართველოლოგია.



## მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი

რა მარგალიტებზეა აქ ლაპარაკი? ეს უმაღლესი განათება, თუ მკითხველი გულმოდგინედ გადაიკითხავს დიდი ქართული ფილოლოგიის, აკად. აკაკი შანიძის მიერ შედგენილ ვრცელ კრებულს „ქართული ზალხური პოეზია. I. ხევისრული. 1931 წელი“. ამ კრებულის წინასიტყვაობაში აკაკი შანიძე წერდა:

„ეს წიგნი დასაწყისია ქართული მხატვრული ფოლკლორის მთელი სერიისა. იგი ბერძნისთვის უფროდ საკვირველი და განსაცვიფრებელი მოუღონა იქნება: ბერს აქამომდე არც კი პქონდა კარგად გათვალისწინებული, თუ რა საგანძურს წარმოადგენს ზალხური შემოქმედება და რამდენი მარგალიტი მოიპოვება შიგ. ამ წიგნის გამოცემით ფარდა აგებდება ამ საგანძურს და ყველას შეეძლება ეს მარგალიტები ხელი-ხელთ აკოვმანოს. წიგნის გამოცემა თანაბრად სასიხარულოა როგორც ლიტერატორთათვის და სალიტერატურო საკითხების შეკვლევართათვის, ისე ენათმეცნიერთა, ეთნოგრაფთა და ზუსტიცის თეორეტიკოსთათვის. ყველა იპოვის შიგ თავისთვის გამოსადეგს და სასარგებლო რამეს“.

ქეშმარიტად ეს ასეა. განუზომელია ამ წიგნის მნიშვნელობა არა მარტო ქართული ფოლკლორის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ ზეერთოდ, ქართული კულტურის ისტორიული გზების, ზეინი ზალხის მსოფლმეგრძენების, მისი ტრადიციების, მისი ყოფის და ცხოვრებისეული ფილოსოფიის შესწავლის თვალსაზრისითაც. მთავარი კი აქ პოეზიაა, აღებულნი თავისთავად, მისი ქეშმარიტი სახით, სულ ერთია ფოლკლორის განცეკუფებმა იგი, თუ ბევრდამი ლიტერატურას.

წიგნი ვუვხედება არაერთს შედეგრი, რო-შეღთა დახანათება-შეფასებისას არ დაგენანება შეარჩიო თითა ყველაზე მაღალი ეპი-

თეტები; ეს მართლაც უზადლო ქმნილებებია, ხადაც ჩანს ერის ისტორიული ხასიათი, ქირში გაუტებელობა, მაღალი მორალი, ყველაფერი, რაც ზალხის სულიერ სიმდიდრეს წარმოადგენს: ქართული ლიტერატურის მთელი ისტორიული გზა დასაბამიდანე შეიღროდ იყო დაკავშირებული ქართულ ფოლკლორთან, საიდანაც ქართველი კაცო პირველად იღებდა ბრძნული ზალხური სიტყვის ფრთხანობას.

ხევისრული პოეზიის კრებულისადმი დართული ვრცელი კომენტარები — შენიშვნები და ვარიანტები, დამატებანი, ინტექსები მოწმობენ, თუ რაოდენ დიდი დრო და ენერგია შესწრა აქ შანიძემ ქართული ფოლკლორის შესწავლის საქმეს. აქ აუარებელი ზალხი იხე-ნიება — ჩაშერ-შემგრენი, შოამბენი, შათ ქვაშები... თვითონ ამბის გმარები, ვისზედაც ლექსი მოგვიტობს — ისტორიული პიროვნება იქნება ის თუ ჩვენი თანამედროვე: „შოამბო ბაბუა ქეთილაურმა, ბისოღმა, ზახმატი, 1911 წელს“; „ამ ლექსის ორივე ვარიანტი წავუკითხე 1931 წელს ხანსატელ ხევისურს ბერდია აღუდაურს, რომელმაც პირველი დააწონა და შეროც მოიწონა; „ეს ლექსი გიგატელის ნათქვა-შიაო, შოამბრა ნადირა ბურდულმა, რომელმაც თელავში შევხვედი 1931 წელს“; და ნისდევს ასე დუხსრულებლად ერთი-მეორეს მთიელთა სახელება, ურთიერთ შეტაკებანი, ბრძოლები, ნადირობის ეპიზოდები, კორწილები და ა. შ. და ისეთი შოამბედლებმა რჩება მკითხველს, რომ შეკვლევათა იცნობს მთელ ხევისურეთს, ყოველ შემთხვევაში, ხევისურეთი მან იცნის, როგორც არავინ, თუმცა-და ვანა მარტო ხევისურეთი? მთელი საქართველო.

ძალზე თავსებური და დამახასიათებელია ამბავი, თუ როგორ ეტტუმრა აქ. შანიძე პირველად არბოტს და როგორ გაუშინაურდა ხევისურებს, ასე ვასიჩეთ, ხევისურული კილო-



თი ლამაზაკობს და ღამის ბევსურად მოაჩვენოს თავი მანქანებზე. ალ. ოჩიაური ამ ამბავს ასე გადმოგვცემს (ეს ხდება პირველი მსოფლიო ომის წლებში):

„ზაფხულის ერთ საღამოს არხოტყენები გიორგი ჯაბუშაშვილის ქვიტკირის კარში ვისხედით. უცებ „სოფელი შუაზე“ ქალაქურად ჩაეცმულია ახალგაზრდა გამოჩნდა, რაც მანინ ბევსურთში და ისიც არხოტში შეტად დიდი იშვიათობა იყო. იგი მამაკაცია „ფეხონს“ მოუახლოვდა და ბევსურულ კილოზე დაგვიძახა:

— ვინ გახვრეტხვ. ბევსურებო, არხოტის მთასავი — და კოხუას თვითონვე უპასუხა, — ღმერთის მადლავ, ბურაოს კი ვერვინ დაბრუნებხვ ბაბურაულის შეტვი! — ხალხში სიცილი ატყდა. საქმე იმაში იყო, რომ იმ ხანად არხოტის ზეობაში მდინარე ეძებდნენ. ხმა დაფარდა: ოქრო აღმოაჩინეს და გზის გასაყვანად არხოტის მთა უნდა გაეჭრათ. ბევსურების წარმოდგენით კი ბურაო ვინმე ღონიერ კაცს ხელით უნდა ეტრიალებინა.

ეს ახალგაზრდა დღეს საქვეყნოდ ცნობილი ავადმჯობი აკაკი შანიძე იყო. იგი რამდენიმე დღე დარჩა არხოტში. ცხოვრობდა გიორგი ჯაბუშაშვილთან და სხვათაან ერთად, ღვიძსებაც იწერდა. მანინ პირველად გახვდი მოწმე ხალხური მასალების შეტრებასა.

გავიდა ხანი. ბატონმა აკაკიმ ბესარიონ ჯაბურის მიერ ჩაწერილი მასალები გამოაქვეყნა „წელიწადულში“. ამ ფაქტმა მასალის შეტრების სურვილი აღმძრა. საქმეს შევუდგე და პირველად ჩინაწერი მასალები ა. შანიძეს გადავუცე, რომელმაც იგი თავის ცნობილ ბევსურულ პოეზიის კრებულში შეიტანა.<sup>1</sup>

ალ. ოჩიაურის მიერ ნახსენები ბესარიონ ჯაბურის იყო შესანიშნავი ხალხური პოეტი, რომელსაც აკაკი შანიძე აღრვევ იცნობდა. პირველი მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ბესარიონ ფრონტზე გაუწვევია, დაჭრილა ბრძოლაში და აკაკი შანიძეს იგი პეტროგრადის მოსპიტალში უნახავს. ბევსური ჭარისკაცი აქედან ღორპატში (იურიფევი) გადაუყვანიათ. ამის გამო ა. შანიძე წერს: „პეტერბურგში ყოფნის დროს ბესარიონს ინტერესი აღუფშარ ბევსურული ამბების წერსაღმი და რაკი ამ საქმის უნარი და ნიჭი შევაცხევე, დავაწერინე ბევსურულად (არხოტულ კილოკაზე, რომელიც მინი დედაენაა) რამდენიმე ენოგრაფიული წერილი და აგრეთვე ლექსები. წერა მან ვანაგრძო აგრეთვე ღორპატშიაც, საიდანაც ფოსტით მიგზავნიდა თავის ნამუშავეს პეტერბურგში.“<sup>2</sup>

ღორპატიდან არის გაგზავნილი ბესარიონ

ჯაბურის ის წერილი, რომელიც ა. შანიძემ „წელიწადულში“ გამოაქვეყნა. უმჯობესად საინტერესო აღმოჩნდა გლეხურული კარგად ხატავს იგი როგორც სახელოვან მუსიკოსს, ისე ბევსურ ჭარისკაცსაც, რომ არ შემოიღია იგი აქ მთლიანად არ მოვაყვანო: „ოქტენო მადლკეთილიშობილებავ ა. შანიძე

მე თქვენ გამატანებულ წერელ მივიღიდეს დილით. გუშინ გამაგიტან ოთხ კანვერტ. მგონავ მიიღებთ. თეთრ არ მიმიღავ, ჩქარა მივიღებ. დღეს პრიკავ იყვ: „სამ მანთ თეთრ მაგივიდ“. შიხორ ფეიბეღელში. მადლობელიორ! ისრუ რა გამწვებობს. სრუ თეთრის ძღვერა ხელი ას? ვანა შენ ღმერთ გაძღვეს, სრუ რა მაძღვი? მადლობელიორ! მეუფ. საქმიოდ თეთრს მიტანებ. ვინ გადაგიხდის? ჩემთან ყველა დაკარგული ას, ჩვენს სიბებავეს რა გასწვებობს?

მართლა, აკაკო, შენ მართლად მწერელ-ტყვეო ქალად რა მაგეწერ, იმაში ქვე რა დაგეწერ? „ეტრატან“ ქვე რას გიქვივინს? რამოფენ ხანი ას, შენ გასწავლი, საუბარი ვერ დაგასწავლ? „ეტრატან“ კი არ ხქვიან, მწერელ-შელო, ატრატანი ხქვიან ორ ქალადთ ქვე, ერთ ქალადთ ატრატა ხქვიან. „ეტრატან“ ქვე რას გიქვიან, რას? იმი, ან კიდეც ეს რას გიქვიან: „თუ შინ გამაგიტყვან, გამოიარ აქ“, რა მაგიწერავ „გამაგიტყვან“ კი არ ხქვიან, მწერელ-შელო, მწერელ-ტყვეო, „გამაგიტყვან“ ხქვიან. რა ხელი ას, რა კაცმა ქართული ენა ვერ დაისწავლას? რა წელ ას, გასწავლ, შენ ვერა მაგადინ.

მშვიდობით, ზელ მაგიმართას ღმერთში ზელს ვაწერ ბესარიონ მარტიას ძე გაბურის.

1915 წელს, 7 თებერვალს, ქალაქ იურიფევიჩსე წელს, ზ. თებერვალს,

ემ ნუმერან სეოდნივან ჩვენს ნეფეს ერეკლეს... ნეფე ერეკლე რა მაგვიყვდ, მანინ წახდ ჩენი საქმე: თავის გვარ-ძვალს ვუიდიოთ, აღარ უარსებთ ძველ გზას, ძველ მაკეთეს.

ზელს ვაწერ ქისტის პირველი ბესარიონ გაბურის.<sup>3</sup>

შანიძე ბევსური მოღვემე უწერება ქართული ენის დიდ მერკულეს — „რა ხელი ას, რა კაცმა ქართული ენა ვერ დაისწავლასო“, მაგრამ ყველაზე მეტად საინტერესოა აქ ბ. ნ. აკაკის კეთილი გული, რომელიც ამ შორეთში გადაეპარგულ დაჭრილ ქართველ ჭარისკაცს სისტემატურად „თეოს“ უგზავნის... აქ მართო ფულზე როდია საქმე კაცის გულს ვახალბეი უნდა უმოკნო, თორემ არ ღოგენლობა, თავის იღვრალ ცოდნას არ გაგიმხვდეს და არ გაგიწიარებს. ანატოლ ფრანსი

<sup>1</sup> ფშავ-ბევსურული პოეზია, შეკრებილი ალ. ოჩიაურის მიერ. 1970 წ. გვ 5-6.

<sup>2</sup> წელიწადული, გვ. 120.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 58.

წერდა: „ჩვენთვის, ქალაქელებისათვის ძნელად დასაქვრებელია, რომ მხვენელ-შთხველთა შორის, მინდორში რომ შემოგვხვდებიან ხოლმე, ამ ადამიანთა შორის არიან განსაკვიფრებელი მოქმედები და მათი ბავებებიდან, რომელიც მაგრად არის მოყვრული ან მარტოობის ან უნდაბლობის გამო, მათი ბავებებიდან ხანდახან იფრქვევა სიტყვა, რომელიც არანაყლებს მდიდარი და ლაღია, ვიდრე მომეროსის რაფსოდები“.<sup>4</sup> მაგრამ ამ სოფელშია მომეროსისა რომ გახსნას ბავე და ალაპარაკდეს, უნდა გენდოს, უნდა დიქეროს შენი, მან უნდა დანახოს, დარწმუნდეს, რომ შენ იგრძენი იმ ძველი გადმოცემის სიღაღად, ფორმის სიღამაზე, რომელიც მისგან უნდა ჩაიწეროს. უველაფერი შეიძლება ისწავლოს კაცმა ქვეყანაზე — იქნება ეს შობილოური თუ უცხო ენის კანონები, ლინგვისტიკა თუ ლალიტოლოგია, ისტორია თუ ფილოსოფია, რა ვიცო, რა მოსთვლის კიდევ რამდენი რამ შეიძლება ისწავლოს კაცმა. მაგრამ არის ერთი მეცნიერება, რომელიც ურცო ერთ უნივერსიტეტში ვერ ისწავლა. ესაა სიყვარულის მეცნიერება, კეთილი გულის საუნჯე, რომელიც დაბადებიდან უნდა დაიწყეს ადამიანს. და აი, ბნმა აკაიმ სწორედ იმიტომ შესძლო მარჯვედ გამოეყენებინა თანამედროვე ფილოლოგიისა და ფოლკლორისტიკის უველა მონაცემი და ერთადერთი სწორი ბილიკი ეპოვნა ხალხის გულსაკენ, იმიტომ შესძლო ყოველივე ეს, რომ მან შეიძლება უსაზღვრო ნდობა და სიყვარული დაიხსაზღრა. მათ, რა თქმა უნდა, წარმოადგენა არა მქონდათ ფილოლოგიაზე, მაგრამ გუმანით მიხვდნენ, რომ ეს კაცი რაღაც დიდ პატრიოტულ საქმეს იყო შეიძებულო და წრფელი გულით შეინდნენ. აი ეს იყო გადამწყვეტი: ქვეყანა სადაც უნდა წავიყვანოს შიქმელმა და თითონაც მეგზურად უნდა გამოგვეყვს — ქაღოსნური სამყაროა, განსაკვიფრებელი და სანეტარო — იქ ირმები ადამიანის ენით დაპარაკობენ, იქ ცოცხალია თამარ პირნიზე, იქ კაცს ბალახის ენაც ენმის, იქ წინაპრები დმერთების გვერდით სხედან, მათ ელაპარაკებან, და — ამ სამყაროს შემოქმედი თითონ არის... ერთი სიტყვით, ხალხური შემოქმედი უნდა მოგენდოს და იგრძნოს შენგან განუყრელი სულიერი ნათესაობა.

აი, ეს არის აკაი შანიძის დიდი მეცნიერული ღვაწლის, მეცნიერული და შემოქმედებითი გამარჯვების მთავარი წინაპირობა. ამ ისტორიული საქმის კეთება არ შეიძლება „სხვათა შორის“, აქ საქმეა თაყშეწირვა, ამის უნდა მოახმარო მთელი სიცოცხლე, აქ საქმეა ფანატისობა, ფანატისმამდე მიხული სიყვ-

არული ქართული ენისადმი და იმ ხალხსადმი, რომელმაც ეს ენა შექმნა, სანეტარო ქვეყნის სიყვარული მისი ისტორიისა და სიყვარული ასეთი იყო ივანე ჭავჭავაძის, ასეთები არიან აკაი შანიძე, პავლე ინგოროყვა... კიდევ სხვები, რომელთაც წინ მიჰყავთ ქართული კულტურის ისტორია.

\* \* \*

აი, ასეთი დაუცხრომელი და შთავონებული შრომისა და დიდი სიყვარულის შედეგია ა. შანიძის „ქართული ხალხური პოეზია. ბევსურული“.

ამ წერილს, ცხადია, მიუღი წიგნის განხილვის პრეტენზია არა აქვს. შევეცდები ამ მარგალიტებიდან ორიოდ ქმნილება გამოვარჩიო და მათზე შევანერო მკითხველის ყურადღება. აი, მაგალითად, ლექსი „წულში ჩავარდნა და სიყვადლი“ (ზემოთ. დასახ. კრებული, გვ. 217).

როგორც აკაი შანიძე აქვე დარბოთლ კომენტარებში მოგვიხიბრობს, თურმე ოდესმაც შეიტანეს ცხოვრობდა ერთი პოეტი — ომან სუხია. ეს არის არა მისი სახელი და გვარი, არამედ თიყუნი. ანუ დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, ფსევდონიმი, ხევსურ მოლექსებებს სწორ შემთხვევას ფსევდონიმებით გამოხვლა უყვარდათ, „თიყუნს იქვეანებდნენ“. ომან სუხიაც შატალიელი მოლექსე იყო და თავის სიტყვით ეხმარებოდა ყველაფერს, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. და აი, ერთ დღით მოლექსემ ასეთი ამბავი შეიტყო: — თურმე წინა დამეს, ქორწილიდან წამოსულ მის მეზობელ წიქას წულში სუბენი წაქცეოდა, ჩავარდნილი იყო მორცეში და დამარცხდა იყო.

ყოვლად უაზროდ დახარხო წულმა კაცო, ეგებ, ძალიან კარგი ვუთქაო, მაგრამ ამბავი მაინც უბრალოა, პროზაულია. რა შეიძლება დაწეროს, უყუთ, რა შეიძლება იმდერის მოლექსემ ამ ამბავზე?

მაგრამ თურმე შეიძლება დასწერო ეს ამბავი ისე, რომ აკციო იგი ჭეშმარიტი პოეზიის მარგალიტად; თურმე შეიძლება გადმოსცე ეს ამბავი ისე, რომ წამკითხველისათ თუ მსმენელის გული ერთბაშად ააფორიაქო, წუთისოფლის უველაზე წვეულ კოხვეტზე ჩაფიქრო, აღარ მოახვენო, აღარ დაძინო, ააქანო და ააშფოთო.

ამბის აღწერას მოლექსე ჭერ სათვლიად უბრალოდ იწყებს, ძალზე დარდიანად, მაგრამ უბრალოდ:

წულში ჩაღვარდი, წიქაო,  
მაცილმა ვაგრა მხარია,  
კაცო, ვასწირე შატალი,  
თორმეტ ქვიტყირის კარია!

და მოლექსე კიდევ ჩამოსთვლის, რომ წიქამ ვარია შატლიც, ხაში სამწყსოც ცხვაროც, უბატრონოდ, „ხელმწაურელიად“ დარჩა მისი

<sup>4</sup> А. Франс, собр. соч. т. 8, стр. 261, 1960 г.

სულ რვალით ნაკლები იარაღიც. ასე, უბრალოდ გააწვადებს ავტორი თავისი მთავარი სათქმელის მოსახმენად, რაღაც დიდი და საწინდლის ამისი მოსახმენად მანამდე, ხანამ წიქა ამ საშუალოს გასტყუება და სულეთს მიადგება. ბევრი უნდა იარაღს ხეხურაში ამ ვრძელ გზაზე. ამ გზის ბოლოს კი უფურთხი რა ამბები დაიწყება:

სულეთს შეიღია წიქარი,  
ხელით შაღა კარია,  
სწორებზე გაიცნეს ერთერთი,  
დასხდა ქორების ქარია.  
სამველევითაროდ იმღერეს  
ამოდ შამასტრეს ზარია.  
წუამ სიზღერა იშახა,  
ჩაღხიან მისცა ბანია.  
ვადებმა შატლიონებმა  
სულეთს გაზედეს ძალია,  
სულ გაამტკრეს კარები  
საშუალოს გასავალია,  
იშით გამასწყურათ უფალი:  
„აქით არ დიან სხვანია“.

განსაცვიფრებელი და ძალზე ფანტაზიალი მხოლოდო ლიტერატურაში ბუკრეტს აუწერიათ. ე. წ. მიღმა ქვეყანა, არ ჩამოვთვლი ანტიკური ხანის, რენესანსისა თუ რომანტიზმის ეპოქების ამ დიდ პოეტთა სახელებს, ფანტაზიით მოგზაურობა რომ დაუწყეთ სულეთში, წინამორბედთა ანრდილებს რომ გამოუძახინათ და მეტყობები წაუყვანათ, ან ღვთის წინააღმდეგ აქანუებული პროტესტანტები რომ უქვევლიათ თავიანთი პოემების ვიზიტებში, არ ჩამოვთვლი იმიტომ, რომ პოემების ყველა მოყვარულისათვის ეს სახელები და ეს ნაწარმოებები კარგად არის ცნობილი. მაგრამ ის კი უტყუობია და ჭერ არსად, არცერთი ქვეყნის, არცერთი ეპოქის პოეტის ნაწარმოებში არ წავიციოთავს, რომ ამ ქვეყნიდან წასულეებს სიკვდილი ასე დაემარცხებინათ, ასე იერიში მიეტანათ, სულეთის კარი გამოეტკრიათ და ძალით გამოსულეყვნენ საშუალოში — შინ მისულეყვნენ, თავიანთ სახლებში. ირფეოსი სტოქსს ვადღმა რომ ვადღის თავისი საყვარელი ცოლის ამ საშუალოში წამოხეყავანად, ქადოსნური საყრავის ხშირ მოხიბლავს ქვესენელის საშუალოს დარაქებს, ვერდებოთ მიდის მადღესთან, და ბოლოს, მაინც სახორარკვეთილი და ატირებული ბრუნდება ამ ქვეყნად.

აქ კი, ხეხურულ ლექსში შატლიონებმა ბუდელოს ძალი იხმარეს („გამედებს ძალია“). „სულ გაამტკრეს კარები, საშუალოს გასავალია“, არაუარეზ ჩაადგებს უფლის წყრომა — ჭერ მაგ გზით არავის უფლიაო. ასე ებრძვიან შატლიონები სიკვდილსა და მარადიულ არყოფნას. ან როგორი პლატიკური სურათია, როგორ ცოცხლად არის დახატული წიქა, ხე-

ლით რომ შეადგებს სულიეთის კარს, თითქოს შინ შესულეთის, უმაღლესი იცნობენ [ქ] მყოფნი, მასზე ადრე წასულნი, მერტ დასხმებს ქორების ეს ქარია, სამგლოვიარო ზარის იტყვიან და გაბრახებულები ღმერთსა და სიკვდილზე სულ დაღრეყენ სულეთს, რათა შინ, შატლიონი, თავიანთ სახლებში წამოვიდნენ.

ყველაზე მეტ გაცივებას აქ იწყებს ფანტატიკური და რეალიტიკური პლანების ასეთი ურთიერთ გადახედა თუ გადახლართვა, ფიქრის ასე უანგანობრივება — კარს რომ ამტკრევენ სიკვდილისას, თითქოს მართლაც ხადმე იუოს ეს კარის მაგრამ ჩამხედდეთ რა აზრია ჩაქსოვილი ამ ფანტატიკურ სახელებში — როგორი სიუფარულია სიციცხლისა და როგორი ვაჟკაციური დათრგუნვა სიკვდილისა. მისტიკური და ფანტატიკური ელემენტები აქ შინაგანად მოხსნილია, ეს დედააზრი კი არ არის, უბრალოდ, ეს მხატვრული ფერებია, ხერხია აღამიანის გულის ყველაზე სასუფარი ფიქრების გაღმოსაცემად, იმ დიდი და ეთილი გულისა, სიციცხლისა და წუთისოფლის სიღამაზეს რომ შესტრფის. მაგრამ ეს ვაჟკაცის სიუფარულია სიციცხლისაში — ის კი არ ტირის, მუხლზე კი არ იშოქებს, იბრძვის და ამტკრებს არყოფნის ბნელ და მოუწვდომელ ჭურღმულებს.

ეს არის ნამდვილი პოეზია. ჩვენი დროის აღამიანმა, გამსქველულმა შატერიალიზმის სულით, კარგად იცის, რომ არ არის არავითარი მიღმა საშუალო, მაგრამ შეუძლებელია არ მოხიბლოს ამ ნაწარმოებში. იმიტომ, რომ აქ მიღმა საშუალოზე კი არ არის საჭი, არამედ აღამიანის დაუძლიველ და მოუღრკველ სულზე, ზარითა და გლოვით. მწუხარე დიდიანთ რომ ებრძვის სიკვდილს, რათა აქციოს ყრმა ვაჟკაცი, მოქალაქედ, მებრძოლად, რათა იგი იუოს შემბარად და უშინაში, იცილეს ფახი წუთისოფლისა და შესტრფოდეს ამ ტყუთა სახადანაროს.

ამ თემას ხეხურის მთქმელები ხშირად უბრუნდებან. ახალგაზრდა ქალს თავისი გარდაცვლილი ძმების ნახვა მონატრებია, შხად არის მათ სანახავად სულეთს წავიდეს, მაგრამ გზა არ იცის და ამის გამო დარდება და წუხილს მისცემა („გზანი მასწავლე დედაო, გზანი იმ სულეთისაან“). შიშველი ხშირით ხელში სულეთში შედის კლბა ცისკარული, ოცი წლის ოფიცერი, მოკლული პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე. საერთოდ, ციკლს ლექსებისას ამ კრებულში, რომლებიც ომისაღმა მიძღვნილი, უჩვეულო ემოციური ზემოქმედების ძალი აქვს; ეს ყველაფერი ჰგავს იმ კაცის ნაამბობს, რომელიც ყოველთვის იყო და რაღაც სასწაულის ძალით ცოცხალი გამოვიდა იქიდან და ის იწყებს თბრობას, ლექსად უამბობს მისწენებებს თუ რა ნახა მან იქ, ბრძოლის ველზე.

ამ შირივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბე-  
 საჩინის ლექსი „მხოვლი ომის დროს,  
 1918-19 წლებში დაბოცილი არხოტუნები“.  
 მელექსე დასტარის თანამომგებების, ხევსუ-  
 რის ქარისკაცების საფლავებს, რომლებიც  
 მიმოიყარებოდა ზოგი „სათათრის ფრონტ-  
 ზე“, ზოგი ავსტრიაში, ზოგი კიდევ ფრონ-  
 ტის სხვა უბნებზე. ეს არის უაღრესად ვაჟა-  
 უფრო გლავა, სადაც ყველა სიტუვა ვერის,  
 როგორც ხმა იმ ფლადის ზარისა, რომელ-  
 შიც წმინდა ვერცხლი ზღაპრად არის შერეუ-  
 ლი. მოფიყვანი ცალკეულ ადგილებს ამ ლექ-  
 სიდან:

ოხერო წუთისოფლო  
 მიღობარ ნელა-ნელო,  
 ჟერ ისეუ ბნელი დამეა,  
 ზარბაზანთ იწყეს ხელო.  
 რად სტირი ერთის დედაო?  
 რად იყო გულის ძეგრაო?  
 სწანოცალ შიგონინდი,  
 ტირის ბერბას კერაო.

იმლაში, შანგიაშვილო,  
 ქაუბებში დასიგენაო,  
 ჟიხვია, სიმაგრეს ნადგომთა  
 ვეღარცად შიხწვერაო,  
 რად სწევხარ ავსტრიაშია?  
 „მოესა“, — მოველის ყველიო  
 ჩუნთავე, ბარჩლას შვილო,  
 გულ-რკინავ, მშველის ფერაო,  
 შენ სიმაპაე, გრაწაო.  
 სათათრის ფრონტზე სწერაო,  
 თქვენებს საფლავებს, ვეფუო,  
 შისი შექ სადარა ხეფნათს  
 შეგამკობს დილის ნიავი,  
 ია-ვართ ამიდენაო.  
 შამეტებულად წეროლსა  
 გულს დარდი აწევს ბერბაო.  
 ინატრის არხოტიონი:  
 „სამ დღესაც გამამოვლოთ,  
 დამალახევიე ქისტეთი,  
 შემრ მაშკლა, დამსიგენაო!“

კომლამი ბესარიონა  
 ემაგ ლექსის შთქმელაო,  
 ვინ-ვინდმ კეხხანი ზამედათ,  
 ყველას სიმაართლით ვსწერაო,  
 ჩემთა მამ-პაპათ ქირიშე,  
 მიყვარს შე იმით სმენათ,  
 სიხელიანებს საფლავებს  
 გულდღაო გადავსცქერაო.

მელექსის ძალუმი ფანტაზია აქვს: იქაც,  
 ნაღლაშვიც კი შატროს და ოცნებობს სამ-  
 შობლადან შორს მოკლული არხოტიონი —  
 ნეტავი ხამი დღით ამაყენა, „დამალახევიე ქის-  
 ტეთი“, „შემრ მაშკლა, დამსიგენაო“, ზოლო

ის ხილვა, შისი მკრთალი შუქი რომ ეფი-  
 ნება ვინ იცის საიდან სადამდე გაფანტულ  
 ქართულ საფლავებს, ეს ზურათი კერძო-  
 ტად კარგი ოსტატის ზეღით არის გამოყე-  
 თილი.

კიდევ ერთი საყურადღებო ნიმუში ამ  
 კრებულადან. იგი გამოირჩევა სახეობრივი  
 აზროვნების საოცარი ექსპრესიით და იდე-  
 ურ-მატერული მთლიანობით. ეს ლექსი შე-  
 ძლებს მივსკოლენით ერთგვარად ფილოსო-  
 ფურ ლირიკას, თუ კი ფოკლორზე ლაპა-  
 რაკის დროს შეიძლება ამ ტერმინის ხმარება.  
 აბა მოვხსინეთ:

გულსა მომწევა ვარამი,  
 ვით ნაგებარი წყალიო,  
 რა ძლიერ შევწუხებულეარ  
 გუნება მიძე მცხრალიო.  
 გამაგრდი გელო, გუნებაე,  
 როგორც შყინვარი სალიო,  
 თორ მალე მოე სიკვდილიო,  
 კუშტი, არ მოციხარო.  
 სულ დამაიკლებს ჟაერებსა  
 იმნარიი აქე ზარიო,  
 უნდა წამართუას უეცარ,  
 რაც მისი შადუნს ვალიო.  
 გაგეჭე? სად უნდა წავიდე,  
 ცხენიც რომ შეყდეს ჩქარიო?  
 შავებმა? არ დამინებს  
 ჩემი ფრანგული ხმალიო!  
 ვიტარიო? არ შემიცოდებს,  
 არ იცის ცოდობაჩალიო;  
 ვებეწეო? არ გაივოწყებს,  
 უნდა იხმაროს ძალიო,  
 ისეუ სჯობს გულით ვილხინო,  
 სინამ ცოცხალი ვარიო,  
 ვისა აქვს მეტი სიკოცხლე,  
 უფლისგან ნაშუქარიო.

ამ ლექსში გამოხატული ცხოვრებისეული  
 ფილოსოფია უფრო ლაკონურად, უფრო შიდა-  
 როდ და უფრო ადრე გადმოსცა რუსთაველ-  
 მა: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწ-  
 რო, ვერცა კლდეოვანი... მაგრამ რუსთავე-  
 ლის სიმაღლეს ვინ და რა უნდა შესწავდეს  
 იგი უზადლო იყო პოეტური ოსტატობითაც  
 და განსწავლულობითაც — ზედმიწევნით იც-  
 ნობდა როგორც ანტიკურ, ისე შუა საუკუ-  
 ნეების აღმოსავლურ და დასავლურ ფილო-  
 სოფიას, ასევე — ძველსა და თავის დროის  
 მხოვლიო ლიტერატურას. აქ კი ჩვენს წინა-  
 შუა უბრალო მწეუხსი, რომელსაც ის პოეტები  
 მაგრამ მინც, დახეთ, რა აზრიადალ შაქ-  
 ლობს წუთისოფლად აკვარგზე, ცხოვრების  
 დედაზრზე, რა მოყვითილი სახეებით გადმოს-  
 ცემს წარმავლობის სეფდას.

ვარდი ძალიან იშვიათია ხევსურეთში; ხა-  
მაგირი, იპაურის ალპური მდელიები გა-  
დაჭრულულია ღამაში ყვავილებით, იქნება  
ეს კესანე თუ ნაშიკრეთა, ია თუ წითელი  
გვირილა, პირიწვე თუ კენკეშა... ყველა ქვე-  
ნის და ყველა დროს სატრფიალო პოეზია-  
ში სატრფოს, ჩვეულებრივ, ყვავილებს ადა-  
რებენ, ვარსკვლავებს, მზის სხივებს („ანა  
მემა ვარდი ყოილი, რა პარზე დაგვუბრეო-  
დი“, „წიგნი დავწერე, მოგართვი, ვარდო  
გაშლილო ველად, სოსანმა, ნეკო-ნარგისმა  
შეგამყო ფერად-ფერად“ და ა. შ.); სატრფი-  
ალო ლექსებში, რომლებიც აკაკი შანიძის  
ხევსურული პოეზიის კრებულშია გამოქვე-  
ნებული, მარტო ერთ ლექსშია ასეთი შეტაფო-  
რა:

მაღ-მაღლედ მომაგონდება,  
ქალო, ალიათ ზორაო,  
არ ღვანდი აღამიანა,  
შატრული ვარდის კონაო.

ეს არის და ეს.. ყვავილის ხსენებას სხვა-  
გან იშვიათად წააწყდებით, და ეს იმიტომ,  
რომ ხევსურს არ ეცალა ყვავილებისათვის.  
ამას თვითონ აკაკი შანიძეც აღნიშნავს. კრე-  
ბულის წინასიტყვაობაში იგი წერს:

„სატრფიალო ლექსები (MxN 223-445,  
728-730, 755, 788) შედარებით ნაკლები  
ოდენობითაა წარმოდგენილი. ამ დარგში ხევ-  
სურები ჩამოუვარდებიან ფშველებს. მაგ-  
რამ ჩამოუვარდებიან არა იმიტომ, რომ ხევ-  
სურებს არ შეეძლოთ ფშველებზეთ მოხდე-  
ნილად თქმა ლექსისა სიყვარულის შესა-  
ხებზე, — არა, ეს დარგი პოეზიისა არ  
არის ხევსურის მეორეული ბუნებისათვის  
მაგრე მიწიწველი... ხევსურს მოსთხოვეთ  
ლექსები უფრო ხმლის ქნევისა, ფარის ფა-  
რებისა, ომისა და ცდის შესახებ, სადაც  
მას ვერაფერ შეეძლება“...<sup>5</sup>

დ. გოგოჭური, რომელმაც სპეციალურად  
შეისწავლა ხევსურული სატრფიალო პოეზია,  
ახსნა თუ რატომ მოხდა, რომ ხევსურეთში,  
ადგილობრივ მკვლევართა შორის საგმირო-სა-  
ისტორიო თემატის კოპულარობამ ერთგვა-  
რად დარბილა სატრფიალო-სამიწურთო მო-  
ტივები, და ისიც გაარკვია, თუ რატომ არ გვე-  
ჩვენება ხევსურული სამიწურთო ლირიკა ისე  
მდიდრად და მრავალფეროდ, როგორც ეს  
არის სინამდვილეში. „ხევსურულ სატრ-  
ფიალო პოეზიას ნაკლებად იხსენიებენ  
და ეს არც თუ ისე გასაკვირია, ვინაიდან  
ამ პოეზიის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო  
შეკრებილი, რის გამოც მკვლევარები მოკლე-

ბული იყვნენ ნაშუალებას, სრული და ნა-  
თელი წარმოდგენა ქონოდათ ამ ნახალებზე.  
აღნიშნულ მდგომარეობას ფრენი მიზეზები-  
ქონდა. სატრფიალო პოეზია თითქმის  
მთლიანად ქალთა რეპერტუარში შედიოდა-  
და ამიტომ მისი ნაწერა მხოლოდ ქალი  
მოქმედებისაგან შეიძლება. თუ გავიხსე-  
ნებთ, რომ ხევსურული პოეზიის პირველი  
შემკრები მამაკაცები იყვნენ და აგრეთვე  
გაერთიანების შემდეგ ხევსური ქალის თემურ  
ეთიკას, ცხადია, ხევსური ქალი ქალაქიდან  
ჩასულ უფრო მამაკაცი მოქმედებდა არ და-  
უჭებოდა და სატრფიალო ლექსებს არ მო-  
უთხოვდა. ეს რომ ასეა, ამისა ნათელი  
აღსტრავიაა გამოქვეყნებული მასალები:  
ვერც ერთი შემკრები მამაკაცი ვერ უთი-  
თებს მთქმელ ხევსურ ქალზე. ა შანიძის  
მერ გამოქვეყნებულ სატრფიალო ლექსებზე  
დაბრუნდნენ შენიშვნებიდან ვგებულობთ, რომ  
ქალისაგან სატრფიალო ლექსების შეკრება  
ისეც ქალს — ადგილობრივ მასწავლებელს —  
ნინო კონძის უწარმოებია“.<sup>6</sup>

და მიხედვით, მოუხდებოდა ყოველივე ამისა,  
ხევსურ ქალთა სამიწურთო ლირიკა „ერთ-  
ერთი უშუაგონიერსაგანა თავისი მრავალ-  
ფეროვნებითა და გამოშხატულობითი სერხე-  
ბის სიღრმით“.<sup>7</sup> ამის დამადასტურებელი ლექ-  
სები უხვადაა წარმოდგენილი ა. შანიძის კრე-  
ბულში.

ერთი სიტყვით, აქ წინა პლანზე დგება  
ხევსურის პოეტი-ქალის შემოქმედება. რო-  
გორც ცნობილია, ძალზე მცირეა შეტყობი-  
ლად საუკუნის ქართული ლიტერატურის ის-  
ტორიაში პოეტი-ქალის რიცხვი; უფრო ად-  
რინდელი ეპოქებიდან ისტორიამ შემოვი-  
ნახა მანანას (გვარი უცნობია) ორიოდე ლექსი-  
და ერთდღე მეფის ასულების (მარამი, ქე-  
თევანი, თელე) ნაწარმოებები. ამას ვარდა,  
ცნობილია კიდევ ორიოდე სახელი. ეს არის  
და ეს. ასეთ ვითარებაში როგორ არ უნდა  
მოქცეოს უფრადლება ბრწყინვალე პლედამ  
პოეტი-ქალისა, რომელნიც წარმოდგენილი-  
არაან აკაკი შანიძის კრებულში „ქართული  
ხალხური პოეზია“. მართალია, საკმაოდ შე-  
სამჩნევი მიწა ამოირებს ერთი-მეორისაგან  
ლიტერატურის ისტორიას და ფოლკლორს, მა-  
გრამ ამ მიწას, ამ შემოხვევაში ადარა აქვს  
მნიშვნელობა, მათ ხერთო უფრო მეტი აქვთ —  
იქაც პოეზია და აქაც...

გადავხედოთ ამ ლექსებსაც, პოეტი-მოქმედ-  
თაგან პირველ რიგში ურადლებას იქცევენ  
თა მარა (გვარი უცნობია). ცალკეული დე-  
ტალების მიხედვით ჩანს, რომ იგი სწერს

5 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I  
გვ. 013.

<sup>6</sup> დ. გოგოჭური, მელექსეობა ხევსურეთში,  
თბ. 1974 წ. გვ. 108.  
<sup>7</sup> იქვე.



პირველ მსოფლიო ომის წინა წლებში და ომის დროს. ახა ნახეთ რა მგრძობიარე-გულში ჩამწვდომი სიტყვებით ნიშანთვის იგი შორეთში გადაქარგულ, ომში წასულ სატრ-ფო:

დღე-ღამე მალოდინი მაქვ,  
სრუ ვამაგხედვ ვასასო...  
ივრთლებულსა კიმილასა  
როს-რა მავლებ თვალსაო.  
როს-რა დასდებრი, ვაქცაყო,  
თავის სწორების მხარსაო.  
როს-რა იქნები ეს დროი,  
სტუმრად რა მედღე სკაშსაო?  
ყანწს სემიდე არაყინსა,  
მადღეგრძელებდე ქალსაო?

არავითარი შედეგით ამ ლექსს არა სქირ-ლებსა, ჩვენს წინაშე ნამდვილი პოეტია, რომელმაც იცის როგორ გამოხატოს ვანშორე-ბის სევდა-ნაღველი. ამავე ლექსში თამარი მოვეითბრობს, რომ ნახვის სურვილმა იგი მთას გადაღმა, სატრფოს სოფელშიც წაიყუ-და, მარამ ფერი დაქარგოდა კიმილასაც და მთელ მიდამოსაც:

მე მგზავრად მივედ თქვენშია,  
გადავბე ქალი მთასაო,  
სერ-ფერ წასვლოდა კიმილასა,  
ქვარსა და ქვარის კარსაო.  
წამოველ საჩქაროხდება,  
ესევე გარმეხე მთასაო.

მიერს ლექსი თამარისა ისევ ს სიყვარულის თემას ეტება და შეიცავს ხილვას თუ წმანე-ბას ლოდინით და დარღობ დადღღ-დაქან-ცულ ქალისა, ფაქტში რომ ზედავს როგორ ბრუნდება შინ შორი ქვეყნიდან მისი შეყუ-არებული და მოათამაშებს მის სხივებზე ფეხ-თეთრს ცხენს:

...ღმწან თუ გელიწნებოდა,  
ამადიდოს მზენია,  
მთგვეანდა თამაშობითა  
შენი ფეხ-თეთრი ცხენია,  
გზაში რა დაგხვდა მშობლიო,  
ბოთლა ექირა ჭრელია...

აქ შექმნილია განგვიხილა „ხევსური ქა-ლის ლელას ნათქვამი ლექსი“ (829), „ქალის ლექსი ასაღვარდებს“ (832), ჩაღბთ მ ა რ ი ე-შის „სიხმარსი სანახავი“ (843), „ქალის ნანახის ნათქვამი“ (868), ნათქვამი ბუბაი-სა, ხევსური ქალისა“ (865), ნანუკა არა-ბულეს ლექსი (890) და მრავალი სხვა, მა-გრამ ეს შორს წაგვიყუანდა.

ამ ქალებს უაღრესად მგრძობიარე პოეტუ-რი ფაღი და გული აქვთ. მათ ლექსებში ჩანს ხამყაროს ის პოეტური ხედვა, რომელიც როგორც ზევიურ გლვის უფცარს გამოყრთო-

მა და გამოჩაობდა, ახასიათებს კუმარტად მაღალ პოეზიას. შემდეგ — და ეს ყველა-ზე უფრო საინტერესოა, ისინი თავიანთი გრძობების გამოხატავი უაღრესად უშუა-ლონი არიან, მათ ლექსებში არის უზრალ-ო აღმანიერი დარღი და ნაღველი, რომელიც არავის შთაფერხობს; მათ არავისი ვაღვენა არა აქვთ. აქ ჩანს სიყვიისადმი უზრალ-ბუნებრივი ღტოლვა, ბოროტებისადმი სიძულ-ველი, სწრაფვა ნათელისაკენ, მზისაკენ, ბედნიერებისაკენ, რომელიც ასე ხანმოკლეა წუთისოფელში და უმეტესად ჩამწარებული; მათ არ აწუხებთ ათსნაირი დიდებები და სი-ლოჯიზმები, თვითონ იწუხებენ და ამთარე-ბენ ცხოვრების ფილოსოფიას და ასევე ბუ-ნებრივად ჩანან, ხევსურეთის ბუნების ფონზე, როგორც ის უფვილები, რომლებიც ამკობენ არხოტისა და დათვიჭრის მდილოებს.

\* \* \*

მემატანე და ხალხური მოქმელი... ისტორიო-გრაფია და ფოლკლორისტიკა... საღ, რა გზათ, რა მიწნით უკავშირდებათ ისინი ერთ-მეორეს? ხალხური პოეზია ერთ-ერთი უმნიშვნელოვა-ნისი წყაროა თვით ხალხისავე წარსულის მა-ნამდე გაურკვეველი და ბნელით მოცული სა-კითხვებს შესწავლის დროს. ამ საკითხის გაბ-არკვევად საჭირო ვახდება ხალხური ლექსები ერთი ციკლის ჩაწერის ისტორია გავიხსენათ.

1888 წელს, „იერიანიში“ (№126) ნ. ურხნელ-მა გამოაქვეყნა ხალხური ლექსი „ავარდა ბა-ტონიშვილი“, რომელიც მან ჩაუწერია ალღა ზენიაშვილისაგან. 1911 წელს, სოფ. ბარისბო-ში ა. შანიძემ უყენახოელი ბაბო კინცხაუ-ლისაგან ჩაწერა ხალხური ლექსი ასეთივე და-საწყისით („ავარდა ბატონიშვილი“); 1913 წელს ა. შანიძემ, თვლივში, მინდა ქისტაუ-რისაგან ჩაუწერია „ხევსურები გორის ბრძო-ლისაში“; შემდეგ, 1925 წელს ხევსურ სტუდენტს ერ. ბალიაურს გადაუცია თავის მიერ ჩაწერა-ლი ლექსი „ავარდა აღექსანდრი“; ამავე ციკლს განეუთვნება ბესარიონ გაბორის მიერ თქმული „ერიკლე დაუბარბდა“... ლექსების მთელი ეს ციკლი, თუ ერთი ლექსის ვარიანტე-ბი, გამოაქვეყნებულია ა. შანიძის კრებულში „ქართული ხალხური პოეზია“, I, ხევსურული (გვ. 17-18 და 857-861).

ჩვენ ერთბელ უკვე აღვნიშნეთ, რომ აქაც შანიძის ამ კრებულს, „ხევსურულ პოეზიას“ ფხადაუდებელი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თავისთავად, ე. ი. ხალხური პოეზიის გამოშე-ურებისად და შესწავლის თვალსაზრისით, არა-მედ საქართველოს ისტორიისათვისაც. აქ შე-მონახულია ისეთი ცნობები, რომლებიც ოფე-ციალურ მატანებს არ აღუნუსხავს და ამიტომ მთი უფრო ძვირფასია, რადგან ნაწილობრივ მანაც ავსებენ იმ ბარეუს ჩვენს საისტორიო

მწერლობაში, რაზეც ალია ჭავჭავაძე გულნატკენი ჩიოდა: მატიაშვი უბრალო ადამიანები არ ჩანანო, ხალხი არ ჩანსო.

ლექსი „ხევსურები გორის ბრძოლაში“ თავის ვარიანტებითურ წარმოადგენს არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორითადაც დიდად დამახასიათებელ ფენომენს, რომელიც ნათლად ჩანს ე. წ. დანაშრევები, ფენა-ფენად დაწყობილი გამოძახილები იმ ომებისა, რომლებიც მე-17-18 საუკუნეების მშობლურ გადაუხდათ ქართულ ქარტის სამშობლოს დასაცავად. ეს შობილებიდან და გამოძახილები როგორღაც პლასტების თუ შრეების სახით გადაჰყარავენ და შეერწყმიან ერთმეორეს. მაგრამ ისე რომ მომდევნო მოქმედი, მნახელი თუ მონაწილე ახალი ომისა, კი არ ჰყარავს, ასხვედრებს და ახალს უფარდებს ბრძანდებს, ადრინდელი ომის რეალიებს. აქ წმინდად ხდება, რომ ერთი სახელი ისტორიული პიროვნებისა შეერწყმის მეორეს და ერთის გამარჯვება თუ მარცხი მეორეს მიეწერება, ანაც მთლიანს საფარველი რეალური ისტორიული სარდალი თუ შედეგი, ან რაინდობა ჩნდება. აქ ზუსტად თავს იჩენს ა. ნ. ვენელოვსკის შიერ შემჩნეული და აღნიშნული კანონზომიერება, როცა მკვლევარი აღდენს პოეტური ეპოსისა და მატიაშის ურთიერთ დამთხვევისა თუ დაცილების ანალიზს და განიხილავს პლასტების თუ დანაშრევების საკითხებს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ფოლკლორული ნაწარმოებების მათსავე წერტილობით მატიაშეებთან შეპირისპირების საფუძველზე.<sup>6</sup>

ახლა დაფუძრულდეთ ისევ ხევსურულ ლექსებს გორის ომზე. აქ, სულ ცოტა, ოთხი ომის გამოძახილი იხმის: ესენია 1659 წ. — ბატრიონის ბრძოლა; 1724 წ. — ბრძოლა ატენის მოსვლას; 1744 წ. — ბრძოლა ოსმალეთის ქართან, გორის ზემოთ, რუხთან, 1765 წ. — კრწანისის ბრძოლა. აქ, ამა თუ იმ ბრძოლაზე მივყავართ ნან ტაონიმიურ ცნობა, ხან ვიმართ სახელი (მაგალითად, თუ ნაღობა ზონარაულია ნახსენები, აშკარად ბატრიონის ბრძოლაზე ლაპარაკი), ან საერთოდ ვითარება ბრძოლისა — გაშარჯება თუ დამარცხება, ან ისტორიულად ცნობილი სარჯლის სახელი (ტრეკლე ბატონიშვილი, გვიც ამილახვარი, შანში ერისთავი და ა. შ.).

და აი აქ საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ხევსურულ ლექსში, ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელი და უფრო გვიანდელი ომების ამბებთან ერთად, 1724 წლის ომის გამოძახილიც იხმის.

ეს ომი ცნობილია ისტორიაში ზედაველას ომის, უფრო ზუსტად, ატენის ომის სახელწოდებით.

დებთ, ამ ომის მონაწილე იყო სახელოვანი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი. როცა ჩვენ ვმუშაობდით მონოგრაფიაზე გურამიშვილის შესახებ, მაშინ მოგვცადა სპეციალურად შეგვესწავლა ამ დიდად ტრავმული ომის მთელი მსვლელობის ისტორია.

ატენის ომის შესახებ ვახუშტი წერდა: „ხოლო შემდგომად მეფე ვახტანგისა შერბნენ ქართველნი, მოიყვანეს მამად-ყულებისა კახით, თუშით, ფშაველ-ხევსურით და დადგინდნენ დედოფნიდაც, ამის მცნობთა ოსმალთა წარმოქმულანს იესე საბარათიანოს სპითა და წარმოყვანდნენ. ხოლო ქართველნი მიეკვებნენ გულთას, ეყვანდნენ და ეფლტოდნენ ურუმს. მთუბდა იესე, მოაქცია ოსმალნი, ეყვითა კვალად. მოსრნა და ეფლტოდა გვიც ამილახვარი და წარმოიყვანა ამან მამად-ყულებისა, მოყვანდნენ ოსმალნი, მოსწყვიდდნენ ესოდენ, რამეთუ თავნი ურუმბითა წარიდო ერთი ყაფლანაშვილმან ტფილისს, რაჟამ ფაშისა თანა, რომელმან მოსცა ოცდაათი დრაკანი ჭილდოდ, და დაიპყრეს უოველი ქართლი.“<sup>7</sup>

ეს ომი ვრცლად აქვს აღწერილი იესე ტლამაშაძე („ბატონიანი“), აღწერილი აქვს დავით დავით გურამიშვილს და საინტერესოა, რომ მასვე ემსახურება ხევსურული მოდექსე, უშუალოდ მონაწილე ამ სახედისწერო ბრძოლისა:

სადაც ჩანს ეს? პირველი — ამას ცხად-ყოფს ლექსის ის ტრეკონები, რომლებიც გვიც ამილახვარს ეხება:

დაგვექცა ცხენიანები,  
ქვევით დაგვადგა ძალით,  
ამილახვარც ვაგვექცა,  
ცალი მაგეტბისა მშარით.

რას ნიშნავს „დაგვექცა“? ალბათ იმას, რომ დაიღუპნენ, დაიქცნენ ჩვენი ცხენოსნები. უფროდ ამ მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი ეს სიტყვა, ფოლკლორული ლექსის სტრუქტურის ახტი გაგებას მხარს უჭერს ლიტერატურული წყაროც. იესე ტლამაშე ამ ბრძოლის აღწერის დროს ოსმალელებზე ამბობს: „ზედაურს ცხენზე იხდნენ, კაცი წაუა მით არა, რა შეუძლია ქვევით კაცს, ისინი იყვნენ მწაღ არა“. ფიგურაზე გადმოვკვივს არაგვის ერისთავზე: „ოთარ წავიდა ლაშქართა, უკან ეჭირა თვლით, ყმა უთხრა: „არ გაბრძობე, ცხენი არა მუცის მალა.“ ლაშარაცა სარდალზე, რაღა თქმოდარივით მეომარზე ტლამაშე იმასაც აღნიშნავს, რომ გორის მხრიდან ოსმალის ცხენოსანი ქარი წამოეშველა თვისიანებს. ამრიგად, ხევსურული ლექსების იესე ტლამაშე სამკვირს უღასტარებს, რომ ბრძოლის ველზე ოსმალის კვალიერამ გადაწყვეტილი როლი შეასრულა. გვეტყვიან, ეს ყველა ომში შეიძლება მომხდარი-

<sup>6</sup> А. Н. Веселовский, Историческая поэтика, 1940, стр. 470—475.

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრება, IV, 1973 წ. გვ. 568.

ყო, მაგრამ როცა გორთან მომხდარ ომზეა ლაპარაკი და, ამასთან ერთად, ისიც აღნიშნულია გვი ამილახვარმა ფრონტის ცალი ფრთა გააშვილაო („ცალი მაგვტეხა მხარით“), ეს აუცილებლად 1724 წლის ომია და არა 1744 წლის ომი, როგორც ამას ცალკეული ჩვენი ფოლკლორისტები ფიქრობენ, საქმე ისაა, რომ 1744 წლის ომში გვი ამილახვარი ხაერთოდ არ ყოფილა ქართველების მხარეზე. ის უსუფ ფაშას ქარში იყო და ოსმალებთან ერთად უბრუნდა გორის ციხეს, რომელსაც თეიმურაზ II იცავდა. მაშასადამე, 1744 წლის ომში ზეესური მოლექვე გვი ამილახვარს თავის თანამებრძოლად ვერ ჩათვლიდა და ვერც საყვედურს იტყოდა — ბრძოლის ველი უდროოდ მიატოვია.

ხოლო 1724 წელს, ატენის ომში, ზედაველზე, გვი თავისი ხალხით, ქართულ ქარში იყო, და როგორც ვახუშტი წერს, როცა პირველ შეტევაზე ქართველნი მამაცურად ეცვეთნენ მტერს და ოსმალოს ჩაი დაშფოთხალი გაიქცა, მათ იგებ შივე წამოეშველა. „მოაქცია ოსმალი კვალად“, „შოსნა (ქართველნი) და ივლტოდა გვი ამილახვარი და წარმოიყვანა ანა მამა-მალკულიან, მოყვნენ ოსმალინი მოსწყვიტეს ესოლდო“... აქ უკვე ვახუშტი უდასტურებს ზეესურს მოლექვე-მეშატიანს, და თუ იმსახე ვახუშტისგან, რომ ხაერთოდ, არაგველები და თუ-ფშავ-ზეესურნი, საქართველოს ქარების ეს ფოლადის გვარდია, არახოდეს არ სტოცებდა ბრძოლის ველს — ან იმარჯვებდნენ, ან ეპედა წუდებოდა, და სხე იყო ატენის ომშიც. — მაშინ უფლაფერი ვასაგები იქნება. აქ თუშები იბრძოდნენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, იბრძოდნენ მაშინაც კი, როცა ომი უკვე წავებულა იყო, ამას აღსატურებს იგებ ტლაშამცე:

ათიოდ თუში გამაგრდა  
 გუფთას, რომ ხიდისთავია,  
 ვენახში მისცეს ზურგი ზურგს,  
 იმთო გადადგეს თავია.  
 იოშეს, ზოცეს ურუმი,  
 საქმე დაპართეს ავია,  
 კახი ბატონი გაიქცა,  
 ქართლია გამათავია.

იგებ ტლაშამე აქ ამილახვარზე არაღერს ამბობს, ხოლო ვახუშტი როგორც ზემოთ ვნახეთ, პირდაპირ აღნიშნავს, რომ პირველი გვი ამილახვარი გამოიქცა და კახი ბატონიც ბრძოლის ველიდან მის წამოიყვანია.

რატომ გამოიქცა ამილახვარი ზედაველადან? აღმათ იმიტომ, რომ დაინახა — ბრძოლა წაგებული იყო. მაინც არ აშეშებებს და არ უხედება ასეთი რამ აქანუების მოთავეს, განმთავისუფლებელი ომის დაწყებას და ქარის სარდალს. განსაცდელში კი არა, სარდალი არ იძინებს, ი. სხადე მის ქარისკაცებს არა სძინავთ.

ეს კი გაქცევაა. ეს წაუშლილი ლაქია. მით უმეტეს, ამილახვარს დიდი სახელი ჰქონდა და მისი სიტყვის დიდი ფასი ედო. ამიტომაც ასევე ხალხი და იარაღი აისხა, და აი, უცებ, ბრძოლის დაწყებზე განუღებდნენ. ასეთ ვითარებაში გვი ამილახვარის გადასვლა ოსმალთა მხარეზე თავზარდამცემი ამბავი იყო, გაუგებარი, და ავიხალხმა უშალ შეფუხა მისი საქციელი, უშალ გამოუტანა მხაჯერი: თედო რაზიკაშვილის მიერ უშავში ჩაწერილ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

შე გიო ამილახვარო,  
 გუნება თალითიანიო,  
 ხან აქეთა ხარ, ხან იქით,  
 საათაც ქარნი ჰქრინაო!

მაგრამ ცოტა ხანაც და გვი ისევ შეიბრუნებს ხმალს, ოსმალების დამსობხა და ვაძვეუბაშიც ის გამოიღის მოთავედ და ახალი აქანუების დაწყებულ. 1724 წელს ის ბრწინებულ გეგმას სახავს და თვითონვე ახორციელებს გორის ციხის ხელში ჩასაგდებად; აქ მან ვაწევრდა ოსმალები და მათი მოკრიბო თავები ირანის შაჰს გაუგზავნა; ნადირ-შაჰმა, მადლოზის ნაცვლად, გამარჯვებული ხარადი დააბატონრა, გვი გამოიქცა და იძულებული გახდა იმერეთს გადახვეწილყო.

ახლა დაუბრუნდეთ ისევ ზეესურულ ხალხურ ლექსს.

ზემოთ მოყვანილი მიწობილვა გვი ამილახვარის ბრძოლასა ცხაფურს, რაჲ, როგორც უკვე ვაქვით, ზეესური მოლექვე 1724 წლის ომს ენაშტურება. მაგრამ არის სხვა რეალიებიც, რომლებიც ამ მოსაზრებას ამარჯობენ. აქ უკვე ძლიერ ხაინტერესოა ზეესურული ხალხური ლექსის ის ვარიანტი, რომელიც ნ. ურბნულმა გამოაქვეყნა „ივერიაში“. ლექსში ზეესურთა ომში გამგზავრება ასეა დახატული:

არავებ ჩადის ზეესურებ,  
 წვიმის არ სწედებს ცუბარიო;  
 თვალვის ბოლოს ჩავროვდეს,  
 მთა დააშვეენოს, ბარიო.  
 ურუმებს შეუჭერიან  
 საქალაქონი გზანიო.

საქალაქო გზა, ქალაქი აქ თბილისის გზაა და თბილისს გულისხმობს, ხოლო 1744 წელს არც თბილისი და არც თბილისის გზა ურუმებს (ე. ი. ოსმალებს) არ შეეძლოთ მოეკრათ. თუ დაეკრათ. მაშინ საქართველოს დედაქალაქი ოსმალთა ხელში აღარ იყო; მაშასადამე, ეს 1724 წელია როცა თბილისი რაჭაბ-ფაშას უჭირავს და ზეესურებიც, კახ ბატონს რომ მოხუავს ბრძოლაში, გორისკენ მიდის, რომ საქართველოს განთავისუფლება, მთელ ქართულ ლაშქართან ერთად აქედან დაიწყონ, გავვეთო შემდეგ:

გორ გარდიარეს ხეცურთა,  
შორან გარდავლენს, გზანიო,  
ჩავედეს გორის ბოლოში,  
ურუმთ სადაც დგას ქარიო.

1744 წელს გორის ბოლოში კი არა, გორის  
ზემოთ, რუხისში ხდებდა შეტაკება ოსმალოს ქა-  
რებთან, ხოლო 1744 წელს კახა ბატონის ქარ-  
მა, რომელშიც თუშ-ფშავ-ხევისურნიც შედიოდ-  
ნენ, გორი გადაიარეს, ჩავედნენ ქალაქის ბო-  
ლოს და მტკვრის გაღმა ვავედნენ.

და კიდევ ერთი დეტალი. ლექსში ნათქვამია:

შავგვარეს ხიღის ყურზედა,  
ცხენებულად დაგვჭრეს თავიო.

ეგზე აქაც ხიღისთავის მიდამოები იყო  
ნავალოსხმევი თუ მინიწნებული, სადაც 1744  
წლის ომში გზა გადაუტეტეს ქართველებს,  
ხოლო, 1744 წელს ომი მომდინარეობდა ჭრ  
რუხისთან, მერე ლიახვის წიხტვილებთან და ბა-  
ღებთან.

შავრამ, რა ვუყოთ, შეგვეითებებთან, ლექ-  
სში ერკვლეს სახელის ხსენებას („ავარდა ბა-  
ტონისვილი, ერკვლე ნათათრალიო“), ან ამ  
ამბავს ურბნელის ვარიანტში ხევისურები რომ  
პირბრუნ — „თბილეთ ქალაქს წაეღათო“; უნ-  
და ისევ ვავისხენოთ დანაშრევები, ფენები, რა-  
მდენიმე ომის გამოძახილი რომ წაწყოზია ერ-  
თიშორებს ღრთოთა მანძილზე, ყველა ომს თა-  
ვსი დანაღლეა რომ დაუტოვებია. ამის გამო  
სახელები გადადაც ერთი ლექსიდან მეორეში,  
ორი ამბავი წარმოადგება ხოლმე, როგორც ერ-  
თი, თორემ სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას,  
რომ ერთსა და იმავე ლექსში (ბესარიონ ვაბუ-  
რის ვარიანტი აკაცი შანიძის კრებულში) ლაპა-  
რავა უწინაის ომზე, მეფე ერეკლეზე და ია-  
გვა... ბასტრიონის გმირი ნადირა ხოშარაულ...  
კიდევ ერთი მავალითი იმის დასადასტურებ-  
ლად თუ რა ძვირფას ისტორიულ ცნობებს შე-  
იკავს ხალხური მოვითა. აკ. შანიძის თავის კრე-  
ბულში შეტანა მთქმელი ბ ი ტ უ რ ა ს ლექსი  
„ხევისურები აწურთთან“ და მას შემდეგ კომენ-  
ტარს ურთავს:

„აქ აწერილია ახსინძის ომი (1770). იარა-  
ლა, რომელიც ზევის მთაზე გადმოდის და რო-  
მელიც შემდეგ აწურთიდან ბრუნდება, უნდა  
იყოს რუხის (ა) იარანალი (ანუ იარანალი)  
ტოტ ლე ბ ე ნ ი, რომელიც რუხის ქარები-  
თურთ გამობრუნდა აწურთიდან და ერკვლე  
მარტო მიატოვა. შემატებენ ომან ბერხელონიც  
ახსინძის ომის შესახებ, სხვათა შორის, მოგვი-  
თხრობს: „ოდეს იბოღნა მეფემან ირაკლი ეს  
ქარები მიწენილი, მაშინვე თვით გამობრუნდა  
აროდნეთმე ჩინებულთა და შინა-ყმითა თვ-

სითა და შედიოთა ხევისურითა, განსწირა თა-  
ვი თვისი და მკეთოა ფიცხეჲდაჲ კიდელჲ ხა-  
ვლილამდე და იუვენენ ურუდენი... მდევსთანა  
მყოფნი ქართველ-კახნი მხნედ და უმეტეს შვიდ  
ნი იგი ხევისურნი. თუმცა თავადნი მრავალნი  
სახელოვანად გაიხარჯნენ. ვარნა ვანერცხლები-  
სათვის დავიდუმე... იქმნა ბრძოლა ძლიერი და  
თვით მეფემან მოკლა დაღისტინის წარჩინებუ-  
ლი და მხნე ბელადი კობტა და შუიხე ივლიტო-  
დენ ოსმალ-ლეკნი“ (ქართლ. ცხოვრ., II, 482).  
„ვიინ იუვენენ ეს შვიდნი ზევისურნი? — სვამს  
კითხვას მკვლევარი — მატანე ამის შესახებ  
დუმს, მაგრამ ხალხურმა ლექსმა შემოგვიანაა  
მათი სახელები. ესენი ყოფილან: 1. სუმბატა  
ლოხაურის შვილი (ან ლოხაურბე, რომლის  
ძმაც, ბულეჩანი, იხსენიება 169 №-ში. ბულე-  
ჩანი ტირის: „ძამა ურუმებ შამოილებო“);  
2. სუმბატა გუგუაიშვილი; 3. ქამბათა ივანე-  
რა, რომელიც ქანაშთა ივანურადაც იხსენიება  
№169-ში; 4. ქაშაიხბე, გუდანელი, რომელიც  
დედოს-ერთა ყოფილა და მომკვდარა; 5. ბი-  
ტრუას აბა, ბლოელი, ავტორის შვილი; 6. ლე-  
რენა გუგუაის შვილი და 7. ლომნი, ვავის  
შვილი.

ამ ომში, როგორც ჩანს, ფშაველებიც ყო-  
ფილან: „მაშუა წოწურაული და ხალირათ  
ელაზხანა“.

ისტორიკოსისათვის ვანა ეს ცნობები უჭვი-  
რუაქებს შენაქენი არ არის?

\* \* \*

აქად აკაცი შანიძემ შექმნა ახალი ქართული  
ენათმეცნიერული სკოლა და ამოხსნა ყველა  
საიდუმლო როგორც ძველი, ისე ახალი ქართუ-  
ლი ენასა, მან მზის სინათლეზე გამოიტანა  
ძველი ქართული მწერლობის უძვირფასესი ძე-  
გლები. ფასდუღებელით ამავი დასდო რუსთ-  
ველოლოგიას, მანვე სპეციალური ნაშრომი უძ-  
ღენა ქართველი კაცის წვლილს ბიზანტიის ის-  
ტორიაში, ეერძოდ გაარკვია და ნათელი მომ-  
ფინა პეტრიწონის მონახტრის მანამდე ბნე-  
ლით მოცულ ისტორიას.

ძნელია უბრალო ჩამოთვლა და აღრიცხვაც  
კი იმისა, რომ აკაცი შანიძემ თავისი ხანგრძლი-  
ვი და დაუღალავი შრომითა და თავდადებით  
შესძინა ქართულ მეცნიერებას, კულტურას,  
ლიტერატურას ისტორიას, საერთოდ, ხალხის  
იღურ და ინტელექტუალურ საუწყეს. დიდმა  
მეცნიერმა ამის ხანაცვლოდ მთელი ხალხის  
უტკნობი სიყვარული მოიხვეჭა; არასოდეს არ  
ჩაქრება ეს სიყვარული და მადლიერება ხალ-  
ხისა თავისი დიდი მოაზრებისადმი. ვუხუტრეთ  
ჩვენს სახელოვან მეცნურს დღეგარძელომა და  
ახალი შემოქმედებითა გამარჯვებანი ჩვენი სა-  
მშობლოს საკეთილდღეოდ.

ლევ კვამბაძე

## პკირვასი ბანძი

(ა. შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკის“ კრიტიკული მიმოხილვა)

ქართული ენა ერთი უძველესი და უმდიდრესი ენათგანია მსოფლიო ენათა შორის. იგი ხანგრძლივი ისტორიის, ეროვნული ანბანის მქონე სალიტერატურო ენაა და დღემდე მოღწეული და ცნობილი უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები მე-5 საუკუნეს ვაჩვენებენ. ამ დროიდან მოყოლებული შეიძლება თვალწინ ვადევნოთ ქართული სამწერლობო ენის თანდათანობით ცვალებას, მის განვითარებასა და ისტორიას.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში სამი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა: ძველი (V-XI სს.), საშუალო (XII-XVIII სს.) და ახალი (XIX-XX სს.). ამის შესაბამისად ვამბობთ: „ძველი ქართული ენა“, „საშუალო ქართული ენა“, „ახალი ქართული ენა“. „ძველი“, „საშუალო“ და „ახალი“ ერთი ენის — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის სამი სხვადასხვა საფეხურია. ასე რომ, როცა ვამბობთ „ძველი ქართული ენა“, იგულისხმება ის ენა, რომელიც წარმოდგენილია V-XI საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში.

ძველი ქართული ენის გრამატიკული სისტემა არაა დიდად განსხვავდება ახალი ქართული ენის გრამატიკული სისტემისაგან. მის შესწავლას დიდი მუცნიერული ინტერესიც ახლავს. ამიტომ მეიღერ მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებული ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკის შედგენა-შემუშავებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული სალიტერატურო ენისა თუ თვით ენის ისტორიისათვის, არამედ მთელი ქართული სულიერ კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ურადღებებს მოიხორცის დასავლეთ საქართველოში მდებარე ანტიკური და ადრეფოდალური ხანის ციხე შტეფი. ეს უზარმაზარ საინტერესო კომპლექსი მატოვებულია ბედის ანაბარა. ასეთსავე მდგომარებაშია სამეგრელოში ჭაჭვიწყის ციხე, ფი ოდენდაც ფეოდლის რელიეფიცია ფო როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, „არს სასახლე დადიანისა“.

ყოფილად შეუსწავლელი და ურადღებებს მატებულია ზევსურეთში მუცოს ციხე, რომელიც გვიანდროდელი საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობათა ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს თავისი კონფიგურაციითა და საინტერესო მდებარეობით.

ვარცა ამისა, მრავალი დამოუკიდებელი უღირავი ექცევა გრემის, ალავერდის კედლების მხატვრობას. მცხეთაში ჩამოშლავა ბეზარის ციხის კედლები. მისახედა ჭვარიც.

ცუდი მდგომარეობა გვაქვს ჭავჭავეთში, ამის შესახებ „ლიტერატურულ საქართველოში“ გულისტკივლით წერდა აკაკი ბაქრაძე. მაგალითად, კობახის ციხისაგან ნანგრევებდა შემოგვჩრჩია, დარჩენილია კოშკის ნახევარი. ასევე მისახედა ზედადაჩქის და სხვა კულტურის ძეგლები. ცუდი მდგომარეობაშია შემორჩენილი წარწერების, ფრესკების საქმე. კარგი იქნება, თუ კვლავ აღადგენთ მტრისაგან თედისაცავად აგებულ გვირაბებს, ვერცხლად უნდა დარჩნება; პატრონობა სკირდება ახალქალაქისა და თმოგვის ციხეებს.

მოუყვლელი და მთხუბდავა რაჭაში მინდა ციხე ნაწილობრივ რესტავრირებულია ბარაკონი, მაგრამ უურადღებობის გამო კარგავს თავის სილამაზეს. ფრესკები ნახევრად წაშლილია, ბატარაეზოში და სენაკებში ურიაათანაირი ნაგავი.

ღიდი ეროვნული საქმე იქნება გაკეთებული, თუ მოხერხდება უჭარმის, უფლისციხის, ვარცების, სრული თუ არა, ნაწილობრივი აღდგენა-რესტავრაცია, ვარცხენათ სულდლის ბრწყინვალედ აღდგენილი კომპლექსი.

სარესტავრაციოა ხერციკის ციხის ანსამბლი, რომელიც დეონტი მათეველის თქმით, ანტიკური ხანაშია აშენებული. დაზიანებულია ციტადელი და განსაკუთრებით გადავანა, სრულ აღდგენას სარტოებს აწურობს ცნობილი სანქციკოსო ციხე-ბაზარი, XI-XII საუკუნის უფოლი ქალაქი. ქანგურებშესაკეთებ-

ლია გვიანფეოდალური ქართლის ერთ-ერთი მთავარი სიმაგრეთაგანი, — ცხვილი და ამოლაპროთა უკანასკნელი პერიოდის რენოვაციით — ქვემო ჰალის ციხე-დარბაზი. დიდ სამუშაოს მოთხოვნა განთქმული იყო რათა ტაძარი (XII საუკუნე). ეს საკულტო ნაგებობა ნახევრად დაზარებულია. თანდათანობით იშვარება ქსნის ციხის კედლებიც. მცირე მიწისპირამ შეიძლება საშენობის შეუქმნას ძველის არსებობას. მოხვედრულა შუა საუკუნეებში ცენტრალური ქართლის საგანძურთა ძირითადი სამაღალი, ლარაგვისის მონასტერი თავისი სიმაგრეებით.

ძალიან დაზიანებულია ჩოლოყაშვილების „ციხე წულიანი“, მატანის ციხე-დარბაზი, აშლება ორსართულიანი გაღაგანი, დეფორმაციას განიცდის გაღაგნის კუთხეებში აღმართული ცილინდრული კოშკები.

შესაკრებელია ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი ციხე-გაღაგანი ჭოლაგირი, რომელიც ერთკედლ შეფის ციხის, დარბაზი დედოფლის აგებულია. მისხედავია ზღუდრის ციხე, ლეხის კარის, სნოს, აბანოს, ხაღის კოშკები. აუცილებელ გადახურვას საქარობს გელათი, რომლისთვისაც აგერ უკვე რამდენი ხანია მოაუთიებელი თუნუქის გამოყენება არ მოხერხდა (და საერთოდ პირველ რიგში საქარობა ხსენებული ძველების დარღვევად სასურავევზე მოქცევა).

ხმარ უმთხვევაში ისტორიული ძველების მოვლა-პატრონობას ადგილობრივი მცხოვრებლები ზერტულად ეკიდებიან, იყენებენ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულებით: შიგ ათავსებენ საწყობებს, ცხვარ-ძროხის სადგომებს და სხვა. ასეთი ფაქტები არ უნდა ხდებოდეს. ყველა უპირველეს ძველზე საპროცა ყარაულ-მომვლელის საშტატო ერთეულის დაწესება, როგორც ეს ზოგიერთ ტაძარზე, რომ მათ კონკრეტულად დავალობს უფლებავარი პასუხისმგებლობა.

ასევე საპროცა თბილისში არსებული ისტორიული ძველებს (ანისისაბის ბაზილიკა, სიონის ტაძარი, ფილანის ეკლესია, ჭვარის მშა, მეტეხი, ნარიყალა, წარახუნა და სხვა), ძველი უბნების, სახლების დაცვა და მოვლა-პატრონობა, დაცვირებულად, შეუნაღებლად არ უნდა მოხდეს რაიმე გაუთავისწინებელი რეკონსტრუქციები, ახალი პროექტირებები და განაშენიანებები. ამით ჩვენს დედაქალაქს შეიძლება სამუდამოდ დავუარკოთ კოლორიტი, დუამძიმოთ იგი გადაშენებული ურბანისწიით.

დღეს რესტავირების ნიქსა და თავგამოდების მოთხოვნა ჩვენი დაზიანებული კულტურის ძველები. რესტავირებმა გააცოცხლეს უჩვეულებს მომხიბლავი ანგელოზი, თამარის მშენებელი ხსენ. რესტავირებმა უნდა ამე-

ტველონ, სული შთაბერონ უსახელო ესტრატია უმადლეს ფანტაზიას. რესტავირებმა უნდა აღადგინონ ეს დანგრეული, ციხე-კოშკები, მონასტრის მათი დროული კონსტრუქციები რესტავირება.

აგერ უკვე მე-9 წელია მიმდინარეობს შატალის ციხე-კოშკების აღდგენა. უნდა გაიწმინდოს და გადაიხუროს სამოცამდე კოშკი, რამდენიმე სალუდე, საფენგო, სამრეკლო, ჭრ-ჭრობით გადახურულია მხოლოდ 18 კოშკი.

ჩვენ ვეძიებთ, რომ ძველების შენარჩუნების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მათი გათანადროლება, ახლებურად გაცოცხლება, როგორც ეს უცხოეთის ზოგიერთ ქვეყანაში გხვდება (საფრანგეთი, შვეიცარია, იტალია). რატომ არ შეიძლება ციხე-დარბაზებში მოვლავის სასტუმროები, მუზეუმები? რა კედლები ამ მხრივ ჩვენთან?

ბიჭვინთის ტაძარში და ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში უკვე მოეწოა საორღანო მუსიკის დარბაზები. ბიჭვინთშივე, ეპისკოპოსის უფილ სახალღში, ეწყობა მუზეუმი, თბილისში მეტეხის ტაძარში სექტაკლებს მარაგის ახალგაზრდულ-ექსპერიმენტული თეატრი. ამ მხრივ ბევრია კიდევ გასაკეთებელი, აღნიშნეს ჩემთან საუბრისას საქართველოს კულტურის ძველია დაცვის სამეცნიერო-სარესტავირაციო საწარმოთა სახელისწინაში — მთავარმა არქიტექტორმა მალაქია დვლიანი განყოფილების გამგემ რუსულად გვერქაიეთელა, მათივე თქმით, ახლო მომავალში მოხალღდნელია შატალის, ზვანეთის ზოგიერთი სოფლის, ხილადის, წყარაღად გამოცხადება.

გარეგანი სახალღო უნივერსიტეტის ვახსნა ერთგულ ზემოად დანიჭვა. დიდი ხნის შემდეგ კვლავ უფერდა ქართული მიწები დელით გარეკლის, სულხან-საბას და ჩვენს სხვა უწმინდესი და უნიტარესი წინაპრების დამცვიდრებულ განსტკიცებულ ტაძარში. მომავალში აქ კვლავად მრავალი სამუშაო ჩასატარებელი, რათა პირვანდელი მშენებება და სიღადე დავუბრუნოთ. ამ შესანიშნავ ძველს...

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ მართლ კულტურის ძველია დაცვის სამმართველო და სარესტავირაციო სახელისწინა ვერ განსჯდება უველაშტრს. აუცილებელია საზღადასხვა ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზების პატრიოტული ხულისკვეთება, მათი აქტიური დახმარება ძველთა დაცვის, მოვლა-პატრონობის დიად საქმეში.

უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის ჩვენი ერის ჩაუქრალი ხელოვნება, „იგი დღევანდელი კულტურის სიმალეს მარევენელია“, იგი ჩვენი უსხდაუდებელი საშეილიშელო განძია, მსოფლიური დედაენის, ჩვენი ურმულის და იაენანის სისხლბოცრული ნაწილია.





# ვინ იყო ციხე-ქალაქ შინვალის ფელოკალი შოთა?

ქართველი მეცნიერები დიდი ხანია ცდილობენ გარდასულ დროთა მატანებში იპოვონ ვეტხისტყაოსნის ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის რაიმე კვალი, — იმდენ თუნდაც სულ მცირე ხელშესახები საბუთი, რომელიც ამ სწორუპოვარი გენიოსის სახელთან იქნებოდა დაკავშირებული.

გასული საუკუნის ბოლო ხანებიდან მეცნიერთა ცნობისმოყვარეობას განსაკუთრებით მძაფრად აღნიშნებს ერთი უაღრესად საინტერესო ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში „ქიპარის ხიგელის“ სახელითაა ცნობილი. ამ ხიგელმა შემოგვინახა ხელრთვა ანუ ავტოგრაფი, რომელიც დიდი სახელმწიფო მოღვაწის „შოთასი“, რომელიც თამარ მეფის დროს სამეფო ციხე-ქალაქ შინვალის მფლობელია (გამგებელი) ყოფილა.

ვინ არის ეს დიდი სახელმწიფო მოღვაწე შოთა? ხომ არ იმალება ამ სახელის ქვეშ ვეტხისტყაოსნის გენიალური ავტორი?

არა ერთ ქართველ მეცნიერს გამოუთქვამს აზრი, რომ „ქიპარის ხიგელის“ ხელნაშთი უფრო შოთა იფივე ჩვენი პოეტი შოთა რუსთველია, მაგრამ ამ აზრის დასაბუთება იქამდე გადაულახავ სიძნელეებს აწევებოდა; ახლა კი, როცა შოთა რუსთველის ვინაობა გამოჩვენდა, იქმნება რეალური შეზღუდვებისა იმისა, რომ ზემოთ ხსენებულ კითხვას მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გავცეს.

## 1. უნიკალური ისტორიული დოკუმენტი

ქიპარის ისტორიაში კარგად ცნობილი მოვლავა, რომელსაც თამარ მეფის დროს სახელმწიფოს ეაზარის (მანდატურაოზუცების, ხოლო მცირე ხნით აგრეთვე ამირსპახალარის) თანამდებობა ეკავა. სწორედ ამ ქიპარის 1161 წლის ახლო ხანებში გაუცია ხიგელი, რომელიც შეეტება ციხე-ქალაქ შინვალში მცხოვრები რამდენიმე გლეხის (ვაჭრის) შეწირვას შიო მღვამის მონატრისადმი. აი ამ ხიგელის მოკლე შინაარსი:

„... ესე დავიწერე და მოვახსენე მე მანდატორო-უხუცესსან და ამირსპახალარსან ქიპარსან... ჩემსა შინვალისა ქონებასა შინა ვადარე და მოვახსენე ღვთისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს, და მათ მიერ ბრძანებითა და კითხვითა ვადარე და მოვახსენე შენ, წმიდასა მამასა შიოს და შენთა ცრემლთა მიერ აღშენებულსა უდაბნოსა მლიმესა და მუნ შინა დამკუდარებულთა მამათა და მშათა თნოენით (ჟინვანი) მინთაპაობქენი დავითის შვილი იქროი და მამაბაი და ბაქუბ და იფიანე, მათთა სახლითა და მამულითა, ნასყიდითა და უხუცედლითა... ვითა საღაც სხუაგან შემოწირულნი ვაჭარნი თქუენნი მოუდევარად მოამხსენებთან და შეუვალად ყოვლის შესავლისაგან, ყოვლისა მავნებლისაგან შეუვალნი და ნებისმიერნი სხედან, ეგრეთვე ესენი სხედნ“.

ამ ხიგელს ამტკიცებს თვით თამარ მეფე და აგრეთვე საქართველოს კათალიკოსა აფი-

დორე, შეძლება კი მოხდეს უფრო გვიანდელი ასეთი დამტკიცება:

„მე, შოთაჲ, ჩემს შინაოცნის ქონებასაც შევა ამს ვამტკიცებ, ვითა ამას შევან წერა“.

აი ეს ბეღრთვა ანუ ავტოგრაფი იწვევს ქართულ მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს.

ამ საბუთიდან ცხადია, რომ XII საუკუნეში, თამარ მეფის დროს, უფილა ვიღაც დიდი სახელმწიფო მოღვაწე (აღმათ მეფის ვაზირი) შოთა, რომელიც კიბერის შემდეგ ქალაქ ტინვალისა და მისი მიმდგომი, ე. წ. „შვილი მთელულის“ მფლობელი (პატრონი) გამბარა და ამიტომ, იმ დროს არსებული წესის თანახმად, ბელახლა დაუმტკიცებია თავისი წინამორბედის მიერ ვაცემული სიგელი.

მაგრამ ვინ არის ეს შოთა?

ისტორიკოსი თედო ურბანია, რომელმაც „კიბერის სიგელი“ პირველად გამოაქვეყნა, ფიქრობდა, რომ იქ მოხსენიებული შოთა არ შეიძლება სხვა ვინმე იყოს, თუ არა ავტორი ველისტყაოსნისა, რადგან, მისი აზრით, სხვა შოთა ისტორიული პატი შორის არ სჩანს თამარის დროს. შოთა ერთგვანადაც 1177 წელს დაისაჯა როგორც „შინა ვამცემი“ ვიორჯი მეფისა. ბოლო „შოთა კუჭი“ რუსუდანის მეფობაში სჩანს. აღმათ კიბერის შეწირულებში შეტვლით ჩაყოლია შოთას მამული (საც) ვინაოისა და შოთასაც დაუთმოა იგლესიისათვის“.<sup>2</sup>

ეს აზრი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ თამარის დროს სხვა შოთა, გარდა ველისტყაოსნის ავტორისა, მართლაც არა სჩანს; სხვა მხრივ კი თ. ურბანიას არგუმენტაცია საყურადღებოა შევსებელი და არაღმამაქრებელია.

ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა აგრეთვე ისტორიკოსი მოხე ვანაშვილი, მაგრამ რაიმე ანგარიშგასაწევი საბუთი ან არგუმენტი არც მას გააჩნდა.

პირველი საბუთია მკვლევარი, რომელმაც ჭერ კიდევ 1927 წელს სცადა კიბერის სიგელში მოხსენიებული შოთას და ველისტყაოსნის ავტორის იგივეობის მეცნიერული დასაბუთება, ისტორიკოსი ს. კაკაბაძე იყო. მისი აზრით, კიბერის იყო თორელი დიდებული, ბოლო სიგელი მოხსენიებული შოთა — მისი შვილი, იგივე ველისტყაოსნის ავტორი. მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი ზოგიერთმა სხვა მკვლევარმაც გაიზიარა, მისი უსაფუძვლობა დღეს საყოველთაოდ აღიარებულია. თვით ს. კაკაბაძეც კი შემდგომში იძულებული გახდა ამ თავსაზრისზე ხელი აეღო. უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული გამოკვლევები დამაჩერებლად ცხადყოფენ,

რომ კიბერის სიგელის დამამტკიცებელი შოთა არ არის და არც შეიძლება იყოს კიბერის შვილი.

მკვლევარმა პ. ინგოროვამ, რომელიც აგრეთვე ფიქრობს, რომ კიბერის სიგელზე აღბეჭდილი ბეღრთვა ველისტყაოსნის ავტორს ეკუთვნის, სცადა ეს აზრი იმით დასაბუთებინა, რომ რუსთავი და ტინვალის ჰერეთის საერისთავოს დაუკავშირა, მაგრამ მისი „ბერეთულობის თეორია“, როგორც ვიცით, ისტორიკოსებმა საფუძვლიანად დაარღვეეს.

ამრიგად, დღემდე გაურკვეველი რჩება, ვინ იყო ის უცნობი „შოთა“, რომელიც თამარის მეფობაში ციხე-ქალაქ ტინვალს და მის მიმდგომ სოფლებს ფლობდა და რომელმაც კიბერის ზემოთ ხსენებულ სიგელზე თავისი ავტოგრაფი აღბეჭდა.

ამ საკითხის გადაწყვეტა, როგორც უკვე ითქვა, შეუძლებელი იყო, ვიდრე ველისტყაოსნის ავტორის ვინაობა არ გაირკვეოდა; ამჟამად კი, როცა ჩვენ ვიცით, რომ პოემის ავტორი იყო რუსთავისა და მისი თემის (ძველი კუხეთის) მფლობელთაგან, რომელიც რუსთავლის ტიტულს ატარებდა; როცა ვიცით აგრეთვე, რომ ვარკველ ოროს რუსთველს მეფის ვაზირის (მეწურჭლეო-უბუცების) თანაშემწეობაც მიუღია, მკვლევარს ბელთა აქვს სწორი წინამძღვრები, რომლებსაც ლოგიკურად მივყვართ ტემზიარობისაკენ.

მაშ ავტორუროთ მოთმინებით და გავევთ ტემზიარობისაკენ მიმავალ ამ გზას.

უპირველეს უფლებსა, ვცადოთ იმის გამოკვლევა, თუ რას წარმოადგენდა ტინვალ. XII საუკუნეში და რა როლს ასრულებდა იგი ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

### 2. ციხე-ქალაქი ტინვალის თამარ მეფის დროს

წერილობითი საისტორიო წყაროების ცხოვებით, რომლებიც არქეოლოგიურმა გათხრებმა თვალნათლივ დაგვიდასტურეს, ციხე-ქალაქი ტინვალის (ტინვალის, ძინვალის) ძველად ფრთად გამაგრებული და საკმაოდ ხალხმრავალი სამეფო ქალაქი უყოფილა, რომელიც დაახლოებით ოთხი საუკუნის (XII-XV სს.) განმავლობაში უაღრესად აქტიურ როლს ასრულებდა ფეოდალურ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში. გაერთიანებული საქართველოს მეფეებს ტინვალში მქონდათ თავიანთი სასახლე და, როგორც ვარაუდობენ, აგრეთვე ზარაფხანა, რაც ამ ქალაქის დიდ პოლიტიკურსა და ეკონომიურ

მნიშვნელობაზე შეტყუვლებს; ქალაქი ძირითადად დასახლებული უყოფილა ვაჭრებითა და ხელისნებით, რომლებიც, უმთავრესად, მთის ზონის მოსახლეობის საქირთუბათა დამაყოფილები ექსპორტებოდნენ; უნივალს ჰყოფილა თავისი აზირა (გამგებელი), რომელსაც არა მარტო ციხე-ქალაქი, არამედ აგრეთვე მისი მიმდგომი სოფლები (ე.წ. „შვიდი მთიულეთი“) ემორჩილებოდა. ურველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ციხე-ქალაქი უნივალად და მისი მიმდგომი სოფლები წარმოადგენდნენ გარკვეულ სამეურნეო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც უშუალოდ მეფის ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდა, ე. ი. სამეფო დომენი იყო.

საქართველოს მთიან მხარეში ძველად ახეთი დიდმნიშვნელოვანი ქალაქის არსებობა მრავლისმეტყველო ფაქტია. ქერ ერთი, ეს მოწმობს, რომ უკვე XII საუკუნეში (და ალბათ უფრო ადრეც) მთაში ძალიან შორს იყო წასული შრომის საზოგადოებრივი დაწინაურების პროცესი და მთის მოსახლეობა აქტიურად იყო ჩაბმული გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეკონომიურ ცხოვრების ფერხულში; მეორე, ეს მოწმობს, რომ იმ დროს საქართველოს გაძლიერებული საჯარო და მეზობლური კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული სამხრეთ რუსეთის ქალაქებთან და აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, რაც დარბაზის გზის ნორმალურ ფუნქციონირებას და საიმედო დაცვას ნიშნავდა, დაბოლოს, ეს მოწმობს, რომ უნივალად (დარბაზთან და შეტილთან ერთად) იმ დროს მეფის ცენტრალური ხელისუფლების დიდმნიშვნელოვანი სამხედრო სტრატეგიული პუნქტი და ძნელბედობის დროს საიმედო თავშესაფარი იყო.

როდის დაარსდა ქალაქი უნივალად, ამის შესახებ საისტორიო წყაროებმა ცნობები არ შემოგვინახეს, მაგრამ არქეოლოგიურ მასალაზე დაუდრნობთ შეიძლება დანამდვილეთი ითქვას, რომ ამ ქალაქში თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს და ნამდვილ აყვავებას გაერთიანებული საქართველოს ძლიერების ხანაში — XII-XIII საუკუნეებში მიაღწია. წყაროებში უნივალად პირველად თამარ მეფის დროს იხსენიება. ერთ საბუთში, რომელიც 1191 წელს (ან მის ახლოს) უნდა იყოს შედგენილი, ნათქვამია, რომ ქრწვალი (ან, როგორც მაშინ ამბობდნენ, უნივანი) არის „ქალაქი და ციხე მრავლითა მთიულეთითა.“<sup>45</sup> ამ დროს როგორც თვით ქალაქი უნივალად, ისევე მთელი გზა უნივალადან დარბაზამდე — საიმედოდ უყოფილა დაცული მრავალრიცხოვანი ციხე-სიმაგრეებით. ამ გზაზე

თავისუფლად მიმოდინდნენ არა მარტო მეფის სამხედრო რაზმები, არამედ ვაჭრები მშვიდობიანი ქარავნებიც. სწორედ მესამე ბისათვის გზაზე დაწესებული უყოფილა განგებო სადგურები, სადაც ცხენების ცაოცვლად კი შეიძლებოდა. ამის შესახებ პირდაპირ არის ნათქვამი თამარის, პირველი ისტორიკოსის თხზულებაში, სადაც აღწერილია დიდ-ვაჭარ ზანქან ზორაბაგელის რუსეთში გამგზავრება და თამარის საქმროს ჩამოყვანა. ხსენებულია ვაჭარმა „მწირაფელ მისტრლმან ცვალებითა ჰუნეთათა წამოიყვანა“ გიორგი რუსი და ჩამოიყვანა „უწინარე პენითათა“, — ამბობს ისტორიკოსი.

თავისი დიდი მნიშვნელობა ქალაქ უნივალს და მის მიმდგომ მხარეს არც მომდევნო ეპოქაში დაუკარგავს. ეს კარგად ჩანს როგორც იმ დიდი და ფახდაუდებელი სამსახურიდან, რომელიც ამ მხარეში მონგოლთაგან შევიწროებულ დავით მერვეს გაუნია, ისე გიორგი ბრწყინვალის მთიულეთში მოგზაურობიდან.

როგორც ცნობილია, უზან უენის რჩეული ლაშქარი, ხუტლბუღას მეთაურობით, მრავალი წლის განმავლობაში ებრძოდა მეფე დავით მერვეს, რათა ხელში ჩაეგდო და მოესპო იგი (ისევე, როგორც მისა მამა დომიტრი თვედადებული მოსპეს), მაგრამ, სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლების მიუხედავად, მონგოლებმა დავითის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს. აი, როგორ გადმოცემს ისტორიკოსი (უმათა აღმწერილი) ამ ბრძოლის ზოგიერთ ეპიზოდს:

„წარმოავლინა მოცქეული უზან უენმან, და იხმო მის წინაშე დავით მეფე... დაუმტკიცეს ვაზრთა წასვლი, ხოლო მეფემან არა იხმინა მათი და შეიქცა ვარე, რამეთუ აქუნდა შინი თათართა უენის ხელისა, და მოკვდა მთიულეთს, უკუდა უენიანს, შეკრა სობა, და მცველინი დაუდგინა. ხოლო მეფე დავით მთიულეთს იდგა...“

ვითარც უნა უზან უენმან, კუალად წარმოავლინა მხედართმთავარი ხუტლბუღა, სპათა ურცხვითა... მოახრეს სომხითი, ქარსილი, თრალიეთი, ერწო და დადგეს მუნხარს. ხერკს, ბაზალეთს, ერწოს და თიანეთს, ეს ვერ ეტეოდეს სადგომად, და აბრეღეს ქართლსა და ზემოხსენებულთა ქვეყანათ;

ტყუო უყვს, (რომლისა არ იყო, რიცხვი და მოხარეს პირითა მახვილისათა რავდენა პოყვს.“

ახეთი სისასტიკის მოუხედავად მტერმა მთავარ მიწანს ვერ მიაღწია, მთიულეთში ვერ შევიდა და სირცხვილუული უკან გაბრუნდა. მომდევნო წელს, — განაგრძობს ისტორიკოსი, — ვითარ მოიწია ვაზაფხულად, კუალად წარმოავლინა უზან უენმან ფეო

ბუტლუბუღა სპითა ძლიერითა და მრავალნი  
 ნონნი, და დადგეს ზემოსხენებულთა ად-  
 ვილთა და მოაბრებს ქართლი უბორატესად,  
 ხალხი მიეფ დავით დადგა ხადეს". ამ დროს  
 მეფეს უღალატა დიდმა ფეოდალმა შალვა  
 ქუნიფლაველიმ, რომლის დამპყრობით და  
 წინამძღოლობით მოწველებმა შესძლეს ზუა-  
 რაზმის ზევით მთიულეთში შესვლა. ვაი-  
 ნართა სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძო-  
 ლა. დავით მეფე ცუპარეს მოუფალ ციხეში  
 გამაგრდა. ისტორიკოსი ვანგატომბს: „იქმან  
 ომი ძლიერი და მოსწყდა თათარი ურიცხვი,  
 რომეთუ შემოსრულ აუყნეს ვიწროსა ზნაჲსა  
 კაცი შეომე ვიდრე ხუთასი, რომელნი ვერ-  
 დაბა გამოსწრეს ვნისა სდევწროისაჲან.  
 შეიპერეს ზუთასივე; რომელნიმე მოკლეს და,  
 რომელნი დარჩნენ, მოგვარეს მეფესა. ხო-  
 ლო სსუანი ივლითდეს, და სმანი მეფისა-  
 ნი გამოვრდეს ხადის თავსა, გორასა რასმე, რომ-  
 მელ არს ცუპარასპირისპირ და იქმან ომი  
 ძლიერი. კეთილად ბრძოდეს შინაურნი  
 მეფისანი, ხადელნი და ზოგნი ზევით მო-  
 სულნი რჩეულნი, და უმეტეს მოსვტრო-  
 დეს თათარნი, რამეთუ დიდად ავნებდეს  
 მთიულენი... იხილა სიმარტე ქვეყანისა ზუტლუ-  
 ბუღა და ცნა რომელ არ ეგებოს შესვლა ცი-  
 კარეს; აიყარა დამით... დაესბა ქართლს...  
 მოაბრებს ქართლი, და წარვიდეს ყაენს უა-  
 ზანს წინაშე“.

მომდევნო წლის გაზაფხულზე მოწვალთა  
 ყაენმა კვლავ გამოგზავნა დიდი ჯარი, კვლავ  
 რამდენიმე წელს გაგრძელდა ომი და სისხ-  
 ლისღვრა, მაგრამ მტერმა მიზანს მაინც ვერ  
 იქნა და ვერ მიადრია. ამ ხანგრძლივსა და  
 სასტიკ ომში, რომელსაც ქართველი ხალხი  
 გადარჩენისათვის უდიდესი მნიშვნელობა  
 ჰქონდა, თავი ისახელა მთის ზონის მიღღმა  
 მოსახლეობამ, რომელთა შორის, რა თქმა  
 უნდა, ეწინააღმდეგებოდნენ მოკლადქენიც აუყნენ.

XIV საუკუნეში ეწინააღმდეგებოდა და მისი მზა-  
 რის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობა-  
 ზე მიფიქრობდნენ სახელგანთა ქართველი მე-  
 დის, საქართველოს ბელადთა გამაერთიანებ-  
 ლის, გიორგი ბრწყინვალის მოგზაურობა  
 მთიულეთში, რასაც შედეგად მთის ზონის  
 მოსახლეობისათვის სავანეებო კანონმდებლო-  
 ბის შექმნა მოჰყვა. აი, რა არის ამ მოგზა-  
 ურობის შესახებ ნათქვამი გიორგი ბრწყინვა-  
 ლის ცნობილ „ქედლის დიდებამი“:

„წარვედით ტახტიო წაუწეით ქალაქით და შე-  
 ვედით სასახლესა ჩუენსა ეწინაჲსა და მუ-  
 წით ზადა-ცნაოტს და მოვახსენით ყოველნი  
 მუნებურნი ზევისებურნი და ჰეროჲანნი, და  
 გავიგონეთ მათნი საქმენი, დაესხედით მათსა  
 სასაქმისა.

და მივედიო დარბელამდის... დარბელიო

მომრუნებულთა ვილოცეთ დომისის მთავარ-  
 მოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცნაზნის  
 ხევი და მოვიყულებით მუნებური სასაქმისა.

მოვედით მუხრანს, საწამოროსა ზეენსა  
 დავედით, და შემოვედით ქალაქსა და შე-  
 მოვიტანეთ თემისა და თემის ურისათენი და  
 ზევისათენი და ზევისებური და ჰეროჲანნი.

დაესხედით და დაესით წინადა მიუფე  
 და ქართლსა კათალიკოზი ევეთიე, დავ-  
 ხხით ვაზირნი და ენესკოპოზნი და მოურავ-  
 ნი“.

ამ ცნობიდან აშკარაა, თუ რა განწყო-  
 ტრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გიორგი V  
 (ბრწყინვალე) მთის მზარეში სახელმწიფოებ-  
 რივ წესრიგის დამყარებას იმ ხანითო დო-  
 ნისძიებათა ჩაქვეში, რომელსაც იგი მოწვალ-  
 თა განადგენის შემდეგ საქართველოს ად-  
 რინდელი ძლიერების აღდგენისათვის ატარებ-  
 და; აქედან ცხადი ხდება ისიც, რომ მოწ-  
 ვალთა ურბოებს, რომლებიც გიორგი V  
 უფროსი ძმის დავით VIII დროს საქართვე-  
 ლოში დამარტეშობდნენ, ვერც ეწინააღმდეგებო-  
 ხებ-სიმაგრისა და ვერც იქ მდგომი მეფის  
 სასახლისათვის ვერაფერი დაუტლიათ.

უკანასკნელად შეინალი, როგორც ქალაქი,  
 წყაროებში მოხსენიებული XV საუკუნეში,  
 1474 წლის დათარიღებულ ერთ საბუღოში.  
 ამის შემდეგ კი, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგ-  
 ებოდა მნიშვნელობა დაჰარბა, თუმცა რო-  
 გორც ციხე-სიმაგრე იგი შემდეგაც არსებო-  
 ბას განაგრძობდა. ვახუშტი ბატონიშვილი  
 გადმოცემით, XVIII საუკუნეში ეწინააღმდეგ-  
 ებოდა კიდევ მაგარი ციხე, თუმცა ქალაქი  
 უკვე აღარაა. ვახუშტი ამბობს:

„ეწინააღმდეგებოდა არაგვის არაგვის  
 შესაკრებელის შორის ციხე შენი და მაგა-  
 რი, და იყო ქალაქი და აქ უქმ არს“.

ახეთიო მოყლად საისტორიო წყაროების  
 ცნობები, რომლებიც ციხე-ქალაქ ეწინააღმდეგ-  
 ებოდა მისი მზარის დიდ ისტორიულ მნიშვნელო-  
 ბაზე მეტყველებენ.

უფროდ ეწინააღმდეგებოდა მისი „მრავალი  
 მიიუღლით“ დიდი სახელმწიფოებრივი  
 მნიშვნელობით აიხსნება ის ფაქტი, რომ ეს  
 სამეფო დომენი საპატრონოდ (და არა სა-  
 ეუთრებად) მეფის მიერ, როგორც ქვე-  
 ნითა დავანაბათ, გაიცემოდა ხოლმე ყველა-  
 ზე დიდ სახელმწიფო მოხელეებზე — ვაზი-  
 რებზე.

**გ. ცინი-ქალსაჲ ქინვალის  
 გფლოგაილამი თამარ მეფის  
 დროს: აბუღასანი, ვიზამირი, შოთა**

ეწინააღმდეგებოდა პირველ მფლობელ-პატრონად  
 (XII ს-ში) გველინიება ცნობილი სახელმწი-  
 ფო მოღვაწე აბუღასან იბის ძე, რომელ-

საც თამარის მეფობის პირველ პერიოდში ჯერ ქართლის ერისთავ-ერისთავისა და თბილისის ამირას თანამდებობები სჭერდა, ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესის საქელოც მხოლოდ. როგორც ლორჯი მონასტრის ცნობილი წარწერა გვაუწყებს, აბულასანი იმავდროს უყოფიდა „რუსთვისა და შეიღთა მთელეთთა პატრონიც“, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალაქი უნდაელოც მის სამატრონოს შეადგენდა. მაშასადამე, აბულასანი ვანაგებდა არა მარტო ქართლსა და თბილისს, არამედ აგრეთვე უყოფ. კუხეთს და ე.წ. „შეიდ მთელეთს“, რომლებიც წინათ კახეთის სამეფოში შედიოდნენ.

ეს ფაქტი საუკეთესო მარწმობაა არა მარტო ხსენებული ფეოდალის მეტისმეტი აღზრდებისა, არამედ ჩვენი ქვეყნის შიგნით მომხდარს იმ ნაგაქრო-ეკონომიურს ძვრებისაც, რაც საქართველოს გაერთიანებას და თბილისის განთავისუფლებას მოჰყვა. წინათ კუხეთს არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომ. პუნადაც პირი კახეთისაგან, თელავიკენ შტონდათ მიჰქცეულია, რადგან თბილისში უცხო დამპყრობლები იხსდნენ, მს შემდეგ კი, რაც თბილისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი გახდა, კუხეთიც თბილისისაგან იბრუნა პირი და დედაქალაქის ირგვლივ შეიქმნა მძლავრა ეკონომიურ რაიონი, რომელიც საქმიოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. ხსენებული რაიონის ბუნებრივი შემადგენელ ნაწილებად ჩაირიგვადგებიან ქალაქები რუსთავი და ჭინჭალი, რომლებიც კონტროლს უწყევდნენ დედაქალაქიდან სამხრეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ მიმავალ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზებს. ამ ეკონომიურ რაიონს ერთ ზელმდგენელი სპირიტუალია და სწორედ ასეთად ჩანს აბულასანი.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, აბულასანი არ ეკუთვნოდა დიდგვარიან დიდებულთა რიგებს, რადგან თამარის პირველი ისტორიკოსი მას „ეინმედ“ იხსენიებს. ეს აზრი დამაჯერებელი არაა. ჩვენი ფიქრით, თამარის ისტორიკოსი აბულასანს „ეინმედ“ იმიტომ კი არ იხსენიებს, რომ იგი თითქოს არ ეკუთვნოდა მის პირველ ფეოდალებს, სამეძლოა არისტოკრატების რიგებს, არამედ იმიტომ, რომ იგი არ ეკუთვნოდა თამარის მომხრეთა პროგრესულ ძებს და რეაქციონერი ფეოდალების, სწორედ პირველი დიდებულების ერთ-ერთი ფრთის ლიდერი იყო.

აბულასანის დიდ გავლენიანობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მისი წინადადებით იქნა მოწვეული თამარის პირველი ქმარი გიორგი ანდრიაის ძე, რომელიც ჩვენს ისტორიაში გიორგი რუსის სახელითაა ცნობილი.

აი, როგორ აგვიწერს ამ ფაქტს თამარის პირველი ისტორიკოსი:

როდესაც თამარ მეფისათვის საქმრატ მტარჩივის საკითხი გამწვავდა და დიდ პოლიტიკურ საკითხად იქცა (რადგან ეს იყო ხუხუხისა და სხვა კლასებისა და წოდებების მიერ მეფის კარზე გავლენის მოპოვების საკითხი, ე. ი. კლასთა ბრძოლის გამოვლინება), მაშინ „გამო-ვინმე-ჩნდა მეტყუელი მეკადრთა ტფილისისთა შინა, თავადი და მეფეთმეფისაგან წყალობა — ხელდასმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასან, და მეტყუელინი თქვა: „შე ვიცი შეელი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარინი რუსთანი და იგი, მცირე დარჩონილი მამისაგან, ექსორაქმნით დევნილი გარდამოსუფენა ბაძისა, სავალად სახელწოდებულისაგან და არს იგი უცნალოთა მეფისა სვენიჭისა ქალაქსა“.

მაშინ მომხმენარეთა მისთა უხმეს ერთი მკვიდრთაგანი დიდაქარი ზანჭან ზორაბაძე-დ. მსწრაფლ მსარულმან ცვალებითა მუნეთითა წამოსუფენა და მოუყვანა უწინარე პაქმნითა მოყმე სახე-კეთუფი, სრული ანაგებითა და მჭურტთაგან საჩენი ჯუარის-შვილად ამისთა მსახველთა და გამძღველთა — პატრიარქმან, დიდებულმან, ვაზართა და მასთა — მოახსენეს თამარს, და მათგან ნება — დაურთავი განაშაფეს ქორწინება.<sup>16</sup>

ეს ცნობა ბევრის მხრივ არის ჩვენითვის საინტერესო. ჯერ ერთი, მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ფეოდალური საქართველოს გავლენიანი მესვეურები, რომელთა შორის აბულასანს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, ისე ჩქარობენ შერთონ თამარ მეფეს გიორგი უფლისწული, რომ თვით მეფის თანხმობას არც კი ეღობებიან; აქედან ჩანს, რომ ხსენებული გიორგი, რომელიც ექსორიაში იმყოფებოდა და, მაშასადამე, თავის ნაშრობლოდ არ გაიწვია არავითარი რეალური მხარდამჭერი ძალა, ფრიალ სასურველი კანდიდატი უყოფიდა დიდი ფეოდალებისთვის, რომლებიც მისი საშუალებით იმედოვნებდნენ მეფის კარი ზელში ჩაეგდოთ და თამარი თავიანთი ნება-სურვილებს შემსრულებლად ექცათ.

მეორე, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აბულასანმა ასე კარგად და დეტალურად იცის რუსეთის სამეფო კარის მდგომარეობა; ცხადია, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მის ზელში იყო რუსეთისაკენ მიმავალი ერთადერთი სავაჭრო გზა, რომელზეც განუწყვეტლოდ მიმოდოდნენ ქაჩანებ; აბულასანის მოხელეებს, რომლებიც თბილის-თიანეთ-დაბაღის გზის ციხე-სიმაგრეებში იხსდნენ, რა



თქმა უნდა, დაწერილებით ეცოდნებოდათ რუსეთის ამბები იქიდან მომავალი ვაჭრების საშუალებით.

შესამე, ყურადღებას იქცევს ის დიდი ნდობა, რომელიც სამეფო დარბაზმა აბულასანს და მის ზღლქვეით მყოფ დიდ ვაჭარს ზანქან ზორაბაბელს აღმოუჩინა; ეს ფაქტი მოწმობს არა მარტო აბულასანის დიდ გავლენას, არამედ ვაჭართა კლასის ზედა ფენის დიდ გავლენასაც. ჩანს, ამ დროს საქართველოში ვაჭრობა-აღებშიცემათა უაღრესად განვითარებული ყოფილა და ვაჭრები დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ.

გიორგი რუსის გამეფების შემდეგ აბულასანისა და მისი დასის საქმე კარგად უნდა წახსულყო, და ერთხანს ასეც ჩანს, მაგრამ შემდეგში, როცა გიორგი რუსის აჯანყება შემარცხდა და ამით ქართული სახელმწიფოს კრიზისი დამთავრდა (1190-1191 წლ.), აბულასანიც დამცრობილ იქნა და მან რუსთავიცა და ტინვალიც დაქარგა.

აბულასანის დაცემის შემდეგ მისი ყოფილა სამფლობელო ორად გაუყვიათ: რუსთავი და მისი თემი სპატირონოდ ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელისათვის გადაუციათ, ხოლო ტინვალი თავისი შვიდი მთიულეთით ზანდატურთუხუცესს კიაბერს მიჰლდა. ისტორიკოსი ვაღმოგვცემს:

„მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა, ძემა სარგის ამირსპასალარისაჲს, მჭდომსა სომეხთა მფლისა ადგილსა, პატარსაჲს, ღორასასა, მიუმატეს ქალაქიც რუსთავი მოყმესა ღირსსა სპასიტობისაჲსა. და კიაბერსა მანდატურთ-უხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ტინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთიულეთითა“.<sup>11</sup>

ეს ამბავი მოხდა 1191 წელს (ან მის ახლოს), როცა თამარ მეფემ და მისმა მომხრე პროგრესულმა ძალებმა რეაქციონერ ფეოდალთა აჯანყება ჩააჭრეს და ქვეყნის მართვა-გამგეობის სათავეში მფის ერთგული მოღვაწეები ჩააყენეს.

მაგრამ იმალება კითხვა: რამ გამოიწვია აბულასანის ყოფილი სამფლობელოს ორად გაყოფა? ზემოთ ჩვენ ხომ აღვნიშნეთ, რომ რუსთავი და ტინვალი, თავიანთი მიმდგომა სოფლებით, დედაქალაქის ორგულივ წარმოქმნილი დიდი ეკონომიური რაიონის ორგანულ ნაწილს შეადგენდნენ, რის გამო მათი ერთი მფლობელის ხელში გადაცემა ქვეყნის ეკონომიური განვითარების ინტერესებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი?

საქმე ისაა, რომ აბულასანის დღეატის მაგალითზე საჭეფოს მესვეურებს არ შეეძ-

ლოთ არ ევარძნოთ ის საფრთხე, რომელსაც დედაქალაქისა და მისი მისამდგომლებს ეერთი აღაშინის მფლობელობაში გადასცემა შეეცავდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ რუსთავისა და ტინვალის ერთიანი რეგიონის გაყოფა და სპატირონოდ სხვადასხვა პირებს შორის გადაცემა აიხსნება პოლიტიკური მოსაზრებებით, ე. ი. სახელმწიფო უშიშროების ინტერესებით. აქედან თავისთავად გამოიძინარეობს ის აზრი, რომ ხსენებული გაყოფა დროებით მოვლენა იყო და შემდგომში, როცა სახელმწიფო უშიშროების ინტერესები ხთანადოდ იქნებოდა დაცული, კვლავ შეიძლებოდა დამდგარიყო საერთო ტინვალისა და რუსთავის რეგიონების ერთი მფლობელის ხელში გაერთიანებისა, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

რამდენ ხანს დარჩა ტინვალი და მისი „მეფი მთიულეთი“ მანდატურთ-უხუცეს კიაბერის მფლობელობაში ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდის გადავიდა იგი მისი მომდევნო მფლობელს — „შოთას“ ხელში, არ ვიცით, მაგრამ რამდენადაც კიაბერი მფის ერთგული პროგრესული მოღვაწე იყო, საფიქრებელია, რომ სიცოცხლეში მას ტინვალს არ ჩამოართმევდნენ. მაშასადამე, ტინვალის გადასვლა „შოთას“ ხელში შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ კიაბერის გარდაცვალების შემდეგ.

მაგრამ როდის გარდაიცვალა კიაბერი?

ქართულ ისტორიოგრაფიაში კიაბერის გარდაცვალების ზუსტი თარიღი დადგენილი არაა, ოღონდ ის კი დანამდვილებით ცნობილია, რომ შამქორის ომის დროს (1198 წელს) კიაბერი ცოცხალია, ხოლო 1207 წელს — ცოცხალი აღარაა (ამ დროს მისი თანამდებობა — მანდატურთუხუცესობა — უკვე სხვა პირს, სახელდობრ ცნობილ მხედართმთავარს შაღვა თორელ-ახალციხელს უჭირავს). მაშასადამე, კიაბერი გარდაცვლილა XII საუკუნის დამდეგს ან XIII საუკუნის დამდეგს.

როგორც თქვა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ციხე-ქალაქი ტინვალი „შოთას“ ხელში გადასულიყო. მაგრამ ვინ არის ეს შოთა? მართალია, პირდაპირი და უცდლობელი საბუთი, რომელიც კიაბერის სიკვლის ხელჩამრთველი შოთას ენახობას დგვამტკიცებდა, არ მოგვეპოვება, მაგრამ ისტორიული ფაქტების ერთობლიობა და ამ ფაქტების მეცნიერული ანალიზი, ჩვენი ღრმა რწმენით, ბუნებრივად და ლოგიკურად მოგვიყვანს ტვე-მიუტანელ კრწმარიტებამდე. ასეთი რწმენის საფუძველს წარმოადგენს ისტორიული ფაქტ-

მის ლოგია, რომელიც, როგორც ცნობილია, ჭეშარიტების უტუარი საბუთია.

ენათთ ეს კონკრეტულ მაგალითებზე.  
4. მეჭურჭლეთუხუცესის შოთა რუსთველი და ციხე-ქალაქი შინგალის მფლობელი შოთა — ერთი და იგივე პირია

რუსთაველილოგიაში დიდი ხანია არსებობს აზრი, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი შოთა რუსთველი და იერუსალიმის ჭვარის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი — ერთი და იგივე პირია. ტიპოთუ ვაბაშვილს, რომელიც ჭვარის მონასტრში დაცულ წერილობით წყაროებსა და იქვე დამკვიდრებულ ტრადიციას ეყრდნობა, ეს აზრი სადავოდ არ მიაჩნდა; ის გარკვევით აცხადებდა, „ჭვარის მონასტრის დაცვებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დუხატიცინებია შოთას რუსთველს, მეჭურჭლეთ უხუცეს (ს). თითონაც შიგ ზატია მოხუცებულიო“.<sup>12</sup>

ტიპოთეს ამ საუბრადღებო ცნობას რუსთაველილოგებმა დიდ ხანს ეტყის თვალთ უყურებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჭვარის მონასტრის აღაპები დეტალურად იქნა შესწავლილი (ელ. მეტრეველი) და შოთას სააღაპე მოხახსენებლის თარიღი დადგინდა, ზემოთ ხსენებული აზრი თანამედროვე მეცნიერებმაც გაიწიარეს და ამაჟამად სადავოდ აღარ ითვლება. აი, მაგალითად, რას ამბობს ამის შესახებ აკად. ა. ბარამიძე:

„შოთას სააღაპე მოხახსენებლის თარიღის გარკვევა რუსთაველილოგური მეცნიერების დიდი მიღწევაა. ახლა სავსებით სარწმუნოა შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და პეტრე შოთა რუსთველის იგივეობა“.<sup>13</sup>

ეს აზრი კარგად უდგება ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის ახლებურ გაგებას, ანტიკომ ჩვენ იგი ადრეც შესაწყნარებლად მივაჩინა, ოღონდ საბოლოოდ დამტკიცებულიად არ ვთვლიდით, შემდგომმა კვლევებით, კერძოდ კი ჭიანჭველის სიგელზე აღბეჭდილ შოთას ავტოგრაფთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტების ანალიზმა, საბოლოოდ გაფანტა ჩვენს იმეგზე და დაგვარწმუნა, რომ შოთა რუსთველს, გარკვეულ დროს, ნამდვილად ექიპა-მეფის ვაზირის (მეჭურჭლეთუხუცესის) თანამდებობა.

მაგრამ რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ ფაქტებიდან?

რაკი ჩვენ ვიცით, რომ სამეფო ციხე-ქალაქი შინგალის საბატრონოდ (და არა საკუთრებად) მხოლოდ ყველაზე დიდ სახელმწიფო მოხელეებზე — ვაზირებზე — ვიცავოდა; რაკი

ჩვენ ვიცით; აგრეთვე, რომ თამარ მეფის ვაზირთაგან სახელი შოთა მხოლოდ მეჭურჭლეთუხუცესს რუსთველს ერქვა და სხვა არავის, თავისთავად ცხადია, რომ სწორედ მეჭურჭლეთუხუცესი შოთა რუსთველია შინგალის ის მფლობელი, რომელმაც ჭიანჭველის სიგელზე თავისი სახელი აღბეჭდა.

ასეთი ზუსტი დამთხვევა და თანხმობა, ერთი მხრივ, სახელებისა, ხოლო მეორე მხრივ, თავისთავად ქალაქ შინგალის საბატრონოდ გაცემის ტრადიციული წესისა, გადამწყვეტი მნიშვნელობის საბუთია და სხვა საბუთი კიდევაც რომ არ გავაჩინდეს, ზემოთ მოტანილი დასკვნა მაინც სავსებით ლოგიკური და საფუძვლიანი იქნებოდა. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ეს დასკვნა სხვა საბუთებითა და არგუმენტაციით გავამაგროთ.

ერთ-ერთ უტუარ საბუთს იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ჭიანჭველის სიგელზე აღნიშნული „შოთა“ იგივე მეჭურჭლეთუხუცესი შოთა რუსთველაა, ისტორიულ ქრონოლოგიაზე დავიბრუნება ვაძლევს. ამ დავიბრუნების შედეგად ირკვევა შეტად საგულისხმო ფაქტი: შინგალი სწორედ იმ დროს გადასულა ჭიანჭველის სიგელზე ხელის ნამრთვალ შოთას მფლობელობაში, როცა შოთა რუსთველი მეჭურჭლეთუხუცესად დანიშნა; მაშასადამე, აქაც საკმე ვვაქვს ისტორიული ფაქტების საოკრად ზუსტ დამთხვევასთან, რაც, ცხადია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს.

გავეცნოთ ამ საკითხს უფრო ახლოს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ციხე-ქალაქი შინგალის ჭიანჭველის სიგელზე ხელნაწარმოული შოთას ხელში მხოლოდ მანდატურთუხუცეს ჭიანჭველის გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. 1195-1207 წლებს შორის შეიძლება დაგვადსულიყო. დავისხომოთ ეს თარიღი და ახლა ვნახოთ, როდის მიიღო შოთა რუსთველმა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, ისტორიული წყაროების მონაცემების საფუძველზე, დღესდღეობით დადგენილია XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისის მეჭურჭლეთუხუცესთა ქრონოლოგიური რიგი, სახელდობრ: 1191 წლამდე მეჭურჭლეთუხუცესია აბულასან იბნის ძე, მის შემდეგ, დაახლოებით 1207 წლამდე — შაღვა იოსელიანი-ახალიციელი, ხოლო 1220-1221 წლებიდან ივანე — უკაცყვარე ქაყულ-ციხისჭვარელი.<sup>14</sup>

როგორც ვხედავთ, ამ რიგიდან არ ნახს, თუ ვინ ყფლ მეჭურჭლეთუხუცესად 1202-1220 წწ. შორის.

თუ ვეფხისტყაოსნის ავტორს, შოთა რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებო-

ბა ნაშვილად ეჭირა (ხოლო რომ ეჭირა, დღეს ეს სადავო აღარაა), ცხადზე უცხადე-სია, რომ მის ხსენებული თანამდებობა შე-ეძლო მიეღო შაღვა თორელ-ახალციხელის შემდეგ, ე. ი. დაახლოებით 1207 წელს (ან ცოტა ადრე) და დარჩენილიყო ამ თანამდებო-ბაზე დაახლოებით 1220-1221 წლებამდე.

ამიტომ, ჩვენს წინაშე ისევ ზუსტი დამ-თხვევა, — ამტკრდა უკვე ქრონოლოგიური, — ორი რივის ისტორიული მოვლენებისა: 1) კი-აბრის სიგელზე ხელჩამრთველი შოთა ციხე-ქალაქ ტინვალას მფლობელი ხდება მანდა-ტურთუბუცისის კიაბრის გარდაცვალების შემ-დეგ, ე. ი. 1207 წლიდან; 2) ველხისტკაოს-ნის ავტორის შოთა რუსთაველიც მეჭურჭ-ლეთუბუცისის თანამდებობას იღებს ამავე კიაბრის გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. 1207 წლიდან.

ისტორიული მოვლენების ასეთი ზუსტი ქრონოლოგიური დამთხვევა, ცხადია, მრავ-ლისშეტყველი ფაქტია. გონების დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო ოქისთვის, რომ ზემოთ მოტანილი ქრონოლოგიური მონაცემებს მიხედვით წარმოვიდგინოთ შემ-დეგა ისტორიული სურათი: კიაბრის გარ-დაცვალების შემდეგ მისი თანამდებობა (მან-დატურთუბუცისისა) უბოძეს გამორჩენილ მო-ღვაწეს, შამქორის ომის გმირს შაღვა თორელ-ახალციხელს, ხოლო ამ უკანასკნელს თა-ნამდებობა — მეჭურჭლეთუბუცისობა — ახვევ გამორჩენილ მღვდელმთავარს შოთა რუსთ-ველს, რომელსაც ამავე დროს საგამეოდ ჩააბარეს კიაბრის ნაქონი ციხე-ქალაქი ტინ-ვალა.

ძნელი შესამჩნევია არ არის, რომ ასეთი გა-დაწვევებილება ღოგაეური იყო და საკუ-ებით შეესაბამებოდა იმდროინდელი ქართული სახელმწიფოს როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ინტერესებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტინვალისა და მისი „შვიდი მთეულეთის“ გადასვლა იმ მოღვაწის მფლობელობაში, რომელიც ამავე დროს (ეკლესიურად) რუსთავისა და მისი მიმ-დგომი სოფლების (ძველი კუხეთის) ფაქტი-ური მფლობელი (ეპარქოსი) და სულიერი მწყემსი იყო, მიჩნეული უნდა იქნას არა რა-ღაც შემთხვევითობად, არამედ იმდროინდელი ეთარქებით განპირობებულ კანონზომიერ მოვ-ლენად.

მინც რა ფაქტორები უწყობდნენ ხელს რუსთაველს ურთიერთ დაახლოებას და ქმნიდნენ ნიადაგს ამ ორი თემის ერთი მფლობელის ხელში გაერთიანებისათვის?

ასეთ ფაქტორებს შორის პირველ რიგში მჭიდროდ უნდა დავასახლოთ ამ თემ-

ბის სავაჭრო-ეკონომიური კავშირი და აგრეთვე მათი გეოგრაფიული მდებარეობა.

ზემოთ ჩვენ უკვე გავსარდა საუბარი ამ მიზეზებზე, რომლებიც ბელ უნდა შექ-უო რუსთავისა და ტინვალის აბულხანას მფლობელობაში გაერთიანებისათვის; აღ-ვნიშნეთ ისიც, რომ აბულხანას დაცემის შემდეგ რუსთაველ-ტინვალის მთლიანი სამფლობე-ლოს გაყოფა პოლიტიკური მოსაზრებებით უნდა მომზადებულიყო და რომ შემდგომში, როცა სახელმწიფოს უშიშროების ინტერესე-ბე სათანადოდ დაცული იქნებოდა, კვლავ უნდა დასმულიყო საკითხი რუსთაველ-ტინ-ვალის ერთი სამფლობელოდ გაერთიანე-რისა. ჩნს, სწორედ ასეთი მომენტია და-დგარა კიაბრის გარდაცვალების შემდეგ, რო-ცა ფეოდალურა საქართველოს ერთიანობა და მტკიცება თავის ზენიტში იმყოფებოდა.

ისტორიული დოკუმენტები გვიდასტურე-ბენ, რომ XIII-XIII საუკუნეებში რუსთა-ვის საეკლესიო ეპარქია (ყოფ. კუხეთის ტე-რიტორია) უშუალოდ ენაწევრებოდა ტინ-ვალსა და მის თემს; რუსთაველის საშქსო მოიცავდა მტკვრის მთელი მარცხენა ნა-პირს ტერიტორიას ქ. რუსთაველიდან — ქ. ტინ-ვალამდე, ამასვე ადასტურებს ვახუშტი ბა-ტონიშვილიც, რომელიც აღნიშნავს რა თი-ანეთისა და სავურამო-ხერკის სასაზღვრო მთის მდებარეობას, დასძენს: „ეს მთა არს თიანეთისა და ხერკის საზღვარი, და აქამ-დე წ უწოდებენ თიანეთს, გარსა პირ-ველ იყო ტინვანამდე წილი კუხოსისასა“. 16 აქედან ცხადია, რომ რუსთაველს ეპარქია და ტინვან-მთიულეთი გეოგრაფიულად უშუალოდ გუკროდნენ ერთმანეთს.

ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ის გარემოე-ბაა, რომ ძველად (თამარის მეფობაში) მთავარი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ტინვალს თბილისთან და რუსთაველს აკავში-რებდა, გადიოდა არა მტკვრის მარცხენა ნა-პირზე, როგორც დღეს ვადის, არამედ — მარცხენა ნაპირზე ე. ი. სწორედ კუხეთის ტერიტორიაზე. აი, რას ამბობს ამის შესახებ გამორჩენილი ქართველი ისტორიკოსი ნ. ბერ-ძენიშვილი: „თბილისიდან ჩრდილოეთისაკენ მთავარი გზა ამიერ და იმიერ არაგვისა ბეო-ბებით და დარიალის კარის გავლით ჩრდი-ლო კავკასიაში შედიოდა... შევიძლია ვამ-ტკიცოთ, რომ დარიალის გზა თბილისიდან ტინვალამდის სწორედ არაგვის მარცხენა მხრიდან უნდა უფილიყო. საქმე ისაა, რომ ტინვანს ქვემოთ არაგვის მარცხენა ნაპირი კარგა მოზრდილ მანძილზე უჭოა და გზა მხოლოდ მარცხენა მხრითაა შესაძლებელი. ახე, რომ ვისაც თბილისიდან თუ მცხეთიდან ტინ-ვანს მიხვლა ხურდა, ის უნდა არაგვის მარცხენა

ნაპირს შეტყობოდა გარკვეულ ადგილიდან მაინც. მეორეს მხრით შეუძლებელია თბილის-მცხეთის გზა უინვანთან არ ყოფილიყო დაკავშირებული. ასე რომ ზენე შემდეგს მივიღებთ: თბილისიდან მტკვრის მარცხენა ნაპირით და შემდეგ არაგვის მარცხენა ნაპირით მიდოდა დარიალის გზა უინვანზე. მეორე გზა უინვანისკენ თბილის-მცხეთის გზა იყო... დართისკარს ვასვლის შემდეგ ეს გზა ხიდარას თუ ბოლანაურში არაგვის მარცხენა ნაპირიდან მარცხენაზე გადადიოდა და პირველ გზას უერთდებოდა“.

როგორც ვხედავთ, არა მარტო თბილისი და რუსთავი, არამედ წმინდა ქალაქი მცხეთაც უინვალს კუბეთის ტერიტორიით (რუსთავის ეპარქიით) უკავშირდებოდა. ეს გარემოება კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ რუსთავ-უინვალის სამეურნეო ერთეულები (თემები) არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ ეკონომიურადაც უაღრესად მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. მათ ერთმანეთთან, აგრეთვე თბილისთან და მცხეთასთან, აკავშირებდა საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ზენე კვეთის ეკონომიური ცხოვრების წინსვლა-განვითარებისათვის.

ნათქვამიდან, ცხადია, რომ ციხე-ქალაქ უინვალის გადასვლა ისეთი პატრონის (ვაზირის) ხელში, რომელიც ამავე დროს რუსთავისა და მთელი კუბეთის სასულიერო პატრონი და მწყემსი იყო, სრულად კანონმდებრივი მოვლენაა.

ამ მოვლენის კანონმდებრებას კიდევ უფრო ნათლად დაგვანახებებს საკითხის პოლიტიკური ასპექტის განხილვა.

ზემოთ, როცა ციხე-ქალაქ უინვალის დიდ ეკონომიურსა და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ვსაუბრობდით, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მეფის კარზე დამკვიდრებული ტრადიციით, უინვალი და მისი „შვიდი მთელი“ სამფლობელოდ უველაზე გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს — ვაზირებს გადაეცემოდათ ხოლმე. 18 რაკი ჩვენ ვიცით, რომ თამარ მეფემ უინვალი ორჯერ უბოძა თავის ვაზირებს (ახულასანს, კიაბერს) საპატრონოდ და საგამგეოდ, ხანებით ბუნებრივი და ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ კიაბერის გარდაცვა-

ლებს შემდეგაც მეფე არ დაარღვევდა ტრადიციას და უინვალი კვლავ რუმელში უნდა უბოძებოდა.

მაგრამ აქ შეიძლება წამოიჭრას ისეთი კანონიერი კითხვა: რა უშლიდა ხელს თამარ მეფეს, რომ ციხე-ქალაქი უინვალი და მისი მიმდგომი სასოფლები საპატრონოდ გადაეცა არა შოთა რუსთველისათვის, არამედ შალვა თორღლ-ახალციხელისათვის, რომელმაც კიაბერის გარდაცვალების შემდეგ მისი თანამდებობა (მანდატურთუხუცესობა) მიიღო და თანაც მეფის უაღრესად ერთგული გამოჩენილი მოღვაწე იყო?

საკითხის ამგვარად გადაწყვეტას ხელს უშლიდა შემდეგი ორი გარემოება: ჭრე ერთი, ჩვენი კვეთის იმდროინდელი სავაჭრო-ეკონომიური ვითარება, როგორც აღვნიშნეთ, მოითხოვდა რუსთავ-უინვალის ეკონომიურ ერთეულების (თემების) ერთი მფლობელ-პატრონის ხელში გაერთიანებას, რაც შალვა ახალციხელს არ შეეძლო, რადგან მას არც ქ. რუსთავზე მიუწვდებოდა ხელი (ქ. რუსთავის საერო მფლობელ-პატრონის კელი იმდროის ისეთ გავლენიან მოღვაწეს ეყვრა, როგორც ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი იყო) და არც, მით უმეტეს, რუსთავის ეპარქიაზე; მეორეც, პატრონობა ისეთი ძველი და დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქებისა, როგორც რუსთავი და უინვალია, ქართული სახელმწიფოს ტრადიციით, ევალებოდა არა მანდატურთუხუცესს, არამედ მეჭურჭლეთუხუცესს. ამ ფაქტს ადასტურებს ცნობილი ისტორიული დოკუმენტი „გარაზება ხელმწიფის კარისა“, რომელშიც ზუსტად არის განსაზღვრული მეჭურჭლეთუხუცესის საქმიანობის სფერო. ამ დოკუმენტიდან ვტყობილობთ, რომ სწორედ მეჭურჭლეთუხუცესის საგამგეოს შეადგინდა ძველი ქალაქები, ვაჭრებობ და სავაჭროები, მეფის საღარო და ა. შ. აქედან ცხადია, რომ უინვალის გადაცემა მეჭურჭლეთუხუცესის ხელში (ახულასანი, შოთა) შეესაბამებოდა მეფის კარზე არსებულ წესს, ხოლო სხვა ვაზირის (კრძომდ მანდატურთუხუცეს კიაბერის) ხელში მისი გადაცემა მოსწავებოდა ამ წესიდან გადახვევას, ერთგვარ გამონაკლისს, რაც, როგორც ითქვა, გამოწვეული უნდა ყოფილიყო პოლიტიკური მოსაზრებებით, ე. ი. სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებით.

შეგვიძლია დაეასკვნათ: რაკი დადგინდო

წების მიხედვით, ცაბე-ქალაქი უნდა იყოს მეტურქულითუზუცის საგაგვოს შეადგენდა; რაჟა, ამასთანავე, შეუძლებელი იყო ქარუსთავი ზაქარია მხარგრძლისათვის ჩამოერთმიათ, თამარ მეფის და მის დაბაზს ისღა დარჩენოდათ, რომ ენგვლი და მისი თემი ახლად დანიშნულა მეტურქულითუზუცის შოთა რუსთველისთვის ებოძებიათ და ამით რუსთავ-ენგვლის მიხედვით ეკონომიურა რაიონი ასე თუ ისე ერთი მფლობელ-პატრონის ხელში გაერთიანებინათ.

ამრიგად, ჩვენს წინაშე ისტორიული ვითარების სავსებით რეალური და დამატრეპული სურათი: ერთმანეთს ემთხვევა ენგვლის მფლობელისა და მეტურქულითუზუცის სახელები (ორივეს „შოთა“ ჰქვია); ერთმანეთს ემთხვევა და ეთანხმება ისტორიული თარიღები (ენგვლისა და სწორედ იმ დროს ეუფლება უცნობი „შოთა“, როცა მეტურქულითუზუცის თანამდებობა შოთა რუსთველმა დაიკავა); ერთმანეთს ემთხვევა და ეთანხმება მეტურქულითუზუცისა და ენგვლის მფლობელის სამხსურებრივი ფუნქციები (სამეფო კარზე დამკვიდრებული წების თანახმად, ენგვლის მფლობელ-პატრონი ამავე დროს ვაზირი (მეტურქულითუზუცი) უნდა იყოს და ბოლოს, ერთმანეთს ემთხვევა და ეთანხმება სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიური ინტერესები (რუსთავ-ენგვლის თემების კვლავ ერთ ეკონომიურ რეგიონად გაერთიანების საჭიროება) და ის პირობები (გეოგრაფიული მდებარეობა შოთა რუსთველის ხელში ქ. რუსთავისა და მისი ეპარქიის უკვე არსებობა), რომლებიც რუსთავ-ენგვლის თემების გაერთიანების პრაქტიკული განხორციელებისათვის აუცილებელი იყო.

უფროდენ ეს სრულ უფლებებს გვაძლევს დადგენილად ჩავთვალოთ ის ქვეშარბიტება, რომ ცაბე-ქალაქი ენგვლის მფლობელი შოთა, რომელმაც „ქიბარის სიგელზე“ თავისი სახელი აღბეჭდა, არ შეიძლება სხვა ვინმე იყოს, თუ არა თამარ მეფის ცნობილი ვაზირი-მეტურქულითუზუცი, — გენიალური პოეტი შოთა რუსთველი.

ასეთივე ლოგიკური დასკვნა, რომელიც თამარის ეპოქის ისტორიული ვითარების მეცნიერული ანალიზიდან გამოიშინარება,

ამით ჩვენ შეგვეძლოს ამ საკითხის კვლევა დაგვეშთავებინა, მაგრამ მკითხველს საუ-

ვო რომ აღარაფერი დარჩეს, საქაროდ მივაჩინა პასუხი გაცემის მიზნად ვერცხველურადღებო კითხვას.

შეიძლება თუ არა, რომ ქალაქი სამფლობელოდ მიეღო მღვდელმთავარს, რომელიც, როგორც წესი, ბერი უნდა ყოფილიყო და ამიტომ უფლებმა არ ჰქონდა რაიმე საკუთრება ჰქონოდა? ხომ არ გამოჩივავს ეს გარემოება შოთა რუსთველის მფლობელობაში ენგვლის გადასვლის შესაძლებლობას?

ამგვარი ეჭვისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს, რადგან, ჯერ ერთი, ენგვლი შოთა რუსთველმა-მეტურქულითუზუცისმა მიიღო არა როგორც საკუთრება, არამედ როგორც დროებით სამფლობელო და სპატრონი ჰქონდა, მეორეც საქართველოს ისტორია სხვა შემთხვევებსაც იცნობს, როცა სასულიერო ვაზირს სამფლობელოდ ამა თუ იმ ქალაქს ან სოფელს გადაცემდნენ ხოლმე. მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია ასეთი ფაქტი: როცა მთაველ შირიანის ძის გარდაცვალების შემდეგ თამარ მეფემ ქვეყნის პირველი ვაზირის (მწიგნობართუზუცი — უყნადიელი) თანამდებობა ანტონ გლონისთავის ძეს ჩააბარა, მასვე სამფლობელოდ კიბის — ქვეი უბოძა. მ აქედან ცხადია, რომ სასულიერო წოდებისაღმე კუთვნილება (ბერობა) მეტურქულითუზუცი შოთა რუსთველს ოდნავადაც ვერ შეუშლიდა ხელს სამფლობელოდ ცაბე-ქალაქი ენგვლი მიეღო.

დაბოლოს, გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ შოთა რუსთველის ავტოგრაფის უჩვეულო ფორმას. ჩვეულებრივ, როცა ისტორიული პირები საბუთებს ამოწმებენ, მარტო თავის სახელს კი არ აღნიშნავენ, არამედ გვარსაც, ხოლო ძალიან წმირად აგრეთვე მამის სახელსა და თანამდებობას; „ქიბარის სიგელზე“ კი მარტო სახელი შოთაა კენჭად აღნიშნული. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი დამწერი მამადნად სახელგანთქული კაცი უფიდაა, რომ მარტო სახელითაც ყველა იცნობდა, — ისევე, როგორც ჩვენს დროში ყველამ იცის, ვინაა ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი?

„მე შოთაი ჩემს ენგვანს ჰქონებასაც შეგა ამას ვამტკიცებ...“

არა გვეონია ძნელი მისახვედრი იყოს, რომ ასე მარტო სახელგანთქული პოეტს შეეძლოს დაეწერა.

ლოში ბრჭყალებით იცნობაო, ნათქვამია!



შენიშვნები



- 1 თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, გვ. 277.
- 2 თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, გვ. 277.
- 3 ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1966, გვ. 11.
- 4 ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური საზღის ისტორია და შოთა რუსთაველი (ტრეპულში „შოთა რუსთაველი“, 1966წ).
- 5 „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 55.
- 6 „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 301-306.
- 7 ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 401.
- 8 შ. მესხია, «Города и городской строй феодальной Грузии», 1959, გვ. 96.
- 9 „ქართლის ცხოვრება“, IV, გვ. 534.
- 10 „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 36-37.
- 11 „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 55.
- 12 შიმოსგლა, გვ. 80.
- 13 შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 49.
- 14 ივ. პ. ჩატანი, ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, 1975, გვ. 124-125.
- 15 შოშიაშვილი, დამოწმ. ნაშრომი, გვ. 73.
- 16 „ქართლის ცხოვრება“, IV 1973, გვ. 535.
- 17 ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველს ეპოქის საქართველოში, 1966, გვ. 54,60.
- 18 სინტერესოა აღანიშნოს, რომ ასეთივე დასკვნამდე მივიდა ცნობილი ისტორიკოსი შ. მესხია 1959 წელს გამოცემულ ნაშრომში: «Города и городской строй феодальной Грузии» (44).
- 19 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 1-23.



## მეცხრე მთის გადმოსახედიდან

სიამოვნებით ვკითხვლობ მოძღვნილ წიგნს. თვალწინ მიდგას ავტორის სახე: ტანბრგე, გამზღარი, მსკოვანი კაცი, მეცნიერი, მწერალი, ერთ ღრის ფაქტულტეტის სათნო დეკანი, შემდეგ უნივერსიტეტის „მრისხანე“ რექტორი, ახლა დამსახურებული აკადემიკოსი, ახალგაზრდობის გულსხმიერი მოძღვარი. და იგი, თითქოს ვხედავ კიდევ: კონჩხიბი მთაკაცი ჭვანისხევის კლდოვან ბილიკებს ასყეა. ზურგჩანათოსანი ბიჭები მართვესავით აუღვევენ ტყეში შეჭრილ ბილიკზე. ერთი კუნთმავარი ჭვანუკი დაწინაურდა და კანჩხის თარჯით შეწარდა, კიმელი მოიბოლოიანა და ნიმუში მოძღვარს მიაჩთვა, მთაკაცმა კარაპანთან ჩაიმუხლა, კიმელს გეშო გაუსინჯა და ყმწვილემს ველური ვაზის საოცარი თვავადასავალი უამბო. აქ თურმე ვაზის ძვირფასი ჭიშები ხარობდაო. თურქთა საუკუნოვანმა ბატონობამ ვაზი გაანადგურა, მაგრამ აღმაიანთა მარჯვენამ ზოგი მათგანი გადაარჩინა. ახლად შემოერთებულ აჭარაში პირველად თელა სახოკიმ აღწერა გადარჩენილი ჭიშებიო და იქვე ჩამოთვალა ისინი: ბროლა და კლარჯულა, მატენაური და ბუდეშურა, ვანური ბერძგლა და მეკერენჩხი, შხუმი და ჩხავერი, ცხენის ძუძუ და ხარისთვალა, ჟანიში და ხოფათური... ყველამ უფრადღებით გასინჯა კიმელიანი ვაზის ფოთოლიცა და ჩქაც. გაგარულებული ბროლაო, — დაასყენა მოძღვარმა.

ყმწვილემს ეუცნურათ შინაური ვაზის გაგარელება. მაგრამ ეს ხომ მწარე სინამდვილეა, რის მოწმეც მრავალი ლეგენდა და თვით აქარეს მწიმე ისტორიაა. ოსმალეებმა მხარე დაქციეს. მისივეს მალაი კულტურის იმისთანა, კერები, როგორც იყო ტბეთი და ოშკი, ხახული და ოპინა, არტანუჯი და იშხანი, ერუშეთი და შავშეთი. ათხარეს აუფავებული სოფლები, აჭხეს ვაზი და ხეხილი. მუსკი გაავლეს კაცლის ხეებს. სამყერ ბუნებათ ვენახი. ერთხელ რომ გაჩხეს, მეორე წელს გვლხებმა ახალი ბავა ჩაყარეს და მოყლე ხანში რთველი გაჩაღეს. ოსმალის ქარმა წამოთარა და კვ-

ლავ უმოწყალოდ გადაყავა ნორჩი ვაზი, ნავენახარი გუნით გადახსენს, ვაზი და კაელი

ამოძირკვეს. ხალხს იმისთანა ღლე დასდგოია, რომ ორი წლის განმავლობაში ოჯახში ერთ ფინხურა ღვინოს ვერ იშოვნინდა კაცი და ოჯინჯახს ვერ გაქნიდა ქალი, რაც არ უნდა გულის სტუმარი მოსვლოდაო, ისე გაშენდა ვენახი, მაგრამ ასეერთა ურდომ კვლე წამოუარა და ამოძირკვა შეილით ნახარდი ვაზი. როცა მესამედაც აჩხეს, გლხებმა ხერხი ცხმარეს, კარმიდამოებს ტყურშული ღობე შემოავლეს, კარწინ მარტო ტყეშალი, ვაშლი და სხვა ხეხილი დარგეს. მოილაპარაკეს და ყველა სოფელმა თვის ტყეში გაიტანა ყველაზე მოსავლიანი ჭიში. ჩამოურთვა რცხილას, უხზარეს, ნეკერჩხალს, წაბლს და შეკლადდა, კარგად შემინახეთ. ძირი თურმე ცრემლით მოურწყეს. ოსმალო ტყეში ვერ შედიოდა, ეშინოდა, ტყის ძმები არ ასევენდნენ. ვაზმა და ხემ იგრძნეს ცრემლის სითბო, სიყვარულიც, ორ წელიწადში დაბურულ ტყეში მალარები გაჩნდნენ და დიტიბორთნენ გაჭიკნული მტევენებით. სოფელმა კვლე აიტაცა მელიოდა:

მასპინძელი მხარულა,  
მარნის კარი აჭრიალე,  
ტბოლი ღვინო მოგვიტანე,  
ველი ჩავვიმპრიალე.

გაციოფებულან დამპყრობნი: ვენახი აღარა აქვთ, რა ემღერებთათო? ახლა სიმღერას დაადეს ხარკი. სიქმე გაქირდა: ქართელებმა კაცმა ღვინო დალიოს და არ იმღერას, როგორ იქნება? დაიბეგრა ვაზიცა და მისი პროდუქტიც. შიჩას (ურჩონის ტბოლი წვენი) გამოსავლები მენვიდმეტე საუკუნეში ორასი ათას ახხას (თურქული ფულს ერთეულია) უდრიდაო. თურქი დამპყრობლები ჩეხდნენ, თხრიდნენ ვაზს, მაგრამ ვერ მოსპეს. აჭარამ საშინელ განმაცდელში გამოატარა ვენახი და გაათავიფულების შემდეგ შთამომავლობას შემოუნახა ორმოცმოდის ჭიშის საუკეთესო ვაზი: აღმურა და ბუტკო, ბათომურა და ბროლა, თეთრა და კიბურა, ლეგანურა და კოლოში, მისკიეთა და მეკერენჩხი, მტრელოფურა და მახათური, მათენური და შავშურა, საჭურავი

და ქაჯახეთურა, ღინწი და ხოჯათურა, ჩხუმი და სირისთავლა. ჭორქაულა და ტყისყურქენა, ქვეიბერა და ტრამბურთა. ამ სასწაულის მოხდენა მხოლოდ გლტყაყის მარჯვენას შევძლო, მაგრამ ყველგან ეს, ცხადა, ვერ მოხერხდა. გურიაში, მავალითად, აღტე ვაჭრეცლებულთ 60 ღიმიდან შემონახა მხოლოდ 20, სამეგრელოში — 55-დან გადარჩა 14, აჭარაში კი 50-იდან შემორჩა 40. შეხედეთ თუნდაც ამ ანტემ ავგაენს, გაიშვირა ხელი მოძღვარმა, თვლი ვაყოლეთ ბუნან ბიჭებს, რამდენი ექნი მოუქრიათ და მაინც როგორ შრიალებს მწვანე ხაფხი. ეს ნიადაგი მეტწილად მეორადი წარმოშობისაა. საძოვრების შეტი ნაწილი ნატყვევარზე ყოფილა გამოლილი. უწესრიგობებამ და ჩხუბმა წიწვინანს (სოჭი, ნაძვი, ფიჭვი) შეაფიწროვა, უკან დასწია, მის გზას დაადგინ არხნარები, ნეტარჩლიანები; დეკიანები ბეგრვან სულე მოისპო. ამ შადლოებზე გვხვდება გაეწრებული ყოპრალი ნიადაგები, ნეშომშალა კარბონატული ყოპრალი ნიადაგები, ბარაქინა საძოვრები. ტიმიოთელი და ნაიყრეფია, წივანა და კეწწურა, ცხვრის საშურა და ბაბუაწურა ყუათიანი საკვები მცენარეობა, რომლებიც ამ საძოვრებს ამშვენებენ. მართალია, მათ შემრევია საჩვევლა და შხამიანი ბალახეულიც, მაგრამ მთლიანად მდელოები ნიყურია. საჩვევლა და შხამიანი მცენარეულიდან აქ ფეხმოკიდებულია ძიკვი (ქისრიბა). ჭრელი წივანა, მარშქვი, მედგარი, ნემსიწვერები...

ასე იქნება ნიყო კეცხოველის ახალი თხულებების პირველი თავები. „მეცხვე მთაც გადავიარეთ“ მორიგი წიგნია ავტორის დოკუმენტური პროზის მრავალტომეულიდან. ადრე „ცხრათავლა შხის ქვეშ“, შემდეგ „მორბის არავეი, არავეიანი“ და „არსიანიდან მოვდებარ, მომბარბა“, ახლა „მეცხვე მთაც გადავიარეთ“ ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდნენ, თითქოს ბამაგი იყრიდებან, აქიანები იესება, საშობლოს თვალწინდელი ავგაენი თვალწინ იშლება. ჩამს ავტორის ვარჯ; უვლია მის კარდაკარ, შინ და ვარეთ, ზამთარსა და ზაფხულს, უნახავს მთა და ბარი, სოფელი და ქალაქი, ძველი და ახალი. შეხვედრია ნაცნობსა და უცნობს, ქალარსისასა და უწერალს, გაუცხრილავს ხელწაწერი და ბექლური წყაროები და ასე, ნაწილ-ნაწილ, წლების განმავლობაში უკრებია ძველი და ახალი ცნობები, ლეგენდები და ვადმოცემები, სიტყვები და ანდაზები... მდიდარი ინფორმაცია ახლებურად აუფლერებია, აუწონ-გაუზომავს, კაბადონებდა შეუქონძავს და მეცხვე მთის გაღაბადიდან წარუდგენია მკითხველს სამეგრელოზე.

მოძღვარი და მისი ცნობისმოყვარე შეგირდები ეცნობიან ქვეყნის მთასა და ბარს. ამჟერად მათი ასპარეზია მეცხეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, მტკვრისა და ჭოროხის, აჭარისწყლი-

სა და კინტრინის, ქვანისხევისა და ჩაქვისწყლის; სუფსასა და გუბაშოულის, რიგინასა და ყვირილას ხეობები. მოგზაურები ჩაუვლიან მრავალ ჭირგამოცალ ახალციხეს, მოიგლიან ხაშურსა და ბორჯომს, აბასთუმანსა და აღიგენს, გადაკეთენ ვოდკაშის უღელტეხილს, ესტუმრებიან მზოურ აჭარას, მოინახულებენ ხელსა და შუახევს, ქედასა და გონიოს, ბათუმსა და ჭობულეთს, შემდეგ ვადმოიდან გურიაში — შახარაძესა და ლანჩხუთში, ჩოხატაურსა და ხიდისთავში, გაიყვებენ იმერეთის ზეგანზე, ჩერდებიან ენსა და საირშუმი, მაიაკოესასა და გელათში, ქუთაისსა და ჯესტაფონში, ქიათურსა და საჩხერეში. წიგნს ერთვის მოგზაურობის მარშრუტი და რუკა.

გზადგაზა აღწერილია ისტორიული ძეგლები, ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულებები, ძველი და ახალი ყოფის რეალიები. ნაჩვენებია ადამიანთა სახეები. ალაგ-ალაგ ჩართულია ახალგაზრდა მეცნიერის პირველი ნაბიჯებს ამსახველი ცნობები, უწვევრსიტეტის რეპტორის მოგონებები, ყოველივე ეს ისე მოხდენილად და აკინბული, რომ თხრობა არ წუდება, მთლიანობა არ ირღვევა.

წიგნი იკითხება შეუნელებელი ხალისით. საყოველთაოდ ცნობილია ნიყო კეცხოველის დარბაისლური ჭართული, ცოცხალი დიალოგები, ხევერთილი ლექსიკა. თვეულობით ანდაზა უფრო მეტ გამოშახელობას ანიჭებს ავტორის ხატოვან ენას. წიგნში მრავალი ცნობილი და უცნობი ანდაზაა დამოწმებული. ბევრ ანდაზას, რომლებიც უწეზოლად ხალხშია გვერდობი, პირველად კაცი სწორედ აქ ეცნობა. პირველი ვეერდებიდანვე ტექსტში ნატყრისთვალეითაა ჩამსული წყრიალა ანდაზები; ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, შერიგებს დროს შევრცხვესო; ნიყრა გაატყვეს, რატომ დედა არა ვაყენსო; ვინი ვარბოდა ცხენთანო, მეც ბედაური შენთანო; ერთხელ მშათის მთაზე მცხოვრებსაც დაჰჩირდა მშათისო; კარგოცა და ავიც გრძელი ნაბიჯით დადის ამ ქვეყანაზეო; ვინც რომ კაცია, ჩიზა ქაქვია, ჭუდი ნაბდის ჩაბაღლახიაო; სოფელი ლინიერია, თუ კაცი გონიერიაო; კოლოც მოერევა ლომს, თუ მგელი მოეშველებო; ქვეყანა დილია, კვი კაცი არ დაილევასო; ურანმა შაშვის ვაჯრთ შროშანი მოკლა, შენც შავი ხარ და ისიცაო; ავიხედე, ცას შევხედე, დავიხედე — მიწასაო; ბრიყვი სიძეს, რაც სიმამრთან ნახა, ყველაფერი თავისი ეგონასო; მიერბოეარ და მომდეე, საქმე ის არის, მოგებარუნდე და დამხედდესო; საგონებელი წლისაო, საყეთებელი დღისაო; წყალში ნუ შერტავე, სანამ ფონს არ ნახავსო; ცოცხალი, სად მიდობარ და ბეგრთანაო; მშა მშინ მოვავადება, ორნი რომ გეცმდეს მარტოსაო; მამინ ვაქმე ალსასო, როცა ვაგლეწ კალსასო; ძროხასთან რომ საწვეული მიიტანეს, ხარი ვარო, უღელი მიიტანეს — ძროხა ვარო...

ანდაზა, მასალი ენისა, ფარას გამჭოლობას ანიჭებს. ანდაზით აღამიანის ნათქვამი-ნაწარების შედეგია განზოგადებულობა და მისი ღრმა ფილოსოფიური აზრი იმთავითვე ცხადია. მასში ნართაულად შექმნილი აღამიანის ხანგრძლივი გამოცდილება. ერთი სიტყვით, ანდაზა სარკია ხალხის სიბრძნისა. ჩაიხედეთ ამ სარკეში და დაინახავთ, იგონებთ მისი შემოქმედის ხალხის გონების ძალას. ანდაზა ხელს უწყობს ნათქვამის ფილოსოფიურსა და ესთეტიკურ აღქმას, სტილს აწესებულებს, მსჯელობას არგუმენტაციას მძაბრებს. ამიტომ მათი შერჩევა და ნართა მსჯელობაში სტილის იდეალია. ნ. კეცხოველის მხატვრულ მემკვიდრეობას აშვეყნებს ეს სამკაული.

წიგნი ერთგვარად საცნობაროცაა, შეიცავს მდიდარ ინფორმაციას ცოდნის მრავალი დარგისადმი. ვიტყვოდი, იგი მცირე კნცეპტუალური ცნობარია, შემეცნებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველი. ცალკე თავებში აღძრულია და დილაგებულია საკითხთა კომპლექსი. ასე გამოიყურება თავები: „მთის სიმღონისა“, „ქაზის ცრემლი“, „უცილის სანთელი“, „შქერის ტყე“, „რელი კერა“, „ძველი კენესა და ახალი სიხარული“, „გზა შორიდან მოდის“, „კრამანტული“, „კაიყმა“, „წარსულიდან მომავალი“, „საფანის ბრწყინვალეობა“.

ათეულობით უცნობი ან ნაკლებცნობილი სიტყვა პირველად ამ წიგნის გეგმებითაა ჩაყენებული სალიტერატურო ენის სამსახურში. ზოგი სიტყვა ნახშირია ახალი მნიშვნელობით, ნაჩვენებია მისი გონებასმხილური ეტიმოლოგია. უწინარეს ყოვლისა, ეს იქმნის იმისთანა სიტყვებზე, როგორცაა: ჩქოლი (ახალი-ზარდი ხე, მცენარე; ნერგი), ქაშანი (ქაშბითა თივლებზე გაქვლილი გზა), წაგარა (კლდის ბილი), მუშთერე (მუშთე), მუშთერეობა (საქონლის უოფნა მთის საძოვრებზე), ღირღი (ღაღაღად ადგილი), უღარი (კამბანტყვიანი, ნაქნარი), უღალი (მწელ-სავალი), უსიანი (უხვედრო ადგილი), აერატი (ბის ქერტი, ლაფანი), ფარა (თეთრფერდა ძროხა), ეეეანა (წითელ-შავი, ზოღებიანი), ეალი (მეგობრობა), დილა (რამზოცა, ზოგჯერ უჩქოლი), კობა (რქვარბე-ლი), ალხა (კამხლარი, ნაშაობი), კაკალი (ღივი ქვეყნარი), მუშობი (ადგილი, სადაც მრავალი გზა ერთდება), კუბალი (ბის ქურქვალი), შური (ბის დამსკურებულ ადგილი), საღველი (ხელი ყველი), გალი (უშთი ხე), სითარი (შემა), შირა (ყურძნის ტბილი წვენი), აჩა (ფუნის ერთული იგი ძველად თურქეთში), ხეჩეხე (წყალიყვანტი), ბერბურა (გამხმარი მცენარის მიწისზედა ნაწილი, ქარის შემობერებით რომ გორავს და ზესს აწევს), კორიხი (მდინარისაგან შეყრილი ქვიშა, ქვარბე), კე (არაყი), ნიწველა (ქალიშვილი აზიდან თხე-

თმეტ წლამდე), იფრინდა (მალეშარბოლი), ხუნწი (მოცხარი), დაბუნწვა (მეფეანად მოსმამ), წარაფი (წყარილი, მოგრობ ტყე), ეემა (მინერალური წყალი), მუქეანანი...

ენა, — ამბობს ავტორი, — ყველაზე უდიდესი, ყველაზე ძვირფასი და წმინდა საუნჯეა ერისა, ეს საუნჯე ისეთი მარგალიტებითა და ლალათაა სავსე, რომლის ბაღალი არ არსებობს არსად; ენა, — განაცხობს იგი, — დიდებათა ხალხისა, დროშაა უცვლადებისა, ენა ხალხს აძლევდა ძალას, გადურტანა ემთა სიყვე; მშობლიური სიტყვით გონებასმხილეს შე-მოაბრუნებდა ამ ქვეყნისაგან: კარგი სიტყვა ყოველთვის დიდ ნატურისთავად გვეულის-ბოვდა. ქართული კეთს გული, — მითითებს შემდეგ ავტორი, — კარგი სიტყვის დაუმრეტელი სმადობა, რომელიც განუწყვეტლავ მთიდრებდა, ერთი სიტყვა მეორეს ბაღებს. იღებ ამ ძვირფას მადლს და არ ილუვა. მეძალის წერაქვი შეუჩერებლად უნდა მუშაობდეს, იბრძოდეს ამ დღი საგანძურს დაცვისა და გამიდგრებისათვის, რასაც ხალხის ენის ლეკოცა ეწოდება. ეს უძნალო და ლტონი სიტყვები არ არის. ავტორი თავად შემადენა, ხელთ უპყრია წერაქვი და გულმოდგინედ ეძებს ძვირფას მადლს.

წიგნში ჩინებულადაა აღწერილ-დახასიათებული ქვეყი და დოლის პური, მუხტეო და ცულისძირა, ბარდა და სული, კანაფი და ბამბა, ქერი და სიმინდი, ფეტვი და პრინჯი, წაბლი და კაკალი, ზღმარტი და თხილი, ნარინჯი და თურინჯი, ზაი და ლიმონი. თურინჯე ავტორის მთელი გამოცდენა დაუწყებია ამ ტერმინით ქართულ წყაროებში ფართობლია დამოწმებული. დებულების დასასაბუთებლად მრავალი წყაროა შეყვრებული და ციტირებული არევეა, თურინჯე მართლაც ფართობლის სინონიმია უნდა იყოს. რთულ პრობლემებზე სპეციალური მსჯელობა ისეა შეხამებული პოპულარული წიგნის საერთო მიზნებთან, რომ მყოფევი სიმძიმეს ვერ გრძნობს. პირიქით, ამისთანა ჩანართები ინტერესს კიდევ უფრო აღმჩენს. ავტორი, ამასთან ერთად, გვეცნობს მცენარეთა არა მარტო გავრცელების არეალს, ფიზიოლოგიურ თვისებებსა და ღირსებებს, არამედ თეთი სახელწოდებათა ხმარებულობას, წარმომავლობას, ეტიმოლოგიას. ბევრი ავტორისთვის ეტიმოლოგია მეცნიერულად სანდო და ზუსტია.

ცალკე ტომონიმები ავტორს განხილულა აქვს როგორც ენის ლექსიკური ერთეულები. ყურადღება გამახვილებულია მათ ლოკალურ ხმარებულობაზე, არეალზე, სტრუქტურასა და წარმომავლობაზე. აღწერილია ათეულობით დასახლებული პუნქტის, სოფლისა და ქალაქის ღირსმესაწინააღმდეგ, გადმოცემულია ამ ადგილებში აღზრდილ წყვრალთა და სახოგალო

მოღვაწეთა ბიოგრაფიის სამხსოვრო მომენტები, მოგონებები. მკითხველი სიამოვნებით გაეცნობა მოგონებებში ჩართულ ცნობებს უფროოდ დაღუპულ პოეტ ვრიგოლ მეგრელიშვილზე (მთის ნიავი), რომელსაც რამდენიმე ხნის წინათ ჰყვნი აეტორმა მთელი სტატია უძღვნა და საზოგადოებრიობას ვააქოთ უღელოდ დაღუპული მეგობრის მეგვიდრებობა. საინტერესოაა ნახევრები ანა კალანდამისა და ნოდარ დუმბაძის საუნდერსიტეტო წლები, მათი პირველი ნახევრი მწერლობის დიდ გზაზე. ცოცხლად იკითხება ვალაკტიონ ტაბიძესთან, გიორგი ნიკოლაძესთან, ევგენი ხარაძესთან და სხვ. შეხედრებინაღმი მძღვნილი ფურცლები აქ ბევრი ახალი შტაბინია გახსენებულა. განსაკუთრებით აღსანიშნავია უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის სოცნაში შემონახული ცნობები, რომლებიც, მართალია, აქ ასე კულშეკრტილადა წარმოჩენილი, მაგრამ, უკვე არა, მათ სხვა ადგილას ჩვენი აეტორი უფრო ვრცლად და გაშლილად წარმოგვიღწენს.

პატარა წიგნი დიდ საკითხებზე. — ისე შეიძლება შეფასდეს ნიკო კეცხოველის „შუქურა შოაღ გაღადართ“. მოჭღარი მოგზაურობის განაგრძობს. ცნობისმოყვარე თანამგზავრები — ვახტანგი, ერეკლე, გივი, ლლა, გიორგი — მორიგე თავგადასაღვლებსათვის ემზადებიან. ვინ იცის, ვიდრე რამდენი ცტრა მათ დარჩათ გაღასასვლელი სტუმრებს ელოდებიან მალაღ მთიანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, კოლხეთში, სვანეთში...

ნიკო კეცხოველის ახალი წიგნი, უშუველია, ახალ სიხარულს მოაგვრის მკითხველს.

ქართულ მხატვრულ სიტყვის მრავალი ქომეი ჰყავს, მისი პირველი ქრისოფელი კი მწერალია. ბევრ გამოჩენილ მწერალს უსახელებია თავი ჩვენი დღეღენის ლექსიკონი საგანძურის გამდიდრებაში, სტრუქტურისა და სტილის დახვეწაში. მათ რიგებში დგას ნიკო კეცხოველი — ცნობილი მეცნიერი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ბერძენი.

ალ. ლომიძე

## ნაშრომი სამცხე ჯავახეთზე

1975 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის შოთა ლომიძის სველტანიანი მონოგრაფია (561 გვ.) „სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე)“. საჩუკენიო ნაშრომი უმთავრესად დაწერილია საარქივო მასალებსა და სხვა ხაზის პირველწყაროებზე დაყრდნობით და აეტორის მრავალწლიანი მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს. შ. ლომიძის ამ ნაშრომში დაწერილებით, ყოველმხრივია შესწავლილი ჩვენი ქვეყნის ამ მრავალტერნახული კუთხის ისტორია XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის ეს მონაკვეთი მეტად რთული და საინტერესოა. აეტორის სიტყვით, ეს ხანა „აღსავსეა ეპოქური ცვლილებებით“ (გვ.4). მიუხედავად საკვლევი პერიოდის ესოდენ დიდი მნიშვნელობისა, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის ამ მონაკვეთის შესახებ არ გაქვანდა განმარტავადებელი ხასიათის მონოგრაფია. დღეს თამაღად შეიძლება ითქვას, რომ ეს მნიშვნელოვანი ხარვეზი უკვე შევსებულია.

განსაკუთრებით გვიანდა ხაზი გაღუსეთ ამ გაკრძობის, რომ ნაშრომში კომპლექსურადაა შესწავლილი სამცხე-ჯავახეთის როგორც პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მდგო-

მართობა, ისე ყოფა და კულტურა. ნაშრომში სამცხე-ჯავახეთის ისტორიის სხვადასხვა მხარე წარმოდგენილია როგორც მთლიანად საქართველოს, ისე ირან-ოსმალეთისა და რუსეთის სათანადო პერიოდის ისტორიის უქმზე.

შესავალში აეტორი განიხილავს წყაროებსა და ლიტერატურას, ვვამღვს მათ კლასიფიკაციას. ნაშრომის ამ ნაწილში განიხილულია ვახუშტი ბაგრატიონის, დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, იუ. ვვარამაძის, მ. თამარაშვილის, დ. ოხარლოვის, პ. უშიავაშვილის, ზ. ტვიჩინაძისა და სხვათა ნაშრომები, რომლებიც უშუალოდ ეხებიან სამცხე-ჯავახეთის ისტორიის ცალკეულ საკითხებს. ცალკე აღნიშნავს აეტორი ილია ქვეკეაძის საშხრთ საქართველოსაღმი მიძღვნილ წერილებს, ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან ვარემოებას, რომ ილია ქვეკეაძემ „ზოგადად მოხაზა... სამხრეთ საქართველოს გამამშღიანებულ ქართველობასთან ჩვენი დამოკიდებულებისა და ურთიერთობის გზები“ (გვ. 14).

მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე განიხილავს აეტორი პ. ბუტყორის, ე. დუბროვინის, ე. პოტოს, ვ. ხლენიკოვის, ე. ივანეჯოს და სხვათა გამოკვლევებს. შესავალში ფართოდ აღსახა ქართველი საბჭოთა მეღვევარების იუ. ჯავახიშვილის, ნ. ბერ-



ქინაშვილის, ს. ჯანაშიას, ვ. ტიფაის, ვ. ვაბაშვილის, მ. სვანიძის, ვ. მაქარაძის, ნ. შენგელიას და სხვათა წვლილი. ნაშრომში სრულადაა გამოყენებული თანამედროვე საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევები, რომელთაც სავანებოდ ეტება ავტორი.

ნაშრომის პირველი თავია „ბრძოლა სამცხე საათაბაგოს გამოხსნისათვის“. აქ ავტორი გვიხსიათებს საქართველოს მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობას XV საუკუნისათვის, როდესაც ქართული სამხელმწიფო დაიშალა. მკვლევარი დაწვრილებით შეხება ქართველ მეფე-მთავართა (მათ შორის სამცხის ათაბაგის) მიერ 1460 წელს რომში გაგზავნილ ელჩობას, რომელიც ოსმალური საფრთხის, ამ ქარსმოძღვარი უბედურების თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად. როგორც ცნობილია, ამ ელჩობაში ისევ როგორც მეფე კონსტანტინეს დინამიკურმა ღონისძიებებმა XV საუკუნის 90-იან წლებში, ვერ გამოიღო რეალური შედეგები.

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა საქართველოსათვის, მეტადრე კი სამცხისათვის 1555 წლის ამასის ზაფხ. 1577-1578 წწ. ოსმალურმა დაარღვიეს ეს ზაფხი და მთელი სამცხე-საათაბაგოს დაპყრობას შეუდგნენ. მუსტაფა ლალაფაშას დაშტრობის შედეგად გაუქმებული იქნა საათაბაგოს ქართული პოლიტიკური მმართველობა და სამცხე-საათაბაგო ახალციხის ანუ ჩიღლირის საფაშოდ გამოცხადდა. საათაბაგოს პრაგრესულ, პატრიოტულად განწყობილ წრეებს შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ენერგიული ბრძოლა ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ, რომლებიც პირველ ყოვლისა ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის, „ქართველობის“ ამოძირკვას ცდილობდნენ. სამწუხაროდ, შექმნილ პირობებში ეს ბრძოლა მარცხით დასრულდა. საფაშოს XVII საუკუნის 25-იანი წლებიდან განაგებს საფარ-ფაშა, იგივე ბექა ყაყილი, ათაბაგთა სახლის რენეგატი წარმომადგენელი.

საქვეყნო ნაშრომის ავტორი დაწვრილებით შეისწავლის სამცხე-საათაბაგოს გამოხსნისა და შემოერთებისათვის წარმოებულ ზანგაძღვისა და შეუწყვეტელ ბრძოლის ისტორიას. ხალხმეებელი ცვლვის შედეგად ავტორმა ამ ბრძოლის პერიოდიზაცია დაადგინა. სამცხე-საათაბაგოს გამოხსნისათვის ბრძოლის პირველ პერიოდად ავტორი მიიჩნევს XVI საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე ხანას. ამ პერიოდში სამცხის გამოხსნისათვის ბრძოლას ნეთაფობდა ირანის მოხარკე ქართლი, რომელიც ცდილობდა თავისი სუბერენის რეალური ინტერესები (ამასის ზაფხის ბირობების აღდგენა) გამოეყენებინა და ქართული მიწა-წყალი ოსმალეთის გამო-

ეგვლითა. 1639 წლის ზოპაბის ანუ კასრის შერივნის ზაფხამ ამ იმედებს ბოლო მოუღო. ამის შემდგომ, როგორც ავტორი აღნიშნავს, მცხეთისათვის ბრძოლა დიპლომატიის საკითხად იქცა. XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან 40-იან წლებამდე „აღდგომა-გამოხსნისათვის“ ბრძოლა შეწყვიტა „ოსმალბობის“ და „ეპიზოდულობის“ დამყარებამ ქართლში.

მესმითის გამოხსნისათვის ბრძოლის მეორე პერიოდი, მკვლევარის დასკვნით, იწყება XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან და გარკვეული წყვეტილებით გრძელდება XVIII საუკუნის ბოლომდე. ქართლ კახეთის სამეფოები, რუსეთთან კავშირის საფუძველზე ცდილობდნენ ქართული მიწა-წყლის გაერთიანებას. დაიწყო ქართველთა და რუსთა ერთობლივი ლაშქრობები ოსმალთა წინააღმდეგ, მაგრამ ცარიზმის ორყოფილი პოლიტიკა არ იძლეოდა მიღწეული წარმატებების შენარჩუნების საფუძველს. საქართველომ ვერ შესძლო დაკარგული მიწების შემოერთება, ზოლი XIX საუკუნის დასაწყისში კი სამხელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა. სამცხის გამოხსნისათვის ბრძოლის შესამე პერიოდს ავტორი იწყებს საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან XIX საუკუნის 70-იან წლებამდე (აქარის შემოერთებამდე). XIX საუკუნის პირველ მესამედში რუსეთმა აკეასიაში გაარღვია მტრული გარემოცვა. 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს განთავისუფლდა ახალციხის საფაშოს ერთი ნაწილი, სამცხე-კახეთი, რომელიც ადრიათიპოლის ზავით საქართველოს შემოუერთდა. ადრიათიპოლის დადებულ ზავს საქართველოსათვის ის მნიშვნელობა ჰქონდა რომ 200 წელზე მეტი ხნის წინ შეკრული მტრული გარემოცვის რაკალი თურქეთის მხრიდან გაირღვა, დედისამშობლოს დაუბრუნდა ისტორიული სამცხე-კახეთის (10 სანჯაყი)... მკვლევარი განამჟღავნებულ ქართველ მოსახლეობას შექმნა მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება... რათა გაეგრძელებინა წინაპართაგან დატოვებული, ღიდი ხნის შეწყვეტილი კულტურული მემკვიდრეობა და სულიერი მიმართულება“ (გვ. 187). ავტორი აღნიშნავს, რომ „სამცხე-საათაბაგოს გამოხსნისათვის სამასწლიან ბრძოლას პირველი სერიოზული წარმატება მხოლოდ შესამე პერიოდში მოჰყვა. ამ წარმატების საწინდარი იყო რუსეთის არმია, რომლის მხარდამხარ იბრძოდა ქართული ლაშქარი, მთელი ქართველი ხალხი“ (გვ. 189).

შრომის მეორე თავია „ახალციხის საფაშოს მმართველობა. მმართველთა გენეალოგია“. აქ ავტორი შეისწავლის ახალციხის საფაშოს მმართველობას ოსმალბობის დროს, ახალციხის საფაშოს დროებით მმართველობას. აქვე აისახა ახალციხის ფაშათა დინასტიის და გენეალოგიის საკითხები, ბრძოლა საფაშო ტახტისათვის. მკვლევარი შ. ლომსაძე დაწვრილებით,

მაქსიმალური სიხურტით გვისურათებს ახალციხის ფაშის კარს, მის საცხოვრებელს, ცალკეულ ცერემონიალებს, შეეხება ახალციხის ფაშების შემოსავალს. საფაშო ანუ ვილაეთი თავის მხრივ სანჯაყებად იყოფოდა, სანჯაყი კი თიშარებად. სარეცენზიო ნაშრომის ამ მონაკვეთში ავტორი შეეხება ხსენებულ ადმინისტრაციულ ერთეულებს, სამხედრო იერარქიასა და მათ უფლება-მოვალეობებს.

ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი ახალციხის საფაშოს დროებით მმართველობას. 1828 წელს გენერალმა პასკევიჩმა შექმნა ახალციხის დაპყრობილი მხარის დროებით სიოლქო მმართველობა, რომლის უფროსადაც გენერალი თავადი ვასილ ბუბუთოვი დაინიშნა. დროებითი მმართველობა შედგებოდა აღმასრულებელი, საერთო-საფინანსო და სამოსამართლო განყოფილებებისაგან. 1840 წ. ადმინისტრაციული ცვლილებების შედეგად ახალციხის საფაშოს დროებითი მმართველობა გაუქმდა და შეიქმნა ახალციხის მაზრა, რომელმაც შემდეგშიც არაერთი ადმინისტრაციული ცვლილება განიცადა.

ნაშრომის ერთ საინტერესო და მეტად შრომატევად მუშაობის შედეგად დაწერილ მონაცემებს წარმოადგენს პარაგრაფი, რომელიც შეეხება ახალციხის ფაშათა დინასტიისა და ვენეალოგიის საკითხებს, ბრძოლას საფაშო ტახტისათვის. ჟერ კიდევ მ. ბროსედან მოყოლებული, გაბატონებული იყო აზრი, რომ XVIII საუკუნის 40-იანი წლების შემდეგ ახალციხის საფაშოს ტახტზე აღარ სჯედან ჰქვდ ათაბაგთა შთამომავლები, მართალია, მ. ბროსეს მიერ შედგენილი ათაბაგთა (ფაშათა) გენეალოგიური ტაბულა რამდენადაც გამწორდა, მაგრამ ამ საკითხის კვლევა საგანგებოდ აღარაგის უძღა. შეწუდა თუ არა ჯაყელთა საგვარეულო ახალციხის საფაშო ტახტზე უსუფუფაშაო ჩაყელის შემდეგ, როგორც მას მ. ბროსე და შემდეგ სხვა მკვლევარებიც ფიქრობდნენ? საუკუნეზიო ნაშრომის ავტორმა საგანგებოდ, დაწვრილებით შეისწავლა ეს საკითხი. კვლევის შედეგად დადგინდა ახალციხის ფაშების გენეალოგია XVIII საუკუნის 40-იანი წლებიდან ვიდრე 1829 წლამდე. დადგინდა, რომ უმნიშვნელო გამოხაკლისების გარდა, ახალციხის ვილაეთის ჩაყელთა გამაჰმადიანებული წარმომადგენლები მართავენდნენ. ოსმალეთის მთავრობა თავიდანვე იძულებული შეიქნა კომპრომისზე წასულიყო და ახალციხის ფაშობა შეემკვიდრებოდა დამტკიცებინა ათაბაგთა შთამომავლობისათვის. ვრცლად შეისწავლა მკვლევარმა მ. ლომსაძემ საფაშო ტახტისათვის ბრძოლის ისტორიაც ხსენებულ პერიოდში. მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ახალციხის საფაშოს ტახტზე ჩვეულებრივ საყეთარი იარაღის ძალით აღიოდნენ და

შემდეგ კი სულთანი იძულებული იყო ახალი ფაშა ფირმანით დამტკიცებინა, ნაშრომის ამევე მონაკვეთში შესწავლილია ახალციხის საფაშოს დროებითი მმართველობის უფროსთა ვინაობა, წარმოდგენილია მათი მმართველობის ქრონოლოგიური ტაბულა.

ნაშრომის მესამე თავია „სამცხე-ჯავახეთის საზღვრები, გზები და მოსახლეობა“. პირველ პარაგრაფში ავტორი სამცხე-ჯავახეთის საზღვრებს შეისწავლის. მომდევნო პარაგრაფში იგი ეხება სამცხე-ჯავახეთის იმ მნიშვნელოვან გზებს, რომლებიც XVIII-XIX საუკუნეებში გამოიყენებოდა.

მესამე პარაგრაფია „სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა“. „ზემო ქართლში, ანუ მესხეთში, ოდიეთანვე ქართველი ხალხი ცხოვრობდა, ქართული ენითა და კულტურით“ (გვ. 280). „მესხი“ კრებითი სახელი იყო სამცხეში, ჯავახეთში, თორში, კოლა-არტანუში, შავშეთში, კლარჯეთში, ერუშეთში, ავრანში, იმერხევეში, ტაოში, სპურში და სხვა პროვინციებში მცხოვრები ქართველებისა. ავტორი ასწორებს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ პუბლიცისტიაში შემოსულ მცდარ ტერმინს, რომელიც შემდეგ ფართოდ იკიდებს ფეხს ბელეტრისტიკასა და არასპეციალისტთა წრეებში. ადრინამოთლის ზავით შემოერთებულ ქართულ მიწებს, ახალციხის საფაშოს ნაწილს, სამცხე-ჯავახეთის უწოდეს მესხეთ-ჯავახეთი. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქმის ჯავახეთი არ იყო „ყოველი მესხეთის“ შემადგენელი ნაწილი (გვ. 282).

სამხრეთ საქართველომ არაერთი მძიმე დღე გამოიარა. აზაბებხს, მონღოლებს, სპარსელებსა და თურქების არაერთგზისმა შემოსევამ უღელესი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის ამ მხარეს. მრავალპირგანცილი მესხეთი XVI საუკუნის მიწურულს ოსმალეთის აგრესიის მსხვერპლი შეიქნა. ოსმალთა სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემისა და ქართული ქრისტიანობის ამოძირკვას შეუდგა დაპყრობილ მხარეში. ეს მეტად მძიმე და ამასთან ხანგრძლივი პროცესი იყო. მესხეთს ამ უთანასწორო ბრძოლაში თავი არ დაუზოგავს, მაგრამ უხეშმა სამხედრო ძალამ საბოლოოდ თავისი გაიტანა. „მესხეთის ხალხი დიდხანს იბრძოდა, თავს არ უღებდა დამპყრობლებს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა და მშობლიური მიწიდან რომ სულ არ ამოყარდნილიყო, გამაჰმადიანდა. თუ მესხეთის პოლიტიკურად დამორჩილებას თურქებმა ერთსაუკუნეიანი ბრძოლა მოანდომეს, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ეს ბრძოლა სამასი წელი გაგრძელდა. სარწმუნოებრივი საკითხები საადგილმამული საკითხებს რომ არ

დაკავშირებულა, ქრისტიანული ეკლესია ბრძოლას აღბათ არ წააგებდა“ (გვ. 284). სამცხე-საათაბაგოს მმართველი წრეები დიდხანს ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. საფარ-ფაშას (ბექა ჯაველის) დროიდან იწყება ზედაფენების გაშაშადიანება. ავტორის აზრით, 1578 წლიდან XVII საუკუნის 60-იან წლებამდე პერიოდში იყო ოსმალეთის ქართველებზე შეტევისა და შაჰმადიანობის ქრისტიანობაზე გადაშვებით შეტვისათვის მზადების ხანა (გვ. 286). გადაშვებით შეტვისათვის მზადებას ოსმალეთის აქტიური მოჭყლედა მოჰყვა. 1639 წლის ზაგმა სამცხე-საათაბაგო მთლიანად ოსმალეთს მიაკეთებინა. XVII საუკუნის 60-იან წლებში შაჰმადიანობის აქტიური შემოტევის გამო დაიწყო შესხვითი მოსახლეობის ნაწილის გადასახლება ქართლში, ჩვერეთში, ოდიშსა და გურიაში, კახეთში. გუქმდა სივსისკოპოსოები. ფეოდალთა ერთი ნაწილი გამაშადიანდა და ამით შეინარჩუნა თავისი პრივილეგიები. ყველაზე დიდხანს ქრისტიანობას გლუხაკობა შერჩა, მიუხედავად იმისა, რომ თუ გლეხი გამაშადიანდებოდა, იგი აღარ გადასდიდა ქრისტიანობისათვის და დღევანდელ დამაპყრობელ გადასახლას. საბოლოოდ კი გლუხაკობაც დაადგა ისლამის გზას, რადგან ეს ერთგვიანად ამსუბუქებდა მათ ეკონომიურ მდგომარეობას (ქრისტიანებზე დადებული გადასახადი). ნელ-ნელა ქართული ენაც კარგავდა პოლიტიკური ენის მნიშვნელობას ფეოდალთა თვალში და იგი სოფლის და გლეხებთან სასაუბრო ენად იქცეოდა. XVIII საუკუნის შუაწლებში, როგორც სამცხეში, ისე ჯავახეთში ქართული ენა მწარმოებელი მოსახლეობის, გლეხობის ენას წარმოადგენდა ინტენსიურად გრძელდებოდა ქართული ენის დევნა სამცხე-ჯავახეთში XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში. მისთვის ივანე გავისნა შაჰმადიანური სასულიერო სისწავლელები, „მადისების სახლები“, სადაც ისლამსა და თურქულ ენას საგანგებოდ ასწავლიდნენ.

ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისა და ქართული ენის დევნა არ შეიძლებოდა ევანგელური ყოფილიყო ქართული ფეოდალური სისტემის იდეოლოგიური საფუძვლის, მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის დევნის გარეშე. ვარდა კონფესიონალური სხვაობისა, რასაც ოსმალეთი ვერ იმშენდა, აქ სჭია მნიშვნელოვანი მიზეზებიც იმალებოდა. მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში ოსმალეთი ხედავდა რუსეთ-საქართველოს კავშირის და დიდშვილად მიანდა ამის არსებობა „საერთო სამფლობელოში“. სამეფეოროდ არ აღევნებოდა კათოლიკური სარწმუნოება, ხოლო გრიგორიანული ეკლესია სიუცხით ურთი-

ერთობაში იყო პორტალიან და თავის მხრივ დევნიდა მართლმადიდებლობას შერევის გამარავლების მიზნით.

ნაშრომის მომდევნო პარაგრაფია „ქრისტიან ქართველთა აფრა-დასახლება სამცხე-ჯავახეთში“. 1578 წლის შემდგომ პერიოდში, ოსმალეთის მოძალდების გამო, ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დასტოვა თავისი კეთილი და საქართველოს სხვა მხარეებში გადასახლება. ემიგრაცია შემდეგაც გრძელდებოდა. გადასახლებულები არ ჰქარგავდნენ უკეთესი დროის იმედს, უკან დაბრუნებასაც შაჰმადიანობის მიზნით ბრძოლას. ღრმა სოციალურ-ეკონომიური და კლასობრივი მიზეზების გამო ქართველთაგან და იმერეთიდან გლეხები მესხეთს გამოვრბოდნენ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სამცხე-ჯავახეთში გადასახლებულთაგან ბევრმა უკან დაბრუნება დაიწყო. ნაშრომში შესწავლილია ამ მოპორობის მიმდინარეობა, რომელიც ყოველთვის არ იყო ნებაყოფილობითი. იგი ზოგჯერ „მურყლობის“ სახეს იღებდა, რის შედეგადაც სამცხე-ჯავახეთში „შესამჩნევად შემცირდა ქრისტიან ქართველთა რიცხვი, ბევრი სოფელი გაუნახვერდა, ზოგი კი სულაც ამოვარდა“ (გვ. 324). ამგვარმა აყმა, ავტორის დასკვნით, დიდად შეაფერხა მესხეთის პოტენციული განვითარება და ხელი შეუწყო მის ინტენსიურ კოლონიზაციას.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბევრი დაბრუნდა თავის სამშობლო მესხეთს. საერთოდ კი ცარიზმის პოტენციური ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს ქართული მოსახლეობას მესხეთს დაბრუნებოდა. წარმოიშვა აზრი, რომ შემოერთებულ სამცხე-ჯავახეთში კახეთსა სამხედრო დაბეჭდ მოეწყობათ, ასევე დაიწყეს ქრისტიან სოფლებში შემოსახლება არზრუმიდან. ცარიზმი ამას აკეთებდა მაშინ, როდესაც საქართველოს გლეხობას მიწა არ უოფენდა და მოვარობისაგან ითხოვდა დასახლებულ დავილებს.

სარეცენზიო ნაშრომის მეოთხე თავია „საადგილმამული ურთიერთობა“. ამ თავში შესწავლილია აზი და სააზი მფლობელობა, თავფუ და სათაფი მფლობელობა, გადასახადები, შამულები ყიდვა-გაყიდვა და საადგილმამული ურთიერთობის სკივობები სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემდეგ. სამცხე-საათაბაგოს სრული ინკორპორაციის შემდეგ, ოსმალეთთან მოვარობა ამოცანა იყო დაპურობულ მხარეში თურქული საადგილმამული ურთიერთობის დამყარება. ეს პროცესი სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის შედგარით წინააღმდეგობის გამო დიდხანს გაგრძელდა და მკვლევარ შ. ლომსა-

ძის გამოკვლევით XVIII საუკუნის ორმოცი-  
ანი წლებსათვის მოთავდა. ხანჯასანელია  
ის ვაჩუყოვა, რომ დასმული საკითხი სპეცია-  
ლური კვლევის სახნად პირველად სარეკონ-  
ზიო მონოგრაფიაში ვახდა. ავტორმა შესწავ-  
ლა დიდიხალი საარქივო მასალა და ვაჩუყოვა,  
რომ ხილდირის საფაშოში მიწათმფლობელო-  
ბისა და მიწათსარგებლობის წესები განსხვავ-  
დებოდნენ ოსმალეთის ცენტრალურ ვილაიეთებ-  
ში არსებული შესაბამისი წესებისაგან. ეს  
სხვაობები და თავისებურებები მიუთითებენ  
ახალციხის საფაშოს სპეციფიკაზე. მის თავი-  
სებურ მდგომარეობაზე ოსმალეთის ეპიკრიზი-  
ში. ამ თავისებურებებზე მიხედვით შევლევარი  
საუკუნობი მართებულად ოსმალთაგან არსე-  
ბულ ქართულ საადგილმამულო ურთიერთო-  
ბაში ეძებს. ნაშრომის ავტორმა სამცხე-ჯავა-  
ხეთის სინამდვილეში დადასტურა „მუღამ-თი-  
მარტბის“ არსებობა, რომელთა მფლობელები  
სარგებლობდნენ საკუთრებისა და მეწყვილდრე-  
ობის უფლებით. საახლო მიწათმფლობელობა  
შევლევარს წარმოდგენილი აქვს, როგორც პი-  
რველადი იჯარა, ხოლო სითაფო მფლობელო-  
ბა კი როგორც მეორადი იჯარა.

მონაგრაფიის ავტორი შესწავლის ცალკეულ  
ტერმინთა მნიშვნელობასა და მათ ცვლილე-  
ბებს დროში, ახასიათებს სახელმწიფო მიწების  
წვდუმებს. მიწათმფლობელობის სხვადასხვა ე-  
ტრუობებს. როგორც აღინიშნა, შევლევარი  
ცალკე პარაგრაფს უთმობს ოსმალურ გადასა-  
ხადებს, სადაც ასევე ორიგინალურად უღვება  
სათანადო საკითხების კვლევას. სამცხე-ჯავა-  
ხეთის წესდოკუმენტების შეზღუდვ, ქართულ მასაღი-  
ანთა დიდი ნაწილის ოსმალეთში გადასახლებამ  
გამოიწვია საადგილმამულო ურთიერთობის გა-  
ართულება. სათანადო პარაგრაფში ავტორმა  
ვაჩუყოვა, რომ წესდოკუმენტების შემდეგ სამც-  
ხე-ჯავახეთში შეიქმნა მიწათმფლობელობა ახალი  
ფენა, რომელიც ძირითადად სომეხი მარკიტან-  
ტებით, მოხელეებითა და ვაჭარ-ხელოსნებით  
იყო წარმოდგენილი. ხშირი იყო მიწათმფლო-  
ბელობის ყალბი დოკუმენტების შექმნა, რაც  
„შეუმწინეველი“ რჩებოდა და ზიანს აყენებდა  
შვიდრ მოსახლეობას.

მონოგრაფიის მწებუნე თავში შევლევარი შე-  
ისწავლის ქალაქებსა და ვაჭრობა-ხელოსნობის  
ახალციხეში, ახალქალაქში, ხერთვისსა და აწყ-  
ვერში. ავტორი მიუთითებს, რომ XVIII-XIX  
საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილი მძიმე ვითარების  
გამო სამცხე-ჯავახეთის ქალაქების ერთი ნაწი-  
ლი (გულო, ბარაღეთი, ოცხე და სხვ.) სიერ-  
თოდ ვაჭრა, ხოლო მეორე ნაწილი კი (ახალ-  
ქალაქი, ხერთვისი, აწყვერი) ისე დაიმტრო,  
რომ სოფელს უფრო წააგავდა, ეილდე ქალაქს-  
ნამდვილი საქალაქო მიჯისებში მხოლოდ ახალცი-  
ხეში გაისმოდა, რომელიც ფაქტობრივად აღმო-  
სავლური ქალაქი იყო. საქალაქო ცხოვრებისა-

დში მიმდინელი სავანებო თავში ავტორი იჭ-  
ლევია ქალაქთა შინაგანი ცხოვრების, მათი წი-  
რმომობა-განვითარებისა და დეკლარაციების  
წესდოკუმენტების მიხედვების გამოკვლევას; შეისწავ-  
ვლის ვაჭრობა-ხელოსნობის, საქალაქო მეურ-  
ნეობის, საქალაქო მმართველობის სტრუქტურ-  
ის, მოსახლეობის სოციალური შემადგენლო-  
ბისა და საქალაქო ყოფის ძირითად საკითხებს.

სარეკონზიო ნაშრომის უკანასკნელი, შექმ-  
სე თავია „ეულტრუელი ვითარება“. მუღამე-  
მოქმედმა სავაჭრო ფაქტორმა უღდესი ზი-  
ანი მიაციენა ქართულ ფეოდალურ ეულტრუს  
და მისი განვითარების გზები შეტისმეტად შე-  
ზღუდა. განსაკუთრებულად მძიმე ვითარება  
შექმნა სამცხე-ჯავახეთში. „დაწყობილ ქვე-  
ყანაში თანდათან მიწეღდა და ჩაკედა ის დე-  
დი ლიტერატურულ-მეცნიერული საქმი-  
ანობა, რასაც აქ აღდე ეწიოდნენ სახელგან-  
თქმული მოწინააღმდეგეები. უმეტესად საეპისკო-  
პოსო კათედრები და დაეწიებამ ეღვოდა  
მესხთა ეულტრულ-მეცნიერული დიდი  
ტრადიციი“ (გვ. 489). აღინიშნული მასწბე-  
ბით ეულტრუელი მოღვაწეობის საფრე-  
ლები აღარ იყო, მაგრამ ქართული ეულ-  
ტრუა, მისი მაყისებში სამცხე-ჯავახეთ-  
ში, ისევე როგორც მთელ მესხეთში, არ ჩამ-  
კვდარა. ავტორის კვლევის ერთი მნიშვნელო-  
ვანი შედეგი ისარა, რომ მან თვალნათლად წარ-  
მოაჩინა ეს ფაქტი. მეტად საყურადღებოა,  
რომ მამადიანობის განუყოფელ ბატონობის  
პირობებში, ძველი ეულტრული ტრადიციები  
შინც პოულობდნენ გამჭარბებულებებს. ამ  
მხრივ, ნაშრომში წარმოიხილნია ითანე ზეც-  
სისა და მისი გამჭარბებულებების ქრონიკები,  
ქართველ კათოლიკეთა დღიურები და რეღ-  
ციები. შესწავლილია ხიზაბერელი იოსებ ზე-  
ციშვილის, „მესხ-ჯავახი გუტენბერგის“ (ივ.  
გვარამაძე) მოღვაწეობა, რომელმაც 1836 წელს  
დამოუკიდებლად წამოსახა ლიონის ასოები  
ახალციხეში და ორიგინალური ქართული სტა-  
მბა შექმნა (გვ. 502-503). ურადღებო დაეთმო  
ჩაჯაბ ინსარიძის, იარალი ტორილაშვილის,  
ლუკა ბერიძისა და სხვ. ამულერი შემოქმედ-  
ბისა. ნიშანდობლივია, რომ ავტორი შეისწავლის  
არა მხოლოდ ქართულ ქრისტიანთა, არამედ  
ქართულ მამადიანთა ეულტრულ საქმიანო-  
ბასაც.

ასეთია ზოგადად შევლევარ შ. ლომსაძის მო-  
ნოგრაფიაში შესწავლილ საკითხთა წრე. ხან-  
ჯასანთი უღდა აღინიშნოს, რომ ავტორის მიერ  
გაუწეული შეავლწლანთა შრომა წარმომტობითაა  
დადგარკენებული. ესაღია, ესოდენ ვრცელი  
მონოგრაფია არაა დაზღვეული ნებისითი თუ  
უნებლიე ხარვეზებისაგან. შეიძლება წამო-  
იჭრას ცალკეული საკამათო საკითხებიც, მაგ-  
რამ ეს ბუნებრივიაა და, რა თქმა უღდა, ვერ  
მოახდენს ვაღწეული ნაშრომის უღვყო ღირს-  
ებებზე. სარეკონზიო მონოგრაფიის სახით ქარ-

თელმა მკითხველმა მიიღო საფუძვლიანი, მა-  
ლალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული,  
მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით გა-  
მართული, ნაშრომი, რომელიც ღირსეულ მე-

გზრობის გაუწევს სამსახურ-გაყვანილი ისტო-  
რიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართ  
და ფართო საზოგადოებას. **ილია ანთოლაკა**

## დროის მბაჟრი განსლა

დიდა ილია გვასწავლის: „კრიტიკა — ამის  
თანაწრობი მნიშვნელობის სიტყვა არ არის  
ქართულ ენაზე... „კრიტიკა“ არის განხილ-  
ვა, განხილვა, გარკვევა, გარჩევა და  
დაფასება ერთად“. სწორედ ეს სიტყვები  
მომავლად, როცა დავამთავრე რედაქცი-  
ონის სულ ახლახან გამოსული წიგნის კითხვა.  
ამ წიგნმა ბევრ რამეზე ჩამაფიქრა, ბევრი ლი-  
ტერატურული ფაქტის შესახებ, გამოცემები,  
აზრი ნამდვილად შემაკვლევინა: მართალია,  
კრიტიკოსებზე საერთოდ გაურბიან წერას და  
ერთ რენარსს გამოთქმა რომ ეხმარათ —  
კრიტიკოსების მართლ მოწყალენი უნდა იე-  
ყოთ, ისინი ყოველთვის ლაპარაკობენ სხვებ-  
ზე, მათზე-ც არაფერ არაფერს-ამბობსო, მაგრამ  
ამ ტრადიციას ამჟამად ზურგს ვაქცევ და,  
ვფიქრობ, საჭირო და აუცილებელია გამოით-  
ქვას გარკვეული აზრი იმ ცოცხალ კრიტიკულ  
წიგნზე, რომელშიც ბევრი მოვლენა აბლე-  
ბურადაა დასმული და გადაწყვეტილი.

რა მიმანიია მე, როგორც მკითხველს, სარე-  
ცენზო წიგნის ღირსებად? — ავტორის ერთ-  
დროსა და უადრესად აქედამთრ ფორმებში  
წარმოდგენილი პრინციპებშია მეთრ მზაკი,  
ნაშრომს წითელ ზოლად ვასდევს თბიერტრთ-  
ბა, ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მზა-  
ვალი საქობორტო საკითხის ღრმად შეგრ-  
ძნება და აზროვნების მალალი კელტურა წიგ-  
ნი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია პარტიუ-  
ლობის ლენინური პრინციპით. XXV კრძლო-  
ბის ტრინსონდნ ლიბერტრევაბ მთელი  
მსოფლიოს ვასაგონად ვანაცხად: „ლიტერა-  
ტურისა და ხელოვნების ნიჭიერა ნაწარმოები  
ერთენული სიმდიდრეა. ჩვენ კარგად ვიცით,  
რომ მხატვრული სიტყვა, ფერების ელვარება,  
ქვის გამოშახელობა, ბგერების პარმონია,  
შთაგონებენ თანამედროვეებს და შთამომავ-  
ლებს გადასცემენ სულისა და გულის ხსოვნას  
ჩვენი თობის, ჩვენი დროის, მისი მღელვარე-  
ბისა და მიღწევების შესახებ“.

დაბა, არც ერთი საზოგადოების ისტორიაში  
არ ფასდებოდა მხატვრული სიტყვის შრომა  
ისე, როგორც ჩვენს დიად ქვეყანაში. საბჭოთა

ხალხმა წარსულის დაფასებაც იცის და აწმწოს  
სიუფარელოც, ეს კი ბადებს საპასუხოდ უდი-  
დეს მოვალეობასაც — მხატვრის მზადყოფნის  
— იყოს ღირსეული წარმომადგენელი თავისი  
ეპოქისა. მ. შოლოხოვის ხატოვან გამოთქმად  
ქცეული ტყედი ფრაზა — რომ ხალხმა და  
პარტიამ მწერალს მისცეს ვეღაფრის უფლება,  
ვარდა ცუდად წერის უფლებისა — დღეს გა-  
ნაყურებულნი ძალით უფერს. რ. მიშველაძემ  
მშვენიერად იცის, რომ ლიტერატურის მიღწე-  
ვები საერთო პროდუქცია როდია, ციფრობრივ  
მონაცემებში გამოხატული. იგი ითვლება ეს-  
თეტიური ღირებულების ფაქტებად, რომლე-  
ბიუ ამიღებენ მკითხველთა გონებასა და  
ფანტაზიის და ხლებიან ხალხის მსგების კლთე-  
ნილებად.

სარეცენზო წიგნის ყოველ გვერდს ატყვია  
ავტორის დახვეწილი გემოვნება, ლიტერატუ-  
რული ფაქტების ანალიზის დამაქრებლობა,  
მალალი პროფესიული კელტურა და ასევე დაკ-  
ვირეებული ფილოლოგის ალღო; რ. მიშველაძე  
ერთნაირად გრძობს ეპიკური ლირიკულ-ეპიკუ-  
რი და დრამატული ნაწარმის თავისებურებებს.  
კრიტიკოსი კარგად სწვდება სიტყვის ოსიკტის  
ყოველ მონიშნებას, მხატვრული სახის არსს,  
სტრუქციონებს შუა მოქცეული ქვეტექსტსა თუ  
ლირიკული წიადსლოთ ნავლენსმევე ჩანაფი-  
ქრს. სარეცენზო წიგნის ავტორი რეაგირების  
გარეშე არ ტოვებს ერთ ყალბ ბგერასაც კი.

წიგნი იხსნება ეტრადით „დღეს“ ...“, რომე-  
ლშიც ხეება ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში  
იმ ახალ მოვლენებს, რაც ამ რამდენიმე წლის  
წინათ დამკვიდრდა და ახლა უკვე მძლავრად  
გამალა ფრთები. კრიტიკოსი აყენებს დროულ  
და, ვიტყვდი, ეროვნული ღირებულების საკე-  
თხებს, რომლებსაც უფიქრობთ, მომავალში  
მიაკვეენ ვეროვან ყურადღებას. მაგრამ აქ  
შთავარია მეორე მხარე — ლიტერატურული  
ფაქტების ანალიზიც, მხედველობაში მაქვს  
„უვარყვერ თეთაბერის“ რუსთაყელის თეატრ-  
ში დადგმის ფაქტი და ამის მიშველადსეული  
ინტერპრეტაცია. მე მჭონდა შეშთხვევა, დავს-  
წრებოდი ამ სპექტაკლს და შემიძლია თამამად  
ვანაცხადო: თ, ვის გაუგია ნამდვილად, ჰემ-  
მარტიად ეს დადგმა, ვინ უხორა ხალხსაც და  
თეატრსაც სიმართლე, ვინ ასწონა მართლაც



მისხალ-მისხალ ყვარჯვარე თუთაბერის\* პლუსი და მინუსები, ამ გაბედულ ნაბიჯს ჩვენ, მკითხველები, დიდად ვაფასებთ.

ენი დათვლის, რამდენი ნაშრომი დაწერილა, მონოგრაფია გამოქვეყნებულა, დისტრტია და ცელა მხატვრული სიტყვის დადებულ ოსტატზე — კ. გამსახურდიანზე. თითქოს არ დარჩა საკითხი მისი შემოქმედებიდან, რომ არ ევალებებოდნენ და მკვლეობის საგნად არ ქვეყნაყო. მაგრამ რ. მიშველაძემ კიდევ სხვა ერთხელ დაგვანახა ეს დიდი მწერალი და მოაზროვნე.

ამ წმ გვერდიან გამოკვლევაში, რომელიც წარმოადგენს კ. გამსახურდიანს ცხოვრებისა და შემოქმედების მიზანს — სურათს მინიატურაში, მეტად გაბედული აზრებია გამოთქმული სიციხლემთვე ცოცხალ კლასიკოსად აღიარებულ მხატვრული სიტყვის ამ სწორუბოვარ ოსტატზე. ჩემი პროფესიული ინტერესები მიიძღვლებს, წინა პლანზე წამოვიწიო ამ საკითხთან დაკავშირებით რ. მიშველაძის შემდეგი მოსაზრება „გამსახურდიან ქართული ენის განვითარებაში თითქმის ისეთივე მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა, როგორც თავის დროზე შ. რუსთაველა და ა. ჭავჭავაძემ. მან ერთ-ერთმა პირველმა გასაძინებლებს — თავისი ინერციების გამოღიჯა ქართული ენა. ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის თავისებური სინთეზით, აგრეთვე დიდიქტა სალი ყლორტების გათვალისწინებით შექმნა განუმეორებელი, აღარბადისლერი მხატვრულ-ენობრივი სტილი, რომელსაც ვასაოცრად მდიდარი ლექსიკა და ფრაზის თავისებური კონსტრუქცია სხვა თანამედროვე ქართველი პრაზაოკოსის სტილისაგან განსხვავებულ იერს ანიჭებს“ (გვ. 23-24). ჭერ ერთი, ასეთი მოსაზრება პირველად გამოთქვა სწორედ სარეცენზიო წიგნში, მეორეც, იგი, ჩემი დრმა რწმენით, მისაღები და გასაზიარებელია, და, მესამეც, ამ მოსაზრების გარდა, სხვა სიახლაც რომ არ იყოს აღნიშნულ ნაშრომში (ანალიტიკა კი საკმაოდია), იგი მაინც დარჩებოდა თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის საინტერესო შენაძინად.

ასევე მაღალ პროფესიულ დონეზე გაანალიზებული რ. მიშველაძის მიერ კ. ლორთქიფანიძის „ცახუნია“. კრიტიკოსი შენიშნავს: კოდექსი ყოველგვარ ტყუილს კრძალავს. ზოგიერთ ტყუიანში სასამართლოს წესით ისჯება ეჭოში, კრეკილევ მორჩენელი სენის შესახებ დაუმაღლავს ავადმყოფს. მოწიფულ აღამიანებს სიპართლე ურჩევნიათ საორდლისო ტყუილს. ამასთან დაკავშირებით რ. მიშველაძეს მოჰყავს მაგალითი პუშკინისა, რომელსაც თავისმა ეჭიმმა პირდაპირ უთხრა, „თქვენც კრილობა სასიყვდილია“. მაღლობელი ვარ, მოწიფულე ხელმწიფე, რომ არ დამიბაღეთ. ამო იმედო

ჩემთვის ახლა დამღუპველი იქნებოდა. — უთხრა პოეტმა. პუშკინმა დათვლილი საათების განმავლობაში წესრიგში მოიყვანა პირადი არქივი, ვადაწერა თამასუქები, განკარგულენა გასცა, ვალები ამა და ამ შემოსავლიდან გაესტუმრებინათ. და მერე საერაბელში ჩამქდარი მშვიდად დაელოდა სიცვდილს (გვ. 91). ეს არის ერთგვარი უფერტორა, რომელზეც ავტობული „ცახუნისა“ უადრესად პროფესიულ-დონეზე გარჩევა. ცახუნისაც ხომ ატყუებს უფროსი სერგანტი ახალი შესხი, რომელსაც ფროტზე „თვლით არ უნახავს ამ გოგონას მამა, მაგრამ დაქრილმა ჯარისკაცმა მოზრებულ ტყულით პატარა გოგონას თვალზე კრემლი შეაწიო, იმედის ნაპრწყალი ვაუღლივა გულში, ხვალისდელი დღის რწმენა ჩაუნერგა. იმედი კი, მოგესხენებათ, ომში წასულის ოჯახისათვის რა დიდი განძია“. ამ სტრიქონებს რ. მიშველაძე წერს და მე, როგორც სამაშულო ომის ვეტერანი, საესებთ ევთანაზებში მას.

მშვენივრად არის გაანალიზებული სარეცენზიო წიგნში შოთა ნუნიათის მომზობლავი პოეზია, სიმონ ჩიჭოვანის ლექსები და კომედიული მიტყულებს სამოქალაქო ღირსიკა და სხვა ხასიათის ნაწარმოებები; აქვე საგანგებოდ მსჯელობს ავტორი სამაშულო ომის ასახვაზე ქართულ ლიტერატურაში, კრიტიკის ზოგერთ პრობლემებზე, შ. ფორჩხიძის ლექსებზე, თანამედროვე პოეზიასა და პოეტურ სტროფებზე, ლიტერატურული კრიტიკის დღევანდელ ვითარებაზე და სხვ.

სარეცენზიო წიგნის ზოგიერთი გეიუდი წმინდა პოლემიკური ხასიათისა (მაგ., „ერთი ექსპერიმენტის სიპრდენი“, „კრიტიკის ზოგიერთი პრობლემა“ და სხვა), მაგრამ ეს არის პაექრობა უადრესად საქმიანი, პრინციპული, ობიექტური, საკითხის არსიად გამოდინარე, აქვე მეტად თავდაყერილი და, ვლტყადი, ავადმეორია რ. მიშველაძე. ნამდვილი კრიტიკა — ეს ლიტერატურაზე მსჯელობა როდია, იგი თვით არის ლიტერატურა. სარეცენზიო წიგნის ეს ნაწილი თავისუფალია უბში ტონისაგან, მკითხველი ლაღად სუნთქავს, ყოველი წინადადებათ რწმუნდება, რომ კრიტიკოსის ეთილი მიზნები ამოქრავებს, ეხმარება მწერალს ლიტერატურულ ორიენტაციაში და ე. წ. აკრძალული ილუთებით, განქიქებით, უადვილო ირონიით, არასისამოყონ ტონით კი არ ედილობს ეფექტის მოხლესა, არამედ ფაქტებით. უ. შექსპირისა არ იყოს, „თქმა დაპტიკება როდი არის, სპირო არის, საბუთი რამე თვალსანიონ წარმოადგინო“ — ეს საბუთები საკმაოდია სარეცენზიო წიგნში.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო წიგნის ბოლო ეტრული — „ოქროს ზომეებზე“, რომელიც წარმოადგენს მკვე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლას ლიტერატურ-

რის პოზიციებიდან და იმის დასაბუთებას, თუ როგორი უაღრესად დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ზალხისათვის ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებას ამ საკითხზე.

სარტყენიო წიგნი დაწერილია უაღრესად ევალიტიციური მეცნიერისა და დახვეწილი გეოგნების მწერლის მიერ. ნაშრომი უდავოდ დგას თანამედროვე კრიტიკის განვითარების დონეზე და მიგვანიშნებს ავტორის ზრდაზეც,

რომლისთვისაც იგი მკითხველის წინაშე განვლილი წლების ერთგვარი ანგარიშია, წიგნში ერთმანეთს ეცილება მოაზროვნე და მესიტყვე, კრიტიკოსი და მწერალი. ავტორისათვის დამახასიათებელია სკრუპულოზური ძიება, გასათვარი შრომის მოყვარეობა. მთელი წიგნი დროის მძაფრი განკლითაა დაწერილი. იგი ქართული კრიტიკის შენახუნად მესახება.

რ. შამელაშვილი



638/65



№ 80 კვ.

ИНДЕКС  
76128

**„МНАТОБИ“**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**